ბიჟი ჟანდარია

ქუჩაბოლები

K 59.642 / 2



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1215

ბიჟი ანდუაძრია

ქვაქმოსავლები

Гоуз. РК п/союза ОБ[illegible]ное
связи рабочих [illegible] транспорта
и шоссейных дорог
БИБЛИОТЕКА ГУШОСДОР'а
№.....

•ნაკადული•
თბილისი
1973

894.631-3

Г 2
899.962.1-31
8 406

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველმა ხალხმა, სანამ ჩვენს დრომდე მოვიდოდა, გრძელი გზა განვლო, ტანჯვისა და ბედუკუღმართობის მძიმე გზა, რამაც ერის სულიერ ცხოვრებას დაღი დაასვა. ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ტრაგიკული შეგნება ზოგს შინაგანად აცარიელებდა, აკნინებდა, ხრწნიდა, ზოგს კი, ერის საუკეთესო შვილებს, ზნეობრივად ამაღლებდა, სულიერად აკაჟებდა და მათი გმირული თავგანწირვა, ანდა ერის კულტურული ფასეულობის შექმნისათვის სულით ხორცამდე დახარჯვა, ქართველ ხალხს ბნელ გზას უნათებდა, იმედითა და სიამაყით აკსებდა. ისტორიული მოთხრობების ამ პატარა კრებულში სწორედ ჩვენი სახელოვანი წინაპრების, ქეთევან დედოფლის, გივი ამილახვარის, შანშე ერისთავის, თამარ დედოფლის და უდროოდ დაღუპული ნიკოლოზ ბარათაშვილის რთული ხასიათი, მსოფლმხედველობა, ტრაგიკული ხვედრი ან ტრაგიკული აღსასრულია ასახული.

ᲙᲐ 9.642

© „ნაკადული“, 1973 წ.

ᲡᲞᲔᲪ-2000
ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

7-3-3 М—603

ᲐᲠᲗᲕᲔᲚᲠᲗ
ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



მეამბოხენი

I

აღმოსავლეთიდან ცხელი, მტვრით შესქელებული ნიავი უბერავდა და სახის კანს აშრობდა. ცხენები დაკარგულ ჩრდილზე დარდით იხუთებოდნენ, ისე ზანტად მოაბიჯებდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ ბედისწერა დროს აჩქარებდა, მუქი თვალების დასათხრელად ემზადებოდა. ეს გზა შეკაზმულებს ადრეც ბევრჯერ გაუვლიათ, მის გარდიგარდმო სიკვდილიც უნახავთ და სიცოცხლის ჩასახვაც, მაგრამ ამით მათ ზურგს არც ტვირთი მოჰკლებია და არც იარა. მხოლოდ ეს იყო, რომ ყოველი ახალი მოგზაურობის შემდეგ უკან მომავალი ურმების ჭრიალი ან აქლემების ეკვანთა ქღარუნი სევდით ივსებოდა, უდაბნოში გაფანტულ ბგერათა უსაზღვრობას იძენდა.

მხედრებს წინ ახოვანი, მზით სახეგარუჯული ვაჟკაცი მოუძღოდა. ღმერთს იგი მბრძანებლად, სხვისი ბედის გამგებლად გაეჩინა. იარაღაყრილი მხლებლებისაგან იერითაც გამო-

Гос. Р.Б. по союза работников связи рабочих сф. транспорта и шоссейных дорог
БИБЛИОТЕКА ГУШОСДОРа

ირჩეოდა და ნაღველში გაზავებული ღიმილის ბუნდოვანებითაც. ფეხდაფეხ მას ორი სპარსელი დიდებული მოჰყვებოდა— ერთი ტანმორჩილი, სახედამჭკნარი, ისეთივე აქოთებული და გაუმაძღარი, როგორც ეს საჭურისებს სჩვევიათ, მეორე — ახალგაზრდა, ნებიერი, წითელი ჩალმით თავდამშვენებული. უკან მათ თეიმურაზის ბეჭდის მცველი სოლომონი და ყაზახის სულთანი მოჰყვებოდათ, კიდევ უფრო უკან ახალგაზრდა აზნაური მოაბიჯებდა. ყიზილბაშთა შეიარაღებული რაზმი მძიმედ მოირწეოდა, გზაზე ავარდნილ მტვერში ეხვეოდა. დატვირთული აქლემები ზეზეულად თვლემდნენ, სინამდვილეს ზმანებათა ხატოვანებით ამსუბუქებდნენ.

სპარსეთში თვალების დასათხრელად მიმავალ გივი ამილახვარს წვერში თეთრი გარეოდა, მაგრამ არც მოტეხილი ჩანდა და არც იმედგადაწყვეტილი. მისი მახვილი, ათას ჭირვარამს გამოვლილი გონება მოვლენებს ზოგჯერ ისე ალაგებდა, რომ ზღვარი სასაცილოსა და სატირალს შორის იშლებოდა. შეიძლება ამის მიზეზი დრო უფრო იყო, ვიდრე მისი დაუდეგარი ხასიათი. როცა წინ იყურებოდა, აწმყოს ვერ ამჩნევდა, სწორედ იმას თელავდა, რისი შენარჩუნებაც სურდა, ხოლო როცა უკან მოიხედა, ადგილზე აღარაფერი დახვდა. დრო სხვა უსაზღვროებას მიეტმასნა, სხვაგვარად დათარიღდა და იქით წარუძღვა, საითაც ყველა ბრალდებულს მიუძღვის. დატყვევებულს, სასჯელის წინაშე მარტო დარჩენილს გამოსავალი თვითონ უნდა ეპოვა, როგორმე უნდა დასხლტომოდა ხელიდან ნიჭიერ ვიგინდარას, თორემ ამ გზას უკან ველარ გამოჰყვებოდა.

გაბრტყელებული ქვეყანა მზის სხივთა სიმძიმისაგან იდრიკებოდა, მოგონებებს გარეკანს აცლიდა, ჩირივით აჭკნობ-

და. მას შემდეგ, რაც ამ გზას დაადგა, მეხსიერების ყველა კარი უნდა დაეხშო, მაგრამ მუმუნვარე მოგონებები დროის თხელ კედლებში ეონავდა და გონების ზედაპირზე ვრცელ მინდვრებს იპყრობდა. თბილისიდან გამოყოლილ, შემოჩენილ აჩრდილებს ჯერ კიდევ შეეძლოთ მისი ცდუნება, გზიდან გადაყვანა, რადგან არეულ, მღვრიე დროში ყველაფერი ბედისწერა და ფათერაკია.

ამილახვარმა უკან მიიხედა. სიცხისაგან ქანცმიხდილი მხლებლები მომჩვარულიყვნენ, სიფხიზლე დაეკარგათ. ირგვლივ ყველაფერი გადაბუგული, გავერანებული ჩანდა. ერთ დროს ამ უნაყოფო ველებზე ბაღები ყვაოდა, წარმართული ტაძრები ქათქათებდა, ახლა კი დანაოჭებული სივრცის მეტი არაფერი ირხეოდა. მიწას რომ ხრწნა შესძლებოდა, აქაურობა, ალბათ, მძორის სუნით იქნებოდა აყროლებული. ამ გზით მოდიოდნენ საქართველოში დედაწულიანად აყრილი გადამთიელები, ამ გზით მოვიდა ნადირ-შაჰიც. მაღალი, პირხმელი. ჯარს ისე მოუძღოდა წინ, თითქოს თბილისის აღების შემდეგ მისი სამფლობელო ერთი ათად გაიზრდებოდა. მოგორავდა უზარმაზარი, ენაარეული, აღვირახსნილი ბრბო, რომლის ამლაგმავი ძალა საქართველოში არ მოიპოვებოდა. ყიზილბაშები სივრცეს წითლად ღებავდნენ, ნახევრად შიშველი ავღანელები მტვრის სქელი ფენით იმოსებოდნენ, თუთიყუშებივით აჭრელებული ქურთები ველურად ყიოდნენ. უკან მათ სვავებივით მოჰყვებოდნენ ქურდები, ყომარბაზები, მაწანწალები. რის შეჭმასაც მგლები ვერ მოასწრებდნენ, ისინი შესანსლავდნენ. ბრბო ქშინავდა, ქოთავდა, წამლავდა წყალს, ჰაერს, სულსა და ხორცს. უზარმაზარი სხეული იმხელა სტომაქს მოათრევდა თან, რომ თბილისს მისი ამოყორვა არ შეეძ-

ლო. ოსმალებისაგან ნარბევი ქალაქი დაიძაბა, ლანძღვა-გინებისა და კივილის აღსაქმელად მოემზადა. წინასწარ არავინ იცოდა, ვის რას წაჰგლეჯდნენ, ვის რისთვის გაიმეტებდნენ სასიკვდილოდ. თბილისი აჩურჩულდა, ჭრელი მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით დაჯგუფდა. ერთ ადგილას ქართველებმაც მოიყარეს თავი, მაგრამ ვერ მორიგდნენ და ორ ნაწილად გაიყვნენ. რამდენიმე თავადმა მამულს მიაშურა, ციხეში ჩაიკეტა, თავის დასაცავად მოემზადა, უმრავლესობა კი ნადირ-შაჰს მიეგება და საჩუქრები მიართვა. იმათ შორის, ვინც ნადირ-შაჰს თბილისში შემოსვლა მიულოცა თვითონაც ერია; კი არ ერია, წინ მიუძღოდა უმეფოდ დარჩენილ ქართლელებს და შაჰს ისე ელაპარაკებოდა, როგორც ქვეყნის ერთადერთი გამგებელი. ნადირმა კაცის ცნობა და დაფასება იცოდა, მაგრამ ერთი მდაბიური ზნე სჭირდა: დანათესავებისა თუ თავის დაზღვევის მიზნით, დამარცხებულს ცოლად ქალიშვილს სთხოვდა და თუ ნებით არ აძლევდნენ, ძალით მიჰყავდა. შაჰის უზნეობა რომ დროზე სცოდნოდა, ნათიას ან იმერეთში გადაიყვანდა, ანდა სასწრაფოდ გაათხოვებდა, მაგრამ ყველა საფრთხეს ვინ დაუხშობს გზას.

ხნიერ სპარსელს საჭურისის კიდევ ერთი თვისება ჰქონდა, ლაყბობა უყვარდა. ზოგჯერ მისი უსიამო ხმა როკაპი დედაკაცის ქოთქოთივით ესმოდა უკნიდან, მაგრამ მას უკვე აღარ აინტერესებდა, რას ამბობდნენ ალაჰის მადიდებელი ხანები, რა ხდებოდა გაფითრებული ცის ქვეშ. მიწიერებისადმი ლტოლვა როგორღაც შეუმჩნევლად, თავისთავად დაკარგა და იმ კედლებს მიაწყდა, რომელთა სიმტკიცე სულის მოძრაობას აბრკოლებდა. უმწიკვლო და უდანაშაულო ირგვლივ არავინ ეგულებოდა, მაგრამ მან მაინც ბევრი რამ ითავა, უამრავი

სისხლი დაღვარა და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რომ ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ, ბნელ შუკებში გზის გაკვლევა არც ისე იოლი ყოფილა, როგორც ახალგაზრდობაში ეგონა. თუმცა, როცა მხეცს ძალა ერჩის, ვერც ბნელ შუკებს ხედავს და ვერც ყოფიერების მღვრიე მორევს ამჩნევს. სანამ ებრძოდა, ცხოვრების ავკარგიანობაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა, ზარბაზნების ქუხილით გაბრუებულს ცხოვრება უგუნურთა სათამაშო ასპარეზად, ნათხოვარ საუნჯედ მიაჩნდა, რასაც დღეს თუ ხვალ დაუკითხავად გამოგტაცებენ ხელიდან. ამიტომაც არ ერიდებოდა სისხლისღვრას, ფიცის გატეხას, ავისა და კარგის ერთმანეთში აღრევას. მიწიერებას მოწყვეტილი ფიქრები კი მხოლოდ მას შემდეგ ეწვია, როცა თავი დამარცხებულად სცნო.

მტვრის სქელი ფენა ფარდასავით ირხეოდა, საკუთარ ოხშივარში გახვეული მზე დედამიწას სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა, აქლემების ექვანთა ჟღარუნი სივრცეს აათკეცებდა. ამილახვარმა თვალი მოიჩრდილა და უწყლო ველებს დაედევნა, მაგრამ გონებაში მოფუსფუსე აჩრდილებს მაინც ვერ დაუსხლტა ხელიდან. გამარჯვებულნი სამი დღეღამე ძარცვავდნენ ქალაქს. თბილისი აყროლდა, წაიბილწა. მტკვარმა იმდენი სისხლი და ხორცი შეიწოვა ერთბაშად, რომ ველარ მოინელა და მეტეხს ქვემოთ გვამები მორებივით გამორიყა. გაძარცული ქალაქი იკრუნჩხებოდა, დაცარიელებული ქუჩები წელს ძლივს მიათრევდნენ ალმართში. სამი დღის შემდეგ ყიზილბაშები დარწმუნდნენ, რომ თბილისში ხელს ველარ მოითბობდნენ და ქართლის ხეობებს შეესივნენ. ციხეში ირანელი მეციხოვნენი ჩადგნენ. სანამ ნადირ-შაჰი უკან გაბრუნდებოდა, კაცი გამოუგზავნა და ქალიშვილი სთხოვა ცოლად.

მან უარი შეუთვალა. უარის თქმისათვის იგი შეიპყრეს და შაჰს მიჰგვარეს. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. შაჰს უკვე გაეგზავნა მარბიელი რაზმი ჭალისაკენ.

ნათია დანიშნული იყო. თეიმურაზი ხშირად ჩამოდიოდა ჭალაში და შეყვარებულები მთელ დღეს ერთად ატარებდნენ. იმ დღესაც ერთად ყოფილან, ბაღში მსხდარან, ნარდი უთამაშიათ. ბავშვებს თამაში უფრო იტაცებდა, ვიდრე საუბარი. ნათია ცამეტი წლისა იყო, თეიმურაზი თხუთმეტის. რა შეეძლო თხუთმეტი წლის ყმაწვილს, რით დაეცვა ან სატრფო ან საკუთარი თავი. ქართველებს საქართველოში იარაღის ტარების უფლებაც კი არ ჰქონდათ. ყიზილბაშებმა თეიმურაზი განზე მიაგდეს, ნათია ცხენზე აიტაცეს და ისე გაეცალნენ იქაურობას, როგორც ეს ავაზაკებს სჩვევიათ. ნათელი დღე შეტორტმანდა, თვალის დახამხამებაში დანახშირდა. აღარ არსებობდა ხეთა სიმწვანე, ცის სილურჯე, ყვავილთა სურნელება. ყველაფერი შავმა ფერმა და სასოწარკვეთილებამ შთანთქა. მოხდა ის, რასაც წარმოდგენა ვერ ეგუება, რის წინაშე სიკვდილიც კი ანგელოზივით მწყაზარია.

ამილახვარმა ერთი წამით ცხენი შეაჩერა და ჭრელი ხელსახოცით ისე მოიწმინდა ოფლი, თითქოს კეფასთან ღრმა, დაჩირქებული ჭრილობა ეგულებოდა.

თეიმურაზის[1] ბერად შედგომა მოგვიანებით გაიგო, კირილე ეპისკოპოსმა უამბო ყიზილბაშებითა და ქართველებით გა-

---

[1] თეიმურაზ ბაგრატიონი — ძე მეფე იასესი, ვახტანგ მეექვსის ძმისწული, შემდგომ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, კათოლიკოს ანტონი პირველად წოდებული.

[2] თეიმურაზ მეფე — ჯერ კახეთის, შემდეგ კი ქართლის მეფე, ირაკლი მეორის მამა.

რემოცულ ციხეში. იმ დღეს თეიმურაზ[2] მეფემ შემოუთვალა, ციხე ჩამაბარე და ყველაფერს გაპატიებო, მაგრამ მაშინ თეიმურაზი შაჰის ყურმოჭრილ მონად მიაჩნდა და ისევე ვერ ენდობოდა, როგორც სეფიანთა ტახტის მიმტაცებელს.

მხარმარცხნივ, ცის დასალიერთან ჯერ დაკლაკნილი ზოლი გამოჩნდა, შემდეგ კი ტყით შემოსილი მთების ჩრდილი. გამშრალმა თვალებმა ცოტაოდენი შვება იგრძნეს. გზა მარჯვნივ, სამხრეთისაკენ უხვევდა, მაგრამ მთების დანახვამ მაინც შეარბილა სულში გაჩენილი უდაბნოს სიმხურვალე. არ ეგონა ასე მალე თუ მოენატრებოდა წყაროს წყალი, ზურმუხტოვანი მინდვრები, გზის პირას ჩამოხტომა და ხის ქვეშ სუფრის გაშლა. თუმცა გზის პირას ცოტა ხე იდგა ისეთი, რომლის ტოტებზე ან ყიზილბაშებსა და ოსმალებს არ ჩამოეხრჩოთ ქართველები, ანდა ქართველ თავადს მოქიშპე თავადის ყმები. კაცის კვლა, მოტაცება, დასახიჩრება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში, როგორც ტურების კივილი. ოსმალები და სპარსელები მხოლოდ მაშინ კარგავდნენ მოსვენებას, როცა საქართველოდან ტყვეთა გაყვანა ფერხდებოდა. ხეობებში ჩამოწოლილ ნისლს ყოველდღე ფლეთდა შემზარავი კივილი, თოფის სროლა, მოთქმა-გოდება. ქამთა სიავე უამრავ მსხვერპლს მოითხოვდა, მაგრამ არავითარ შეღავათს არ იძლეოდა. საქართველო სამყაროსაგან მოწყვეტილ, მოძულებულ ქვეყანას ჰგავდა, რომელსაც დაუსჯელად ჯიჯგნიდნენ.

ნათია ისე მიიყვანეს ჰარემში, რომ მისთვის არც კი უჩვენებიათ. იქნებ არც იყო საჭირო. რა უნდა ეთქვა, რით ენუგეშებინა სასოწარკვეთილი, სხვის საკუთრებად ქცეული გოგონა, რომელსაც ამქვეყნის არაფერი გაეგებოდა. იმ იარაღით,

რაც წელზე ეკიდა, ვერაფერს გახდებოდა, მის მოკრიალ თავს წინ დაუგდებდნენ ნადირ-შაჰს. ნათია დრომ დაითრია, სულიან-ხორციანად შთანთქა, მაგრამ მის მეხსიერებაში ჩაშენდილი სოლი ვერაფერმა მოარყია. ზოგჯერ ისე აწვებოდა ტვინს, რომ ირგვლივ ყველაფერი წითლად იძაღლვებოდა. შეიძლება სწორედ ეს სოლი იყო მისი დაუდეგრობის, მერყეობის, ვაჟკაცობისა და ავკაცობის მიზეზი. შეიძლება სწორედ იმ დღეს მიხვდა პირველად, რომ სჯობია ბრძოლა წააგო, ვიდრე უმწეობას ამოეფარო.

არაგვის ერისთავი ურთურთი თბილისში სპარსელების გულის მოსაგებად ჩამოვიდა და მის სახლში ყოველდღე ლხინი იმართებოდა. იმ საღამოს ქართველ თავადებთან ერთად სპარსელი დიდებულებიც ჰყავდა დაპატიჟებული. სპარსელები ერთმანეთის თანდასწრებით ღვინის სმას ერიდებოდნენ, ჩუმად წრუპავდნენ, ქართველები კი ჯიხვის ყანწებს ცლიდნენ და ისე ხმაშეწყობილად მღეროდნენ, თითქოს ამ ქვეყნის არაფერი ეკითხებოდათ. გუბდებოდა არსებობის ქაფმორეული დინება, ინიღბებოდა ავი ზრახვები, მდიდრდებოდა დროის უფსკრულზე გადებული სუფრა. ერთ დარბაზში თავმოყრილი მტრები უკეთ ექცეოდნენ ერთმანეთს, ვიდრე დაცალკევებულნი. სპარსელები თავაზიანად იღიმებოდნენ, ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდებოდნენ. მათთან შედარებით ქართველები მხარგრძელნი, შეუმუსრავნი ჩანდნენ. აქ რომ ჩხუბი ამტყდარიყო, ყიზილბაშთა მოგრძო თავები მწიფე მსხალივით დაცვივდებოდა. პირველი ორი ყანწი სულის მოსათქმელად, წყურვილის მოსაკლავად დალია, შემდეგ კი გამომწვევად გადახედა მუხრანბატონებს, ერისთავებს, ორბელიანებს, ბარათაშვილებს და ციციშვილებს. ღვინო ისე სიამოვნებდა, როგორც ოლიმპიელ

ღმერთებს ნექტარი. სვამდა ხარბად, თავდაუზოგავად. წუთი-სოფლის ღვინოში ჩასახრჩობად. სწორედ იმ ღამეს დაუვარდა ხმა, გივი ამილახვარს ღვინო არ ათრობსო. და მართლაც არ ათრობდა. გათენებამდე ფეხი არ მოუცვლია, წვეთი არ დაუკლია, მაგრამ გონებაში არაფერი გაბუნდოვანებულა. მხრჩოლავი ჭაღები ბნელს ებრძოდნენ, შეზარხოშებული სახეები შეუგუებელს ეგუებოდნენ, სულში დაღლილობა და გულგრილობა იკიდებდა ფეხს. თამადა მტკიცე ხმით, დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მაღალფარდოვან სიტყვებს უცვეთი ჭეშმარიტებებით ადუღაბებდა, მაგრამ სინამდვილეს მაინც ვერსად გაურბოდა. შეიძლება ამის მიზეზი მოაჯირზე გადაყუდებული აჩრდილი იყო, რომელიც ახალი უბედურების მოსანელებლად ძველის ამონთხევას ცდილობდა.

როგორც კი თამადამ სიტყვა დაასრულა, „მრავალჟამიერ-მა“ იქუხა. ქართველები ზოგჯერ მოვარდნილ ჭირს სიმღერით, სილაღითა და სილამაზით იგერიებდნენ, მაგრამ ბოლო დროს არა მარტო სილამაზემ დაკარგა ფასი, არამედ ღმერთმაც და კაცმაც, კაცზე უფრო ღმერთმა, რადგან არაფერი შეისმინა, ცალი თვალითაც კი არ გადმოხედა გაჩანაგებულ ქვეყანას. რად უნდოდათ ქართველებს ღმერთი, თუ საქართველო არ იქნებოდა.

განთიადისას სტუმრები წამოიშალნენ, დღის სინათლეს მიაშურეს, მაგრამ თვითონ ადგილიდან არ დაძრულა. ქუჩაში გასვლას და თვალების ჭუტვას ისევ ნახევარბნელში ჯდომა და ღვინის სმა ერჩია. ღვინო უკეთ ავსებდა დროს, ვიდრე თვალი და ყური. თითები მუხის სქელ ფიცარს ეფერებოდნენ, ძველისძველი კერპი საცოდავად იღიმებოდა, თავაშვებული ქვეყანა ისე ეგებებოდა ახალშობილ დღეს, თითქოს სისხლი ჩა-

შორეცხა, ნათელში განიბანა. ახალი დღის დაბადება რაღაცას ამოკლებდა, იქნებ აწონასწორებდა კიდეც, მაგრამ ამ დარბაზში იგი სამუდამოდ ვერ დარჩებოდა. ხვალ, ზეგ ან ერთი კვირის შემდეგ ცხოვრება თავისას მოსთხოვდა და მთელი ტანით უნდა წამომართულიყო, პირისპირ შეჰგებებოდა იმას, რაც აირდაირია, გაუხეშდა, სიხარულისაგან დაიცალა.

შინაყმები სუფრის ალაგებას შეუდგნენ. დამძიმებული სხეული ჯერ შეანჯღრია და მხოლოდ ამის შემდეგ წამოსწია სკამიდან. გვერდითი ოთახი ცარიელი აღმოჩნდა. კუთხეში სპარსული ტახტი იდგა. ტახტზე წამოწოლილს ძილი უფრო ჩქარა მოერია, ვიდრე წუხელის ღვინო. სიზმრები წყალში ჩაყრილ სოკოსავით დალბა, თავისივე ლორწოში გაითქვიფა. მეხსიერებას მხოლოდ უნდობლობით დავიწროებული თვალები, შუღლით დამძიმებული სახეები და შელახული ფარდის რხევა შემორჩა. ერთხელ რაღაც მოელანდა, გვერდზე გაცოცება, გაუჩინარება სცადა, მაგრამ უხილავი დილეგის ბნელ კედლებს თავი ვერ დააღწია. პირი უშრებოდა. გულ-ღვიძლი ეწვოდა, ოფლში გაღვრილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თონეში ეძინა.

გაღვიძებულს სუფრა გაშლილი დახვდა. ფანჯრიდან მზით გათანგული ქალაქი მოჩანდა. დღის სინათლე არ სიამოვნებდა, მისი არც სიცხადე სწამდა და არც სიხალისე. სანამ დარბაზში შევიდოდა, თვალები მოიფშვნიტა და დაუბანელ პირზე ხელი ჩამოისვა. ლხინი ის-ის იყო იწყებოდა. არაგვის ერისთავმა მკლავის სიმსხო ყანწი შემოაგება. შიგნეულობა დაცხრა, დარბილდა. ღვინო ელავდა, ისეთი რაკრაკით გადადიოდა ყელში, თითქოს მის მიერვე დანთებული ცეცხლის ჩაქრობა სურდა. ქვეყანა შეიმოსა, ამჩატდა, უტიფრად აღიღინდა. რომ არ აპ-

ყოლოდა, ბრაზისაგან გაიგუდებოდა. ყანწს ყანწი მოჰყვა, ღამის თევას — ღამის თევა, თავდავიწყებას — თავდავიწყება და ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ხმა არ გავრცელდა, ქსნის ერისთავი შანშე აჯანყდაო.

ცხენის წაფორხილებამ მეხსიერების ღია კარი დაახშო, თვალმა ქვების სიმხურვალე აირეკლა. გათლილი, ჩალისფერი ქვები ისე ეყარა გზის პირას, თითქო აქვე, ამ ველზე აღმოცენდნენ. უსახური ქვეყანა იწელებოდა, იშმუშნებოდა, დუნედ იკლაკნებოდა ისიც, რასაც შიში და უგუნურობა ჰქვია. რისთვის მიჰყავდათ სპარსეთში, ნუთუ საქართველოში ჯალათი არ მოიპოვებოდა? მის დაბმას, ორი რგოლის გახურებას და თვალების ამოწვას უბრალო ჯარისკაცებიც კი მოახერხებდნენ. ტკივილი ტვინს დაფლეთდა, ქვეყანა დანაკვერჩხალდებოდა და რა მაგრადაც არ უნდა მდგარიყო ფეხზე, მაინც ხელით სატარებელი იქნებოდა. ცოტა ხნის შემდეგ სახე დაუსივდებოდა, ხმა და ხასიათი შეეცვლებოდა, მაგრამ გარდუვალობით შეკრული წრე ბედმა კიდევ ერთხელ გადაშალა და უფრო დიდი წრის მოხაზვას შეუდგა. სწორედ ამ წრის მრუდე ხაზს მიჰყვებოდა ახლა იგი სპარსეთისაკენ და შაჰისათვის ძღვნად საკუთარი თვალები მიჰქონდა.

ამილახვარმა უსიამო ფიქრები თავიდან მოიშორა, ხელი მოინაცვლა და უკან მიიხედა. ჯერ არც ქვეყანა ჩანდა შეცვლილი და არც ისინი, ვისთვისაც გზათა უაზრობა არ არსებობდა. მათ კარგად იცოდნენ, სად მიდიოდნენ, რა შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ამიტომ არ ჩქარობდნენ.

მოაბიჯებდნენ ისე, თითქოს ყოველი ზედმეტი მოძრაობა მზეს გააღიზიანებდა, გაახელებდა. ამ ერთფეროვან, გაშიშვლებულ წუთისოფელში აწმყო არ არსებობდა. კაცს ან იმით უნდა ეცხოვრა, რასაც ელოდა, ანდა იმით, რაც მეხსიერებას შემორჩა.

ნადირ-შაჰს ქალაქში გაჩერება არ უყვარდა, ველზე დგომა ერჩია, ასე უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. კრწანისის მიდამოები ნეხვის, ოფლისა და შემწვარი ხორცის სუნით იყო აქოთებული. ტყედ გაშლილი კარვები ისე მძიმედ აწვებოდნენ ქვეყანას, თითქოს ფესვის გადგმას, მიწასთან შეზრდას ცდილობდნენ. რა ბეცი თვალიც არ უნდა ჰქონოდა კაცს, როგორც არ უნდა გაემართლებინა ყოფიერების უთავბოლობა და კაცთა მოდგმის უგუნურობა, მომხდურთა დანიშნულება მაინც მკვლელობა, ძარცვა და ნგრევა იყო. სანამ ამ ჭრელი ქალაქის მკვიდრნი ხორცს წვავდნენ, ნადავლით ვაჭრობდნენ, დატყვევებულ ქალებს აუპატიურებდნენ, არც წინ იყურებოდნენ და არც უკან, მაგრამ, როგორც კი ბუკის ველური ბგერები სივრცეს გააპობდა, იარაღს აისხამდნენ, ცხენებზე ამხედრდებოდნენ და რაც უფრო მეტ სისხლს დაღვრიდნენ, მით უფრო ცოტა მოეჩვენებოდათ. ღმერთო დიდებულო! იქნებ ამ ქვეყნის შექმნა შეცდომა იყო, — წამოსცდა უნებურად და სანამ მეგზურს წამოეწეოდა, პირჯვარი გადაისახა.

ნადირ-შაჰის კარავი ისე გამოირჩეოდა სხვა კარვებისაგან, როგორც მარგალიტი ზღვის კენჭებისაგან. კარვის წინ ხმალშემართული თურქმენები იდგნენ. ჯარში და შაჰის კარზე ჯერ კიდევ ბატონობდა თურქული ენა, თურქული ზნე-ჩვეულებები, რაც მკვიდრ სპარსელებს ეკალივით ესობოდათ გულში. რამდენჯერ შესწრებია ყიზილბაშების, თურქმენებისა და ავღანელების ჩხუბს შირაზელებთან, ხორასნელებთან და მაზან-

ღარელებთან, რამდენი მუცელი უნახავს ხანჯლით გამოფატრული, რამდენი თავი ძირში მოჭრილი. ნადირ-შაჰის მტკიცე ხელი რომ არა, ეს ძლიერი ჯარი ერთ დღეში დაიშლებოდა, რაზმებად დაიყოფოდა და სისხლად დაიღვრებოდა.

მეგზურმა თურქმენებს რაღაც უთხრა და შაჰის პირადმა მცველებმა გზა დაუთმეს. კარვის კალთა ისე გადასწია, თითქოს არც ღვინო ჰქონდა ყანწებით ნასვამი და არც სოლი ტვინში ჩაჭედილი. ნადირი ფეხმორთხმით იჯდა ქერმანული ხალიჩის თავში. მისი ვაჟკაცური, უნარიანი პირისახე არაფერს იკარებდა ისეთს, რაც საჭიროდ არ მიაჩნდა. ამ უსწავლელმა, სიღარიბეში გაზრდილმა კაცმა სპარსეთი მკვდრეთით აღადგინა — ჯერ ავღანელები გარეკა ერანიდან, შემდეგ კი ოსმალები დაამარცხა და დაკარგული სამფლობელოები დაიბრუნა. მიუხედავად ამისა, სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა მაინც არ დაუკარგავს. ალღოგამახვილებულმა კარგად იცოდა, რომ ქაოსი და არეულობა ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ყველგან და როგორც კი წაიფორხილებდა, მაშინვე გასრესდა.

ნადირ-შაჰის მხარმარჯვნივ იმამ-ყული-ხანი, მირზა-ხანი და შირვანის ბეგლართბეგი ისხდნენ, მხარმარცხნივ სათნო, თეთრწვერა შეიხი, ყულარ-აღასი და მდივანბეგი. მუსლიმანთა ნაქები თავაზიანობა, გაჭიანურებული სალამი და ფეხმორთხმით ჯდომა არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა, მაგრამ იგი დაპყრობილი ქვეყნის წარმომადგენელი იყო და თუ საჭირო გახდებოდა, აუტანელიც უნდა აეტანა. თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ნადირ-შაჰს ეჩქარებოდა, ძილშიც კი ინდოეთი ელანდებოდა და ამიტომ დროის დაკარგვა დიდ ცოდვად მიაჩნდა. ნიჭმა, რაღაცის გარდაქმნის, გადახალისების სურვილმა იგი სპარსეთის შემბოჭავი ბორკილებისაგან გაათავისუფლა,

Гос. Ф.Н. высокая педагогическая школа
ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
БИБЛИОТЕКА ГУШОСДАГУ

მკაცრი და შეუპოვარი გახადა, ხოლო რამდენიმე დიდი გამარჯვებამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ყველა წინააღმდეგობის აღმოფხვრას მხოლოდ მაშინ შეძლებდა, თუ მსოფლიოს დაპყრობას მოახერხებდა. მის გონებაში უკვე ბოგინობდა ამგვარი გეგმები, მაგრამ მსოფლიოზე მას ცოტა ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

ნადირ-შაჰს არც ლაპარაკი უჭირდა და არც აზრის მოკლედ, მკაფიოდ გამოხატვა. თბილისის გამგებლობა და ერნელთა ჯარის სარდლობა იმამ-ყული-ხანს დაავალა, მას კი წინადადება მისცა, ქართველები შეეყარა და იმამ-ყული-ხანთან ერთად ქსნის ერისთავის წინააღმდეგ გაელაშქრა. ნაქეიფარსა და უხერხულად ფეხმორთხმულს უარის თქმა არ გასჭირვებია. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, ყიზილბაშების უკან გაბრუნების შემდეგ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა საქართველოში, კიდევ რამდენ ხანს აცოცხლებდნენ ტახტის მიმტაცებელს სპარსელები. შანშე ერისთავი ადვილად ხელწამოსაკრავი, დამთმობი კაცი არ იყო, გაბოროტებულმა სასტიკი შურისძიება იცოდა. შეიძლება მოგვიანებით მას მაინც წაეგო თავი, მაგრამ ახლა არც ნადირ-შაჰის ყმობა უნდოდა და არც შანშე ერისთავის გადაკიდება. დრო ჯერ ითმენდა, ითმენდა მანამდე, სანამ ყველა უკან დასახევ გზას არ მოუჭრიდნენ.

●

ამილახვარმა ცხენი შეაჩერა და ახალგაზრდა აზნაურს გასძახა, წყალი მომართვეთ. მისი ძლიერი, ბრძანებას მიჩვეული ხმა ისე შთანთქა ცხელმა ჰაერმა, რომ არც კი შერხეულა. საკინძეგახსნილმა ყმაწვილმა წყალნარევი ღვინო მოურბენინა.

ტიკჭორის სირბილე და მოქნილობა ესიამოვნა, მზის სხივების მოუდრეკელობა გადაავიწყა. ვარდისფერი სითხე ხალისიანად იღვრებოდა, პირსა და ყელს წებოდქცეული ნერწყვისაგან რეცხდა, ლბებოდა, გრილდებოდა გახურებული პირისახე და უეცრად ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს არა მარტო მისიანები თანუგრძნობდნენ, არამედ გათელილი, გაუხარებელი ბუნებაც. ამ მტვრიან გზაზე არც ჯაჭვით დაბმა ელოდა და არც თვალების დათხრა. საფრთხე ბორცვებს მიღმა, ცის დასალერთან იმალებოდა.

როგორც კი ცხენი ადგილიდან დაძრა, აწმყო გაქრა და რადგან მომავალი კარგს არაფერს უქადდა, ისევ წარსულს წაეპოტინა. შანშე ერისთავი მამაცი, შეუპოვარი ვაჟკაცი იყო. მათი მამულები ერთმანეთს ესაზღვრებოდა, რამდენჯერმე ამის გამო დავაც კი მოსვლიათ და ამიტომ მის მძიმე ხასიათს სხვებზე უკეთ იცნობდა. ჟამთა სიავემ ერისთავი გააჯიუტა, ეჭვიანი და დაუნდობელი გახადა. გულჩათხრობილს ყველგან ღალატი ელანდებოდა, საერისთავოს მიღმა მდებარე ქვეყანა მახედ მიაჩნდა. როცა მსჯელობდა, წინდახედული, გონიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ განრისხებულმა არავის დანდობა არ იცოდა, უგუნურობამდე სასტიკი იყო. ერთ შინაყმას ენა მხოლოდ იმიტომ ამოჭგლიჯა, რომ სწორი ამბავი ვერ მიუტანა. ასევე დაუნდობელი იყო მტრის მიმართაც. ყიზილბაშთა მცირე რაზმებს სადაც კი წააწყდებოდა, მუსრს ავლებდა. მთელ საქართველოს რომ ასე ებრძოლა, ყიზილბაშები, ოსმალები და ლეკები ძარცვის ხასიათზე ვერ იქნებოდნენ, მაგრამ ამგვარ ბრძოლას ყველაზე ადრე, ალბათ, თვით შანშე ერისთავი გამოეთიშებოდა.

ამილახვარმა სადავე ისე მოქაჩა, რომ ფიქრი არ შეუწყვე-

ტია. ქსნის ერისთავი დაუღალავი, ქვეყნისათვის გამოსადეგი კაცი იყო, მაგრამ საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თავადები ყველაფერს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, ერთმანეთის ჯიბრზე აკეთებდნენ. აჯანყების დაწყებამდე შანშეს არც კი უცდია ვინმე მიემხრო, ზურგი ან ფრთა გაემაგრებინა. თუმცა ვინ უნდა მიემხრო, რუსები და ოსმალები შორს იყვნენ, ქართველ თავადებს კი არ ენდობოდა. მუდამ იმას ფიქრობდა, ჩემს მამულზე უჭირავთ თვალი. საერისთავო იყო მისი კარ-მიდამოც, სამეფოც და სამშობლოც. ოსმალები სპარსელებს იმიტომ ერჩია, რომ ქართლში მათ მეფობა მოშალეს, ქვეყანა ხეობებად დაყვეს და ადგილობრივ თავადებს ჩააბარეს. ურჩობა და ღალატი შანშე ერისთავს შინ სძულდა, თორემ გარეთ ისეთივე ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, როგორც ყმების დასჯა. ქსოვრისთან ომში ვახტანგ მეფეს სწორედ იმ დროს უღალატა, როცა ბრძოლის ბედი წყდებოდა.

იგი ჯერ კიდევ საქართველოში იყო, როცა იმამ-ყული-ხანი ქსნის ხეობისაკენ დაიძრა. ქართლი იმ დროს სულთმობრძავ, გადაგვარების გზაზე დამდგარ ქვეყანას ჰგავდა, სადაც ჰაერი ბოლმისა და სიკვდილის სუნით იყო გაჟღენთილი. გამონაკლისს არც ქსნის ხეობა წარმოადგენდა. ერთმანეთს ებმოდნენ დაცარიელებული ნასტაგისი, ნასპარსალი, ქადაგიანი, ციხისძირი და ქანდა. ერთმანეთს შეჰყურებდნენ კედელმორღვეული ქსნის ციხე და გუმბათჩამოქცეული წითელი საყდარი, რომლის შიდა კედლებს ჯერ კიდევ ამშვენებდნენ ანგელოზები და წმინდანებად შერაცხული მღვდელმთავრები. ქსნის ციხეს რომ პატრონი ჰყოლოდა, მისი აღება ზარბაზნებით შეიარაღებულ ბატერსაც კი გაუჭირდებოდა. ამ ციხის გამო წაეკიდნენ ერთმანეთს ბაგრატ მუხრანბატონი და კახეთის მეფე ავ-გიორგი,

რომელმაც ბაგრატს გესლიანი სიტყვები შემოუთვალა და ციხიდან ღვინო გამოუგზავნა; ბაგრატმა გესლს გესლი დაამატა და ციხეში ორაგულები შეუგზავნა. ის, რაც ადრე ქართველებს დიდ უბედურებად მიაჩნდათ, ათასჯერ განმეორების შემდეგ მასხრობად იქცა. დრო მათთვის სიკვდილის წყარო უფრო იყო, ვიდრე სიცოცხლისა და ამიტომ მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდნენ.

ქართლის სიღატაკე და სიცარიელე სპარსელებსაც აკვირვებდა, მაგრამ საკბილოს მაინც ეძებდნენ. ხალხი იხიზნებოდა, კომკებსა და გამოქვაბულებში იმალებოდა. გაჭირვებამ მათ ბევრი რამ დააციწყა ისეთი, რისთვისაც ადრე თავს გასწირავდნენ. მუხრანი დაცარიელებული დახვდათ, ცარიელი აღმოჩნდა ლამისყანაც, რომელსაც მუხრანბატონები, ორბელიანები და ერისთავები ერთმანეთს ედავებოდნენ. სპარსელებს ქსოვრისის, ოძისისა და ხოფის აღება არ გასჭირვებიათ, მთელი გზა ისე განვლეს, რომ წვეთი სისხლი არ დაუღვრიათ. მიუხედავად ამისა, მაინც ირონებოდნენ, იგინებოდნენ. მათი საკბილო ლუკმებს დაეტაცათ, კავკასიონს იქით გადაეზიდათ. პირველი სიმაგრე, რომლის აღებაც ბრძოლით მოუხდათ, ახალგორის ციხე იყო. სანამ ძალა შესწევდა, შანშე ერისთავი თავს იცავდა, ახალგორის დათმობის შემდეგ წირქვალის ციხეში გამაგრდა, მაგრამ სპარსელები იქაც მისწვდნენ და რადგან მათთან გამკლავების ძალა არ შესწევდა, საერისთავო უმცროს ძმას, იესეს ჩააბარა, თვითონ კი რუსეთში გადავიდა დახმარების სათხოვნელად.

რა იყო საზეიმო, მაგრამ სპარსელებმა მაინც დიდი ლხინი გადაიხადეს და ნადირ-შაჰთან კაცი აფრინეს, შანშე ერისთავი საქართველოდან განვდევნეთო. იმამ-ყული-ხანმა მცირეოდენი

ნადავლი და ტყვეები თბილისში გაგზავნა. ამ გამარჯვების შემდეგ მის ჯმუხ სახეს კიდევ ერთი ნაოჭი შეემატა. სპარსელების მომხრე ქართველი თავადები გამხნევდნენ. ანანურიდან არაგვის ერისთავი ურთურთი ქსნის ხეობაში გადავიდა და სპარსელი დიდებულები საერისთავოში მიიპატიჟა. ქართლი გაინაბა, ისევ იმ ფარდას ამოეფარა, რომლის უკანაც ძალას იკრებდა. ერთხანს მხოლოდ შაწშე ერისთავის ძმა, იესე განაგრძობდა ურჩობას, მაგრამ რკალი მის ირგვლივაც სწრაფად იკვრებოდა.

ამილახვარმა მზერა შიშველ ბორცვებს მიაპყრო. ის, რაც გარეთ ბრტყელი და მშვიდი ჩანდა, აღქმის შემდეგ სახეს იცვლიდა, იმღვრეოდა, შეუთვისებელს ითვისებდა. გაუგებრობა, თვალთმაქცობა და სიცრუე სხვადასხვა წყაროდან მოედინებოდა, სხვადასხვა მიზეზს ეფარებოდა და ახსნას, გამართლებას თხოულობდა. გამართლებით თითქმის ყველაფრის გამართლება შეიძლებოდა, მაგრამ მისი სიმართლეც ისეთივე ცალმხრივი და მანკიერი იყო, როგორც უკან დარჩენილი აჩრდილებისა. მოვლენები სხვა შინაარსს იძენდნენ და ვერაგულად კარგავდნენ იმ თვისებებს, რაც დიდი ხნის წინათ შეიძინეს. საჭირო იყო გარდაქმნა, გადასხვაფერება, მაგრამ სად ეპოვნა სწორი გზა იქ, სადაც ყველა გზა ათასჯერ ნაცადი და უარყოფილი იყო, სად აღმოეჩინა ისეთი ვაქკაცი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ეღალატა მოყვრისათვის, როგორ მოერიგებინა სიკვდილი, განუკითხაობა, გაუტანლობა, როგორ აღმოეფხვრა შეგნებიდან ის აზრი, რომ უკიდურესი დაძაბულობაც კი თითქმის არავითარ შედეგს არ იძლეოდა, ერთი გამარჯვება ათ კიდევ უფრო დიდ გამარჯვებას თხოულობდა.

ბორცვებს მიღმა ჯერ ორმოებად ქცეული ნაქალაქარი გა-

მოჩნდა, შემდეგ კი წარმართული ტაძრის ნანგრევები, რომელსაც ირგვლივ დაბალი ბუჩქები, გამხმარი ბარდი და ხავსი შემოხვეოდა. ამქვეყნად ბევრი რამ უნახავს აღდგენილი, შეკეთებული, შენიღბული, მაგრამ გუმბათჩამოქცეული, კედლებჩამორეცხილი ტაძრის აღდგენა აღარავის შეეძლო. ეს იყო დროის მოუშუშებელი ჭრილობა, კბილებდაკრეჭილი გვამი, რომლის ხანდაზმულობა აუდაბურებდა, აკნინებდა ისედაც დაკნინებულ ბუნებას. ერთ დროს, ალბათ, ამ ქალაქშიც ცხოვრობდნენ, სამყაროს სიდიადით შემკრთალი, პირქუში ადამიანები, რომლებიც ღმერთის სახელით ტაძრებს აგებდნენ, ურწმუნოებს ცეცხლზე წვავდნენ, ურჩებს თავს ჭრიდნენ და თუ მათ მიერ დადგენილ საზღვრებში რამე არ ეტეოდა, გრძელს ამოკლებდნენ და მოკლეს ჭიმავდნენ.

•

როცა სეფე-ხანი მთელი თავისი ჯარით ქართლს მოადგა, ნადირ-შაჰი უკვე ისპაჰანში იყო და სალაშქროდ ემზადებოდა. ყიზილბაშების უეცარმა გამოჩენამ ქართლი ისევ აშალა, ააფორიაქა, მაგრამ სეფე-ხანი სოფელ ფხვენისში დაბანაკდა, კახეთიდან თეიმურაზი, გივი ჩოლოყაშვილი და ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო იხმო, ქართლიდან მის გარდა ბარძიმ არაგვის ერისთავი და ლუარსაბ თარხნიშვილი, ყველას იარაღი აჰყარა, მცველები მიუჩინა და უკან სპარსეთისკენვე გაბრუნდა. მათთვის არც ცხენები ჩამოურთმევიათ და არც ბორკილები დაუდვიათ, მაგრამ ისე იცავდნენ, როგორც საშიშ დამნაშავეებს. ყიზილბაშებს საქართველოში ფეხის მოკიდება გაუჭირდათ. ყოველი ხევის შემომტკიცება იმდენ სისხლად და ჯაფად უჯ-

დებოდათ, რომ აღარც მტრებს ენდობოდნენ და აღარც მოყვრებს. ტყვეობა არც ისე უსიამო აღმოჩნდა, როგორც ეგონა. მცველები თავაზიანად ექცეოდნენ, ხოლო როცა ექვსივე სუფრას შემოუსხდებოდნენ და პურის ჭამას დაიწყებდნენ, როცა სადილი ლხინში გადაიზრდებოდა, ბანაკი მათ უფრო ეკუთვნოდათ, ვიდრე შაჰის სარდლებს. ასე ტკბილად ქართველ მეფესა და თავადებს იშვიათად უტარებიათ დრო. ბოლოს გამოჩნდა ცადაწვდილი მინარეთები. ისპაჰანი აღარ ჰგავდა იმ საშიშ და ჭუჭყიან ქალაქს, როგორიც ნადირ-შაჰის აღზევებამდე ახსოვდა. ყველგან სიმშვიდე და წესრიგი სუფევდა, ვაჭრებს ფართოდ გაეღოთ დუქნის კარები, ხელოსნებს გარეთ გამოეტანათ მზა საქონელი, ქუჩები ხალხით იყო სავსე. სეფეხანმა ტყვეები ისე მიჰგვარა ნადირ-შაჰს, თითქოს მძიმე მოვალეობა მოიხადა. ნადირმა მართლაც მეფური სულგრძელობა გამოიჩინა, მათთვის არც ბრალდება წაუყენებია და არც სასჯელით დამუქრებია, პირიქით, ბრძანება გასცა ყველასათვის იარაღი დაებრუნებინათ, ხალათები ეჩუქებინათ და გამომშვიდობებისას პირადად სთხოვა თითოეულს, ყანდაჰში გაჰყოლოდა სალაშქროდ. იმ ღამეს მაჰმანდარებმა ფული და ხალათები ჩამოარიგეს, ხოლო მეორე დილით ტყვედყოფილი ქართველები ნადირ-შაჰის ამალაში იყვნენ. თეიმურაზი და კახელი თავადიშვილები მხოლოდ ამ ლაშქრობის დროს გაიცნო ახლოს. კახეთის მეფე გონიერი, გულკეთილი კაცი აღმოჩნდა. შესაძლებელსა და სასურველს არასოდეს ურევდა ერთმანეთში და იცოდა, ვის რისთვის მიმხრობოდა და რისთვის განდგომოდა. ცხოვრებას რომ მათი გზები არ გაეყარა, შეიძლება დამოყვრებულიყვნენ კიდეც. მაგრამ დამოყვრების ნაცვლად მოსისხარ მტრებად იქცნენ.

ლაშქრობა სამ თვეს გაგრძელდა. ნადირ-შაჰმა ყანდარი სწრაფად აიღო და გამარჯვება იზეიმა, რაც ბევრ სმას, ბევრ ჭამას და რაღაც ისეთის დაკმაყოფილებას ნიშნავდა, რის უფლებაც ჯარისკაცებს ყოველთვის არ ჰქონდათ. ზეიმში მათაც მიიღებინეს მონაწილეობა. ერთმა გურგანელმა იუზბაშმა მოჭრილი ყურების მთელი აცმა უჩვენა, რომელთა შორის ზოგიერთი ჩირივით იყო დამჭკნარი, რამდენიმეს კი ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი. ერთმა ფარსელმა ჯარისკაცმა ავღანელებს ყომარში ფული და ტყვეები მოუგო, ერთს ქალიც კი წაართვა და მეორე დღეს მისი მოჭრილი თავი სარზე ჩამოცმული იპოვეს. ღრეობამ თითქმის იმდენივე ხალხი შეიწირა, რამდენიც ციხის აღებამ, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დაცხრა სისხლმოწყურებულთა თარეში და როცა გამარჯვების მსუყე ფერები დრომ გამოახუნა, მათი ბედის გადაწყვეტის ჟამიც დადგა. ისინი ან უნდა დაეხოცათ, ანდა სამშობლოში დაებრუნებინათ — დახოცვა სახიფათო იყო, ამ ამბავს შეეძლო საქართველოში აჯანყება გამოეწვია, მაგრამ შაჰს არც მათი სამშობლოში დაბრუნება უნდოდა ისე, რომ ძაფის ერთი ბოლო ხელში არ სჭეროდა. ამიტომაც არ ჩქარობდა, მათთან ლაპარაკს მათი დასაჩუქრება ერჩია. ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ ერთ წვიმიან დღეს თეიმურაზი არ იხმო და პირდაპირ არ უთხრა. საქართველოში მხოლოდ იმ პირობით დაგაბრუნებ, თუ ირაკლი ბატონიშვილი ყანდარში ჩამოვა და ინდოეთში გამომყვებაო. თეიმურაზი დაღონდა, მაგრამ წიგნი მაინც მისწერა დედოფალსა და ბატონიშვილს. მაშინ რომ ირაკლის თავი არ გამოედო და ყანდარში არ ჩამოსულიყო, ღმრეთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს იხეტიალებდნენ უცხო ქვეყნის მტვრიან გზებზე.

გავარვარებული მზე ოდნავ დაქანდა, მასთან ერთად დაქანდა მთელი დედამიწაც, წარსული ჯერ კიდევ არ იყო ისე მღვრიე, რომ ვერ დაენახა, რა გაქრა და რა გამოიკვეთა, რა დაილექა და რა გადაადგილდა. თბილისში დაბრუნებულს საქმე თითქმის არაფერი ჰქონდა. დღისით ან წიგნს კითხულობდა, ანდა ძტკვარს გადაჰყურებდა, საღამოობით კი წვრილმანი ცოდვებით დამძიმებული ბრუნდებოდა სახლში. ირგვლივ ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაც წყლის ნაყვად, უგუნურ თამაშად მიაჩნდა. რად უნდოდათ სპარსელებს სხვისი მიწები, როცა თავიანთს ვერ უვლიდნენ, რისთვის დასჭირდა არაგვის ერისთავს იესე ქსნის ერისთავის ცოლ-შვილის გაცემა, რატომ ცდებოდა ადამიანი ისე მწარედ, რომ ბოლოს საკუთარი შეცდომის მსხვერპლი ხდებოდა.

არაგვის ერისთავი ურთურთი ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა, საბედისწერო შეცდომა რომ არ დაეშვა. იესეს გაუჭირდა, გადაწყვიტა ცოლ-შვილი გაეხიზნა, კახეთში გადაეყვანა, მაგრამ კახეთისაკენ მიმავალი ყველა ბილიკი არაგვის საერისთავოზე გადიოდა და ერთმა უბრალო შემთხვევამ დიდი სისხლის ღვრა გამოიწვია.

სპარსელ დიდებულებს ლხინი და უქმად ყოფნა მობეზრდათ, ნადირობა მოენატრათ და ურთურთმა ისინი ბაზალეთის ტბის მიდამოებში მიიპატიჟა. შუადღემდე აყრუებდა მთა-ბარს ცხენების ჭიხვინი, თოფის სროლა, ძაღლების ყეფა. რაც იმ დღეს ნადირი მოსრეს, დამშეულ არაგვისხეველებს მთელი კვირა ეყოფოდათ. ნაშუადღევს ტბის პირას ცეცხლი დაანთეს, ნანადირევი აუქნელად შეწვეს და ცხოვრებაზე ფიქრსა და

ლაბარაკს ცხოვრებით დატკბობა ამჯობინეს. ტბა ოდნავ წამოიქოჩრა, ძვლების ხვრამ და ძაღლების გნიასმა შეაშფოთა. სპარსელები აღარაფერს იკლებდნენ, ღვინოს ისე ეტანებოდნენ, თითქოს ბავშვობიდანვე იყვნენ ჩვეულნი. ლხინი ალბათ ღრეობაში გადაიზრდებოდა, ერთ მოულოდნელ შემთხვევას რომ მათთვის ხელი არ შეეშალა. ურთურთი უკვე გვარიანად შეზარხოშებული იყო, როცა საცალფეხო ბილიკზე მხედართა პატარა ჯგუფი გამოჩნდა. ერისთავმა წარბები შეიკრა. მის მამულში დაუკითხავად ჩიტიც კი ვერ ბედავდა შემოფრენას და უცხო მხედრების გამოჩენამ დააეჭვა. ვინ იყვნენ, სად მიდიოდნენ, რა ზრახვები ედოთ გულში? ასე ადვილად იგი მათ გზას ვერ დაუთმობდა. ურთურთმა ძაღლები და შინაყმები აიყოლია, ტყის პირს გაჰყვა და მხედრებს გზა გადაუჭრა. მის წინ ცხენებზე ამხედრებული ქალები, ბავშვები და მოახლეები აღმოჩნდნენ. ერისთავი ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ ქვედა ყბა ავად მოეღრიცა. იესე ერისთავის ცოლი იმ წამსვე იცნო, ხოლო ბავშვები რომ ქსნის ერისთავის შვილები იყვნენ, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. დადგა საბედისწერო წუთი. ურთურთი ქვედა ტუჩს იკვნეტდა და ისე ირყეოდა, თითქოს ცალ მხარეს ეშმაკი ეწეოდა, მეორე მხარეს კი ანგელოზი. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რა გადასწონიდა — კაცობა თუ ავკაცობა. მოლოდინში ძაღლებიც კი გაილურსნენ. ღმერთმა იცის, რამ დაუბნელა იმ დღეს არაგვის ერისთავს გონება — ღვინომ, ღვარძლმა თუ სპარსელებისადმი ერთგულებამ, მაგრამ როცა მერყეობა დაძლია, იესე ერისთავის ცოლშვილის შეპყრობა და სპარსელებისათვის გადაცემა ბრძანა.

ამილახვარმა თავი ასწია. იმ ადგილას, სადაც ქვიშა გამხმარ, ეკლიან ბუჩქებს ეპარებოდა, ქარი ქარს ყელში სწვდა, ცაში აიტაცა და როცა მოახრჩო, ისევ მიწაზე დანარცხა. ერთი წუთით უკან დარჩენილი სამყარო აირ-დაირია, გამუქდა, მაგრამ არც გამქრალა და არც შემსუბუქებულა. დროს ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორსაც დრო ანიჭებს ჯალათსა და მსხვერპლს შორის დარჩენილ მანძილს.

შანშე ერისთავი რუსეთიდან ხელცარიელი დაბრუნდა, მაგრამ როცა რძლისა და ძმისწულების შეპყრობისა და სპარსელებისათვის გადაცემის ამბავი გაიგო, ისეთი რისხვით აღივსო, რომ შურისძიების მეტი არაფერი ახსოვდა. მისი აფორიაქებული შეგნებიდან გონიერების ყოველგვარი ნიშანწყალი განიდევნა. რომ შესძლებოდა ჯოჯოხეთიდან ეშმაკებს ამოიყვანდა და არაგვის საერისთავოს შეუსევდა, მაგრამ რადგან ამის ძალა არ შესწევდა, გზა გაიმრუდა, დაღესტანში გადავიდა და იმდენი ლეკი დაიქირავა, რამდენი კომლიც სულ არ იყო არაგვის ხეობაში. ეშმაკების შეცვლა იმ დროს მხოლოდ ლეკებით შეიძლებოდა, რადგან უფრო დიდ ზიანს ვერც ჯოჯოხეთის მოციქულნი მიაყენებდნენ საქართველოს.

შანშე ერისთავის მრისხანება ლეკებსაც აცოფებდა. არაგვისხეველებს ისე აწიოკებდნენ, თითქოს განკითხვის დღე დადგაო. იწვოდა სოფლები, იღვრებოდა სისხლი, ბღაოდა საქონელი. უფრო დიდი უბედურება არაგვისხეველებს იშვიათად დასტყდომიათ თავს. ურთურთი ერთხანს წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, იმამ-ყული-ხანს დახმარება სთხოვა, მაგრამ თბილისში დარჩენილ სპარსელებს ლეკებთან შებმა არ შეეძლოთ და ერისთავი მთელი თავისი ჯალაბით ანანურის

ციხეში ჩაიკეტა. შანშემ ციხეს ალყა შემოარტყა. დაიწყო დამქანცველი ომი. არაგვის ერისთავს ხალხი აკლდა, ქსნის ერისთავს შორსმსროლელი იარაღი. ლეკებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ, მაგრამ ვერც ციხის კარი შელეწეს და ვერც კედელზე გადასვლა მოახერხეს. ციხის მისადგომები გვამებით აივსო, ჰაერი მძორის სუნით გაიჟღინთა. ურთურთმა იცოდა, შანშე ერისთავი რომ მისიანს არავის დაინდობდა და ამიტომ თავგანწირულად იბრძოდა, მეციხოვნეთა მამაცობა მტერსაც კი აკვირვებდა ომი გაჭიანურდა, გამძაფრდა. შანშეს ციხე მანამდე უნდა აეღო, სანამ ნადირ-შაჰი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა, შემდეგ კი თვით მას მოუხდებოდა ციხეში ჩაკეტვა და თავის დაცვა.

როცა ლეკთა ჯარი საგრძნობლად შეთხელდა, შანშემ სხვა ხერხს მიმართა. თავის ყმებს, ქსნისხეველებს წყაროს წყლის სათავე მოაძებნინა და ისე უმოწყალოდ გადაჭრა, როგორც უფსკრულში ჩაკიდებულს თოკს გადაუჭრიან. ციხის მცველებს გაუჭირდათ. ომსა და სიცხეს როგორმე გაუძლებდნენ, მაგრამ უწყლობამ ანანურის ციხე საკირედ აქცია. ლუკმა აღარავის გადასდიოდა ყელში, დილდილაობით ცვრიან ბალახს ლოკავდნენ. მომჩვარულ მკლავს აღარც თოფის გატენვა შეეძლო და აღარც ხმლის მოქნევა. ბარძიმ ერისთავმა და მისმა მომხრეებმა წყურვილით სიკვდილს ციხიდან გასვლა ამჯობინეს, მაგრამ შანშემ ყველას თავები დააყრევინა. არაგველთა მკლავის მოდუნებამ ლეკები გაათამამა. რამდენიმე იერიშის შემდეგ ციხე აიღეს და ვინც კი ცოცხალი დახვდათ, ხმლებით აკუწეს. ურთურთმა უკან დაიხია, ცოლშვილიანად ხის მაღალ კოშკში ჩაიკეტა. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ლეკებს ეგონათ, კოშკს დაღამებამდე მოუღებდნენ ბოლოს,

მაგრამ ერთი ბოძიც კი ვერ მოარყიეს. მეორე დღეს შანშემ ჯარისკაცებს ტყიდან ფიჩხი მოაზიდვინა, კოშკს ირგვლივ შემოუწყო და ცეცხლი წაუკიდა. ქართველი თავადის სიხასტიკემ ლეკებიც კი შეაკრთო. ქალებისა და ბავშვების შემზარავი კივილი ისე ისმოდა ზემოდან, თითქოს ცა ისხლეტდა და უკან, დედამიწაზევე აბრუნებდა. ცეცხლი ძლიერდებოდა, ხმელი ხე ტკაცუნებდა და როცა კოშკი ჩამოიქცა, ქვეშ მხოლოდ კვამლისაგან გაგუდული, დანახშირებული გვამები დაიტანა.

ანანურის ციხის აღების შემდეგ შანშე ერისთავმა ლეკები მიატოვა, ქსნის ხეობაში გადავიდა და ციხეების გამაგრებას შეუდგა. დარბეულ მოსახლეობას აღარც ბრძოლის თავი ჰქონდა და აღარც მალვის, ყველაფერს მშვიდად ძილი, სულის მოთქმა ერჩია, მაგრამ ერისთავი გაშმაგდა, მთელ ქვეყანას დაუპირისპირდა. ქსნის ხეობა ან უნდა დაეთმოთ მისთვის, ანდა ომი გამოეცხადებინათ, სხვა პირობას არ ცნობდა, არ ენდობოდა. შეიძლება ქართველების მთელმა გულისწყრომამ მის არსებაში მოიყარა თავი, ან იქნებ მისი შეუპოვრობა მოდუნების საშუალებას არ აძლევდა სხვებს? თუმცა შანშეს სხვების დარდი არ ჰქონდა, ასე შორს არ იყურებოდა. არაგვის ხეობაში გადმოყვანილმა ლეკებმა ჯერ მთელი ქართლი ააოხრეს, შემდეგ კი კავკასიონიდან ახალციხემდე ტყვეთა გადასაყვანი ხიდი გადეს და ხელი მოითბეს. ამ ხიდის მოშლა და ლეკების ქართლიდან განდევნა ფასად დაუჯდათ ქართველებს.

●

აქლემების ექვანთა ჟღარუნი ისე ისმოდა უკნიდან, თითქოს მასა და ქარავანს შორის მტვრის სქელი ფარდა იყო ჩამოფარებული, რომელიც თანდათან მუქდებოდა და მისი

ჩრდილის მეტს არაფერს ირეკლავდა. ამგვარი გრძნობა სხვა დროსაც ჰქონია, მაგრამ საქართველოში ჩრდილი ჩრდილს ან კვეთდა, ანდა გვერდს უმშვენებდა, აქ კი ყველაფერი თავის თავის ამარა იყო მიტოვებული და უწყლო ველების უსასრულობით იფიტებოდა. ასე იფიტებოდა ყოველი დღე თბილისში, როცა ერანელ დიდებულებს ან ნარდს ეთამაშებოდა, ანდა მათთან ერთად აბანოში დადიოდა. სველ ფიცარზე ჯდომას და ღვინის სმას სუფრასთან ქეიფი ერჩია, სადღაც მოტაცებული გოგონების გარყვნას კი — მონატრებულ საყვარელთან წოლა. მაგრამ საკუთარ ქვეყანაში იგი სტუმარი უფრო იყო, ვიდრე მასპინძელი, სტუმარს კი ისე ართობენ, როგორც შეუძლიათ, ხან თავაზიანობით, ხანაც ძალდატანებით. ამიტომაც ვერ ახერხებდა განზე დგომას, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას. ერთხელ ისეთი უხამსობის მოწმე გახდა, რომ ჯამი კედელს შეალეწა და იქაურობას გაეცალა. სპარსელებს მისი აღშფოთება აკვირვებდათ, მას სპარსელების სიძაბუნე. შიშვლებსაც და შემოსილებსაც ნელსაცხებლების, უზნეობის და ვერაგობის სუნი ასდიოდათ. რომ შესძლებოდა, საკუთარ მამულში გადასახლდებოდა, თუ ქვეყანას ვერას არგებდა, პურსა და ღვინოს მაინც მოიყვანდა, მაგრამ ქალაქიდან ფეხის გადგმის უფლებას არ აძლევდნენ, თავის დასაზღვევად ცოლშვილიც კი თბილისში ჩამოაყვანინეს. თბილისი იმ დროს სახადმოხდილი, ძალას დამორჩილებული ქალაქი იყო. უმწეობა არსად არ იგრძნობოდა ისე ცხადად, როგორც მის ვიწრო ქუჩებში. უსაქმურობამ გააწვალა, დროსთან ჭიდილში მხოლოდ წიგნის კითხვა ეხმარებოდა. მეტეხს ქვემოთ, მტკვრის პირას ერთი სირიელი ვაჭარი ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს ყიდდა. მის პატარა დუქანში ზოგჯერ ისეთ რამეს წააწყდებოდა კაცი, რასაც სწავ-

ლულები სანთლით ეძებენ. პირადად მას საკვლევი და ძიებელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ერთმა ყდამომძვრალმა, უსათაურო წიგნმა ღამე თეთრად გაათენებინა. უცნობი ბრძენი ამტკიცებდა, უკანონობას ქვეყანაზე ვერც ერთი მეფე და ვერც ერთი მთავრობა ვერ აღმოფხვრისო. შეიძლება ცხოვრების რომელიმე ვიწრო სფეროში სანიმუშო წესრიგი დაამყარონ, მაგრამ ამგვარი წესრიგის დამყარება იმდენ ჯაფასა და მსხვერპლს თხოულობს, რომ უწესრიგობა სხვა მრავალ სფეროში ათკეცდება და ასკეცდებაო. მიუხედავად ამისა, სრულ უკანონობას და ანარქიას უგუნური მეფის მმართველობაც კი სჯობსო. ქების ღირსი მხოლოდ ის მთავრობაა, რომელმაც ბრბოს ფიზიკურად ან გონებრივად დამორჩილება შეძლო და ეს მორჩილება სახელმწიფოს მიზნებისათვის გამოიყენაო. ერთი სიტყვით, უცნობ კანონმდებელს არც ერთი კანონი და ხელისუფლება არ მოსწონდა, მაგრამ უკანონობა და უხელისუფლებობა კიდევ უფრო დიდ ბოროტებად მიაჩნდა. ამიტომაც ცდილობდა მბრძანებლებისათვის ესწავლებინა ჭკუა და არა ბრბოსათვის. წიგნი ლათინურ ენაზე იყო დაწერილი, ხალისიანად იკითხებოდა და უამრავ განმარტებებს შეიცავდა. ამ წიგნის წაკითხვას იგი ვერაფრით ვერ შეძლებდა, მათ ოჯახში, რომ ერთ დროს მისიონერ ბერს არ ეცხოვრა. ბერმა ენა ასწავლა, საღვთო სჯულის ბუნდოვანი ადგილები განუმარტა, მაგრამ უცნობი სწავლული ისეთ რჩევა-დარიგებებს იძლეოდა, რაზედაც ბევრს საქართველოში წარმოდგენაც არ ჰქონდა. თუმცა ყველა მისი დებულება ზოგადი ხასიათისა იყო და საქართველოს თითქმის არც ერთი მხრიდან არ უდგებოდა. შეიძლება ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველო სახელმწიფოს აღარ წარმოადგენდა. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ყველა იმას აკე-

ებდა, რის თავიც ჰქონდა. ერთი სიტყვით, საქართველოს ბრბო არ ჰყავდა, ბრბოს გარეშე კი უცნობი სწავლულის მოძღვრება ფრთამოტეხილი ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

❦

იმ საღამოს, როცა თბილისში სპარსელთა დამხმარე ჯარი შემოვიდა, მიწა ორჯერ თუ სამჯერ იძრა. მიწისძვრას არავინ უმსხვერპლია, მაგრამ ცხენების ჭიხვინმა და ძაღლების ყმუილმა ღამე შეაშფოთა, ააფორიაქა. აფორიაქებული იყო მისი გონებაც. რიკულებიანი აივანი რამდენიმე წამს გემბანივით ირწეოდა, მოედანზე დანთებული კოცონები მეხსიერების გარეკანს რუჯავდნენ. რაც თავი ახსოვდა, მის ქვეყანას და მას შორის ყოველთვის იდგა ვიღაც, განთიადს ელოდა და ათასჯერ გადახდილ ვალს კიდევ ერთხელ სთხოვდა. ხვალ ისევ მოადგებოდნენ კარზე. შანშე ერისთავის წინააღმდეგ გალაშქრება რომ არ ასცდებოდა, ეს ადრევეც იცოდა, მაგრამ ახლა შანშეს თავიდან მოცილება მასაც სურდა. თუ გამდგარი თავადის განდევნას შესძლებდა, ქართლის გაერთიანება და ნადირ-შაჰთან მორიგება არ გაუჭირდებოდა. ნადირი გონიერი კაცი იყო, რჯულისა და გვარტომობისათვის არავის დევნიდა, პირიქით, მისი ოცნება ყველა ეკლესიის შერწყმა, ყველა ერის გაერთიანება იყო. ასეთ კაცთან საერთო ენას როგორმე გამონახავდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მათი მორიგება ნასოფლარებს და ნაქალაქარებს ვერ აღადგენდა, ცხოვრებას ვერც აზრს შესძენდა და ვერც სამართლიანს გახდიდა. ის სიბრმავე, რაც წუთისოფლის წალმა-უკუღმა ტრიალს თან დაჰყვა, სიბრმავედ დარჩებოდა.

ამილახვარმა საკუთარი სხეულის სიმძიმე იგრძნო და სანამ ცხენს გაუწყრებოდა, წელში გასწორდა. სიცხემ მოთენთა, აზრი ისე ვეღარ ინასკვებოდა, როგორც ჩრდილისა და ნათელის მონაცვლეობის დროს. ის სიხალისე, რაც თან გამოჰყვა, მზემ გამოფიტა, უსაზღვროებამ გათელა. მისი ძლიერი, მკვრივი სხეული ორ თვალშეუბამ სიბრტყეს შორის იყო მოქცეული და შეუმჩნევლად პატარავდებოდა, მიწისათვისაც მცოცავ მწერს წარმოადგენდა და ცისათვისაც. სასაცილო მხოლოდ ის იყო, რომ ეს მწერი მასზე უფრო უძლურ, მაგრამ შეიარაღებულ მწერებს ცხრა მთას იქით მიჰყავდათ თვალების დასათხრელად და ბნელ დილეგში ჩასაგდებად. რა ჰქონდა საერთო ამ გადახრუკულ ველებს და სიცხით შეწუხებულ ცას მის მერყეობასთან და სიმტკიცესთან, სიხარულთან და მწუხარებასთან, გონიერებასთან და უგუნურებასთან? რა თქმა უნდა, არაფერი, იმდენად არაფერი, რომ მათ შორის არსებობა და არარსებობა თითქმის ერთი და იგივე იყო.

მესამე დღეს თბილისში ავღანელები შემოვიდნენ და სპარსელთა ჭრელი, ენაარეული ლაშქარი ქართველებთან ერთად ქსნის ხეობისაკენ დაიძრა. დასავლეთიდან გრილი ნიავი უბერავდა. დაფლეთილი ღრუბლები ცხვრის ფარასავით მოსდებოდა ცას. მოულოდნელობა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა, ყოველ ნაბიჯზე იღმიჭებოდა. შანშე ერისთავს შვილმა, იოანემ უღალატა, იმამ-ყული-ხანთან გამოიქცა და ერთგულება აღუთქვა, მეორე დღეს კი მასთან ქართველი თავადები გამოცხადდნენ და ლაშქრობაში მონაწილეობის უფლება ითხოვეს. ამ პატარა ქვეყანაში იმდენი კუთხის ინტერესები უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რომ დროის გაოხრებას აღარავინ აქცევდა ყურადღებას.

მტკვრის ხეობა გონმიხდილივით დუმდა, ისეთივე დაცარიელებული ჩანდა, როგორც ფერდობებზე შეფენილი ნასოფლარები. ლაშქარს წინ ყიზილბაშები მიუძღოდნენ, უკან მათ ინდოელები, შირვანელები და ქურთები მიჰყვებოდნენ, კიდევ უფრო უკან მრავალრიცხოვანი, თავსაფარწაკრული ავღანელები, რომელთა მორთულობა თბილისელებს ღიმილს ჰგვრიდა. თეთრი თავსაფრის ფონზე მათი მუქი, დიდცხვირა სახეები ისე იკვეთებოდა, როგორც გამოჩორკნილი ლოდები.

მას შემდეგ, რაც სპარსეთიდან დაბრუნდა, საქართველოში ცოტა რამ შეიცვალა. ახლა მის ძველ ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა მიემატებოდა, რომელსაც არც კაცი შეუნდობდა და არც ღმერთი. მთელი ის სისხლი, რაც ამ ბრძოლებში დაიღვრებოდა, სპარსელების უკან გაბრუნების შემდეგ, მას მიეწერებოდა. მაგრამ ახლა განკითხვისა და ცოდვა-მადლის აწონ-დაწონის დრო არ იყო. რაც არ უნდა მომხდარიყო, მხნეობა და საღი აზრი უნდა შეენარჩუნებინა, მანამდე ეზიდა ტვირთი, სანამ მიწას მიწის სუნი უდიოდა. ქვეყანა, რომელსაც ბავშვობიდან აკვირდებოდა, საქაჯეთს ჰგავდა, მაგრამ ამის გამო ჭკუის დაკარგვა თუ ღალატს არა, ცხოვრებაზე ხელის აღებას მაინც ნიშნავდა.

ქსანი ისე დაპატარავებულიყო, რომ ჯარმა რამდენჯერმე გადაკვეთა ცხენდაცხენ. სპარსელები არ ჩქარობდნენ, დარწმუნებული იყვნენ, შანშე ერისთავი ვერსად გაგვექცევაო და გზადაგზა ციხეებს, მონასტრებსა და კოშკებს ანგრევდნენ, ტყვეებს აგროვებდნენ, ნაძარცვით ვაჭრობდნენ. ბოლოს მიადგნენ აწერის ციხეს, სადაც შანშე ერისთავი ცოლშვილითა და მახლობლებით ჩაკეტილიყო. ციხე მაღალი, მიუდგომელი ჩანდა, ირგვლივ ღრმა ხევი უვლიდა, მიახლოება მხოლოდ

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეიძლებოდა. ხევს გაღმა უძველესი, თლილი ქვით ნაგები ეკლესია იდგა, რომელიც თაღითა და სვეტებით ანტიკურ ტაძარს ჰგავდა. ყიზილბაშები საიერიშოდ ემზადებოდნენ, სანგრებს აგებდნენ, ტყვია-წამალს იმარაგებდნენ. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დილით ციხე უნდა აეღოთ და ბორკილგაყრილი შანშე ერისთავი ნადირ-შაჰისათვის გაეგზავნათ. მზე მორცხვად ჩადიოდა, უზარმაზარი ჩრდილები ხეობებისაკენ ეშვებოდნენ, ქვეყანა ბინდით იმოსებოდა. მაჰმადიანებმა კიდევ ერთხელ გაშალეს თავიანთი ფარდაგები და ლოცვას შეუდგნენ. დღის უმტკივნეულო ქრობას ქსნისხეველები ადრეც ბევრჯერ შესწრებიან, მაგრამ ახლა მათი ცდუნება თითქმის შეუძლებელი იყო. იმედს გათელვა ელოდა, სიცოცხლეს დათრგუნვა. განთიადისას, როგორც კი ცა ჩამქრალი კოცონების ფერფლის ფრად შეფერადდებოდა, კაცობრიობის მიერ ჩადენილ ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა მიემატებოდა და არსებობის მღვრიე მორევს შეუერთდებოდა. აქეთ მომავალს იმედი ჰქონდა, რომ მოვლენათა აუარებელ ხლართს შორის ერთს მაინც გამოხსნიდა, ქართლს თავს მოუყრიდა, მოალონიერებდა, მაგრამ როცა ცის კიდურმა მოგიზგიზე კოცონების სიმხურვალე აირეკლა, როცა ქსნის ხეობა ხვალინდელი დღის მოლოდინში გაინაბა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს აქ საკუთარი ნებით კი არ იყო მოსული, არამედ უხილავ თოკს გამოაბეს და ძალით მოათრიეს.

●

ამილახვარმა შუბლი მოისრისა და ისე დაიგრძელა კისერი, თითქოს ახლაც თოკით მიათრევდნენ იქითკენ, საითაც გული არ მიუწევდა, სადაც სასჯელისა და ტკივილის მეტი არაფერი

ელოდა. წარმოდგენა ერთხანს სიმხურვალისაგან მოლაპლაპე რგოლებს ირგვლივ უვლიდა, წელში გამართვას, ყალყზე შედგომას ცდილობდა, მაგრამ შემდეგ ცხელი ჰაერის რკალში მოექცა, მოიღრიცა და როცა უკუიქცა, ისევ მოგონებათა ტყეობაში აღმოჩნდა.

მეორე დღეს სპარსელებმა აწერის ციხე აიღეს, დატყვევებული მამაკაცები შეკრეს, ქალები და ბავშვები კედელთან მიერეკეს, მაგრამ შანშე ერისთავი და მისი ძმა ვერსად აღმოაჩინეს. ერანელ მხედართმთავრებს ალაჰის გამოცხადება არ გააკვირვებდათ ისე, როგორც ერისთავის გაქრობამ გააკვირვა. ყველა ხვრელი და სორო გადაქექეს, ქვევრებში ჩაიხედეს, აქა-იქ კედლები გამოანგრიეს, ბოლოს ქალებს მიადგნენ, მაგრამ მათ შორის ვერც გადაცმული მამაკაცი იპოვეს და ვერც ისეთი ქალი, რომ ერისთავის მეუღლისათვის მიემსგავსებინათ. მხოლოდ მოგვიანებით იცნო ერთმა ქართველმა თავადმა ქსნის ერისთავის ცოლი და დაუფიქრებლად გასცა. ქალი იქვე დაჰკითხეს. ღამით შანშე ერისთავი და მისი ძმა რამდენიმე კაცის თანხლებით ჩრდილოეთის კედელზე გადასულან, ხევამდე ჩაუღწევიათ და გაქცეულან. ერანელი მხედართმთავრები დაღონდნენ, ამბოხებული თავადის შეპყრობის იმედი გადაუწყდათ. ჯავრი ქალებზე და ტყვეებზე იყარეს. ყოველი მხრიდან ისმოდა ტირილი, კივილი, გინება; იარაღის ჟღარუნი და ცხენების ჭიხვინი. ავღანელები ტყვეებს გზადაგზა ყიდდნენ. ვისაც მათი გამოხსნა შეეძლო, არაფერს ზოგავდა, მაგრამ გაღატაკებულ ქართლს ამდენი ტყვის გამოსყიდვის თავი არ ჰქონდა. უბედურთა გოდება ისე მოჰყვებოდა ქსნის ხეობას, როგორც ქსნის წყალი. ავღანელები ბრაზობდნენ, ტყვეების თან წაყვანა არ შეეძლოთ, მყიდველი კი არსად ჩანდა და რო-

ცა მტკვრამდე ჩააღწიეს, მამაკაცებს ყელები გამოსჭრეს და წყალში გადაყარეს. თბილისამდე მხოლოდ ისინი ჩაიყვანეს, ვინც მძევლად ან შაჰის კარზე გასაგზავნად სჭირდებოდათ.

სანათლის გაბრუებულ სივრცეში სახეებიანი სიმწვანე შემოიჭრა და იმხელა ადგილი დაიჭირა, რომ თითქმის მთელი უდაბნო შემოსა. არაფრით არ ეგონა გახრუკული ბორცვების მიღმა თუ ჯგუფად დარგული ხეები აღმოჩნდებოდა. ხეები ტანმსხვილი, ხშირფოთლოვანი ჩანდა. მათ ქვეშ, ალბათ, იმდენი ჩრდილი სუფევდა, რომ ყველა შეხუთული გულის გასახალისებლად იკმარებდა, მაგრამ აჩრდილები მის მეხსიერებას მანამდე არ მოასვენებდნენ, სანამ ცხენიდან არ ჩამოხტებოდა და გახურებულ პირისახეზე ჩრდილს არ გადაიფარებდა.

შანშე ერისთავი კიდევ ერთხელ მაშინ ნახა, როცა ბორკილგაყრილი თბილისში ჩამოიყვანეს. ნაგვემსა და პატივაყრილს სახეზე ადამიანის ფერი არ ედო, მაგრამ მაინც ჯიუტად სდუმდა. მარცხსა და დამცირებას ვერ ჰგუობდა. მცველებით გარშემორტყმულს, ძალდატანებით ქედმოხრილს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მისი სულისა თუ სხეულის ძალა თავის მოკვეთამდე ან თვალების დათხრამდე არ მიიყვანდა, მუხთალ ბედს მანამდე გამოსტაცებდა ხელიდან. ამიტომაც უყურებდა ქვეყანას მტრულად, გამომწვევად. სხვა ქართველებთან შედარებით მას ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა, მტრის წინაშე ქედი კი არ მოუხრია, არამედ მასთან ბრძოლაში დამარცხდა.

იმ დღეს თბილისი აღგზნებული ჩანდა. შანშე ერისთავისა და მისი ძმის ასე ადვილად შეპყრობას არავინ ელოდა. ზოგს უხაროდა, ზოგს გული სწყდებოდა, მაგრამ უმრავლესობას მათ ბედზე უფრო მათი ამბავი აინტერესებდა. არაფერი და-

ულტოვებიათ გამოუკითხავი, გამოუკვლეველი. აწერის ციხიდან გაქცევის შემდეგ ერისთავი მტკვრის ხეობას აჰყოლია და ახალციხეში ასულა. ახალციხის ფაშას სიხარულით მიუღია ერანის წინააღმდეგ ამბოხებული თავადი. ენგიჩარებს, რომელთა უმრავლესობა გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, ციხეში მიუწვევიათ, ლხინი გადაუხდიათ. შანშეს მეორე დღესვე დაუწყია ოსმალებთან მოლაპარაკება ქსნის ხეობის გამოსახსნელად, მაგრამ ეს ამბავი ისე გახმაურებულა, რომ ნადირ-შაჰის ყურამდე მიუღწევია. ნადირი გაცოფებულა, სულთანისათვის შეუთვლია, თუ შანშე ერისთავს არ გადმომცემ, იმერეთში ალექსანდრეს გადმოვიყვან და გავამეფებო. სულთანს არ მოუსურვებია ერთი მეამბოხე თავადის გამო ერანთან ურთიერთობის გამწვავება და შანშე ერისთავის შეპყრობა და ნადირ-შაჰისათვის გადაცემა უბრძანებია. ერისთავი არ მოელოდა ოსმალებისაგან ასეთ მუხანათობას. ძმასთან ერთად ციხეში შევარდნილა და ენგიჩარებისათვის დახმარება უთხოვია. მეციხოვნენი წინ აჰფარებიან ერისთავს, მაგრამ ციხეში თვით ფაშა მისულა, შანშე და მისი თანმხლები პირები შეუპყრია და ბორკილგაყრილნი თბილისში გამოუგზავნია.

თბილისის ხანს სამი დღე ჰყავდა დამწყვდეული ტყვეები. მეოთხე დღეს ჩაფრებს ჩააბარა და ნადირ-შაჰთან გაგზავნა დარუბანდში. შაჰს ერისთავისთვის მოუსმენია, მაგრამ არ შეუწყალებია და შეიარაღებული რაზმის თანხლებით ხორასანში გაუგზავნია. გზაში შანშე ერისთავი გაქცეულა. მთელ მის გაქცევა-გამოქცევაში, ალბათ, ეს იყო ყველაზე საბედისწერო შეცდომა. ლტოლვილი თავადი შეუპყრიათ, თვალები დაუთხრიათ და დილეგში ჩაუგდიათ.

ამილახვარმა ნავარაუდევი მანძილი კიდევ ერთხელ-ვაზომა და საკუთარ დაღლილობას შეუფარდა. დასიცხული ქვეყანა მასთან ერთად ისწრაფოდა ჩრდილისაკენ, ცხელი სუნთქვა შორიდან სწვდებოდა სახეებიანი სიმწვანის ცვალებად გარეხაზს. ძვირფასი საუნჯე, რომელიც დედამიწას შვილივით ჩაეკრა მკერდში, ველებსა და ბორცვებს აწონასწორებდა, კი არ აწონასწორებდა, ცხადად უპირისპირდებოდა და დიდებულ სამოსელში გახვეული მშვიდად ეგებებოდა ცხენების, აქლემებისა და ადამიანების მძაფრ სუნს, მტვრით განაცრისფერებული აჩრდილების მოუსვენარ ფუსფუსს, იმ არსების ხსენებას, ვინც ყოფიერებას ვერც თავი მოაბა და ვერც ბოლო, ვინც არსებობა უსასრულობის ცივ სუდარაში გაახვია. ხოლო მოუსვენრობა ამაოების დაუმსხვრეველი ბორკილებით შეკრა და შებოჭა.

შანშე ერისთავის შეპყრობის შემდეგ ნადირ-შაჰმა ხალათი და ცოტაოდენი ფული გამოუგზავნა, ქსნის საერისთავო უბოძა და ქართლის გამგებლად დანიშნა. ქართლს ისევე სჭირდებოდა მოვლა და მოსულიერება, როგორც მძიმე ავადმყოფს, მაგრამ ამისთვის არც სახსრები გააჩნდა და არც იმდენად თავისუფალი იყო, რომ გადამჭრელი ზომები მიეღო. თბილისის ხანი თვალს არ აშორებდა, მარტო არსად უშვებდა. იმისათვის, რომ ხალხის ნდობა მოეპოვებინა, ნადირ-შაჰის უნდობლობა უნდა გამოეწვია, ნადირ-შაჰის ნდობის მოპოვება კი ხალხის უნდობლობას იწვევდა. ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ვექილად დანიშვნის პირველი დღიდანვე. სპარსელები აწმყოს აჩეჩებდნენ ხელში, მას კი თვალი მომავლისაკენ გაურ-

ბოდა, არეულობისა და ქაოსის წინააღმდეგ ბრძოლა სურდა, მაგრამ როცა თბილისის ხანის თანხლებით ერთ სოფელს ეწვია და ხალხი დაემალა, მიხვდა, რომ მოურიგებლის მთრიგებას ცდილობდა.

გარემოს არაფერი არ ამიშვლებდა ისე, როგორც აქლემების ექვანთა ქღარუნი. რწევა და ქღერა ერთ მძიმე ტალღად იკვრებოდა, შეგნებაში იჭრებოდა და აზრს შუაზე წყვეტდა. გაწყვეტილი ბოლოების ძებნასა და გადაბმას კი უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე მეხსიერების ვრცელ საუფლოში მცირეოდენ გადანაცვლებას. სპარსელებს ქართლში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდათ, მაგრამ მასზე უფრო დაუღალავი და გავლენიანი კაცი ვერ იპოვეს. მიუხედავად ამისა, მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ, ფხიზლად სდარაჯობდნენ. უნდობლობისაგან დაბრმავებული ვერაფრით ვერ შეეგნოთ, რომ ეს გათელილი, მოძულებული, შინაურებისა და გარეულებისაგან ნაჯიჯგნი ქვეყანა მისი სამშობლო იყო და თუ მისგან სამსახურს მოითხოვდნენ, იმის უფლებაც უნდა მიეცათ, რომ საკუთარ ქვეყანასაც გამოდგომოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში არა მარტო გამგებლობა კარგავდა აზრს, არამედ გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის თამაშიც ერთი-ორჯერ სცადა სხვების დაუკითხავად ემართა ქვეყანა, აყრილი ყმები მიტოვებულ სოფლებში დააბრუნა, აკრეფილი გადასახადების ნაწილი გზების, ხიდების, ეკლესიების შეკეთებას მოახმარა, იმამ-ყული-ხანის მიერ მიტაცებული მცხეთის საეკლესიო ქონება ნიკოლოზ კათოლიკოსს დაუბრუნა, მაგრამ ამის გამო იმდენი საჩივარი გაუგზავნეს ნადირ-შაჰს, რომ თუ მათ წაკითხვას მოისურვებდა, რამდენიმე ლაშქრობაზე ხელი უნდა აეღო. სიბნელით, სიბნელით და სიბრიყვით იყო შეპყრობი-

ლი მთელი ის სამყარო, სადაც ყველას სხვის ქონებაზე ეჭირა თვალი, დამნაშავენი უდანაშაულოებს ეძებდნენ დასასჯელად, ხოლო საუკუნოობით ნაშენებს ისევე დაუფიქრებლად ანგრევდნენ, როგორც ქრისტიანები წარმართულ კერპებს.

შეიძლება გვერდჩამოთლილი ბორცვის სამხრეთ ფერდობზე კერპი არ იდგა, მაგრამ ადამიანის ნაცოდვილარის კვალი ჯერ კიდევ აჩნდა მის გარუჯულ ზედაპირს, ღრმა, მტკივნეული კვალი, სწორედ ისეთი, როგორიც გონებას უფორიაქებდა. რამდენიც არ უნდა ეოხუნჯა, როგორც არ უნდა ეთვალთმაქცა, სოლის მორყევას მაინც ვერ ახერხებდა. ზოგჯერ ხსნა გულგრილობას მოჰქონდა, ზოგჯერ ღიმილს, ზოგჯერ გაცოფებას, მაგრამ ყველაფერი, რასაც ფეხს ადგამდა, ძირმომპალი ეჩვენებოდა. სიღად აზროვნება, წინდახედულობა მონობას, არარად ქცევას ნიშნავდა. საჭირო იყო სიფრთხილის უკუგდება, რაღაც ისეთის ჩადენა, რასაც კაცს ღმერთიც უშლის და ახლობელთა ბედ-იღბალზე ფიქრიც. სანამ ცოლშვილი თბილისში ეგულებოდა, ბადეს ვერ გახევდა, გათენებას და დაღამებას იმავე ნიღბით უნდა შეჰგებებოდა, როგორიც სპარსელების თბილისში შემოსვლის დროს აიფარა სახეზე, მაგრამ, როგორც კი ცოლშვილს ქალაქგარეთ გაიგულებდა, რაღაც ისეთს ჩაიდენდა, რაც სპარსელ მემატიანეთა შორის შაითანის სახელს დაუმკვიდრებდა.

სიმწვანით შეფერადებული ქვეყანა სიმკვრივეს იძენდა, მუქი ლაქებითა და მოულოდნელობით იმოსებოდა. შეიძლება ტანმსხვილ, ხშირფოთლოვან ხეებს ქვეშ ისეთივე სიცარიელე იყო მოკალათებული, როგორიც გზაში აედევნა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ყოველი ნაკვეთური ნათლად დაენახა, გამოეცალკევებინა. მანძილისა და ერთფეროვნების დაძლევა ასე

უფრო ეადვილებოდა, უფრო ცხადად ესახებოდა ის, რაც უკან დარჩა, რაც ჯერ კიდევ ხორცშესასხმელი, შესამოსავი იყო.

ნადირ-შაჰმა ქართლს უზარმაზარი გადასახადი შეაწერა. მას კი შემოუთვალა, ხარკი რაც შეიძლება სწრაფად აეკრიფა და ურმებით დაღესტანში გაეგზავნა. ნადირს გაუჭირდა. ლეკების თარეშითა და რბევით შეწუხებულმა გადაწყვიტა დაღესტანი აეღო და ავაზაკთა ბუდე ისე დაენგრია, რომ ველარავის აღედგინა. სამზადისს დროულად შეუდგა, აზერბაიჯანში გამოიზამთრა და გაზაფხულზე უზარმაზარი ლაშქარი ჩრდილოეთისაკენ დაძრა, კავკასიონს მიადგა. სწორედ კავკასიონი აღმოჩნდა ის ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ვერაფრით ვერ მოახერხა. მრავალრიცხოვან ჯარს ვიწრო ხეობებში მოძრაობა უჭირდა, შიმშილი, სახადი და სიცივე მუსრს ავლებდა სამხრეთელებს. ზოგჯერ რამდენიმე მთიელი მთელ რაზმს აკავებდა და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდა. ბოლოს მუსლიმანები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ღორის ხორცის ჭამა დაიწყეს. დრო იყო, ნადირს თავი დამარცხებულად ეცნო, უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ იგი ასე ადვილად ვერ ეგუებოდა მარცხს. ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ რამეს მოიგონებდა, კავკასიონის აუღებელ მთებს აიღებდა. რამდენიმე ციხე და ხეობა გასული წლის გაზაფხულზე წაართვა ლეკებს, მაგრამ მთელი დაღესტნის ასაღებად დრო, ფული და სურსათი იყო საჭირო, ფულისა და სურსათის მოსაპოვებლად კი ახლო-მახლო მდებარე ქვეყნების დაბეგვრა. შაჰის სიტყვიერ შემონათვალს მალე წერილობითი განკარგულებაც მოჰყვა. მძიმე ბეჭდის ანარეკლი და შავი მელნით დაწერილი ასოების სიცხადე მბრძანებელსა და ხელქვეითს შორის მანძილს ამოკლებდა, მაგრამ მას არც ხარკის აღება უცდია და არც პასუხის გა

სათვის შეუწუხებია თავი. ხალხს ტყავს თუ გააძრობდა, თორემ წასართმევი არავის არაფერი ჰქონდა. სამი ათასი ულელი ხარი სულ არ დაბოგინებდა ქართლში. ასე გაწყდა ის სუსტი ძაფი, ნადირ-შაჰთან რომ აკავშირებდა. ამიერიდან ან თვითონ უნდა გამხდარიყო თავის ხალხისა და ქვეყნის პატრონი, ანდა იმათ მიმხრობოდა, ვინც ნადირ-შაჰის წინააღმდეგ იბრძოდა.

დაღლილი, მზით გალახული ამილახვარი კიდევ ერთხელ გასწორდა წელში და როცა ღუმელივით გახურებულ უდაბნოში ნიავი შემოიქრა, მოზღვავებულ აჩრდილებს კვლავ გაუღო კარი. ამ მრავალრიცხოვან, მოფუსფუსე ბრბოში ერივნენ ისეთებიც, ვისი ვალიც თან გამოჰყვა, მაგრამ ახლა არც ვალის გადახდის საშუალება ჰქონდა და არც ანგარიშსწორების სურვილი. ერანელთა წინააღმდეგ მარტო იმიტომ კი არ აჯანყდა, რომ ნადირ-შაჰის რისხვისა ეშინოდა, არამედ ქართლის მოდუნებამ, გაყუჩებამ შეაშფოთა. თავადი და ანგარიშგასაწევი კაცი მხოლოდ მანამდე იყო, სანამ საქართველო არსებობდა, სანამ იმ მიწაზე ედგა ფეხი, რომელიც წინაპრებმა დაუტოვეს: შემდეგ კი გუდანაბადი უნდა აეკრა და ბედის საძებნელად შორეულ გზებს დასდგომოდა. უცხო გზებზე ხეტიალის სიტკბოება სიჭაბუკეში არაერთხელ უგემია, უსასრულო ველები გადაუვლია, მაღალი მთები გადაულახავს, ბოსფორი და დარდანელი გადაუცურავს, მაგრამ ისე ლაღად არსად უგრძვნია თავი, როგორც თავის აოხრებულ, გაღატაკებულ, ზნეშელახულ ქვეყანაში გრძნობდა. სწორედ ეს ქვეყანა იყო ახლა უკუნით მოცული და თუ შისი დანახვა უნდოდა, წინ აფარებული ფარდა ხმლით უნდა გაეპო.

შანშე ერისთავის დამარცხების შემდეგ ქართლში არავინ გაფაჩუნებულა, არაფერი გახმაურებულა. თბილისში გამოკე-

ტილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მიღმა მდებარე ქვეყანა ცხოვრებას მოსწყდა, დაცარიელდა. სიცარიელე გვერდმომპალ ჭრილობასავით ფართოვდებოდა, ამაზრზენად იშმუშნებოდა. შეიძლება ამდენი ვაი-უბედურების შემდეგ მცირე ხნით მოდუნება, გაგულგრილება საქიროც კი იყო, მაგრამ როცა გულგრილობას მძიმე ავადმყოფობის ნიშნები დაეტყო, გადაწყვიტა სიცარიელე ამოევსო, გათიშულნი დაერაზმა, ბედის, ღმერთის, უაზრობის წინააღმდეგ ამბოხებულიყო. მთელი ზემო ქართლი და ქსნის ხეობა მის ხელში იყო, არაგვის ერისთავი ერთგულებას ეფიცებოდა, ხოლო ხუთივე საეპისკოპოსოს ეპისკოპოსებთან მანამდე დაიწყო მოლაპარაკება, სანამ მოიფიქრებდა, როგორ გაეყვანა ცოლშვილი თბილისიდან. ადიდებული მტკვრის მღვრიე წყალს მღვრიე წყალი ემატებოდა, ხლართს ხლართი, იბმებოდა უხილავი ქსელი და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გამარჯვების იმედი არ ჰქონდა, მომავალს მაინც ხალისიანად ეგებებოდა, წვიმიანი გაზაფხულის შექა-ქუხილით ივსებოდა.

●

აპრილის დამდეგს, როგორც კი მთები თეთრი საფარისაგან განთავისუფლდა, აზერბაიჯანის ჯარების სარდალმა ფათალიხანმა იმამ-ყული-ხანი ალაზნის პირას იხმო, საიდანაც გაერთიანებული ძალებით ჭარელი ლეკებისათვის უნდა შეეტიათ. იმამ-ყული-ხანს ქართველი თავადებიც გაჰყვნენ თან. თბილისი თითქმის დაუცველი დარჩა. სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ აღდგომის წინა დღეებში ქართველები ამბოხებასა და სისხლის ღვრას მოერიდებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება მკვდრეთით აღმდგარი ღმერთის ხათრითაც

არ შეიძლებოდა. იარაღი წინასწარ დაურიგა ყველას, ვისაც მასთან ერთად გაქცევა სურდა, ქალები და ბავშვები თბილად შემოსა, შინაყმებს კი უბრძანა ბზობა ღამეს ყველა ცხენი შეკაზმული ჰყოლოდათ. გაზაფხულის სურნელოვანი ჰაერი აყვავებული ქვეყნის მთელ იმედს იტევდა, მიწა მსუბუქად სუნთქავდა, ამბოხების, განწმენდის სურვილი ყველა კარს აღებდა, განსაცდელს თამამად ეგებებოდა.

როგორც კი სიონის დიდი ზარები აგუგუნდნენ, ქრისტიანები ეკლესიებისაკენ დაიძრნენ, მუსლიმანები კი ქუჩებში გამოეფინნენ და აყაყანდნენ. ამ დროს თბილისში ისპაჰანელი დიდვაჭარი შემოვიდა საპალნეაკიდებული აქლემებით, სახედრებით, დახლიდარებით და ბაზარში ნაყიდი მონებით. ისა-ედდინი გამაჰმადიანებული ებრაელი იყო, მონები კი სხვადასხვა რჯულისა და მოდგმის ყმაწვილები. ზოგიერთს ჯერ კიდევ ახსოვდა მშობლიური ენა და იმ სოფლის სახელი, სადაც დაიბადა. ქარავნის თბილისში შემოსვლამ ქალაქი ააფორიაქა, აამჩატა. აქლემებს ძვირად ღირებულ საქონელთან ერთად რაღაც სანუკვარი ოცნების მაგვარიც მოჰქონდათ. ამ ოცნებას თუ ხანგრძლივად არა, დროებით მაინც შეეძლო მაღალი კედლების გადალახვა, ისეთ სამყაროში გადასახლება, სადაც ფერი ფერს ამდიდრებს და სასწაული სასწაულს დამაჯერებლობას მატებს. ჩალვადრების ყიჟინი, აქლემების ეჟვანთა ჟღარუნი და ძაღლების ყეფა ქალაქს დამთქნარების საშუალებას არ აძლევდა, საღერღელს უშლიდა. დედაკაცებით, ბალღებითა და ძაღლებით სავსე ქუჩები ფეხს იდგამდნენ, ქარავანს უკან მისდევდნენ. გამაბრუებელი ჰაერის თხელ სამოსელში იმდენი ვარაუდი, ფიქრი, ვნება, ბოღმა და სიზმრები ეხვეოდნენ, რომ მან ვერც მათი ერთმანეთთან დაკავშირება შეძლო და ვერც მათ-

ში გათქვეფა, მაგრამ ამ ბუნდოვან გარემოს მის სულში რა-ღაც ისეთი შემოჰქონდა, რასაც სიყვარული ჰქვია და მშობ-ლიური მიწის სუნი უდის.

ამილახვარს ვიღაცის ძახილი მოესმა. დაწინაურებულმა ხეირიანად ვერც კი გაიგო ვის უხმობდნენ, მაგრამ სანამ თავს მოაბრუნებდა, წარბი გახსნა და სახეზე ნიღაბი აიფარა. სპარ-სელები ჩამორჩენილიყვნენ, ფეხდაფეხ მხოლოდ საკუთარი ჩრდილი მოსდევდა. ნუთუ იგი ვერასოდეს დაინახავს მოძრავ ჩრდილს, ვერ გაარჩევს შავს თეთრისაგან, ნუთუ მისთვის ამ-ქვეყნად სიბნელის მეტი არაფერი იარსებებს? თვალდავსებუ-ლი ბევრი უნახავს, მაგრამ სიბრმავე მაინც ძნელი წარმოსად-გენი აღმოჩნდა, მით უმეტეს ისეთ დროში, როცა კაცს თავის გასატანად ათი თვალი და ათი ყური სჭირდებოდა. ერთადერ-თი ადგილი, სადაც თვალს არაფერი იტაცებდა, უდაბნო იყო. მთელი ქვეყანა რომ ასეთი უსახური და უსიხარულო ყოფი-ლიყო, მაშინ, ალბათ, უსინათლობასაც უფრო იოლად შეეგუ-ებოდა, მაგრამ მას ქვეყნის სხვაგვარი სახეც ახსოვდა.

როცა ქალების, ბავშვების და რამდენიმე ზემოქართლელი თავადის თანხლებით დასავლეთის კარიბჭეს მიადგა, მცველე-ბი უკვე შეკრული და პირში ჩვარჩაჩრილნი ეყარნენ. პატარა, სულ ოცდაოდე კაცისაგან შემდგარმა რაზმმა ისე სწრაფად აჰ-ყარა იარაღი ყიზილბაშებს, რომ ლოცვითა და ოცნებით შეპ-ყრობილ ქალაქს არაფერი გაუგია. თავზე წამოყუდებული ცი-ხის სიმძიმე კარის გაღებისთანავე შემსუბუქდა, გრილმა ნიავ-მა ადევნებული სიმყრალე ქალაქშივე შეაბრუნა, თბილისი ისე მიატოვა, რომ გული არაფერზე დასწყვეტია. ყმობისაგან თავდახსნილს სივრცე და თავისუფლება იტაცებდა, მოუკირ-წყლავი გზა დაკარგულ ფინიასავით ეგებოდა ფეხქვეშ, ჩრდი-

ლები დიდმის ჭალებისაკენ მიუძღოდნენ. ახლა მთავარი იყო მცხეთამდე ჩაეღწია როგორმე, ქალები და ბავშვები დაებინავებინა, განსაკუთრებით იმ თავადთა ცოლშვილი, რომლებიც იმამ-ყული-ხანს უნდა გამოჰქცეოდნენ და არაგვის ხეობაში გადმოსულიყვნენ, შემდეგ კი თვითონ დაუწყებდა დევნას ყიზილბაშებს. ქართველების სისხლი მათ იმდენი ემართათ, რომ ასანაზღაურებლად საუკუნეებიც არ იკმარებდა.

სიბნელით ამოვსებული სივრცე მაინცდამაინც შორს ყურების საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ თვალი იმითაც კმაყოფილი იყო, რასაც ხედავდა — აყვავებული ხეების ცვალებად გარეხაზს, ჩამუქებულ ჩრდილებს, ამეტყველებულ სახეებს. მათ უკვე აღარ ეშინოდათ ქვის ყრუ კედლების, სიბნელის, უმწეობის. გაჭენებული ცხენების ლტოლვა და ბნელიდან მომზირალი აჩრდილები საუკუნეებს ხის ნორჩი ფოთლებივით აშრიალებდნენ, დაუდევრად კეცავდნენ და როცა ნიავს წააწყდებოდნენ, ისე ფურცლავდნენ, თითქოს ყველაფერი ერთი ამოუხსნელი, დაუმთავრებელი ზმანების ნაფლეთები იყო. თვალს არაფერი ეუცხოებოდა — არც მთვარის სხივებით გაკაშკაშებული ტაძარი, რომელსაც ირგვლივ სახედამძიმებული ქურუმები უვლიან და მოთმინებით ელიან იმ წუთს, როცა მსხვერპლად შეწირული ქალწულის მკერდიდან თბილი სისხლი იფეთქებს, არც კვერთხს ჩაბღაუჭებული მღვდელმთავრები, არც თავიდან ფეხებამდე შეჭურვილი რაინდები და არც იმის ხატება, ვინც არსად იყო და ყოველივე არსებულს იტევდა, ვისაც მსხვერპლი არ სჭირდებოდა და მსხვერპლს მაინც სწირავდა, ვისაც სათქმელი არაფერი ჰქონდა და მაინც ალაპარაკებდნენ, აწვალებდნენ, რადგან თუ წვალებას აზრი არ ჰქონდა, მაშინ არაფერს არ ჰქონდა აზრი.

როცა მცხეთას მიადგნენ, ცა უკვე ფერს იცვლიდა და აღმოსავლეთ კიდურზე შემორჩენილი ღრუბლების გადაყრას ცდილობდა. ადიდებული მტკვარი ავად იღრინებოდა, ახლოს არავის იკარებდა. მცხეთის ხიდი რომ აყრილი იყო, ეს ადრევე იცოდა, იცოდა ისიც, რომ სხვების დაუხმარებლად ამდენ უმწეო არსებას გალმა ვერ გაიყვანდა, მაგრამ არაგვის ერისთავი პირიანი კაცი აღმოჩნდა. მცხეთაში ჯარიც დაახვედრა და ნავტიკებიც. სადღაც, ცხრა მთას იქით, უზარმაზარი, აფრაგაშლილი ხომალდები ოკეანეებს სერავდნენ, მას კი იმის საშუალებაც არ ჰქონდა, რომ მდინარე გადაელახა უხიფათოდ. მარტო რომ ყოფილიყო, ცხენს მტკვარში შეაგდებდა და ავად თუ კარგად გალმა გავიდოდა, მაგრამ ქალებისა და ბავშვების წყალში შეყრა იგივე იქნებოდა, რაც მათი წყლისთვის გატანება. ამიტომაც მოიგონა მორეული წინაპრების მიერ არაერთხელ ნაცადი ხერხი. ბეჟან ერისთავს შეუთვალა, გაბერილი ტიკები ერთმანეთისათვის გადაება, ზედ ფიცრები დაემაგრებინა და წყალში ჩაეშვა. ბეჟანმა პირნათლად შეასრულა დანაბარები. როგორც კი ინათა, მეომრებმა წყალში ჩაშვებული ნავტიკები ახსნეს და მათკენ გამოემართნენ. მტკვრის დანაოჭებული ზურგი თანდათან მუქდებოდა, უძირო უფსკრულის სიღრმეს იძენდა. ჯამბაზბ არასოდეს ყოფილა, მაგრამ იმ დღეს თოკზე გასულივით ირწეოდა, ღმერთს მადლობა მხოლოდ მაშინ შესწირა, როცა ყველა მშვიდობიანად გაიყვანა გალმა.

უკან მომავალი საშურისი ისევ ალაბარაკდა. ნერწყვგამშრალს ხმაზე ეტყობოდა, რომ სიცხემ და ოფლის სუნმა შეაწუხა. ერთი-ორჯერ შინ დატოვებული იადონი ახსენა, მაგრამ ახლა იგი ხეთა ჩრდილს ბულბულის სტვენაზეც არ გაცვლიდა. სანატრელი ქვეყანა მხოლოდ იქ იყო, სადაც სიმწვანე ისახე-

ბოდა, სიმწვანე და ჩრდილი, ჩრდილი და ლოცვა, ლოცვა და პურის ჭამა, პურის ჭამა და თვალის მოტყუება. სიჭურისმა ფრთხილი ძილი იცოდა, ცალი თვალი მუდამ ღია ჰქონდა, მაგრამ ამდენ სიფრთხილეს ტყუილად იჩენდა. მისი ტყვე არსად გაქცევას არ აპირებდა.

მცხეთაში ტალახი ჩამოიფხიკეს, ტანსაცმელი გაიშრეს, მაგრამ დუშეთში ასვლამდე ისევ ამოისვარნენ ლაფში. თოვლ ჯერ კიდევ დნებოდა, გზები ზოგ ადგილას გადარეცხილი იყო, ზოგან კი წყლით დაფარული. ხარებს უჭირდათ ურმების ტალახიდან ამოთრევა; აღმართზე ფეხის მოკიდება. მეურმეები დაიქანცნენ, ხელები გადაეყვლიფათ. დუშეთში ერთბაშად იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ეს პატარა სოფელი საომარ ბანაკს დაემსგავსა. იმ საღამოს დიდებული პური ჭამეს, იშღერეს, იცეკვეს. თუ მთელი ქართლი არა, მისი დიდი ნაწილი მათ ხელში იყო და ადვილად აღარავის დაანებებდნენ. თავისუფლებამ მერყევნიც კი გააამაყა, გააგულადა. მეორე დღეს ზემო ქართლის თავადები, ქსნისა და არაგვის ერისთავები იხმო და როცა მინდორი ხალხით აივსო, სიტყვა წარმოთქვა, თბილისიდან წამოღებული ფული და იარაღი დაარიგა. ახლა კარგად არ ახსოვს, რა თქვა, მაგრამ როცა საქმე ფიცზე მიდგა, უკან არავის დაუხევია. წმინდა გიორგის ხატთან პირველად თვითონ მივიდა, ორივე ხელით ჩაეჭიდა და ისე ხმამაღლა წარმოთქვა ფიცი, თითქოს სურდა მისი ხმა ცასაც მისწვდომოდა. დროშების ფრიალმა და ერთსულოვანმა შეძახილებმა ხალხი აღაფრთოვანა, დიდი და პატარა ფიცს დებდა ხატს კოცნიდა. იმ დღეს ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლალატს არასოდეს გაივლებდა გულში, მაგრამ შემდეგ იმდენმა უღალატა, რომ ყველას გვარი და სახელი აღარც კი ახსოვს.

თუმცა ზოგჯერ კაცს მოღალატედ მხოლოდ დაღალატიანებულ-ლი თვლის. ბოლო დროს ქართლში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბევრმა შეიძლება პირადად მას უღალატა და ... ქვეყანას.

მხარმარცხნივ, უსასრულობის უკიდურესი ზღვარის მახლობლად კვლავ გამოჩნდა მრუდე, მუქი ზოლი და უეცრად ზოლის შუაგულში რაღაც ისე გაბრწყინდა, თითქოს ძაფზე ბრილიანტი ჩამოაცვესო. ბრილიანტი მანამდე ბრწყინავდა, სანამ ბორცვებმა სივრცე არ დაინაწილეს და ცის კიდური არ დაჩრდილეს.

როცა საზეიმო განწყობილება დაცხრა, უამრავმა საქმემ წამოყო თავი. სანამ ყიზილბაშები მტკვარს გადმოლახავდნენ, საჭირო იყო ჯარის შეიარაღება, ციხეების გამაგრება, თურქეთთან და რუსეთთან კავშირის დამყარება. ამ სამი სახელმწიფოს ინტერესები ისე უნდა დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის, რომ ორ მათგანს მისთვის ფულიც გამოეგზავნა და ჯარიც მოეშველებინა. სხვაგვარად სპარსელებთან ომი გაუჭირდებოდა. მართალია, ოსმალები სასურველი სტუმრები არ იყვნენ, მაგრამ აჯანყებული ქართველები პირველ რიგში იმას ებრძოდნენ, ვისაც ქვეყანა ეპყრა ხელთ. სხვა გამოსავალი არ ჩანდა, არ არსებობდა. გათიშულ ქვეყანას მხოლოდ მტრების გათიშვა აძლევდა მცირე ხნით სულის მოთქმის საშუალებას. იმ დღეებში რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ წინაპართა შეცდომას არ გაიმეორებდა, გარეშე მოვლენებს თავს არ დააჩაგვრინებდა, მაგრამ ყოველდღიურმა წვრილმანებმა ისე აწეწ-დაწეწა ყველაფერი, რომ ბოლოს სასჯელის მეტი ვერაფერი დაიმსახურა.

ამილახვარს ერთი წუთით მოეჩვენა, თითქოს ქვეყანა ამობ-

რუნდა და ცას მიეწება. ბორცვები, ამომშრალი ხევი და სახეებიანი სიმწვანე ადგილს ინაცვლებდა, ხან ცის კიდურს ეცვროდა, ხანაც უსაზღვროებაში იძირებოდა. მხარხაქცევმა ალარ იცოდა საით გაეხედა, რას მოსჭიდებოდა, როგორ დაებრუნებინა წართმეული ქვეყანა. ერთხანს მტვრით ამოვსებულ თვალებს იწმენდდა, შემდეგ ცხენს გაუწყრა და როცა ჭუჭყიანი ხელით სადავე მოქაჩა, გაუფერულებულმა წარსულმა კვლავ შეისხა ხორცი.

ქართლი მის თვალწინ იმოსებოდა, მწვანდებოდა, მაგრამ იგი ვერაფერს ამჩნევდა. დრო უკანმოუხედავად გარბოდა, დაფიქრების საშუალებას არ იძლეოდა. ყველაფერი სასწრაფოდ თავმოსაბმელი, გზადაგზა მოსაგვარებელი იყო. ორ თვეში თითქმის ახალი სახელმწიფო უნდა შეექმნა და ისე ემართა, რომ მტერსაც ეცნო და მოყვარესაც. ცოლ-შვილი ერთხანს თან დაჰყავდა, მაგრამ მალე მათი ყველგან თან ტარება გაუჭირდა და მიუვალ მთებში გახიზნა. არაგვის საერისთავო სანდო კაცის ხელში იყო, ქსნის ხეობა რევაზ ამილახვარს ჩააბარა, თვითონ კი ზემო ქართლში გადავიდა და ციხეებში ქართველი მეციხოვნენი ჩააყენა. საგანგებოდ გაამაგრა სურამის, ახალდაბისა და კეხვისის ციხე, რადგან ეს ციხეები ახალციხისა და იმერეთისაკენ მიმავალ გზებს იცავდნენ. ქართლში გამეფებული მდუმარება დაირღვა, ხალხი ამოძრავდა, ალიღინდა. ცხოვრებამ აზრი და სიხალისე შეიძინა. პურის ჭამა — პურის ჭამას ჰგავდა, შრომა — შრომას, სიცილი — სიცილს და ტირილი — ტირილს. იმედი ფრთებს ისხამდა, ეპვებს შორის გზას იკაფავდა. სწორედ ამ დროს შემოუთვალა ნადირ-შაჰმა. თბილისში დაბრუნდი და ყველაფერს გაპატიებო. რა ჰქონდა საპატიებელი, რა ემართა ან შაჰის ან მისი დამქაშების? მიწა,

რომელზედაც ფეხი ედგა, მისი სამშობლო იყო და თუ კაცად ვარგოდა, მომხდურისაგან უნდა დაეცვა. ამიტომაც არ დაუწყია ყოყმანი, შაჰს უარი ისე შეუთვალა, რომ ცხენიდან ვერ ვიგრძნობ, კი ჩამომხტარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სპარსელებს სოლომონი და ყაზახის სულთანი წამოეწივნენ. ახლა მის ზურგს ოთხი წყვილი თვალი უყურებდა, ოთხი წყვილი მზით გამოხუნებული თვალი, რომელთაც არც დათხრა ელოდა და არც დაწვა. დასათხრელი თვალები მხოლოდ მას ეწყო უპეებში და ეს ამოდენა ხალხი ერთი წყვილი თვალისათვის მზის ქვეშ იხრუკებოდა, გზის შესამოკლებლად ზმანებებს ებღაუჭებოდა. სოლომონი სპარსულს ისე ლაპარაკობდა, თითქოს მედრესეში იყო გაზრდილი. მისი სხვებისაგან გამორჩევა მხოლოდ დაბალი, სასიამოვნო ხმით შეიძლებოდა. ყაზახის სულთანს სპარსულზე და თურქულზე უფრო ქართული ეხერხებოდა, მაგრამ საუბრის ერთი ენიდან მეორეზე გადატანას ვერ ბედავდა. ყველაზე მეტს საჭურისი ლაპარაკობდა — მას ბევრი რამ ჰქონდა ნანახი, გაგონილი და გადატანილი, ეტყობა, ამბის მოყოლაც იცოდა, რადგან დანარჩენები ყურადღებით უსმენდნენ. მოსახვევამდე თვითონაც უგდებდა ყურს ბერიკაცს, სხვისი იარაღით ებრძოდა დროს, ხოლო როცა შეგნებიდან უკან მომავალთა სახეები განდევნა და ყურადღება გარე სამყაროზე გადაიტანა, ერთი ძველი ამბავი მოაგონდა. სპარსეთის რომელიღაც შაჰი სპარსეთის რომელიღაც თავადს არაერთხელ მოყოლილ ამბავს უამბობდა, მაგრამ თავადი მაინც ისეთი ყურადღებით უსმენდა, რომ ბო-

გირი ვერ შეამჩნია და ცხენიანად წყალში გადავარდა. იმ დღიდან თავადს შაჰის წყალობა და პატივისცემა არ მოჰკლებია.

ამილახვარმა გზის პირას წამოსკუპებულ მინდვრის თაგვს თვალი შეავლო და გამშრალი ტუჩები გაილოკა. სწყურდა, მაგრამ წყურვილის მოკვლას მერეც მოასწრებდა. შიოდა, მაგრამ შიმშილსაც იქ დაიკმაყოფილებდა, სადაც წყურვილს მოიკლავდა. მანამდე კი შეიძლებოდა დრო გადაეადგილებინა ისევ იმ ამბებს დაბრუნებოდა, რომელთა სიცხადემ და გაუგებრობამ აქამდე მოიყვანა.

ივლისის ბოლოს ყიზილბაშებმა მტკვარი გადმოლახეს და არაგვისა და ქსნის ხეობებს შეესივნენ. ორ თვეში ხუთი ათასამდე მეომარს მოუყარა თავი, ათას კაცამდე ციხეებში და კოშკებში ჩააყენა, მაგრამ ამ ჯარით ბრძოლებში ნაცად, ინგლისური ზარბაზნებითა და თოფებით შეიარაღებულ ოცდათასიან ლაშქარს ვერაფერს დააკლებდა. მას შემდეგ, რაც პირველად მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა, მუდამ იმას ნანობდა, რომ საქართველოს მუდმივი, გაწვრთნილი ჯარი არ ჰყავდა. სანამ შორსმსროლელ იარაღს გამოიგონებდნენ, ეს ნაკლი მაინცდამაინც მწვავედ არ იგრძნობოდა, მაგრამ შორსმსროლელი იარაღის გამოგონებისა და გაუმჯობესების შემდეგ, ხმლის იმედით მხოლოდ ის რჩებოდა, ვისაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. გამოსავალი მასაც არ ჰქონდა და ამიტომ ყიზილბაშებთან პირისპირ შებმას ერიდებოდა, მტერს მხოლოდ მაშინ ესხმოდა თავს, როცა ადგილ-მდებარეობა ხელჩართული ბრძოლის საშუალებას იძლეოდა. სანამ წვიმები დაიწყებოდა, საჭირო იყო გზების შეკვრა, ციხეების გამაგრება, მტრის ძალების დაქსაქსვა, შემოდგომაზე კი სპარსელები თავიანთი ფეხით დაიხევდნენ უკან. სწორედ ამ დროს მიეცემოდა იმის სა-

შეალება, რომ რაც შეიძლება ნაკლები ყიზილბაში გაეშვა მტკვარგალმა.

ბეჭედმა მზის სხივები აირეკლა და ანარეკლი ისე ეცა თვალში, როგორც ეკალი. მძაფრ მოძრაობას მთელი გზის მანძილზე ერიდებოდა, გარემოს ეგუებოდა, მაგრამ ახლა თავი ვერ შეიკავა და გვერდზე გადაქანდა. ცხენმა იმწამსვე იუცხოვა სიმძიმის მოულოდნელი გადაადგილება და მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როცა მხედარი გასწორდა, თვალი დახუჭა. თვალის დახუჭვას სიბრმავესთან საერთო არაფერი ჰქონდა. მზის სხივები ქუთუთოებში ატანდა, თვალის გუგას სწვდებოდა, ჩრდილებად და ლაქებად იშლებოდა, შტვრით ივსებოდა, უზარმაზარ გობივით ემხობოდა თავზე. ახლა რამდენიც არ უნდა ეთვალთმაქცა, როგორც არ უნდა მოეტყუებინა თავი, ღია ჭიშკარს მაინც ვერსად იპოვიდა. შეიძლება შაჰს ან მის ჯალათებს ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ თავზე წამომხობილი საწუთროს საზღვრებს ვერც ცოცხალი დააღწევდა თავს და ვერც მკვდარი.

ამილახვარმა თვალი გაახილა. გზა ათიოდე ნაბიჯით შემოკლებულიყო, მაგრამ ახლა ათ ნაბიჯსაც მნიშვნელობა ჰქონდა, მნიშვნელობა ჰქონდა ყველაფერს, რაც ბედთან და მარტობასთან ბრძოლაში ეხმარებოდა, განსაცდელს უმსუბუქებდა. ყიზილბაშების სისხლი იმდენი ემართა, რომ შაჰს ასჯერ რომ მოეკლა, გაეცოცხლებინა და ისევ მოეკლა, მთლიანად მაინც ვერ აინაზღაურებდა, მაგრამ ამის გამო ისედაც გრძელი გზის კიდევ უფრო გაგრძელება არ ღირდა. ისპაჰანში გულიც უნდა ჩაჰყოლოდა, ენაც და ღიმილის უნარიც.

როგორც კი სპარსელებმა ციხეებს ალყა მოხსნეს და უკან დახევა დაიწყეს, ზემო ქართლიდან მთელი თავისი ჯარით ქვე-

მო ქართლში გადმოვიდა და მტერს უკან აედევნა. ყიზილბაშები ჩქარობდნენ, ნისლისა და ავდრის ისე ეშინოდათ, როგორც ღვთის რისხვის. ყოველი ჩამორჩენილი, ოხვმა მათი ლუკმა, მათი ნადავლი იყო. რამდენიმე დღის [illegible] ბარადი თავსაყრელად ჰქონდა, თოფი, თოფისწამალი და ტყვია ყველას ყოფნიდა. მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც უფრთხილდებოდა, ასი კაცის დაკარგვა მისთვის უფრო დიდი დანაკლისი იყო, ვიდრე სპარსელებისათვის ათასის. ყიზილბაშებს მხოლოდ მაშინ შეუტია გულდაგულ, როცა მტკვარზე გადასვლა დაიწყეს. ყიჟინი ვიწრო ხეობას აყრუებდა, ბრძოლის სისასტიკე მკლავს ძალას მატებდა, ხმლის ყოველი მოქნევა თითო კაცის სიცოცხლეს იწირავდა. სისხლმა და დაგროვილმა ბოლმამ ქართველები დაათრო, გაახელა. იკვეთებოდა თავები, ილეწებოდა მხრისა და ლავიწის ძვლები, იფატრებოდა მუცლები. მტკვარი გვამებით აივსო, წითლად შეიღება. გაღმა გასული ყიზილბაშები უკან მოუხედავად გარბოდნენ თბილისისაკენ. ეს რომ საბოლოო გამარჯვება ყოფილიყო, ხმალს კედელზე დაკიდებდა და ათას საქმეს მოკიდებდა ხელს — აღადგენდა ტაძრებს, გზებს და სასწავლებლებს, ააშენებდა ბრძმედებს, საამქროებს და ქარვასლებს, დაიწყებდა ფულის მოჭრას, წიგნის ბეჭდვას, ზღვის გაღმიდან რაღაცის შემოტანას, მაგრამ გაზაფხულამდე ისე ცოტა დრო იყო დარჩენილი, რომ ასეთ რამეზე ფიქრი ოცნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს.

სინამდვილე ამდენ თავისუფლებას, ამდენ გასაქანს არ იძლეოდა. აღმოსავლეთიდან ყოველ დღე უბერავდა სულის შემხუთავი, მძორის სუნით გაჟღენთილი ნიავი და ხმელ ხეებზე შემომსხდარ ყორნებს აჩხავლებდა. ქვეყანა იძარცვებოდა, ისეთივე მიუსაფარი ხდებოდა, როგორც ერთ დროს, ჯერ კი-

დევ სიცოცხლის გაჩენამდე იყო. ლოდინი ვარაუდს ავიწროებდა, ვარაუდი ლოდინს უთხრიდა ძირს. ამ დროს არაფერი არ ენატრებოდა ისე, როგორც ღვინო, ღვინო და ღვინის მსგავსი ვაჟკაცები. ცეცხლის პირას გაშლილი სუფრა, ნავსაყანწები, გამოულეველი სადღეგრძელოები და ძველისძველი სიმღერები დროს ბუხართან ან შუაცეცხლთან არ უშვებდა, თითქმის იმხელავე ადგილს ისაკუთრებდა, რამხელაც მთელ ქვეყანას ეჭირა.

●

ცოდვების შიშით ამქვეყნიურ სიამოვნებაზე ხელი არასოდეს აუღია, მაგრამ იმ დღეებში ისეთი ცოდვა თუ მადლი ჩაიდინა, რომ აქამდე ვერ დაუვიწყებია. ღამის გასათევად თავად ელიზბარ დავითაშვილის ოჯახში ჩამოხტა. თავადი ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ცხოვრებაზე გულაცრუებული კაცი იყო და სახლში ფუსფუსს გარეთ წანწალი ერჩია. აჯანყებამდე სოფლის მდურვით იქარვებდა ჯავრს, მაგრამ აჯანყების შემდეგ მგლის მუხლი გამოიბა, ცხენიდან აღარ ჩამოდიოდა, ხან ერთ ციხე'ში იყო, ხან მეორე'ში, იმედი ჰქონდა, რომ ყიზილბაშებს ქართლიდან განდევნიდნენ. წინა დღით ლიახვის ხეობაში გადასულა და კაციშვილმა არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა. მასპინძლობა მისმა ახალგაზრდა, ღვთის ხელით შემკულმა, უჩვეულო შუქით გამთბარმა ცოლმა გაუწია. ლამაზი ქალი ბევრი უნახავს, მაგრამ ჭკუა არასოდეს დაუკარგავს. იმ საღამოს კი მეტწილად დუმდა. საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა. სუფრას მასპინძლის გარდა ჩიხტიკოპით თავმორთული დედაბერი და ორი აზნაური უსხდნენ. აზნაურები ღვინოს

აძალებდნენ, მეინახეობას უწევდნენ. მისი დათრობა სხვა დროსაც ჰირდა, ახლა კი მდევიც ვერ დაათრობდა. მზერა ქალის გულმკერდს და წელს ეალერსებოდა, დაუნახავის დანახვას ცდილობდა, წარმოდგენა საწოლს შლიდა, ახალგაღებულ ზეწარს ჰმუჭნიდა. აზნაურები ისე მალე, ისე უხეიროდ დათვრნენ, რომ მათი სუფრასთან ჯდომა აღარ შეიძლებოდა და დედაბერმა ისინი დიდი ვაი-ვაგლახით მიიყვანა კარებამდე. ლოგინი მაღლა, მეორე სართულზე გაუშალეს, სადაც ოთახები ერთ რიგში იყო ჩამწკრივებული და ყოველ ოთახს მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა. მაშინ გულში ცუდი არაფერი გაუვლია, მაგრამ იმ ოთახის კარი, რომლის მიღმაც თავადისა და მისი მეუღლის საწოლი უნდა მდგარიყო, უნებლიეთ დაიმახსოვრა. ღვინომ და უჩვეულო შუქით გამთბარი სხეულის სიახლოვემ ააფორიაქა, ისე გააშმაგა, რომ არც თავი ახსოვდა და არც საქმე. ფეხზე კი გაიხადა, მაგრამ ლოგინში ჩაწოლა ვეღარ შეძლო. ქვეყანა ევიწროებოდა, მარტო დაწოლა საკუთარი თავის გაძარცვად, ცხოვრებაზე ხელის აღებად მიაჩნდა. შუალამემდე დამწყვდეულ ნადირივით ბღრგავდა, სულსა და ხორცს აწვალებდა, მაგრამ როცა მთვარე ღრუბლებს ამოეფარა, დერეფანში წინდების ამარა, ქურდულად გავიდა და მასპინძლის საწოლი ოთახის კარი ისე თამამად შეაღო, თითქოს საკუთარ ცოლთან მიიჩქაროდა. ქალს არ ეძინა, საწოლის გვერდით ნახევრად დალეული სანთელი ენთო. მისმა დანახვამ ქალი შეაკრთო, გააკვირვა. სტუმრისაგან ასეთ რამეს არ მოელოდა. საწოლიდან წამოწეულმა ჯერ დაყვირება სცადა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და მკერდზე საბანი აიფარა. გადაიფიქრა ან იმიტომ, რომ წივილ-კივილი უფრო გაუტეხდა სახელს, ვიდრე დუმილი, ანდა იმიტომ, რომ შეარცხვენდა და

აიძულებდა უკან გაბრუნებულიყო. არშიყობის, ქალის ბულის მოგების დრო რომ ჰქონოდა, მოძალადესავით კი არ დაადგებოდა თავზე, არამედ რამდენიმე დღეს მოიცდიდა და საწადელს ნაცადი გზით ეწეოდა, მაგრამ ახლა საარშიყოდ და საალაპარაკოდ არ ეცალა, დილით ქსნის ხეობაში უნდა გადასულიყო, იარაღი უნდა გადაეტანა. ამიტომაც არ დაუწყია ყოყმანი, კარი სწრაფად ჩარაზა, საწოლისაკენ დაიძრა და სანამ ღრუბლებიდან გამოცურებული მთვარის სხივები ოთახში შემოიჭრებოდა, ქალი უკვე მკლავებში ჰყავდა გამომწყვდეული. წინააღმდეგობას სხვა დროსაც წასწყდომია, მაგრამ ასეთი არაფერი უნახავს. ქალი თავგამეტებით იბრძოდა, იბრძოდა კბილებით, ფრჩხილებით, მოქნილი სხეულის ყველა ნაკვთით, ყველა კუნთით, იბრძოდა უხმოდ, შეუპოვრად. ყიზილბაშებთან ხელჩართულ ბრძოლას ისე არ დაუღლია, როგორც ამ თითქოსდა უმწეო არსების დამორჩილებამ დაღალა. ლოგინი აირ-დაირია, საბანი და ბალიშები იატაკზე ეყარა, გაკაწრული ყელიდან სისხლი ჟონავდა. ბოლოს, როგორც იქნა, მისწვდა მის მკერდს, მის ტუჩებს და როცა გახელებული დააცხრა, ქალმა გასისხლიანებული ხელები კისერზე მოხვია და აკვნესდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რა აშუქებდა ღვთის ხელით შემკულ სხეულს, რატომ იზიდავდა ასე მძაფრად. ქალს ალერსი და სიყვარული სწყუროდა. იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავთ, ზედ არაფერი გადაუფარებიათ, ერთმანეთი არ დაუნდვიათ. დილით ქალს ჩაეძინა და როცა იგი ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან, ისეთი გრძნობა შეექმნა, თითქოს უჩვეულო ჩვეულებრივმა დაჩაგრა.

ამილახვარმა მარჯვენა ხელი რამდენჯერმე მოხვარა ძაღლში და ისევ გაშალა. კანის ნაკეცებში ჩამჯდარი მტვერი ოფლმა აბილა, გაამავა. ამ სქელი ტალახის ჩამოსარეცხად ერთი დოქი წყალი არ იკმარებდა. ყველაზე მეტად წყალი სწორედ იქ სჭირდებოდა ადამიანს, ხადაც წყლის ნასახიც არ მოიპოვებოდა. ყანდარში ლაშქრობის დროს ერთმა აბადანელმა სპარსელმა უამბო, ხიჯრამდე არაბებს ისე უჭირდათ, რომ როცა ბედუინებს უდაბნოში წყალი ან საკვები შემოაკლდებოდათ, უწლოვან გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ ქვიშაში და იმ ადგილას ნიშანსაც კი არ ტოვებდნენო. საქართველოდან სპარსეთში მიმავალი მხედრები ბედუინები არ იყვნენ, მიწაში ცოცხლად დამარხვა არავის ემუქრებოდა, მაგრამ აქ არც არსებობა იყო სიკვდილის საწინდარი და არც სიკვდილი არსებობის საბაბი.

გაზაფხულამდე სპარსელებს ფეხი არ გამოუდგამთ თბილისიდან, მაგრამ გაზაფხულზე ორი ისეთი ამბავი მოხდა, რამაც ქართლი გათიშა, ერთმანეთს დაუპირისპირა. ასი წლის შემდეგ ქართლის წაბილწულ, მუსლიმანთა სუნით გაჟღენთილ ტახტზე პირველად ავიდა ქრისტიანი მეფე და მისი კურთხევა ქართველებმა ისე იზეიმეს, როგორც მეორედ მოქცევა. კათალიკოსმა თეიმურაზს და თამარს საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი თავზე, თავადებმა ერთგულების ფიცი დადეს, მოქალაქეებმა სამკაულები და ფარჩეულობა მოართვეს. ლხინი სამ დღეს გაგრძელდა. თბილისში შემოხიზნულ უცხოელებს არაფრით არ ეგონათ, ქართველებს თუ კიდევ შეეძლოთ ასეთი ბრწყინვალე დღესასწაულის გადახდა. უკმაყოფილო მხო-

ლოდ ის თავადები იყვნენ, რომლებიც ფიქრობდნენ თეიმურაზს ქართლის ტახტზე ასვლის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ უფლებას მოპოვება უნდა და არა დამოწმება. —თეიმურაზი წინდახედული კაცი იყო და დროზე მიხვდა, რომ ნადირ-შაპი თავს იოლად არავის დაანებებდა, სპარსეთის გათიშვის უფლებას არავის მისცემდა. ამიტომ მთლიანად მის მხარეზე გადავიდა, ხარკსაც უხდიდა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაშიც ეხმარებოდა. სახელმწიფოს მართვის ნიჭი თამარსაც აღმოაჩნდა. სწორედ იმ დროს, როცა იგი სპარსელების წინააღმდეგ აჯანყდა, დედოფალმა ნადირ-შაპი ინახულა, ხარკის გადაუხდელობისათვის კახეთის აოხრებაზე ხელი ააღებინა და ბოლოს იმაზეც დაიყოლია, რომ მამამისის დაცარიელებულ ტახტზე მისი ქმარი აეყვანა. ნადირმა პირობა მისცა და აღასრულა კიდეც. სპარსეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილმა ელჩებმა თეიმურაზს ტახტზე ასვლა მიულოცეს და ძვირფასი საჩუქრები მიართვეს. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას ბოლოს და ბოლოს ელირსა მეფე, მაგრამ თეიმურაზის ტახტზე ასვლა იმას ნიშნავდა, რომ მათ შორის შუღლი და ომი დაწყებულიყო. ომის საბაბიც მალე გამოჩნდა.

მაისის ბოლოს ბეჟან ერისთავი ყმებმა მოკლეს და მისი ოჯახი ხეობიდან განდევნეს. უპატრონოდ დარჩენილი არაგვის საერისთავო ნადირ-შაპმა თეიმურაზს უბოძა. ეს უკვე მის მიერ შეკოწიწებული სამეფოს ხელყოფა იყო. არაგვის საერისთავოს დაკარგვა მთელი ქვემო ქართლის-დაკარგვას უდრიდა. სანამ ჯარს თავს მოუყრიდა, თბილისიდან ამბავი მოუვიდა, თეიმურაზი და ალი-ხანი სალაშქროდ ემზადებიანო. ახლა მთავარი იყო, ვინ ვის დაასწრებდა, ვინ ჩაიგდებდა პირველად ხელში არაგვის ხეობას. შეტევა ორი მხრიდან დაიწყო —

ნატახტარიდან და დუშეთიდან. წინ თითქოს არავინ ეღობებოდა, თავს არავინ ესხმოდა, მაგრამ არაგვის ხეობის დაპყრობა მაინც გაჭირდა. აჯანყებულებს შურისძიების ეშინოდათ და ამიტომ ციხეებსა და კოშკებში იკეტებოდნენ, თავს იცავდნენ. დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, მაგრამ საბოლოო გამარჯვება არსად ჩანდა. ამასობაში თეიმურაზმა და ალი-ხანმა მცხეთასთან მტკვარი გადმოლახეს და უკან დაედევნენ. განახლებული ქვეყანა, რომლის წესიერად დანახვა ვერც კი მოასწრო, ისევ შეიცვალა, ისევ უცხო და ხორკლიანი გახდა. წინ და უკან წანწალი სრულიად არ ჰგავდა იმას, რისკენაც ისწრაფოდა, რის გამოც სისხლს ღვრიდა. აჯანყებამდეც და აჯანყების შემდეგაც მხოლოდ ერთი რამ სურდა, სპარსელები გაერეკა ქართლიდან. ეს სურვილი სამართლიანიც იყო და ბუნებრივიც, მაგრამ ხშირად ბუნებაც ისევე ტყუოდა, როგორც მისი შემოქმედი.

●

მას შემდეგ, რაც განაჩენი წაუკითხეს და ციხეში გამოამწყვდიეს, მის ირგვლივ უხილავი, მაგრამ გადაულახავი ზღუდე აღიმართა, რომლის მორღვევა მტერსაც შეუძლებლად მიაჩნდა და მოყვარესაც. ბრალდებას, ისევე როგორც სიკვდილს, საკუთარი სახე არ გააჩნია. სიკვდილი ყოველთვის ან უეცრად მოვარდნილი ჭირია, ან უკურნებელი სენი, სასჯელი კი — თავის მოკვეთა, თვალების დათხრა, ცხვირის ან ენის მოჭრა. ერთიც და მეორეც გარდუვალობის ამოუხსნელ კანონებს ემორჩილება და ამიტომ ადამიანს მათ წინაშე მარტოს ტოვებენ. უკან მომავალნი ერთხელ არ წამოსწევიან, ერთხელ არ ამოსდგომიან გვერდით.

არაგვის ხეობის დაკარგვის შემდეგ ცხადად იგრძნო, რომ ხელიდან ეცლებოდა ის უპირატესობა, რაც ამბოხების წყალობით მოიპოვა. ჰაერი დამძიმდა, ეჭვითა და უნდობლობით გაიჟღინთა. ქართველი თავადები დუმდნენ, ერთმანეთს პირს არიდებდნენ. თეიმურაზის ტახტზე ასვლის შემდეგ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა კანონიერი მეფის წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა, რასაც შეიძლება საკვალალო შედეგი მოჰყოლოდა, რადგან მეფეს მათი აღზევებაც შეეძლო და განდევნაც. ამიტომაც დუმდნენ, მოთმინებით ელოდნენ იმ დროს, როცა საეჭვო და საკარაულო აღარაფერი იქნებოდა. მხოლოდ მას და ქართლის ტახტზე თეიმურაზის ასვლით უკმაყოფილო რამდენიმე თავადს არ უცდიათ მეფესთან შერიგება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სანამ ქართლში სპარსელები ბატონობდნენ, თეიმურაზის გამეფებას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მეორეც სპარსელების ყმობას ისევ თურქებთან მორიგება ერჩია, რადგან თურქები დიდ ომებს აწარმოებდნენ ევროპაში და საქართველოსთვის დიდხანს ვერ მოიცლიდნენ. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი საფუძვლიანი მიზეზი, რასაც ანგარიში უნდა გასწეოდა, იმერეთსა და სამცხე-საათაბაგოს თურქები არასოდეს არ დაანებებდნენ სპარსელებს, საქართველოს გაერთიანებისათვის კი ისევ ის სჯობდა, რომ ერთი ბატონის მოხარკე ყოფილიყო.

ამგვარი და კიდევ უფრო საეჭვო აზრები მაშინ ბევრი უტრიალებდა თავში, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, რომ გაოხრებულ დროში ცხოვრობდა. ბრძოლის წაგება — თავის წაგებას უდრიდა. ქვეყანა ისე იყო არეული, გაღატაკებული და დაქსაქსული, ხოლო რწმენადაკარგული თავადაზნაურობა იმდენად უპირო, ხარბი და გამუხანათებული, რომ ეშმაკობისა,

თვალთმაქცობისა და დაუნდობლობის გარეშე კაცი ვერც მტერს გაუმკლავდებოდა და ვერც მოყვარეს შეიძენდა. ამიტომაც არ სჯიდა საკუთარ თავს ისე მკაცრად, როგორც ამას მამაზეციერი მოითხოვდა. მისი მიზანი ქართლიდან სპარსელების განდევნა იყო და არა სულის ცხონება. ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა ხერხი ვარგოდა — წმინდაც და უწმინდურიც, თურქებთან მოლაპარაკებაც და ლეკების დაქირავებაც.

სოლომონმა და საჯურისმა რამდენჯერმე მისი სახელი ახსენეს, მაგრამ რაღაც ისეთთან დაკავშირებით, რაც წარსულს უფრო ეხებოდა, ვიდრე მომავალს. წარსული ყველას ითრევდა, სიცხისა და გათელვისაგან იცავდა. სანამ ამქვეყნად რაიმეს დამტკიცება ან უარყოფა შეიძლებოდა, სანამ დრო სამ ნაწილად იყო დაყოფილი, მტყუანი და მართალი არ გამოილეოდა, მანძილი ციხესა და სასახლეს შორის არ შემცირდებოდა. ეს მანძილი აქ, ამ დანაოჭებული მიწის უბეშიც კი იგრძნობოდა. იგი მარტო მიაბიჯებდა მტვრიან გზაზე და წინ ყურებას ისევ ის ერჩია, რომ აჩრდილებისათვის ადგილი დაეთმო, მათთან ერთად გადაეფასებინა გადასაფასებელი.

●

როგორც კი თეიმურაზმა არაგვის ხეობაში ფეხი მოიკიდა, მაშინვე დაიწყო მოლაპარაკება იმ თავადებთან, რომელთა გადასაბირებლად უვნებლობის ფიცის მეტი არაფერი არ იყო საჭირო. ყველაზე ადრე, ყველაზე მუხანათურად მკვიდრმა ბიძაშვილმა, რევაზ ამილახვარმა უღალატა. ქსნის ხეობა გამაგრებული ციხეებით და მეციხოვნეებით ისე მიართვა თეიმურაზს, როგორც საკუთარი ხელით დაპყრობილი ქვეყანა. სა-

ფასურიც შესაფერისი მიიღო. თეიმურაზმა იგი ქვემო ქართლის ჯარების სარდლად და უახლოეს მრჩევლად დანიშნა. მას რომ სპარსელების ქართლიდან განდევნა თურქებისა და ლეკების დახმარების გარეშე შესძლებოდა, მაშინ რამდენიმე კაცს ან თავს მოჰკვეთდა, ანდა ხეზე ჩამოკიდებდა, მაგრამ მომავალზე ფიქრი მკლავსა და ნებისყოფას ადუნებდა, წამიერი რისხვა დაღვარჭნილი ღიმილის აბლაბუდაში ეხვეოდა. ვახუშტი აბაშიძე და ზაალ ავალიშვილი ბანაკიდან ღამით გაიპარნენ და თეიმურაზს ეახლნენ. ირღვეოდა, მცირდებოდა მის მიერ თავმოყრილი სახელმწიფო, შიშვლდებოდა კაცის ბნელი სული, მაგრამ ღალატზე მოულოდნელი მაინც ცხინვალთან დამარცხება აღმოჩნდა. არ ეგონა კახეთის ჭაბუკი მეფე თუ ამდენ მოხერხებულობას და სიმამაცეს გამოიჩენდა. დილის ბინდბუნდში, როცა ნისლი ჯერ კიდევ არ იყო გაფანტული, მცირერიცხოვანი ჯარით საფარიდან გამოვიდა და მის დაუცველ ბანაკს თავს დაესხა. ბანაკი აირია, არავინ იცოდა, ვინ იყო მტერი, საიდან მოვიდა. მეომრებისათვის რომ გონზე მოსვლის საშუალება მიეცა, უკან დაიხია. უკან დახევა ურბნისამდე გაგრძელდა. იმდღევანდელმა დამარცხებამ ცხინვალი და გორი დააკარგვინა, მაგრამ ერთ რამეში საბოლოოდ დაარწმუნა. ირაკლი ძლიერი, სახიფათო მოწინააღმდეგე იყო, ისეთი მოწინააღმდეგე, რომელიც ბრძოლას კი არ გაურბის, არამედ ეძებს.

იმ ღამეს ბევრი იფიქრა, რატომ აფასებს ადამიანი ცხოვრებასა და მოვლენებს ზოგჯერ სწორად, ზოგჯერ კი მცდარად. მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა, ისიც კი ვერ გაიგო, რის უგულვებელყოფის უფლება ჰქონდა და რის არა. მარცხი სწორედ მაშინ მოსდიოდა, როცა დროსა და სიკვდილს

თვალს არიდებდა, ცხოვრებას არაერთგვაროვანი ნაფლეთებისა და ნამსხვრევებისაგან აკოწიწებდა. წინა დღეს რომ ისე მოქცეულიყო, როგორც ღვთის გაჩენილი არსება უნდა იქცეოდეს, მარცხს გადაურჩებოდა, მაგრამ სწორედ იმ საღამოს არ იცოდა, რა მოეხერხებინა საკუთარი თავისათვის, როგორ უკუეგდო ფეხებთან მოცოცებული ბნელი, უსახური, უსისხლ-ხორცო წყვდიადი, რომელიც ყველაფრის შთანთქმას, დასაკუთრებას ცდილობდა და მის წინააღმდეგობას არავითარ ანგარიშს არ უწევდა. შეღამებისას ვის არ შემოსწოლია ნაღველი გულზე, ვის არ დაუშვია შეცდომა, მაგრამ შეცდომის მიღმა რომ კიდევ იყო რაღაც ისეთი, რასაც არსაიდან შემოევლებოდა, ეს მხოლოდ მეორე დღეს ირწმუნა.

●

როგორც კი თურქებმა მისი დამარცხების ამბავი გაიგეს, მაშინვე აწრიალდნენ, აფუსფუსდნენ. სტამბოლიდან დიდი ვეზირის მიერ ხელმოწერილი რაყიმი და ფული მიიღო. ახალციხის ფაშამ მსხვილლულიანი ზარბაზნები, თოფისწამალი, ყუმბარები და მეთოფურები გამოუგზავნა. ლეკთა ბელადმა მალაჩიმ ოთხი ათასი კაცი მოჰგვარა და დახმარებისათვის მაინცდამაინც დიდი გასამრჯელო არ მოუთხოვია. მარცხი დროებითი აღმოჩნდა, სპარსელებისადმი მტრულად განწყობილი ძალები კვლავ მის ირგვლივ იყრიდა თავს, მაგრამ ხალხი მაინც აკლდა. ხუთი ათასი ქართველით, ენგიჩართა რამდენიმე ასეულით და ოთხი ათასი ლეკით თბილისამდე ვერ მიატანდა, ყიზილბაშებს ქართლიდან ვერ განდევნიდა. საჭირო იყო ჯარი, ნამდვილი ჯარი და არა ბრბო, მაგრამ ასეთი ჯარის შექმ-

ნას წლები სჭირდებოდა, მას კი თვეები ჰქონდა სათვალეზაფხულამდე სურამის ციხე აუღებელ სიმაგრედ უნდა ექცია, უკმაყოფილო ქართველი თავადები გადმოებირებინა, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მომზადებულიყო. გამარჯვება დროის მოგების, მოლონიერების საშუალებას მისცემდა, დამარცხება კი საბოლოოდ გასწყვეტდა წელში.

სანამ თეიმურაზი და ალი-ხანი გორიდან დაიძრებოდნენ, ახალციხიდან უსუფ-ფაშა გადმოვიდა და თან ექვსი ათასი მეომარი გადმოიყვანა. უსუფი ფრთხილი, თავზეხელგადაფარებული კაცი იყო, ახალციხიდან ქართლში გადმოსვლა შორეულ, სახიფათო ლაშქრობად მიაჩნდა, მაგრამ მას ჯარისკაცები სჭირდებოდა და არა ფაშები. ფაშების ზნეს კარგად იცნობდა, ყოველთვის თავგასულნი, ხელგასვრილნი და მუხანათები იყვნენ, თავიანთ დამპყრობლებს ისე ერთგულად ემსახურებოდნენ, ისე ხშირად ახსენებდნენ ალაჰს, თითქოს გათურქებამდე, გამაჰმადიანებამდე არც თანამდებობის ფასი იცოდნენ და არც ღმერთის არსებობა. მბრძანებლის სიდიადე და მონის უნდობლობა უსუფს სახეზე ეწერა, მაგრამ მისი სახე მას მხოლოდ იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ერთად უნდა ებრძოლათ, ერთად უნდა გაემარჯვათ. ხვალინდელ ომში აუცილებლად უნდა შეეპყრო გამარჯვების მაცდური, სისხლისაგან კანგასლაგნილი აჩრდილი, შეეპყრო მანამდე, სანამ თურქები და ლეკები გულში ღალატს გაივლებდნენ.

ბრძოლა გორსა და რუისს შორის მოხდა. მარჯვენა ფრთა თურქებს დაუთმო, მარცხენა ლეკებს, თვითონ კი შუაში გაჩერდა და როგორც კი ინათა, მტრის შუაგულისაკენ დაიძრა. ისე მედგრად შეუტია წინა რიგებს, რომ ყიზილბაშები და ქართველები შედრკნენ, უკუდგნენ. რაც უფრო მწვავდებოდა

ბრძოლა, მით უფრო ნაკლებად ახსოვდა საკუთარი თავი, ძველი ცოდვები, ახალი ცოდვების სიმძიმე, ღვთის უსულგულობა და კაცთა მოდგმის უგუნურობა. ხმალს ისე იქნევდა, თითქოს ცხოვრებაში მეტი არაფერი უკეთებია. წინსვლა აგულიანებდა, ათამამებდა, კიდევ ცოტა და მტრის ჯარს შუაზე გააპობდა, გათელავდა, მაგრამ ამ დროს თეიმურაზმა და ალი-ხანმა პირი იბრუნეს და გორისაკენ გაიქცნენ. გაქცეულებს ფეხდაფეხ დაედევნა. იმ დღეს რომ ყიზილბაშების ჩეხვით არ გართულიყო და მეტი გონიერება გამოეჩინა, თეიმურაზი და ალიხანი ციხეში ვერ შეასწრებდნენ. გორის ციხის მაღალი კედელი ისე მოულოდნელად აღიმართა მის წინ, როგორც ღვთის ხელი. ბრძოლა დამთავრებული იყო. გასისხლიანებული ხმალი გაწმენდას და ქარქაშში ჩაგებას მოითხოვდა, გამარჯვება ზეიმს, მონელებას, მაგრამ მან წინასწარ გაუსწორა დროს ანგარიში.

გვერდით გაჩერებულმა უსუფ-ფაშამ ალაჰს მადლობა შესწირა, გამარჯვება მიულოცა, მაგრამ გორის ციხის აღებაზე უარი განაცხადა და რუისში დაბრუნება მოითხოვა. გამარჯვების სიხარული მანამდე ამოიწურა, სანამ გულს შეათბობდა. ძნელი იყო მტერთან მოყვრობა და მასთან ერთად ბრძოლა. უნდობლობა გაუქარწყლებელ ეჭვებს ასაზრდოებდა. ერთი ხელის მოსმით გასაკეთებელი საქმე ქუცმაცდებოდა, ჭიანურდებოდა. იმის მაგივრად, რომ გორის ციხის აღებაში მოხმარებოდა, უსუფ-ფაშამ მალაჩი იხმო, სტამბოლიდან გამოგზავნილი ფული გადასცა და მთელი თავისი რაზმით დაღესტანში გაგზავნა ლეკთა კიდევ უფრო დიდი ჯარის დასაქირავებლად. სხვისმა უგუნურობამ ხელ-ფეხი შეუკრა, იმდენი დრო დაკარგვინა, რომ ვერაფრით ველარ აინაზღაურა.

ღვთის მონა არასოდეს ყოფილა, არც ის სჯეროდა, რომ მისი გაჩენა აუცილებელი იყო ამქვეყნად, მაგრამ რადგან გაჩნდა ისეთ დროში, როცა ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა, არ უნდოდა უგუნურად წაეგო თავი. ღალატი ყველას შეეძლო, საკუთარ ძმასაც კი და მას უკვე უჭირდა მტრისა და მოყვრის ერთმანეთისაგან გარჩევა, სხვის სულში ჩახედვა. თუმცა სხვის სულში ჩახედვა უფრო სახიფათო იყო, ვიდრე გარდუვალობის პირისპირ დგომა. ერთბაშად იმდენ ბნელ ზრახვებს, იმდენ მუხანათობას აღმოაჩენდა, რომ ან ყველას უნდა დაპირისპირებოდა, ანდა გასცლოდა, მაგრამ რადგან წმინდანი არც თვითონ იყო, ამიტომ არც სხვების საქციელს სჯიდა მეტისმეტად მკაცრად.

ამილახვარს წარბები ისე ჰქონდა შეკრული, თითქოს რაღაცის ახსნა უჭირდა და აზრის აღრევას რომ მეხსიერების ამღვრევაც არ გამოეწვია, გაწყვეტილი ძაფის ბოლოს ჩაებღაუჭა.

ერთი კვირის შემდეგ ამბავი მოვიდა, ირაკლიმ არაგვის პირას ლეკები სასტიკად დაამარცხა, მალაჩი საკუთარი ხელით მოკლა და სტამბოლიდან გამოგზავნილი ფული თბილისში ჩაიტანაო. ლეკების დამარცხებამ უსუფ-ფაშას თავზარი დასცა. ჯარი იმ დღესვე შეკრიბა და ახალციხისაკენ გასწია. აღმოსავლეთიდან კვლავ დაუბერა მძორის სუნით გაჟღენთილმა ქარმა, ისევ აჩხავლდნენ ყორნები. ცხენიდან ჩამომხტარს მუხლის გაშლა უჭირდა, ხმალი ისე ეკიდა წელზე, როგორც დიდი ლოდი, რომელსაც ვერასოდეს მოიხსნიდა. თუმცა რატომ უნდა მოეხსნა. ქვეყანა ბორკილებით იყო მოფენილი და თუ მათი დალეწვა სურდა, ხმალი წელზე უნდა რტყმოდა. იგი არც ისე

სუსტი იყო, რომ მძორის სუნისა და ყორნების ჩხავილისათვის ვერ გაეძლო. ზურგს უკან სურსათ-სანოვაგით სავსე, გამაგრებული, ზარბაზნებით შეიარაღებული ციხე ეგულებოდა. ამ ციხის აღებას მტერი ადვილად ვერ მოახერხებდა, შეიძლება წლებიც დასჭირებოდა, მანამდე კი ღმერთმა იცის, ვისი მზე ჩაესვენებოდა და ვისი ამობრწყინდებოდა.

ერთად თავმოყრილი ქვების რომელიღაც ხვრელიდან ჩიტი ამოფრთხიალდა და იქითკენ გაფრინდა, სადაც სიმწვანე და სიგრილე ეგულებოდა. საჭურისმა გაფრენილ ჩიტს წრიპინის თუ სისინის მაგვარი ბგერები დაადევნა. გზა ხეებს გვერდს უვლიდა, იქეთკენ მიემართებოდა, სადაც გახუნებული ბოცვები უცხო თვალისგან ერთფეროვნებით იცავდნენ თავს. ცხელი ქარი მიწის გულს აშრობდა. მხედართა პატარა ჯგუფი, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა, მან მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა გამომშრალი ქვეყნის მკლავთა ხვევნას თავი დააღწია. ვიღაცეებს მათსავით ეჩქარებოდათ მწვანე კუნძულისაკენ, მათსავით ენატრებოდათ ჩრდილი და ხის ქვეშ წამოწოლა, სადაც მოგონებებით მოფენილი გზა კი არ მთავრდებოდა, არამედ ინასკვებოდა.

სანამ ციხეს ალყას შემოარტყამდნენ, დაუბრკოლებლად შეეძლო იმერეთში ან თურქეთში გადასვლა — ყარსისა და ერზრუმის ფაშები ცალ-ცალკე ეხვეწებოდნენ, ოსმალეთში გადმოდი და აქედან შევუტიოთ სპარსელებსო, მაგრამ საქართველოს ფარგლებს გარეთ ბრძოლას ის აზრი აღარ ექნებოდა, რისთვისაც ცოლ-შვილი მიატოვა, მამული დაკარგა, თავი საფრთხეში ჩაიგდო. გაქცევა სინამდვილეს სახეს შეუცვლიდა, გარდაქმნას, გადასხვაფერებას მოსთხოვდა, გადასხვაფერება კი ყველა კვალს წაშლიდა, გადარეცხდა. რადგან აჯანყდა, რად-

გან საქვეყნო საქმე იტვირთა, ბედის ძიების უფლება ალარ ჰქონდა, ბოლომდე მეამბოხედ უნდა დარჩენილიყო. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა სისხლის ღვრის გამართლება, კაცობის შენარჩუნება. ეს იყო ხსნის ერთადერთი გზა, მისი ერთადერთი საკუთრება, სხვა ყველაფერი კი დროსა და შემთხვევითობას ეკუთვნოდა. შეიძლება ერთ წელიწადში ვარსკვლავებს ადგილი მოენაცვლებინათ, წალმა დატრიალებულიყო ის, რაც აქამდე უკულმა ტრიალებდა. მიწისძვრით, შავი ჭირით, შულლით, სიბრიყვითა და სიგიჟით სავსე საწუთროში აჩქარებას აზრი არ ჰქონდა. ბედი მტრების მიმართაც იმდენივე გულგრილობას იჩენდა, რამდენსაც მის მიმართ.

ციხეში ქართველებთან ლეკთა მცირერიცხოვანი ჯარი და თურქი მეთოფურებიც შეჰყვნენ. ზარბაზნები პირველად საცდელად გაისროლა, შემდეგ კი მათი ქუხილისაგან ყურთასმენა ალარ იყო. ზოგჯერ მტვრისა და კვამლისაგან ისე იფარებოდა სივრცე, რომ მოწინააღმდეგე არ ჩანდა. მტრის ბანაკში მდგომარეობა შეიცვალა. თეიმურაზი კი არ ემორჩილებოდა ალიხანს, არამედ ალი-ხანი თეიმურაზს, მაგრამ სარდლების შეცვლა არაფერს არ ცვლიდა. ყველა, ვინც ციხის გარეთ დარჩა, მისი მტერი იყო, ყველას მისი დამარცხება და დატყვევება სურდა. ასევე იქცეოდა სათოფურებიდან შემოჭრილი სინათლის შლეგი ნაკადიც, გარე სამყაროს მრუში, უტიფარი მოციქული, რომლის სიკაშკაშე გულის კედლებს ბზარავდა. თეიმურაზმა მეორე დღესვე შემოუთვალა, ციხე ჩამაბარე და არას გერჩიო, მაგრამ დამნაშავედ იგი სხვებს თვლიდა და ამიტომ უფლება ჰქონდა მანამდე დაეცვა თავი, სანამ ძალა შესწევდა. ამ უფლებას ვერც თეიმურაზი წაართმევდა და ვერც ნადირშაჰი. სურამის ციხე იმისთვის კი არ გაამაგრა, რომ მტრისათვის ჩაებარებინა.

ბორცვთა ჩრდილების ზრდა ამილახვარმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა განტოტებული დროის ერთი შტო ამოშრა და ცა, მიწა, სახეებიანი სიმწვანე და მხედართა პატარა ჯგუფი ერთ დიდ წრედ შეიკრა. ამ წრიდან გასვლა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც არსებობის აზრის ამოხსნა, მაგრამ უცვლელი ფერებისა და უსაზღვროების ცქერა მობეზრდა, სიცხისა და აზრთა წინააღმდეგობებისაგან თავი გაუსივდა. სხვებისათვის ჰაერი მხოლოდ მტვრითა და მზის სხივებით იყო დამძიმებული, მისთვის კი მუქარითაც, ისეთი მუქარით, რომლის წარმოდგენა სისხლძარღვებს ყინავდა. უწინ მუსლიმანები დამნაშავეს სახალხოდ, დიდი ზარ-ზეიმით სჯიდნენ. აშენებდნენ ფიცარნაგს, ნიღბავდნენ ჯალათს, უხმობდნენ მოქალაქეებს, რომელთაც შემდეგ მოჭრილ თავს ან დათხრილ თვალებს უჩვენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და თუ სპარსელებისათვისაც დრო იმასვე ნიშნავდა, რასაც სხვებისათვის, ოტა რამ უნდა გაემარტივებინათ, დამნაშავე აქლემზე ან ცხენზე შემჯდარი კი არ უნდა მიეგვარათ ჯალათისათვის, არამედ ჯალათი წაეყვანათ იქ, სადაც დამნაშავე ჰყავდათ დამწყვდეული. თუმცა, როცა საჭირო იყო, შაჰები ასეც იქცეოდნენ, ოთხ კედელს შორის უფრო მეტ დანაშაულს სჩადიოდნენ, ვიდრე ღია ცის ქვეშ.

იმ წელიწადს სურამის ციხეს ვერაფერი დააკლეს, მაგრამ მომდევნო წლის გაზაფხულზე ქაიხოსრო ორბელიანმა და რევაზ ამილახვარმა ახალდაბისა და კეხვისის ციხეები აიღეს და სურამის ციხის ამარა დატოვეს. რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. თოფისწამლისა და ყუმბარების მარაგი ილეოდა. ჯარისკაცები დაიქანცნენ, უქალოდ ცხოვრება და მკვდრების მარხვა

მობეზრდათ. ზოგჯერ ისეთ რამეზე წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, რომ გაწყრომას აზრი არ ჰქონდა. ოთხ კედელს შორის გამოკეტილი უიმედობა მიღმა დარჩენილი ცხოვრების დარდით იხუთებოდა, ჭირვეულობდა, დასასრულისაკენ ისწრაფოდა. სწორედ ამ დროს შემოუთვალა თეიმურაზმა მესამედ, ციხე ჩამაბარე და არას გავნებო. ციხის ჩაბარება აზრად არ მოსვლია, მაგრამ მოლაპარაკებაზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა. სანამ მეფე ყველა მის პირობას შეასრულებდა, ჯარისკაცები დაისვენებდნენ, ციხიდან გავიდოდნენ, ივაჭრებდნენ, ილაყბებდნენ და როცა უქმად ყოფნა მობეზრდებოდათ, ბრძოლის განახლებაზე უარს აღარ იტყოდნენ, განსაკუთრებით თურქები და ლეკები, რომელთაც ტყვეობა ელოდათ.

კარავი ციხის წინ, მწვანე ველზე გაშალეს. ნესტისაგან დამძიმებული დილა იზმორებოდა, ნათელი ფერებით იმოსებოდა. ციხიდან რამდენიმე კაცის თანხლებით მხოლოდ მაშინ გავიდა, როცა თეიმურაზი მთელი თავისი ამალით კარვისაკენ დაიძრა. ფეხი მსუბუქად ეხებოდა ცვრიან ბალახს, უიმედობა საწყალობლად წკმუტუნებდა, უპატრონო ძაღლივით მოსდევდა უკან, მაგრამ მისი გასაცოდავება არც ღალატს შეეძლო, არც მარცხს და არც სიკვდილს. რაც უფრო მეტ მუხანათობას იჩენდა ბედი, მით უფრო გამომწვევად შეჰყურებდა თვალებში. კარავში ისე შეაბიჯა, თითქოს სადილზე ყოფილიყო წვეული. თეიმურაზი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა, დიდი ხნის უნახავ მეგობარივით მოიკითხა. კარავი მართლაც საზეიმოდ მოერთოთ და მოეკაზმათ. ძვირფას ხალიჩაზე ბალიშები და მუთაქები ეყარა. დაბალ სუფრას ღვინით სავსე დოქები, თიხის ჯამები, ხილი და კახური ჩურჩხელები ამშვენებდა. თეიმურაზი შესამჩნევად გამელოტებულიყო, წვერში თეთრი

გარეოდა, მასთან შედარებით ჩია, ჯანნაკლული კაცის მთა-ბეჭდილებას ტოვებდა. საუბარი ერთმანეთის მოკითხვით, ძველი ამბების მოგონებით და ღვინის სმით დაიწყეს. ღვინო ჩინებული იყო. ისე სიამოვნებდა, როგორც უკვდავების წყალი. ერთი წუთით ყველა დაბრკოლება აღმოიფხვრა, წარსული და აწმყო ერთმანეთში აირია, გადახალისდა. ღვინით დამტკბარს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს არავისი არაფერი მართებდა, მით უმეტეს ისეთი გადამთიელისა, როგორიც ნადირ-შაჰი იყო. ჯავრი შაჰებისა და სპარსელების სჭირდა, თორემ თეიმურაზს უსიტყვოდ ჩააბარებდა ციხეს. მეფე სხვას არც სთხოვდა არაფერს. ციხე ჩამაბარე, ერთგულება ხატზე შემომფიცე და დღეიდან შენთვის სახლთუხუცესობა მიბოძებიაო. ხატის შიში არასოდეს ჰქონია, როგორც კი მოჰგვარეს, ისე ეამბორა, როგორც უცხო, შეუცნობელი სამყაროს მკვიდრს, რომელსაც ამქვეყნის აღარაფერი ეკითხებოდა. თეიმურაზმა ხალათი აჩუქა, ღვინით სავსე თასი გადმოულოცა, მაგრამ ჯერ ერთი შერიგება მას დროის მოსაგებად სჭირდებოდა და არა იარაღის დასაყრელად, მეორეც მეფე სხვის ნებას ემორჩილებოდა და ასე ადვილად ვერ ენდობოდა. ერთხანს უდარდელი კაცივით ოხუნჯობდა, ხალათის ჩუქებაზე და მუსლიმანთა წეს-ადათებზე არაკებს ჰყვებოდა, შემდეგ კი თეიმურაზს თვალი გაუსწორა და მოურიდებლად უთხრა:

— ციხეს იმ დღესვე მოგართმევთ, რა დღესაც ნადირ-შაჰისაგან უვნებლობის რაყიმს მომიტანთ.

თეიმურაზს მოგვარებული საქმის გადადება არ ესიამოვნა, მაგრამ ჭირვეულობა არ დაუწყია. თხოვნა იქვე, მისი თანდასწრებით შეადგინეს, რევაზ ამილახვარს ჩააბარეს და სპარსეთ-

ში გაგზავნეს. ისპაჰანამდე მისვლა-მოსვლას სამი თვე სჭირდებოდა, სამ თვეში კი, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, სადაც შაჰებს უფრო ხშირად კლავდნენ, ვიდრე მამლებს.

•

სიმხურვალისაგან ფერმიხდილი ცა მძიმედ აწვებოდა შხრებზე, თვალისმომჭრელი სინათლე, რყევა, ნჯღრევა, უკან მოხედვა და წინ ყურება ღლიდა, აღიზიანებდა, მაგრამ იგი სხვებზე ძლიერი, სხვებზე მეტად ნაჯახირები, ნაწანწალები იყო და მოშვების, წელში მოხრის უფლება არ ჰქონდა. მის ზურგს იმდენი თვალი უყურებდა, რამდენი კაციც მოჰყვებოდა გზას. სანამ მწვანე მინდვრების, მჩქეფარე მდინარეების მახლობლად ცხოვრობდა, დამსკდარი, დაბზარული დრო სურამის ციხის კედელივით შეკრული ჩანდა, მაგრამ უდაბნოს ცხელმა ჰაერმა დუღაბი წებოსავით გაალხო, კედელი მოირღვა და დრო უამრავ ნაკვეთურებად დაიშალა. მათ შეწებებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთი ნაკვეთური მახვილი წახნაგებით კაწრავდა გონებას და ისე ექაჩებოდა უკან, თითქოს ქვეყნად შესაცნობი და დასამახსოვრებელი აღარაფერი იყო.

სამი თვის მანძილზე ციხის კარი არ დაუკეტია. ზარბაზნების ქუხილი ლოდინმა შეცვალა, მტრობა კეთილგანწყობილებამ. ციხის წინ გაშლილ ტრიალ მინდორზე საღამოობით ბაზრობა იმართებოდა. თურქი, ლეკი, სპარსელი და ქართველი ჯარისკაცები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ვაჭრობდნენ, ყომარს თამაშობდნენ, ხოლო ზოგჯერ ჭიდაობაც კი იმართებოდა. ჭიდაობის დროს ყველა თავისიანს უჭერდა მხარს და იყო ერთი

გაუთავებელი ყიჟინი, ტაშის ცემა და „ლა-ილას“ ძახილი. ამასობაში ციხე ნაგვისა და სიბინძურისაგან გაწმინდა, დაზიანებული კედლები შეუმჩნევლად შეაკეთა, სურსათ-სანოვაგის, თოფისწამლის, ყუმბარების მარაგი შეამოწმა და დარწმუნდა, რომ ერთ წელიწადს ისევე გაუჭირვებლად დაიცავდა თავს, როგორც მანამდე იცავდა. ქვეყანა, რომელსაც ათასი ჯურის ურდოები დაუკითხავად ისაკუთრებდნენ და სახეს უცვლიდნენ, არ იყო ისე გარდასახული და განაწილებული, რომ კაცი კაცის კვლისაგან გაეთავისუფლებინა, ძალა სიმართლისათვის დაემორჩილებინა. მას შემდეგ, რაც ლეკებმა მათი მამული ააოხრეს და მან, ჯერ კიდევ ბავშვმა, საკუთარი გამჭრიახობისა და სიმამაცის წყალობით დააღწია თავი ტყვეობას, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ეს ქვეყანა ძალადობის ბუდეა და თუ არსებობა გინდა, უამრავ კაცურ თვისებებზე უნდა აიღო ხელი. ხელის აღება ძნელი არ იყო, მაგრამ უმწეობის უკან დგომა დათმობას თხოულობდა. დათმობა — ყმობას, ყმობა — ხოხვას, ხოხვას კი ისევ საფრთხის წინაშე დგომა და კაცურად ცხოვრება სჯობდა. ამიტომაც ვერ ელეოდა ხმალს, ციხეს, თავისუფლებას.

როცა რევაზ ამილახვრის დაბრუნების დრო დადგა, ციხის კარი ჩაკეტა და გარეთ აღარავის უშვებდა. პასუხი შეიძლება დადებითიც ყოფილიყო და უარყოფითიც, უფრო დადებითი, რადგან ნადირ-შაჰი ჭკვიანი კაცი იყო და ბრძოლის გაგრძელებას ერთი კაცის სიტყვიერად შეწყნარებას ამჯობინებდა, მაგრამ პირადად მას ზოგჯერ დადებით პასუხს უარყოფითი ერჩია, სამი წლის მანძილზე მას და მის მომხრეებს თავისუფლება ისე გაუჯდათ ძვალ-რბილში, სულის ფსკერიდან ამოხეთქილმა წყარომ ისე ამოავსო სიცარიელე, რომ ზარბაზნების

ქუხილისა და ბედთან ჭიდილის გარეშე არსებობა ვერც კი წარმოედგინათ.

რევაზ ამილახვრის სპარსეთიდან დაბრუნება მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა ციხეში ნადირ-შაჰის მიერ გამოგზავნილი რაყიმი შემოუგზავნეს. აღმოსავლეთის უძლიერესი მეფე და უნიჭიერესი სარდალი, რომელმაც ტახტი და ძალაუფლება საკუთარი ჭკუისა და ვაჟკაცობის წყალობით მოიპოვა, დიდაცური შემწყნარებლობით წერდა, შენს მიერ ჩადენილი დანაშაული, შენს მიერ დაღვრილი სისხლი, ჩვენი გაძლიერების მოსურნე, ჩვენი ერთგული მეფის, თეიმურაზის ხათრით გვიპატიებიაო. ცოტა ქვევით კი ფიცს დებდა, თუ მომენდობი, არას გავნებო. თავის გადარჩენის უკეთესი შემთხვევა აღარასოდეს მიეცემოდა, ხელში ბეჭედდაკრული, ხელმოწერილი რაყიმი ეჭირა, მაგრამ ბედს მაინც ეწინააღმდეგებოდა, უნდოდა ბოლომდე გამოეცადა განგება, მანამდე ევლო უფსკრულის პირას, სანამ ან თვითონ არ გადაიჩეხებოდა, ანდა უფსკრული არ ამოივსებოდა. ამასვე ამბობდა ის ცაც, რომელიც თავზე ეხურა. თეიმურაზი, ალი-ხანი და ალბათ თვით ნადირ-შაჰიც დარწმუნებული იყვნენ, რომ შეწყნარების შემდეგ იგი ბედს დაემორჩილებოდა, ციხიდან კისერზე მარყუჟჩამოკიდებული გამოვიდოდა, მაგრამ მომავალი ყოფის წარმოდგენით გაღიზიანებულმა ჯარისკაცებს კარები ურდულებით ჩააკეტინა. მეთოფურებს ყველა ზარბაზანი გაატენინა და ლანძღვა-გინებით ესროლა მიღმა დარჩენილ ქვეყანას.

●

სპარსეთიდან მომავალ მხედრებს წინ მტვრის სქელი ფენა მოუძღოდა და გარემოს სისადავეს სტაცებდა, აბუნდოვანებ-

და. ამ ბუნდოვანებაში ვიღაცის ბედის ძახილი ისმოდა. რამათ შორის, ვისაც გზადაგზა ტოვებდა, ბევრი ერია ბედდამწყარი, მაგრამ უდაბნო ოთხივე მხრივ ხსნილი იყო და შეიძლება ის, ვინც უკან ჩამოიტოვა, კვლავ წინ დახვედროდა, გამოლაპარაკებოდა, პასუხი მოეთხოვა. პასუხს თხოულობდნენ მკვდრებიც და ცოცხლებიც, თხოულობდნენ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მის მეტი ცოდვილი არავინ იყო ამქვეყნად, მაგრამ წარსული მარტო მისი საკუთრება როდი იყო, ყველას უფლება ჰქონდა ისე გადაეთვალა და გადაეფურცლა დასვრილ დღეთა სქელი შეკვრა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა.

სურამის ციხე მრისხანედ ულრენდა ირგვლივ შემომდგარ მტერს, მისი კედლების სისქე და სიმაღლე საიმედო იყო, მაგრამ გარე სამყაროსთან აღარაფერი აკავშირებდა. შეიძლება სწორედ ეს შებოჭვა, გარდუვალობასთან ქიშპობა მატებდა ძალას. ზარბაზნები ზოგჯერ ისე ქუხდნენ, თითქოს ციხე უზარმაზარი, საიერიშოდ დაძრული ხომალდი იყო, რომელიც მტრის ბრტყელძირიან ნავებს ნაფოტებად აქცევდა და სამშვიდობოზე გავიდოდა. მზისა და ქვამლისაგან სახეგარუჯული ჯარისკაცები იღრინებოდნენ, იგინებოდნენ, ერთმანეთს სროლაში ეჯიბრებოდნენ. ყიზილბაშებმა რამდენჯერმე სცადეს ციხის იერიშით აღება, მაგრამ უკან ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ. ციხე არ ტყდებოდა, არ ტყდებოდა არც შიგნიდან და არც გარედან. ნადირ-შაჰი კი ჩქარობდა, შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდა, მაგრამ სასიხარულოს ვერაფერს ატყობინებდნენ. ბოლოს შიკრიკების ნაცვლად მხატვრები გამოგზავნა, ციხე ჩაახატვინა და როცა დახედა, თეიმურაზს და ალიხანს შემოუთვალა, ციხეს ირგვლივ მაღალი გალავანი შემოავლეთ, ჯარი მიუყენეთ და მეციხოვნენი ნებაყოფლობით დაყრიან

იარაღსო. იმ დღიდან მტრის ბანაკი აფუსფუსდა, დაიწყეს მიწის თხრა, ქვისა და დუღაბის მოზიდვა, ციხის ირგვლივ ციხის აგება. ორი თვე გრძელდებოდა ურმების წინ და უკან ტრიალი, ხარაჩოების ზრდა, კალატოზებისა და დურგლების წელის წყვეტა, მაგრამ, როცა გალავნის შეკვრა დაიწყეს, ზარბაზნებს ტუჩი დაახრევინა და მანამდე ესროდა ჯერ კიდევ სველ კედლებს, სანამ ერთიანად არ დაანგრია.

ბგერათა აღრევამ, ცხელმა ქარმა და წინათგრძნობის გაბუნდოვნებამ აზრს გზა გადაუღობა, მაგრამ ამილახვარმა გზაში ადევნებული, წებია შთაბეჭდილებები თავიდან მოიშორა და მხედართა მოახლოებულ ჯგუფს გახედა. ჯგუფს წინ ყორნისფერ ულაყზე ამხედრებული, სქელი წვერით სახეშემოსილი მამაკაცი მოუძღოდა, რომელიც თავს არც მარცხნივ აბრუნებდა და არც მარჯვნივ. ამ სიშორეზე კაცის ცნობა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩაცმულობით და მიხვრა-მოხვრით მხედრები ქართველებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სპარსელებს. რაღაც შეუმჩნეველი, თვალით დაუნახავი ცხადყოფდა, რომ ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ბრუნდებოდნენ იმ ქალაქში, საიდანაც იგი დასასჯელად წამოიყვანეს. ვიღაცამ ვალი თუ სასჯელი მოიხადა, თავი მხრებზე შეინარჩუნა და ტკივილი იმავე დროს შეაჩეჩა ხელში, რომელიც მას დასახიჩრებით ემუქრებოდა. მუქარა იზრდებოდა, მძიმდებოდა, მაგრამ საბედისწერო დღის დადგომამდე ჯერ კიდევ შეიძლებოდა აღრეულ ბგერათა დალაგება და დახშული აზრისათვის გზის გახსნა.

როგორც კი დათბა, როგორც კი სათოფურებში ცხოველმყოფელი სხივები შემოიჭრა, ნადირ-შაჰმა თავის ხარლლებს ტყვიაწამალი გამოუგზავნა და შემოუთვალა, თუ ციხის აღება ვერ მოახერხეთ, მისი დანგრევა მაინც უნდა შეძლოთო. დადგა გადამწყვეტი ბრძოლების ჟამი. თეიმურაზს და ალი-ხანს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ. რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ციხე ან უნდა აეღოთ, ანდა დაენგრიათ. საქმის გაჭიანურება ღალატის, დანაშაულის ტოლფასოვანი იქნებოდა და ამას ნადირ-შაჰიც ასე ახსნიდა. ბოლო დროს კი მის გაღიზიანებას ყველა ერიდებოდა. ტახტზე ასული მწყემსის შვილი აღარ იყო ის კაცი, ვინც ჯარისკაცებთან ერთად ლაშქრობის ყველა სიდუხჭირეს იტანდა, ვინც მართალს მოყვრულად ეჭცეოდა და მტყუანს მტრულად, ვინც ყველა წინააღმდეგობის მორიგებას, ქვეყნის წუმპედან ამოთრევას ცდილობდა. დრომ, ქაოსის შეუმუსვრელობამ და ცხოვრების უკუმგდებელმა ძალამ ეჭვიანი და ვერაგი გახადა, ტირანად აქცია, ხოლო მას შემდეგ, რაც საკუთარ შვილს ღალატისათვის თვალები დათხარა და მისი მომხრეები საიქიოს გაისტუმრა, ქვეყანას მაჯლაჯუნასავით დააწვა თავზე, ნადირ-შაჰს რომ საწოლში ან აბანოში მოკლავდნენ, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ეს დღე შეიძლება მისთვის გვიან დამდგარიყო.

თეიმურაზმა და ალი-ხანმა ციხის აღებას მისი დანგრევა ამჯობინეს. გაზაფხულის ჰექა-ქუხილი ცხვრებს, ცხენებსა და ღორებს აფრთხობდა, გალუმპული, უძინარი ჯარისკაცები ზეზეულად თვლემდნენ. ყუმბარები რომ არ გამოლეოდა, მტერს ციხის კედელთან არ მოუშვებდა, მაგრამ ბოლო დროს მის ნებაზე ცოტა რამ იყო დამოკიდებული. თითო-ოროლა გასროლა

დახველებას უფრო ჰგავდა, ვიდრე გაავებულ ყეფას. მოწინააღმდეგე აღარ ერიდებოდა, აღარ უფრთხოდა. ყიზილბაშებმა და ქართველებმა მსხვილი მორებისაგან საფარი გააკეთეს, ხმლის მაგივრად წერაქვები მოიმარჯვეს და საძირკვლის გამოთხრა დაიწყეს. ტყვია და ლოდი ვერაფერს აკლებდა მსხვილ მორებს. კედლებს რომ სული ჰქონოდათ, ალბათ, იმასვე იგრძნობდნენ, რასაც მათი დამცველები გრძნობდნენ — ძალთა თანაფარდობის დარღვევას და მკლავის მოდუნებას. დენთით სავსე კასრები ციხემდე ურმებით მოზიდეს, ძირგამოთხრილ კედელს ქვეშ შეუწყვეს და პატრუქს ცეცხლი წაუკიდეს. აფეთქებამ მთელი ციხე შეარყია, კედელი ერთ-ორ ადგილას გაიბზარა, მაგრამ არც დანგრეულა და არც გვერდზე გადაქანებულა. კედლის სიმტკიცემ ჯარისკაცები გაახარა, გაათამამა, ისე იქცეოდნენ, თითქოს ციხეს ღვთის ხელი იცავდა. ერთხანს მტერიც გაოგნებული ჩანდა, მაგრამ შემდეგ ისევ დაიწყეს საძირკვლის გამოთხრა, დენთით სავსე კასრების ურმებით მოზიდვა. წერაქვების ყრუ კაკუნი ზოგჯერ ციხის ეზოშიც კი ისმოდა. იმ დილით ჯარისკაცებს კედელთან ახლოს მისვლა აუკრძალა, საკუთარ თავს კი დღეების თვლა. თუმცა გარდუვალობისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა დალამებას და გათენებას, გამარჯვებას და დამარცხებას, საბედისწერო დღე სხვა დღეთა რიგს არ გამოაკლდებოდა, თავს არ დაიჩაგრავდა. ძლიერმა აფეთქებამ კედელი ჰაერში აიტანა, დაფშვნა და მტვრად აქცია. სანამ დაჭრილთა ღრიალი ცოტათი მინელდებოდა და მტვერი გაიფანტებოდა, ყრუ და ბრმა იყო, მაგრამ როცა ქარმა რუხი ფერის ღრუბელი გადარეკა, მის წინ ღია სივრცე აღმოჩნდა. ციხეს ცალი კედელი მორღვეული ჰქონდა. ფართო ღიობიდან მწვანე ველი და ტყით შემოსილი ფერდობები მოჩანდა. ეს

ნაური, შემზარავი საყურებელი იყო კედელმორღვეული ციხე, მაგრამ გულში შიშის ნაცვლად სევდამ დაისადგურა, გაურკვეველმა, უტყვმა სევდამ, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. ერთი კედლის აფეთქებამ ოთხი წლის ბრძოლა სასჯელად აქცია, ამ მტვრიან გზაზე გამოისროლა.

მწვანე ფოთლების შრიალმა შიშველი ქვეყანა შემოსა, ჯგუფად დარგული ხეები ეკლესიასავით მყუდრო და ჩრდილით სავსე ჩანდა. ამ დიდებული ტაძრის მახლობლად ეკვნებიც კი სხვაგვარად ელერდნენ. ჩრდილისა და სინათლის ზღვარზე მზით გაბუნდოვანებული მიწის პირი ცხადად იკვეთებოდა, იკვეთებოდა სპარსეთიდან მომავალი მხედრების სახეებიც. წინ მომავალი მამაკაცი ჯგუფად დარგულ ხეებს ყურადღებას არ აქცევდა, გზას ისე მოჰყვებოდა, თითქოს სივრცეს მოარღვევდა. ყორნისფერი ულაყი გარემოსადმი მეტ ინტერესს იჩენდა, ვიდრე მისი პატრონი. უეცრად ამილახვარმა ჰუჰყიანი ხელი მოიჩრდილა და მზერა დაძაბა. ზვიადი, მზერაგაყინული მამაკაცის ერთი ნაკვთი ნაცნობი ეჩვენა, მალე ნაცნობ ნაკვთს სხვა ნაკვთებიც ამოუდგნენ გვერდით და როცა სახე მთლიანად გამოიკვეთა, გაკვირვებისაგან ერთი გაბმული ბგერა აღმოხდა. მის წინ შანშე ერისთავი იდგა.

II

ჩრდილმა აქლემებიც დაიტია, ცხენებიც და ადამიანებიც. მუსლიმანებმა სუფრა იმ ადგილას გაშალეს, სადაც მიწიდან წყალი მოჩუხჩუხებდა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ მიწაში იკარგებოდა. ქართველებმა კი მწვანე მოლი დაისაკუთრეს, რომლის ბუნებრივი სიხალისე ყველა ხალიჩის მქსოველს

შეშურდებოდა. ამილახვრის მხლებლებს შანშე ერისთავის ცოლ-შვილი, რძალი და ძმისწულები შეუერთდნენ. ადამიანების ფუსფუსმა, ცხოველების ქშენამ და ჭურჭლის, ეჟვნებისა და რკინის ჟღარუნმა ჯგუფად დარგული ხეები მართლაც თავშესაფარს დაამსგავსა — მწვანე ჭერით გადახურულ, სულის დამაშოშმინებელ ღვთის კარავს, სადაც ფარდაგზე მუხლმოყრილი მუსლიმანები ისევე გულმხურვალედ ლოცულობდნენ, როგორც კათედრალურ მეჩეთში.

თავისიანებთან პურის ჭამა მხოლოდ ორმა კაცმა არ ისურვა — გივი ამილახვარმა და შანშე ერისთავმა. სუფრა მათ ცალკე გააშლევინეს, სკამებად უნაგირები გამოიყენეს და ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ. სუფრას ხილი და მწვანილი აკლდა, მაგრამ ამილახვარს გვერდით ღვინით სავსე ტიკი ედო და ისე ეფერებოდა, როგორც ახალშობილ ხბოს. მხოლოდ ღვინოს შეეძლო უგუნებობის გაფანტვა, ქვეყნის შეფერადება, იმ მანძილის შემცირება, რომელიც მათ ერთმანეთისაგან და სხვებისგან თიშავდა.

სანამ სუფრას აწყობდნენ, ხმა არც ამილახვარს ამოუღია და არც ერისთავს, მაგრამ როცა მარტო დარჩნენ, ღმერთი ახსენეს, პირჯვარი გადაიწერეს და პური გატეხეს. იმ ადგილიდან, სადაც მუსლიმანები ისხდნენ, ყელში დანაგაყრილი ცხვრის ბღავილი მოისმა. შანშე ერისთავი ადრინდულად ზვიადი და მიუკარებელი ჩანდა, მაგრამ შიგნით რაღაც მორღვეოდა, დასჭკნობოდა. ორი ბნელი ორმო ქვეყანას უჩინარს, უსაგნურს ხდიდა. ამილახვარმა ტიკს პირი მოხსნა, ჯამები გაავსო, ერთი ერისთავს მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო ხელში და ავბედითობას შეჩვეული კაცის უდარდელობით თქვა:

— მასპინძლობა დღეს მე მეკუთვნის, შანშე-ბატონო, ეტ-

ყობა, ჩვენი შეხვედრა წინასწარ ჰქონდა ვილაცას ნავარაუდევი, იცოდა, რომ თვალდათხრილი და თვალდასათხრელი უხმოდ არ ჩაუვლიდნენ ერთმანეთს გვერდით, თორემ ყველაფერი რომ შემთხვევითობას დავაბრალოთ, მაშინ დაბადების დღიდან ვყოფილვართ ნაავხორცალი და ნაცოდვილარნი.

— ეს ქვეყნის ნათრევი ქვეყანა შენთვის ყოველთვის უფრო იყო სახლი, ვიდრე ჩემთვის, გივი-ბატონო.

— ამ მოუწყობელ სახლში სასიკეთო არაფერი ხდება, მაგრამ ღვინო ჯერ არ გამოლეულა.

— სადაურია?

— ატენური.

— გზაში გაილახებოდა.

— საზრუნავს ჩვენ რა გამოგვილევს, შანშე-ბატონო, მაგრამ გალახული ქვეყნის შვილს გალახული ღვინოც მოიყვანს ხასიათზე. ღვინის სმა და თვალების დათხრა კაცობრიობამ თითქმის ერთდროულად დაიწყო.

შანშე ერისთავმა გაღიმება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სქელი წვერი მის დამძიმებულ, მკაცრნაოჭებიან სახეს კიდევ უფრო ამძიმებდა. ამ სიმძიმის მიღმა მარტო წარსული კი არ იმალებოდა, არამედ რაღაც ისეთიც, რის დაჯერება გარედან მაცქერალს უჭირდა. ძნელი იყო სიბრძნისა და სიშმაგის მორიგება, იმის დანახვა, რომ ეს ხეიბარი კაცი ოდესღაც მართლაც ჩვილი ბალღი და უმწეო არსება იყო.

ამილახვარმა თავი მოაბრუნა და მზის ქვეშ გართხმულ ქვეყანას გახედა. ორი ქედდახერგილი ბორცვი ისე ხშირად კვეთდა ერთმანეთს, რომ შორიდან მსხვილ დაგრეხილ ბაგირს ჰგავდა.

— ეს მწვანე კუნძული რომ ვილაცას მსხვილი თოკით არ

დაება, ტივტივს დავიწყებდით და უდაბნოს ველარასოდეს დავაღწევდით თავს, — თქვა ამილახვარმა და თვალები ისე მოჭუტა, თითქოს გახურებული მზე ხეებს შორისაც შემოიჭრა.

— ჩვენ უკვე კარგა ხანია ვტივტივებთ, გივი-ბატონო.

— ტივტივს როგორმე გავუძლებთ, მაგრამ ნავი თუ გადაბრუნდა, შორიდან დაძრული, გახურებული ტალღები ჩვენს ნაგვემ სხეულს ირგვლივ შემოერტყმება, სითხეს გამოსწოვს, გამოაშრობს და მანამდე არ მოეშვება, სანამ არ დაანახშირებს.

— ერთხელ მე ეს უკვე გამოვცადე, მას შემდეგ მზეც კი შავი ფერისაა.

— შავი მზე, ალბათ, თეთრზე უფრო მცხუნვარეა. კიდევ კარგი, დაბმული ვართ, თორემ ვერც ღვინოს დავლევდით და ვერც ორიოდე სიტყვას ვეტყოდით ერთმანეთს.

შანშეს თავი არ აუღია, გვერდზე არ გაუხედავს. ქვეყანას მისთვის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე აკლდა, ყველა ფერს ერთი თალხი ფერი ჩრდილავდა და ადედებდა.

— რა უფრო გესიამოვნება, შანშე-ბატონო, ხბოს ხორცი თუ გუდის ყველი?

— ეშმაკი თუ მართლა დაბორიალობს ამქვეყნად სადმე, ჩვენი შემხედვარე სიცილით უნდა კვდებოდეს. — თქვა ერისთავმა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს რაღაც დათმო, სამუდამოდ ამოირეცხა გულიდან.

— ეს ცხოვრება რომ უკბილო ხუმრობა და უთავბოლოდ წაღმა-უკუღმა ტრიალია, ამას ეშმაკის სიცილზე უფრო ჩვენი შეხვედრა ადასტურებს, შანშე-ბატონო, მაგრამ მე მაინც მიხარია, ცოცხალს რომ გხედავ, თავი რომ მხრებზე გაბია. ჩვენს უბედურ თავს დაბადების დღიდან იმდენი მახვილი ემუქრება,

რომ აღარც კი იცი რომელს მოერიდო. აწი, თუ ქვეყანა არ დაიქცა, ჭერსა და საწოლს აღარავინ შეგეცილება, შენი თავის ბრალმდებელიც და დამცველიც შენვე იქნები. იცოცხლე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს და მშვიდობიანად ჩაგიყვანოს საქართველოში.

— საქართველოდან ორი მახვილი თვალი წამოვიღე, უკან კი ორი ბნელი ორმო მიმაქვს. ამ თვალების დათხრაში შენც მიგიძღვის ბრალი, გივი-ბატონო, მაგრამ ბედმა მაინც აგარიდოს ის მძიმე ხვედრი, რაც მე მარგუნა წილად.

შანშე ერისთავმა ჯამი ისე მიიტანა პირთან, თითქოს ბალზამით იყო სავსე და როცა დაცალა, დასახიჩრებული სახის ერთი მკაცრი ნაოჭი შეურბილდა.

— რამდენი ხანია ღვინო არ დამილევია, ღვინო კი არა, პურიც არ მიჭამია ხეირიანად. თვალების დათხრას ისე არ გავუმწარებივარ, როგორც უმწეობამ, ხეიბრობამ გამაწვალა. არ მინდოდა სიკვდილი იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი სისხლის სუნითაა გაჟღენთილი, სადაც ჩემისთანა გადამთიელის საფლავს მიწასთან ასწორებენ. შეიძლება მცირედი სიხარული მე კიდევ მელის ამქვეყნად, თუ ვერ დავინახავ, ფეხს მაინც დავადგამ მშობლიურ მიწას, მაგრამ რა ვუთხარი ისეთ დროს, როცა ყოველი მისწრაფება შეცდომაა და ყოველი კაცური საქმე დანაშაული, — თქვა შანშე ერისთავმა და პურისა და ყველის ნაჭერს ისე ადვილად ძიაგნო, თითქოს სიბრმავეს მისთვის ხედვის უნარი არ წაურთმევია.

— ეს ქვეყანა თუ აბუჩად არ აიგდე, იმ ორიოდე სასიამოვნო წუთსაც წაგამწარებს, რომელიც დიდი ვაი-ვაგლახით უნდა დასტყუო. ეტყობა, მართლები იყვნენ ჩვენი წინაპრები, როცა ამბობდნენ, ცხოვრება იმისთვის კი არაა შექმნილი,

რომ გეფეროს და თავზე ხელი გისვას, არამედ გაცდუნოს და ან საკუთარი თავის გმობამდე მიგიყვანოს, ანდა დანაშაულამდეო.

— როცა ჯაჭვით დაგაბამენ და თვალებთან გავარვარებულ ფირფიტებს მოგიტანენ, ქვეყანა ქრება, ქრება ყველაფერი, რისი აბუჩად აგდებაც შეიძლება და მზად ხარ დასაკლავ ხარივით იბღავლო. სიკვდილისა და წამების წინ ცხოვრება იცვლება, სულ სხვაგვარ სახეს ღებულობს.

თვალდათხრილი ერისთავი მის წინ იჯდა, ღვინოს სვამდა, ლაპარაკობდა, მაგრამ წამება და ადამიანი ერთად ვერ თავსდებოდა, ასეთ შესისხლხორცებას ცოცხალი აზრი და დღის სინათლე ვერ ჰგუობდა.

— მე, როგორც ვხედავ, ცხოვრების სახის ცვლა კაცს ჭამის მადას და ღვინის სმის სურვილს არ უკარგავს. — თქვა ამილახვარმა უფრო შთაბეჭდილების შესამსუბუქებლად, ვიდრე ჯერ კიდევ გაუხუნარი ტკივილის გასაღიზიანებლად.

შანშე ერისთავს გაეღიმა, მაგრამ მის ღიმილში იყო რაღაც დაუძლეველი, ღიმილის უარმყოფელი.

— ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ბრმას თვალით გაძღომა არ შეუძლია.

— გაუმაძღრობა მარტო თვალის თვისება როდია.

— წარმოდგენით შექმნილ ფასეულობას ფასი არა აქვს, გივი-ბატონო.

ღვინომ, ჩრდილთა სიმკვეთრემ და წყლის სიახლოვემ ქვეყანა გადაასხვაფერა, დროს რაღაც ისეთი შესძინა, რაც მანამდე არ ეგუებოდა, არ ერწყმოდა. გივი ამილახვარი შანშე ერისთავის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, ცდილობდა დაენახა, რა კვალი დატოვა მის სულში ტკივილმა, უმწეობამ,

ქვეყნის გაუჩინარებამ, რისთვის ბრუნდებოდა საქართველოში — სასიკვდილოდ, წამებულის როლის სათამაშოდ თუ დაკარგულის ასანაზღაურებლად.

შანშე ერისთავმა ამილახვარს ჯამი ჩამოართვა და ბრმა თვალებით სივრცე მოქაჩა, მოთოკა.

— შენს სახეზე მე ახლა არაფრის ამოკითხვა არ შემიძლია, გივი-ბატონო, მაგრამ ზოგ რამეს თვალით დანახვა არც სჭირდება. სიბრმავე ხეიბრობა უფროა, ვიდრე სიბეცე. ის, რაც შენ გაინტერესებს, მე თითქმის მოვინელე — წამებასაც გავუძელი, მარტოობასაც და სინდისის ქენჯნასაც, მაგრამ იმ საბედისწერო დღიდან დამწვარი ხორცის სუნი და გამქრალი სივრცის შმუშვნის ხმა სამყაროს თვისებაც გახდა.

ამილახვარმა ღვინის ძალა იგრძნო და ისე მოავლო თვალი ქვეყანას, თითქოს მასთან ერთად თვრებოდა მიწაც, ცაც და მწვანე ფერიც. იცვლებოდა არა მარტო ხილული ნიშნები, არამედ ღვთის ხელწერაც.

— ჩემთვის ჯერ თვალები არ დაუთხრიათ, შანშე-ბატონო, მაგრამ სამყარო მაინც ისე კარგავს და იძენს თვისებებს, როგორც ეს ღვინო ფერსა და გემოს. როცა საკუთარ სახლში ფეხს შესდგამ, ქვეყანა გამარტივდება, წარსული ბურუსში გაეხვევა და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მრავალჟამიერიც კი შემოსძახო.

— ქართველებს რომ ნაკლები გვემღერა და მეტი საქმე გვეკეთებინა, შეიძლება ამ დღეში არ ჩავვარდნილიყავით.

— შავი დღე ისეთ ხალხსაც დასდგომია, რომელიც ნაკლებს მღეროდა და მეტს აკეთებდა. ეტყობა, გაჩენის დღიდან ჩვენ ზუსტად იმდენი შეცდომა ჩავიდინეთ, რამდენსაც მუხთალი ბედი თხოულობდა. ახლა კი სიმღერა ბედის გამოწვევა

უფროა, ვიდრე დანაშაული. დავლიოთ, შანშე-ბატონო, მარხვით ღვთის გულს მაინც ვერ მოვიგებთ, მამაზეციერმა კარგა ხანია ჩაიქნია ხელი ჩვენზე. გაუმარჯოს გაუმარჯვებელთა ბრძოლას!

ამილახვარს ღვინო სწყუროდა და როგორც კი ყელიდან ბგერები ამოუშვა, ჯამი პირთან მიიტანა. ის, რაც არ მომხდარა, შეიძლება არც მომხდარიყო, შეიძლება სადღაც უკვე ილესებოდა სისხლმოქარბებული ბრალმდებლის დასაკლავი დანა, შეიძლება ცოდვები და შეცდომები უკვე წყვილდებოდნენ ერთმანეთის გასაბათილებლად.

ამილახვარმა ცარიელი ჯამი სუფრაზე დააგდო და ამოქოლილ, ამოლესილ სათოფურებს შეხედა, რომელთა უკან მარადიული შუაღამე და დანახშირებული, დაკრუნჩხული გვამების მდუმარება სუფევდა. ერთ დროს მას და თვალდათხრილს რაღაც აკავშირებდა, უფრო მტრობა, ვიდრე მეგობრობა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მტრობაც იცვითება და მრავალი წლის შემდეგ ხელახლა იწყება ზოგი რამის მიჩქმალვა და ზოგის გამომზეურება, ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვების წინაშე ან თავის მოკატუნება, ანდა ყალყზე შედგომა. შანშე ერისთავი წამებული კი იყო, მაგრამ წმინდანობამდე ბევრი რამ აკლდა.

— როცა, აი, ასე ზიხარ, ღვინოს სვამ, ირგვლივ ჩრდილი გარტყია და დღის ჩვეულებრივ დინებას ხელს არაფერი უშლის, ქვეყანაზე თითქოს არც უბედურება არსებობს, არც საფრთხე და არც სასჯელი, არაფერი ისეთი, რაც ხალხს მუსრს ავლებს, ქალაქებს მიწასთან ასწორებს, სოფლებს წყალს ატანს. და უეცრად აბობოქრდება, წინ გადაგელობება, შეგაკრთობს, შეგზარავს და კიდევ ერთხელ დაგარწმუნებს, რომ

საფრთხე და საშინელება ამ ქვეყანაზე კი არ შემცირებულა, არამედ გაძლიერებულა, მომრავლებულა.

— უბედურების მეტი ჩვენ რა გვინახავს, გივი-ბატონო, მაგრამ რა ფრთხილადაც არ უნდა იყო, გულგრილობისა და უდარდელობის უკან ჩასაფრებულ უბედურებას მაინც ვერ შეუკრავ გზას. ამას წინათ სპარსეთის ერთი ქალაქის მოსახლეობა ისე ამოწყვიტა მუცლის მწვავე სახადმა, რომ ცარიელ ქუჩებში მხოლოდ ძაღლები და კატები დაეხეტებოდნენ. გასულ ზაფხულს ერაყში დიდი გვალვა იყო, გვალვას კალიების ლაშქარი მოჰყვა და ადგილობრივი მოსახლეობა ისე დაიმშა, რომ კაცი კაცის ხორცს ჭამდა. რამდენი მიწისძვრა, ჭირი, წყალდიდობა ახსოვს საქართველოს, რამდენი ცივი ზამთარი და შიმშილობა, მაგრამ ბუნების მტრობას როგორმე გავუძლებდით, ირგვლივ რომ ამდენი სისხლმოწყურებული მტერი არ გვეხვიოს.

— თამარის შემდეგ რომ კიდევ ერთი საუკუნე გაგვეძლო, მარტო მონღოლებს რომ გავმკლავებოდით, მერე აღარაფერი გვიჭირდა, მაგრამ მონღოლებმა და იმათმა ნაშიერმა წელში გაგვტეხეს. მას შემდეგ ვეღარ მოვმრავლდით, თავისუფლად ვეღარ ამოვისუნთქეთ. ქრისტეს ჯვრის ტვირთვამაც დაგვღალა. ოსმალებსა და სპარსელებს რა უჭირთ. სელიმ პირველმა ერთ დღეში ორმოცი ათასი შიიტი ამოწყვიტა და ამით მის სახელმწიფოს არაფერი დაჰკლებია, ჩვენ კი ორმოცი ათასი კაცი დიდი ხანია არ გამოგვიყვანია ბრძოლის ველზე.

— ძალა სწორედ მაშინ გვაკლია, როცა შეგნებული გვაქვს, ვინა ვართ, რა დღეში ვართ და რა გველის.

— ჩვენ არა მარტო ძალა გვაკლია, შანშე-ბატონო, არამედ დანიშნულებაც. ჩვენთან დაახლოებას და დამეგობრებას არა-

ვინ ცდილობს, არავის არაფერში ვჭირდებით. ქართველები გარიყული ხალხი ვართ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული მოვისპობით თუ შევრჩებით ამ ქვეყანას. გაუმარჯოს იმათ, ვინც მახეშია გაბმული და კბილებს მაინც ილესავს!

— რომ გვამტვრევენ ამ ალესილ კბილებს!?

— არაფერია, დაგვამტვრიონ. იცი, რომელიღაც ხალიფამ თუ სულთანმა მონადირეთუხუცესს უბრძანა, ლომებისათვის კბილები დაეძროთ, ბრეყალები დაეჭრათ და თავისუფლად გაეშვათ სასახლის დიდ ბაღში. ლომებს კბილები კი დააძვრეს, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ხალიფის რამდენიმე მოხელე შეეჭამათ.

— ერთი ასეთი არაკი რომ ნადირ-შაჰისათვისაც შემოინახო, შეიძლება ცალი თვალი შეინარჩუნო.

— თუ ცალი თვალი შევინარჩუნე, მეორეს ვეღარავინ დამთხრის.

შანშე ერისთავი აღარ იღიმებოდა ისე უსიამოდ, შემზარავად, როგორც შიგნეულობის ღვინით გაგრილებამდე. საკუთარ თავთან საუბარს ისევ ძველ მოქიშპესთან საუბარი ერჩია და მზად იყო მანამდე მჯდარიყო სუფრასთან, სანამ მასპინძელი მასპინძლობას გაუწევდა.

— ყანწებზე ხომ არ გადავსულიყავით, შანშე-ბატონო?

— არა, ჯამით სმა მირჩევნია.

მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა, მწვანედ შეფერადებული სინათლე რბილდებოდა, ყველა ის ნაჭრილობევი და ნაწიბური, ორ ბნელ ორმოს რომ გარს ერტყა, ცხადად იკვეთებოდა, სამინელებას სინამდვილის უტყუარი ნიშნებით ამძაფრებდა. თვალის რქოვანი გარსი, წინა სენაკის ნამი, ბროლი და მინი-

ლებური გარსი დამწვარი და განადგურებული იყო, მაგრამ დაუზიანებელი არც თვალის მამოძრავებელი კუნთები, თვალბუდე, ქუთუთოები და ცრემლის სადინარები დარჩენილიყო. მარჯვენა თვალის ზედა ქუთუთო ბასრ იარაღს დაეგლიჯა, მსხვილი ნაწიბურები ერთმანეთს შეზრდოდა. მარცხენა თვალის გარე კუთხე ცეცხლს ამოეჭამა, ორმოში კიდევ ერთი პატარა ორმო გაჩენილიყო. ერისთავს მსხვილი, გოროზი თვალები ჰქონდა, მაგრამ საკუთარი სახის დანახვა მას უკვე აღარ შეეძლო და მხოლოდ მას ზარავდა, ვინც მის თვალებს გარედან შეჰყურებდა.

— ის, რაც მე მაინტერესებს, უბრალო ცნობისმოყვარეობა არაა, შანშე-ბატონო, ხომ იცი, თვალდათხრილს თვალხილულთა შორის თვალდასათხრელზე უკეთ ვერავინ გაუგებს. რას წარმოადგენს ბრმისათვის ეს ქვეყანა?

შანშე ერისთავი ერთხანს დუმდა, საკუთარ წვერს ეფერებოდა, შემდეგ კი ბრმა თვალები ამოიწმინდა და ნაღვლიანად თქვა:

— იმასვე, რასაც თვალხილულთათვის. მე რომ დაბადებით ბრმა ვყოფილიყავი, მაშინ, ალბათ, არ მეცოდინებოდა, რომ ეს ქვეყანა არა მარტო ბრმებისათვისაა ბნელი, არამედ მხედველთათვისაც. საგნების ხილვის უნარმა იმაზე მეტი ვერაფერი მასწავლა, რაც სიბნელეში ყოფნამ და მარტოობამ, ახლა ყურადღება ნაკლებად მეფანტება, თვალით აღქმულის ერთმანეთთან დაკავშირება ან დაცალკევება არ მჭირდება და ამიტომ უფრო შიგნით ვიყურები, ვიდრე გარეთ. შიგნით ყურება გარეთ ყურებაზე უფრო იოლი და სასიამოვნო არაა, მაგრამ ერთი დიდი უპირატესობა აქვს, ბევრ რამეს ხედავ ისეთს, რაზედაც მანამდე წარმოდგენა არ გქონდა.

— თუ ბრმები ნათელმხილველები ხდებიან; მაშინ არც ისე ცუდად ყოფილა მათი საქმე.

— მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, გივი-ბატონო, ვისაც არ ესმის, თუ რა დიდი უპირატესობაა ქვეყნის საკუთარი თვალით დანახვა, არც იმათ, ვისაც სიბრმავით გამოწვეული უბედურება არაფრად მიაჩნია, მაგრამ ბრმებზე უაძრავ სასწაულებს ყვებიან. თქმულებას თუ დავუჯერებთ, ილიადა და ოდისეა ბრმა ჰომეროსმა შეთხზა. ერთი ბრმა იტალიელი მხატვარი საღებავებს თურმე მგრძნობიარე თითებით აზავებს და უჩვეულო ფერებს ქმნის. ამას წინათ ერთმა ინგლისში ნამყოფმა სპარსელმა თავადმა მიამბო, ვიღაც დაბადებით ბრმა ინგლისელი სწავლული დიდებულ ლექციებს კითხულობსო გეომეტრიაში. წინასწარმეტყველთა უმრავლესობა ან განგებ იბრუციანებდა თავს, ანდა, მართლაც, ბრმა იყო. ასე, რომ ბრმების საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც თვალხილულთ ჰგონიათ, მაგრამ მე უკვე იმ ასაკში ვარ, როცა კაცს შეგუების უნარი დაჩლუნგებული აქვს და არაფრის თავიდან დაწყება აღარ შეუძლია. სიცოცხლის დასასრულამდე ისიც მეყოფა, რაც მეხსიერებამ შემომინახა, რაც ერთ დროს საკუთარი თვალით აღვიქვი.

მოშრიალე ფოთლებით გადახურულ თავშესაფარში ადამიანების ყაყანმა, რკინის ჟღარუნმა და ცხოველების ქშენამ იკლო. საჭურისმა პურის ჭამა მოათავა, რამდენიმე ჯარისკაცი თვალყურის სადევნებლად დააყენა, დანარჩენებს კი უფლება მისცა თავქვეშ უნაგირები ამოედოთ და თვლემას მისცემოდნენ. ყველაზე უძლურს და ანჩხლს ყველაზე მეტი უფლებები ჰქონდა, მისი, რატომღაც, უფრო ეშინოდათ, ვიდრე ახალგაზრდა სპარსელი თავადიშვილისა. ამასობაში ქართველებმაც მო-

ათავეს ჭამა-სმა და თვალის მოსატყუებლად მდელოზე წამოწვნენ. საჭურისი მაინც ვერ ისვენებდა, ხეებს შორის დაბორიალობდა, ბრძანებებს ხან სპარსულად იძლეოდა, ხან თურქულად. ბოლოს მათ სუფრას მიუახლოვდა, შეთავაზებულ ღვინოზე უარი განაცხადა, მაგრამ სათქმელის თქმა მაინც ვერ გაბედა და უხმოდ გაბრუნდა უკან. მალე მისი არათანაბრად განვითარებული სხეული ისე მოიკრუნჩხა ხალიჩაზე, თითქოს დედის მუცელში ყოფნა მოენატრაო.

როგორც კი ღვთის კარავი თვლემას მიეცა, ბებერი, ნანგრევებითა და ერთფეროვანი ზმანებებით გაოგნებული ქვეყანა ცოტათი მოსულიერდა, გაახალგაზრდავდა, სხვებს განუდგა და მათთან მოცოცდა. მისი ნაჯიჯგნი, ნაოხრალი გარეკანი უამრავ მოუშუშებელ და მოშუშებულ იარებს დაეფარა, მაგრამ მაინც ცდილობდა მოღონიერებულიყო, უკეთ მოკაზმულიყო, მათთან ერთად ექეიფა, ყური დაეგდო, რას ეუბნებოდა თვალდათხრილი თვალდასათხრელს, რა ჰქონდათ ქართველებს სოფელთან სადავო.

— საჭურისი თავზე იმიტომ დაგვადგა, რომ ჩვენთვის პურის ჭამა ჩაემწარებინა, მაგრამ შენმა დათხრილმა თვალებმა შეაჩერა. — თქვა ამილახვარმა, როცა მიხვდა, რომ აწი მათ ხელს აღარავინ შეუშლიდა.

— საჭურისი რომ იყო, ხმაზე შევატყვე. შეიძლება იგი ჩემზე უმოწყალოდ აწამეს, მაგრამ მაგათ ხმასა და სუნს ველარ ვიტან. მიკვირს, როგორ ძლებს ჩემი ძმა იესე შაჰის კარზე, რას პოულობს მათთან საერთოს. იცოცხლე, გივი-ბატონო, ამ გზაზე ღმერთი შენზე უკეთესს ვერავის შემახვედრებდა.

შანშე ერისთავის მკაცრი ნაოჭები ერთმანეთს ეთიშებოდნენ და ცალ-ცალკე რბილდებოდნენ. მას უკვე აღარაფრის

შეცვლა, აღარაფრის გადასხვაფერება აღარ შეეძლო და თუ ქსნის ხეობის ჩამუქებულ ტყეებს დარუბანდის ციხის ქონგურები ცვლიდა, დარუბანდის ციხის ქონგურებს კი ხორასნის ჯურღმულები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

— ამ გზის კიდევ ერთხელ გავლას და უკან დაბრუნებას მე ალბათ ვეღარ შევძლებდი, ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა ამ ცხელ ჰაერს შეეზავებოდა, ჩემი ძვლები ამ უდაბნოში გაიბნეოდა, — თქვა ერისთავმა და უბიდან ქისა და ჩიბუხი ამოიღო. თამბაქოს წევას სპარსეთში მისჩვეოდა.

— ერთი საქმისათვის ორჯერ არავის სჯიან, შანშე-ბატონო, მაგრამ შენ იქნებ კიდევ აპირებ აჯანყებას?

ერისთავს გაეცინა.

— ჩემი ხნის კაცი და ისიც ბრმა თავის თავს თუ აუჯანყდება, თორემ სხვებს ვერაფერს დააკლებს. ცხოვრებამ იცის, სად შემოგაცვდა ჯავშანი, სად გაგიყაროს შხამიანი ნესტარი. უკან რომ გამარჯვებული დაბრუნებულიყავი, გზაში შემომეგებებოდნენ, თავს მდაბლად დამიკრავდნენ, მაგრამ თვალდათხრილს, შეიძლება, საქართველოში მეტი ბრალდება წამომიყენონ, ვიდრე სპარსეთში წამომიყენეს. ჩემი შინ დაბრუნება ჩემს მეტს არავის გაახარებს, ალბათ.

— მკვდრეთით აღმდგარი და შინ დაბრუნებული, მართლაც, არავის უყვარს, მაგრამ ძაღლებს ყოველთვის უხარიათ პატრონის დანახვა. რამდენადაც მახსოვს, მწევრებისა და ნაგაზების მთელი ხროვა გყავდა.

— თვალები რომ დათხრილი მაქვს, ეს არც ძაღლებს გამოეპარებათ მხედველობიდან, მაგრამ მე ჯერ ისიც არ ვიცი, დამიბრუნებენ მამულს თუ არა.

— უმამულოდ შენს არსებობას რა აზრი ექნება?

— მოსაპოვებელი სწორედ ისა მაქვს, რასაც სიცოცხლე შევალიე.

შანშე ერისთავი ყოველთვის პატარა ხელმწიფე იყო და მამულის დაბრუნებაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ტახტის ბოძებაზე. რბევისა და ძარცვის შემდეგ ქართველების ერთადერთი სიმდიდრე მიწა იყო და ამ მიწას კბილებით ებღაუჭებოდნენ.

— რომ არ დაგიბრუნონ, რას იზამ? — ჰკითხა ამილახვარმა.

— არ ვიცი, ქართლს ახლა მეფე და გამგებელი ჰყავს. თეიმურაზმა დიდი პატივი დამდო, ნადირ-შაჰს ჩემი თავი გამოსთხოვა, იქნებ მამულიც დამიბრუნოს.

ერისთავი ტყუილად უჩიოდა შეგუების უნარის დაჩლუნგებას. ხმის მიხედვით თვალხილულზე ნაკლებად არ ასხვავებდა ადამიანებს ერთმანეთისაგან, პურის, ყველის და ხორცის ნაჭერს ფრთხილად, მარჯვედ იღებდა სუფრიდან, ხოლო როცა ჯამს თითებს შორის ჩაიდგამდა, ცხადად გრძნობდა, პირამდე იყო სასმისი სავსე თუ არა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთად ისხდნენ, ხელიდან არაფერი გავარდნია, წვეთი ღვინო არ დაუქცევია. ნიჭს თავისი გაჰქონდა. ბრმა ერისთავი კაცურად იქცეოდა და ხეიბრობას თითქმის არ იმჩნევდა.

— ერთ დროს მეფის ყოლას უმეფობა გერჩია, შანშე-ბატონო. — თქვა ამილახვარმა ისე, თითქოს რაღაცამ გააღიზიანაო.

— უგუნური მეფის ყოლას უმეფობა ყოველთვის ჯობია. ჩვენი უბედურება ისაა, რომ საკუთარი ნაკლის შეუფასებლობა და ღირსების გადაფასება გვიყვარს, თავი ყველას მართალ

გვგონია, სინამდვილეში კი ყველა მტყუანი ვართ. ჩვენი არც ღმერთი ჰგავს ღმერთს, არც სახელმწიფო სახელმწიფოს და არც კაცობა კაცობას. ამიტომაც ვიხარჯებით ტყუილუბრალოდ. როცა წმინდანებს სახეში ვაფურთხებთ, როცა ყველაფერში ეჭვი გვეპარება და ერთმანეთის არაფერი გვჯერა, მაშინ იმის თავი მაინც უნდა გვქონდეს, რომ ყველა ძველი კერპი დავლეწოთ და უამრავი სიცრუისაგან განთავისუფლდეთ.

ამილახვარი მიხვდა, რომელი კერპების დალეწვაზეც ლაპარაკობდა ერისთავი, რისგან თხოულობდა განთავისუფლებას, მაგრამ იცოდა ისიც, რომ კერპების დალეწვა დროზე და ცხოვრების პირობებზე უფრო იყო დამოკიდებული, ვიდრე სურვილზე. შეუზღუდველი თავისუფლებისაკენ სწრაფვამ ერისთავი მხოლოდ გააბოროტა, გააუგნურა. ამიტომაც ჰკითხა მოურიდებლად:

— უამრავი სიცრუისაგან განთავისუფლება მეზობლის ოჯახის ქალიან-ბავშვიანად ამობუგვასაც ხომ არ ნიშნავს?

ერისთავმა უკან დაიხია, წარბები შეიკრა. ყბების მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ამ თემაზე საუბარი არ სიამოვნებდა.

— მე მტერს ვებრძოდი, ჩემი მეზობელი კი მტერს ეხმარებოდა და დროს ქეიფში ატარებდა. განა იმ ოჯახის პატრონმა არ გასწირა ქალები და ბავშვები, განა ჩემზე ადრე არ წაიწყმიდა სული. ვინ ატანდა ძალას, ვინ იცნობდა ჩემს რძალსა და ძმისშვილებს მის მეტი. გამდგარიყო განზე, დაეთმო გზა ლტოლვილთათვის, ამისთვის მას პასუხს არავინ მოსთხოვდა, მაგრამ, არა. ღალატი ძვალრბილში გვაქვს გამჯდარი და სხვაგვარად ვერ ვძლებთ. ჩვენში მანამდე არ აღმოიფხვრება ერთმანეთის სიძულვილი და შიში, სანამ მოღალატე დარწმუნებული იქნება, რომ ავკაცობისათვის არ დაისჯება. ეს რომ მხო-

ლოდ ერთ ან ორ კაცს ეხებოდეს, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ბოროტმოქმედება, უპასუხისმგებლობა, უზნეობა ხალხსაც რყვნის და ასეთი ხალხი ველარ უძლებს გაჭირვებას, ფიზიკურ და გონებრივ ტანჯვას.

— სისხლი ჩვენ ყველას გვცხია ხელზე, ყველა ერთი და იმავე სენით ვართ შეპყრობილი, მაგრამ მკვლელობასა და სასტიკეს შორის დიდი განსხვავებაა.

— ეს ცხოვრება ისეა მოწყობილი, გივი-ბატონო, რომ რა შორსაც არ უნდა გადგე, შეგნებულ თუ უნებლიე მკვლელობას თავს მაინც ვერ აარიდებ, ხოლო თუ რაიმე საქმისა ან მიზნისათვის იბრძვი, სასტიკიც უნდა გახდე, ზოგჯერ ისეთ სასტიკი, როგორიც შენამდე არავინ ყოფილა. კაცი კაცის ან ყმაა ან მოსისხარი მტერი და როცა მკვლელობაზე ან სასტიკეზე უარს ამბობს, უარს ამბობს ცხოვრებაზეც. მკაცრი განაჩენი ჩემს თავს იმ დღეს გამოვუტანე, როცა ავჯანყდი. ამიტომ არც მოდუნების უფლება მქონდა და არც მტრისა და მოღალატის დანდობის.

— ბარძიმ ერისთავს რაღას ერჩოდი, ციხიდან თავის ფეხით გამოვიდა, ნებაყოფლობით დაგნებდა?

ჯარისკაცები მოშორებით იდგნენ, მოურიდებლად იქექებოდნენ, მაგრამ მათ თვალს მაინც არ აშორებდნენ. ორი კაცის ერთმანეთის პირისპირ ჯდომა და ღვინის სმა ერთს თუ ართობდა, მეორეს აღიზიანებდა. ზოგს უხაროდა, რომ ვიღაც თავგასული ქართველი სპარსეთში მიჰყავდათ თვალების დასათხრელად, რადგან თუ შესაძლებლობა მიეცემოდა საკუთარ სოფელში ან ქალაქში შეივლიდა, თავისიანებს ინახულებდა. ზოგს კი ის სწყინდა, რომ ჩრდილსა და უზრუნველ ცხოვრებას მოსწყვიტეს, ამ უდაბნოში გადმოისროლეს..

— ყველაფერზე, რაც გამიკეთებია, ახლა პასუხის გაცემა ძნელია, გივი-ბატონო. მაშინ მხოლოდ ერთი აზრი მასულდგმულებდა, მკაცრად, სამაგალითოდ დამესაჯა ყველა, ვისაც იმ საზარელ დანაშაულთან რაიმე კავშირი ჰქონდა. ბრალი, ალბათ, იმაშიც მიმიძღვის, რომ ლეკები დავიქირავე და ქართლი ავაწიოკებინე, მაგრამ საკუთარი ძალებით ურთურთ ერისთავს ვერაფერს დავაკლებდი, ხელიდან დამისხლტებოდა. სპარსელების ზურგს ამოეფარებოდა, მე კი დათმობას, პატიებას სიკვდილი მერჩია. მაშინ რომ შური არ მეძია, საკუთარი ხელით გამოვიჭრიდი ყელს.

— კი მაგრამ, ბავშვები. ბავშვები როგორ ამობუგე ცეცხლში?

— ჯერ ერთი, არც ისეთი ბავშვები იყვნენ, როგორც შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, მეორეც ურთურთი რომ დამნებებოდა, მოზარდებს ხელს არ ვახლებდი. ჩვენი მტრები მარტო გადამთიელები კი არ არიან, გივი-ბატონო, არამედ დროც ჩვენი მტერია. დრო არ ითმენდა, დაყოვნების საშუალებას არ იძლეოდა. ყიზილბაშები უკვე ემზადებოდნენ არაგვის ხეობაში შემოსაჭრელად. იმ ომში ან მე უნდა დავღუპულიყავი, ან ურთურთ ერისთავი, ან მოღალატე ან დაღალატიანებული.

— რას იტყოდი, ქსოვრისთან ომის შემდეგ რომ ვახტანგი ასე მოგგცეოდა?

— როცა მეფე შუღლის წყარო უფროა, ვიდრე ქვეყნის გამგებელი, მაშინ ყველას უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიაჩნია.

სუფრას არაფერი შემატებია, მაგრამ მაინც მდიდრული ელფერი ჰქონდა, სასმელი და ჭურჭელი უფრო ახალისებდა, ვიდრე ნაირნაირი კერძები.

— შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, შანშე-ბატონო, ყველაფერში ან ბედია დამნაშავე, ან სხვები. ბრალდებულის სკამზე ჯდომას შენც ბრალმდებლის სავარძელი გირჩევნია, რადგან ასე უფრო ადვილია ქვეყნად ბოგინი, მაგრამ აგერ უკვე რამდენი საუკუნეა, რაც მძიმე ცოდვებს ჩავდივართ, ცხოვრებას უშედეგო ბრძოლაში, ქიშპობაში და სოფლის მდურვაში ვატარებთ, ხოლო როცა ძალა გამოგველევა, ნაღალატევნი ვხვდებით ერთმანეთს. მთელი საქართველო შენ უგუნურობაში და სისასტიკეში გდებს ბრალს. შენ მე ღალატში, ქართველი თავადები თეიმურაზს ტახტის მიტაცებაში, თეიმურაზი ქართველ თავადებს მუხანათობაში, ხოლო ნადირ-შაჰს ყველა მეამბოხეებად და ეშმაკის მოციქულებად მივაჩნივართ. ასეთ ვითარებაში მტყუანისა და მართლის გარჩევა ძნელია, სიმართლე ან ძალას ემორჩილება, ანდა იმდენია, რამდენიც ფოთოლი, აი, ამ ხეზე, მაგრამ რადგან ყველას ერთი ბედი გველის, რადგან ბრალდებას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაექცევა, მაშინ კაცური კაცისათვის მაინც ის სჯობია, რომ თავის საქმე აკეთოს და თუ სხვა გამოსავალს ვერ იპოვის, ღირსეულად წაგოს თავი.

— თუ ვაქკაცობა და პატიოსნება, ვაქკაცობა და სამართლიანობა, ვაქკაცობა და მტრის სიძულვილი ერთი და იგივე არაა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ღირსეულად წააგებ თავს თუ არა?

— მარადიულობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არავითარი, მაგრამ ცხოვრებას და ადამიანის საქციელს მაინც ადამიანი სჯის და ამიტომ კაცურ კაცს თავი გასათახსირებლად, ფეხსადგილში გადასაგდებად არ ემეტება. ამის ღირსი არც ჩვენ, ქართველები ვართ, რადგან სანამ აქამდე მოვიდო-

დით, ათასი ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. შეიძლება, ღმერთს მე არაფრად მივაჩნივარ, შეიძლება არც ამ ქვეყანას ვეკერდები რამედ, მაგრამ რადგან ვიშვი, რადგან სხეულში ჩემი სული მიდგას და მხრებზე ჩემი თავი მაბია, იმის უფლებაც მაქვს, რომ ღმერთსაც ავუჯანყდე, ხელმწიფესაც და ყოფიერებასაც.

ამილახვარმა ცას ღიმილნარევი მუქარით ახედა, მაგრამ მზერა მწვანე სახურავს ვერ გასცდა. ხის ფოთლები ისე ირხეოდნენ, ისე შრიალებდნენ, თითქოს ჩრდილებს ქსოვდნენ და დედამიწაზე აფენდნენ. მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ შეხმატკბილებული ჩურჩული, იმ ადგილის შემოსვა, საიდანაც უნაყოფობა განდევნეს, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მათ სამოსელს ქარი დაფლეთდა, ნაფლეთებს უდაბნოში გაიტანდა და გაძარცულნი, ალბათ, ისევე დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ის და შანშე ერისთავი უპირისპირდებოდნენ.

— ამ ღვინოს არც ფერი შესცვლია და არც გემო. ჩემმა ერთგულმა ყმებმა საგზალი ურმებით მომართვეს, მოთქმა-გოდებით გამომაცილეს, მაგრამ სპარსეთში გამოყოლა ერთი ახალგაზრდა აზნაურის გარდა არავინ ისურვა. თუმცა რისთვის უნდა გამოედოთ თავი. ჩემი არავის არაფერი მართებს, დავალებული მხოლოდ მე ვარ მათგან. — თქვა ამილახვარმა და შანშე ერისთავს ღვინო მიაწოდა.

— არ ვიცი, რით ავხსნა, შემთხვევითობით თუ საკუთარი ხასიათის უხიაგობით, მაგრამ ბედი შენ ყოველთვის უფრო გწყალობდა, ვიდრე მე, გივი-ბატონო. ამ გზას ისე ადგახარ, თითქოს სპარსეთში სასჯელი კი არ გელის, არამედ დიდება და პატივისცემა. მე წყალი და ლუკმა პური მენატრებოდა — შენ ღვინითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული აქლემები მოგყვება უკან. მე დაბორკილი ვიყავი — შენ საკუთარ ცხენზე

ზიხარ და არაფერი გბოვავს. მე გვერდზე გახედვის უფლებას არ მაძლევდნენ — შენ თითქმის არც კი გიცავენ. რა ვუთხრა იმ განგებას, ვინც ასე ანაწილებს კაცთა შორის ავსა და კარგს.

მოვარაყებული ჩიბუხი შანშე ერისთავს სიდარბაისლეს მატებდა, მაგრამ ამილახვარს ცოტა სასაცილოდ ეჩვენებოდა თამბაქოს წევა და კვამლის პირიდან ბოლქვა-ბოლქვად გამოშვება.

— ბედს ზოგჯერ ხელის შეწყობა სჭირდება, ზოგჯერ კი ხელის შეშლა. ვინც ამას ვერ ახერხებს, ყოველთვის მეტს აგებს.

— ბრძოლა ორივემ წავაგეთ. განსხვავება ჩვენს შორის მხოლოდ ისაა, რომ მე უკვე დამთხარეს თვალები, შენ კი ამ ცოტა ხანში დაგთხრიან.

— ბრალდებულისათვის ცოტა ხანი ცოტა არაა, შანშე-ბატონო, მანამდე შეიძლება ქვეყანა ან წყლმა შეტრიალდეს, ან უკუღმა.

— ერთს დროს მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ როცა გიჭირს, სასწაულის იმედი უფრო გაქვს, ვიდრე საკუთარი თავის.

— სასწაულის იმედით გაიქეცი გზიდან?

— მახლობლად შამბნარი და მდინარე იყო. წყალში შესვლა რომ მომესწრო, შეიძლება დღეს ჩვენ შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილიყო.

— მაშინ რომ გზიდან არ გაქცეულიყავი და ნადირ-შაჰის სპარსეთში დაბრუნებას დალოდებოდი, შეიძლება თავთან ერთად თვალებიც შეგენარჩუნებინა.

— ნადირ-შაჰის იმედი მე კი არა, მის შვილს არ ჰქონდა. ჯალათი, რომელმაც მას თვალები დასთხარა, ჩემს ჯალათზე

გამოუცდელი აღმოჩნდა და ექიმებს დიდი ჯაფა დასჭირდათ მის გადასარჩენად.

— ეტყობა, შაჰს გადაწყვეტილი აქვს თვალდათხრილნი მოამრავლოს ამქვეყანაზე. — თქვა ამილახვარმა გესლიანი ღიმილით და იმ ერთმა სიტყვამ, რომელიც ხშირად ადგებოდა ენაზე, ფოთლების სანდომიანი შრიალი სახიფათო ჩურჩულად აქცია, პური გაამწარა, გააუგემურა. მან ისიც კი არ იცოდა წინასწარ, შაჰს მიჰგვრიდნენ თუ პირდაპირ ჯალათებს მისცემდნენ ხელთ და თვალებს ისე დათხრიდნენ, რომ ხმასაც არ ამოაღებინებდნენ. თუმცა ჯალათებთან საერთო ენა არასოდეს არავის გამოუნახავს და რაღა იგი გამონახავდა. წინა დღით დასჯილის გმინვა და გოდება კარებში შემოეფეთებოდა, სქელი, ცხიმიანი კვამლით გარუჯული კედლები დანაშაულის კვალს დაფარავენ და მას ან გამოიყვანენ, ანდა ხელით გამოიტანენ იქიდან, სადაც თავის ფეხით შევიდა. შანშე ერისთავს ყველაფერი ეს უკვე განვლილი ჰქონდა, მაგრამ დავიწყებით რომ ვერაფერს დაივიწყებდა, ამას თვალით დანახვა არც სჭირდებოდა.

ამილახვარმა შორს ყურებას ღვინის დასხმა ამჯობინა და წარმოდგენას პურის გაუგემურების, გამწარების უფლება აღარ მისცა.

— ჩვენ ისეთ დროში გავჩნდით, იმდენი ცოდვა დულს და გადმოდულს ირგვლივ, შანშე-ბატონო, რომ აღარც კი იცი, ვინ გაამტყუნო და ვინ გაამართლო, რა დააბრალო შენს თავს და რა სხვას. აქამდე ხალხი მხოლოდ მაშინ მიდის, როცა ან დიდი უბედურება დაატყდება თავს, ანდა ამოწყვეტის გზაზე დგას. ჩვენი ხსნა მხოლოდ ცოდვა-მადლის ზუსტად გამიჯვნას, ყველაფრის სასწორზე აწონ-დაწონას შეუძლია, მაგრამ ქართვე-

ლები ისედაც ცოტა, ისედაც გათიშულნი ვართ და თუ კიდევ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავუპირისპირდით ერთმანეთს, აღარც მოყვარესთან გვექნება სადავო რამე და აღარც მტერთან, — თქვა ამილახვარმა და ხელში რომ ღვინით სავსე ჯამი არ სჭეროდა, ვიღაცას შეუკურთხებდა.

— ამიტომ ჩვენს თავსაც ყველაფერი უნდა ვაპატიოთ და სხვებსაც, არა?

— შენს თავს შენ ისეთი რამ აპატიე, რაც ზოგიერთს აქამდე საფლავში ჩაიყვანდა. მართალია, საზღაურიც გაიღე, მაგრამ მაინც არ ეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც უფლება აქვს ცოდვა-მადლის მკაცრად გამიჯვნა მოითხოვოს. ამისთვის მე და შენ არ გამოვდგებით. საქმისა და ცხოვრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა არაფრით არ ხერხდება, არაფერს არ გააჩნია მხოლოდ თავისი თავი და მხოლოდ თავისი ბოლო. საქმის, მომავლის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, არავის არაფერი უნდა ეპატიოს, მაგრამ მხოლოდ მომავლის იმედით ცხოვრება ხალხს ერთხანს აგულიანებს, უამრავ სისხლს აღვრევინებს, შემდეგ კი ისე ღლის, ისე თიშავს, რომ საერთო არავისთან არაფერი აქვს. აღზევებულნი ნაძარცვ ქონებას იტაცებენ და ისაკუთრებენ, ხელმოცარულნი კი ბედს ეგუებიან და ჩივილს იწყებენ. ჩვენ ამდენ ღვინოს იმიტომ ვსვამთ და ამდენს იმიტომ ვმღერივართ, რომ მომავალს ხან შიშით ვუყურებთ, ხან ზიზღით.

ამილახვრის სახეზე ზიზღის ნაცვლად რაღაც მუქარის მაგვარი გამოიხატა.

—შავ დღეში რომ ვართ, ეს ახალი ამბავი არაა, გივი-ბატონო, მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის, ჩვენ ჯერ კიდევ ვარსებობთ, ხალხად ვითვლებით და ამიტომ ვალდებულნი

ვართ ჩვენი არეულ-დარეული ყოფა ჩვენვე მოვაწესრიგოთ. მოწესრიგება კი მანამდე არ მოხერხდება,. სანამ ყველა ერთ მიზანს არ დავისახავთ, ერთ კანონს არ დავემორჩილებით, — თქვა ერისთავმა ისე, თითქოს არსად აღარ ეჩქარებოდა.

— საქართველოს თუ ამით რამე ეშველება, მზად ვარ, უმ-კაცრეს კანონს დავემორჩილო, შანშე-ბატონო, მაგრამ იქ, სადაც კანონი არ მოქმედებს, მართალია გამარჯვებული და მტყუანია დამარცხებული, იქ, სადაც კანონი მოქმედებს, მართალია ის, ვინც ამ კანონების გამოყენება იცის, ვისაც სასამართლოში საქმის მოგება შეუძლია და მტყუანია ის, ვისაც ამის თავი არა აქვს, ხოლო იქ, სადაც ადამიანი ბედსა და გამ-ჩენს უპირისპირდება, სადაც კაცთა მოდგმის ნამოქმედარი ზუსტ სასწორზე უნდა აიწონოს, მართალი არავინ არ შეიძ-ლება იყოს, თვით მამაზეციერიც კი. როგორ გინდა იცხოვრო ამქვეყნად და არავის არაფერი დაუშავო, როგორ გინდა აკეთო რაღაც და არავინ და არაფერი გაიღო მსხვერპლად, როგორ გინდა, შენი პირადი მისწრაფებები, შენი ხასიათის უხიაგობა სხვების მისწრაფებებს და ხასიათის უხიაგობას დაამთხვიო, როგორ გინდა, ერთ კანონში ჩაატიო ის, რაც არავითარ კა-ნონში არ ეტევა. ხშირად კეთილ, სამართლიან საქმესაც კი უბედურება მოაქვს. შენმა აჯანყებამ იმდენი ხალხი შეიწირა, რამდენიც ზოგჯერ დიდ ომში არ დაუკარგავთ ქართველებს, მეც ბევრი მებრძოლი და კაი ყმა მომიკლეს, მაგრამ როცა უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა წყვდიადში იძირება, მაშინ ამ წყვდიადის გასაშუქებლად ვიღაცამ რაღაც უნდა გააკე-თოს, თუნდაც ამისთვის სისხლის გაღება დარჩეს საჭირო. შენ-რომ უგუნურობა არ გამოგეჩინა და ლეკების დახმარებით ურთურთ ერისთავის ოჯახი ასე სასტიკად არ ამოგებუგა, დღეს ქვეყნისათვის წამებული გმირი იქნებოდი.

— როგორ გმირადაც შენ მოგაქვს თავი, არა? — ჭკითხა ერისთავმა ისეთი ღიმილით, რომ გესლმა გადახრეკული მინდვრების ფერი მიიღო.

— შენზე ნაკლებად ცოდვილი არც მე ვარ, შანშე-ბატონო. რაც მე ცხოვრებაში ცოდვები ჩამიდენია, რამდენიმე კაცის ჯოჯოხეთში გასაგზავნად იკმარებდა, ფიცის გატეხვას მე არ მოვრიდებივარ, კაცის კვლას და ღვთის გმობას, მტერთანაც მიბრძოლია და მოყვარესთანაც, მაგრამ უგუნური და უცხვირპირო არასოდეს ვყოფილვარ, ასეთი რამ ჩვენ — ქართველებს — არ გვეკადრება, ჩვენ ხომ ოსმალები, ყიზილბაშები და ლეკები არა ვართ. მართალია, ძალა და ცხოვრებისადმი ცხოველური სიყვარული გვაკლია, მაგრამ სხვისი ყურმოჭრილი მონები არასოდეს ვყოფილვართ, დამპყრობლები არც სწავლა-განათლებით გვჯობდნენ, არც ზრდილობით და არც კაცთმოყვარეობით. ძლიერ მტერს მარტო იმიტომ კი არ ვუჯანყდებოდით, რომ სხვა გამოსავალი არ გვქონდა, მშვიდობიანად ვერ მოვურიგდებოდით, არამედ იმიტომაც, რომ საბოლოოდ არ გადავგვარებულიყავით, არ დაგვეკარგა რჯული, ენა, ხასიათი და ის, რითაც ქართველს ქართველად მოაქვს თავი. უცხო, გარედან მომზირალ თვალს ჩვენი არაფერი ესმის, ამდენი წინააღმდეგობისა და აუხსნელი ამბების ერთად თავმოყრა და გაგება უჭირს, მაგრამ ეს არც გასაკვირია, არც საკვალალო და არც სამარცხვინო. დამადლებით ვერავინ ვერაფერს დაგვამადლის, რადგან არავინ არაფერში დაგვხმარებია, არავის სისხლი და ქონება არ გაგვიფლანგავს. ჩვენს თავს ისე ვუვლიდით, როგორც შეგვეძლო, როგორც გაჭირვება და ჭკუა გვიკარნახებდა. შეიძლება, ზოგიერთს ისიც კი მოეჩვენოს, რომ ჩვენივე თავის მტერი ვართ, არ ვცდილობთ შევკავ-

შირდეთ, გაერთიანდეთ, დანგრეული აღვადგინოთ, კანონიერება დავნერგოთ, ერთი სიტყვით, ქვეყანას და საკუთარ თავს მოვუაროთ, მაგრამ, იქნებ, ჩვენ სხვებზე უკეთ ვიცით, რომ როგორც არ უნდა შევკავშირდეთ და გაერთიანდეთ, ირგვლივ შემოსეულ მტრებს მაინც ვერ მოვერევით, იქნებ, იმიტომ არ ვაშენებთ და არ ვაწესრიგებთ არაფერს, რომ მძარცველები ჩვენს ნაშრომსა და ნაღვაწს ერთ დღეში გააცამტვერებენ, იქნებ, ჩვენ სწორედ ის დრო დაგვიდგა, როცა უკეთესია ღარიბ-ღატაკნი ვიყოთ, ვიდრე მდიდრები, იქნებ, იმიტომაც დავიშალეთ და დავიქსაქსენით, რომ გვირჩევნია მტერს ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ათ სახელმწიფოსთან, ათ მეფესთან და თავადთან ჰქონდეს საქმე, იქნებ, ათი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბრძოლის წაგებას, ასი პატარა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლის წაგება გვირჩევნია. იქნებ, ჩვენთვის სიჯიუტე, სიკერპე ბევრად უფრო დამღუპველია, ვიდრე ზოგი რამის არ შემჩნევა, გამასხარება, გაუფასურება. ჩვენ რომ .დიდი ერი ვიყოთ, სხვების დაპყრობის თავი რომ გვქონდეს, მაშინ ჩვენს გაერთიანებას წინ არაფერი დაუდგებოდა, მაგრამ ჩვენ არსებობისათვის, თავის გადასარჩენად ვიბრძვით და ყველაფერი, რასაც ცუდად თუ კარგად ვაკეთებთ, მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება. ძლიერ, ხალხმრავალ სახელმწიფოს ყოველთვის ურჩევნია ბრძოლის ველზე შეებას მოწინააღმდეგეს, სუსტი კი ცდილობს ძალები დაქსაქსოს და ვიწროებში ჩაუსაფრდეს მტერს, რადგან საბოლოო გამარჯვება ბრძოლის მოგება-წაგებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ გამძლეობაზე. ამიტომ ზოგჯერ არც კი იცი რა სჯობია — თავდაცვა თუ თავდასხმა, ვინ უფრო ადრე აღიგვება პირისაგან მიწისა — დამპყრობელი თუ დაპყრობილი. იმან,

რაც მე კაცობრიობის წარსულის შესახებ ვიცი, ერთ რამეში დამარწმუნა. სუსტ, დაპყრობილ ხალხებზე ადრე სწორედ ის ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა, რომელიც ქუხდა, მსოფლიო იმპერიებს აკოწიწებდა, მეზობლებს თავზარს სცემდა.

ამილახვარი სრულიად არ ჰგავდა გარიყულ, საკუთარი თავის ამარა დარჩენილ კაცს. იქცეოდა ისე, როგორც მოსწონდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა და ამბობდა იმას, რის უთქმელობაც ცხოვრებას ლაზათს უკარგავს.

— ჩვენ რომ ერთმანეთს არ ვჭამდეთ, არ ვღალატობდეთ, მაშინ საკუთარი თავისადმი სასაყვედურო არაფერი გვექნებოდა. ერთად ვიქნებოდით თუ ცალ-ცალკე, გავიმარჯვებდით თუ დავმარცხდებოდით, ეჭვი და უნდობლობა არ მოგვწამლავდა, არ გაგვაუგუნურებდა, არ ჩაგვადენინებდა რაღაც ისეთს, რისი მონელებაც ჭირს — თქვა შანშე ერისთავმა და იგრძნო, რომ ღვინო ერეოდა, სათქმელს ისე ვეღარ ამბობდა, როგორც სურდა.

— ტყუილად გგონია, შანშე-ბატონო, რომ შეღლი, ღალატი, შური და გაუტანლობა მარტო ჩვენი, ქართველების თვისებაა. ბერძნებმა ყველა ამ თვისების ზემოქმედება ისე მწვავედ განიცადეს თავიანთ თავზე, რომ მათი გამომხატველი ღმერთები თუ ქალღმერთები შექმნეს და ზოგი კვარცხლბეკზე შეაყენეს, ზოგი კი ქვის კედელზე ამოტვიფრეს. რა გასაკვირია, მშიერ კაცს სხვისი ლუკმა შურდეს, როცა შურის გრძნობისაგან მეფეებიც კი არ არიან თავისუფალი, რა გასაკვირია, მეზობელს მეზობლის ეშინოდეს, როცა მღვდლებიც კი ერთმანეთს ეჭვის თვალით, უნდობლად უყურებენ. რომელ ქვეყანაში არ ყოფილა ძმათა შორის სისხლის ღვრა, ტახტისათვის ბრძოლა, ქიშპობა, ყაჩაღობა, რბევა, დამნაშავის გაბა-

ტონება და უდანაშაულოს დასჯა. ბიზანტიელებს, არაბებსა და სპარსელებს ჩვენ კი არ ვასწავლეთ ცოცხლად ტყავის გაძრობა, ძელზე გასმა, თვალების დათხრა, არამედ მათ გვასწავლეს, მამული ჩვენ კი არ წაგვირთმევია მეზობლებისათვის, არამედ მათ წაგვართვეს, ნაძარცვით ჩვენ კი არ ვიკვებებით, არამედ ჩვენი მტრები იკვებებიან. არ არსებობს ისეთი უზნეობა და დანაშაული, მარტო ჩვენი თვისება რომ იყოს, მარტო ჩვენ რომ ჩაგვედინოს. განსხვავება ჩვენსა და სხვა ხალხებს შორის მხოლოდ ისაა, რომ მძიმე დღეში ვართ, უსაშველოდ გვიჭირს, გაჭირვებულს კი ღმერთისა და ზნეობისათვის არ სცალია, ცხოვრება ამდენი პარპაშის საშუალებას არ აძლევს. მისი ერთადერთი მიზანი არსებობის შენარჩუნებაა, სულერთია, რის ხარჯზეც არ უნდა მოხდეს ეს. გადახედე სპარსელი და თურქი ისტორიკოსების მატიანეებს, ჩვენ იმიტომ კი არ გვლანძღავენ, იმიტომ კი არ გვეძახიან შაითანს, რომ არ ვვარგივართ, არამედ იმიტომ, რომ მათ ნებას არ ვემორჩილებით, შაჰებსა და სულთნებს სიცოცხლეს ვუმწარებთ. აგერ უკვე რამდენი საუკუნეა, რაც თავს გვესხმიან, თითქმის ყოველ წელიწადს გვიპყრობენ, მაგრამ ჯერაც ვერ დავუპყრივართ.

ცა ისევ ისეთივე მოწმენდილი, სიცხით შეხუთული იყო, მაგრამ ფოთლებს შორის რატომღაც სულ უფრო ნაკლები და ნაკლები შუქი ატანდა. შეიძლება გარედან მომდინარე სინათლეს ღვინის ნაპერწკლებით გაშუქებული განწყობილება ჩრდილავდა, ან შეიძლება კუნძულმა ადგილი მოინაცვლა და ტის დასალიერს მიუახლოვდა. შანშე ერისთავს ამის დანახვა არ შეეძლო, მაგრამ არც გივი ამილახვარს აინტერესებდა, რა იცვლებოდა ირგვლივ, დრო წინ მიიწევდა თუ ერთ ადგილას იტკეპნებოდა. იმდენი ღვინო, რაც დღეს დალია, თბილისიდან

წამოსვლის შემდეგ არ დაულევია, იმდენი სიტყვა, რაც დღეს დახარჯა, მთელი გზის მანძილზე არ დაუხარჯავს. ქვეყანა, რომელსაც ხან თვალით ზომავდა, ხანაც ნაბიჯებით, იბზარებოდა, თავზე ენგრეოდა, მაგრამ მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნანგრევებს შორის დაღუპულიყო, გადამთიელებისთვის შეეწირა ის, რაც მას და მის ქვეყანას სჭირდებოდა.

— მე რომ ბრალმდებელი ვიყო, ალბათ, ასეთ დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი ლოდინს, როგორც ახლა ვანიჭებ, — თქვა ამილახვარმა და ერისთავის მახვილი სმენა მარტო სიტყვების აღსაქმელად კი არ მოემზადა, არამედ ფარული აზრის ამოსახსნელადაც, — ყველაფერს აუცილებლობით ავხსნიდი და მართებულად მივიჩნევდი, მაგრამ ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის დაახლოებით იმხელა მანძილია, რამხელაც დედამიწის ერთი უკიდურესი წერტილიდან მეორე უკიდურეს წერტილამდე. შეიძლება, სწორედ ეს უკიდურესობა ჰყოფს ქვეყანას ორ ნაწილად. ერთი ეკუთვნის იმას, ვის ხელშიც სამართალია და არაფრის ძიება არ სჭირდება, მეორე იმას, ვინც სამართალს ეძებს და ვერ პოულობს. ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო იქნებოდა, სამართალი რომ სხვადასხვა მოხელეებისა და სადივანბეგოების ხელში იყოს, მაგრამ მე მხოლოდ ერთი კაცი მდებს ბრალს და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბრალმდებელი უფლებამოსილი ხელმწიფე და სასტიკი მბრძანებელია, მაინც მირჩევნია საქმე ერთ კაცთან მქონდეს, ვიდრე სადივანბეგოებში მოკალათებულ მოხელეებთან.

— მუსლიმანებს და, ალბათ, თვით ნადირ-შაჰსაც დღემდე არ უყვართ ყადები და მათი ხელქვეითნი. სპარსეთში მოსამართლეებისა და ხელისუფალთა უფლება-მოსილებანი ჯერაც

არ არის გამიჯნული, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე სახელმწიფოებრივ დანაშაულს ეხება. შენ რომ გადასახადი არ გადაგეხადა, ან რამე მოგეპარა, რა თქმა უნდა, მაჰთან არ მიგიყვანდნენ, მაგრამ მეამბოხის დასჯა და შეწყნარება მხოლოდ მაჰის ნებაზეა დამოკიდებული.

— ამბობენ, მისი შიშით ყველა კანკალებს და მასაც ყველგან შეთქმული და მოღალატე ელანდებაო.

— არსად არ ბუდობს იმდენი შიში, აჩრდილები და ავი ზრახვები, რამდენიც სასახლეში.

მობიბინე ხალიჩაზე ნათელი ლაქები ჩნდებოდა და ისევ ქრებოდა. ნიავი ფრთებს შლიდა, ქარის ძალას იძენდა. ამილახვარმა გზას ოდნავ დაბინდული თვალებით გახედა და მის სახეზე რაღაც ისეთი გამოისახა, რაც მანამდე კანქვეშ იყო დაფარული. აღგზნებულს ცოტა მოგონილ ამბად ეჩვენებოდა ამ გზის არსებობაც, მანშე ერისთავთან შეხვედრაც, ნათქვამის სიმსუბუქეც და უთქმელის სიმძიმეც. ძილში ყველაფერი ეს სხვაგვარად დალაგდებოდა და შეიძლება ისეთი რამ მოლანდებოდა, რაც შეუძლებელს შესაძლებლად გახდიდა, ან ყველას დაადანაშაულებდა ანდა ყველას გაამართლებდა.

საჭურისმა ჯერ თავი წამოსწია და მხოლოდ ამის შემდეგ წამოდგა ფეხზე. მისი მქისე ხმა ისე გაისმა მთვლემარე სამყაროში, როგორც ყორნის მოულოდნელი ჩხავილი. მუსლიმანები და ქართველები წამოიშალნენ, ცხენებს, აქლემებს და ხორცშესხმულ ქვეყანას მიაშურეს. ყველაფერი აირ-დაირია, აყაყანდა, აეღერდა. გზა აღჭურვას, ტანსაცმლის ტანზე მორგებას, შემართვას მოითხოვდა, მაგრამ სხვების ფუსფუსი ამილახვარსა და ერისთავს არ აფორიაქებდა. ისხდნენ და მანამდე სვამდნენ და საუბრობდნენ, სანამ უნაგირები არ გამოაცალეს,

სუფრა არ ალაგეს. უმეტესობას ცხენი უკვე შეეკაზმა, ჩალვადრებს საპალნეაკიდებული აქლემები წამოეყარათ, ჯერისკაცებს იარაღი აესხათ. მოძრაობდა ყველა და ყველაფერი და ამ მოძრაობაში სიცხარე, მოუთმენლობა იგრძნობოდა.

— საქართველოში ხომ არაფერს დამაბარებდი, გივი-ბატონო?

— დაბარებას დაბრუნება მირჩევნია.

ახალგაზრდა აზნაურმა ამილახვარს შეკაზმული ცხენი მოჰგვარა და სადავე ხელში შეაჩეჩა. დრო იყო თვალდათხრილი და თვალდასათხრელი ერთმანეთს გამომშვიდობებოდნენ, თავთავიანთ გზას დასდგომოდნენ.

— ჩვენი გზები რომ არ იყრებოდეს, საქართველოში რომ ერთად ვბრუნდებოდეთ, უთქმელი, დაულეველი და შეუჭმელი არაფერი დაგვრჩებოდა, შანშე-ბატონო, მაგრამ რადგან ქვეყნად ჯალათი არსებობს, მსხვერპლიც უნდა გამოინახოს და ამჯერად ბედმა მე გამწირა. — თქვა ამილახვარმა და ცხენს ყბაზე მოუთათუნა.

ერისთავი თამბაქოს ეძალებოდა, ოფლით დანამულ სახეზე ლაქები ემატებოდა.

— განწირულს სხვაგვარი ხმა და სიცილი აქვს, გივი-ბატონო. შენ ან იმის იმედი გაქვს, რომ თავს დაიხსნი, ანდა ვერ წარმოგიდგენია, რა საშინელებაა თვალების დათხრა.

ამილახვარმა შანშე ერისთავის ყორნისფერ ულაყს შეავლო თვალი და უნებლიეთ გაიფიქრა, სად იშოვაო ამ ხეიბარმა ეს დიდებული ცხენი.

— ამ ამბავს მე ისე კი არ ვუყურებ, შანშე-ბატონო, როგორც გარკვეული მოვლენების კანონიერ შედეგს, ან ცოდვა-

თა საზღაურს, არამედ როგორც ბედისწერას, რომლის ნამდვილ არსს აქამდე ვერავინ ჩასწვდომია.

— ბედისწერას ლოდინი და დროის გადავადება არ უყვარს, თორემ ამდენი მომდურავი არ ეყოლებოდა.

— მე რომ ავბედითობას შეჩვეული არ ვიყო, ყოველი საფრთხის შემოფეთებაზე, რომ გული მელეოდეს, მაშინ ამ გზას არ დავადგებოდი, შენი არ იყოს, მე საკუთარი ხელით გამოვიჭრიდი ყელს, მაგრამ რამდენ სასიკვდილოდ ნასროლ ტყვიას ჩაუსისინებია გვერდით, რამდენი ხიფათი და სასჯელი ამცდენია. იქნებ, ღმერთმა ამჯერადაც მიხსნას.

— ხომ გაგიგონია ქართული ზღაპარი, სადაც გამოცდილი გამოუცდელს ეუბნება, წასული ბევრი მინახავს, უკან დაბრუნებული კი არავინო.

— ქართულ ზღაპარში ერთი ყოველთვის ბრუნდება უკან და, შეიძლება, ის ერთი მე აღმოვჩნდე. მშვიდობით, შანშე-ბატონო, თუ უკან ამ გზითვე დაბრუნდები, შენს სიტყვებს მოვიგონებ. — თქვა ამილახვარმა ცხოვრებასთან გარიგებული კაცის ორაზროვანი ღიმილით და ცხენს მსუბუქად მოექცა ზურგზე.

იქ, სადაც მას ელოდნენ, გულჩვილი და დამთმობი არავინ დახვდებოდა, სიტყვას არავინ შეაწევდა. ეს აზრი ჩრდილივით გამოჰყვა საქართველოდან და ნელ-ნელა, შეუმჩნეველად წამლავდა, მაგრამ ამგვარი შხამი მის ძლიერ სხეულს ადვილად ვერ მოერეოდა, ისე ვერ დააუძლურებდა, რომ საკუთარი თავისათვის ეღალატა.

ქართველები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და ორ ჯგუფად გაიყვნენ. დასავლეთისაკენ მიმავალთ სულ სხვა გამოშეტყველება ჰქონდათ, ვიდრე იმათ, ვისი გზაც აღმოსავლეთი-

საკენ მიიკლაკნებოდა. ამილახვარმა ცხენი ადგილიდან დასძრა და როცა მტვრიან გზაზე გავიდა, უკან დაჩენილი შეკვანე კუნძული უმტკივნეულოდ ჩაბარა წარსულს.

III

დახრილი, კიდეებშეწითლებული მზე სიმძიმეს კარგავდა, მოკრიალებულ ცაზე ფეხს ვეღარ იკიდებდა. ყოველი მრუდე თუ სწორი ხაზი პირვანდელ სიმკვეთრეს იძენდა, მოშლილი ზღვრების აღდგენას ცდილობდა. ახლა უკვე შეიძლებოდა ისე სუნთქვა, როგორადაც დედამიწა სუნთქავდა, იმ უთანხმოების შემცირება, რომელიც მას და დროს შორის სუფევდა. შეიძლება, ქვეყანაც ექაჩებოდა ქვესკნელის ბნელი, გრილი მარნიდან გამამხნევებელ, გამახალისებელ წვენს და მანამდე სვამდა, სანამ არ დათვრებოდა, იგიც ხომ ვიღაცის შექმნილი იყო, ვიღაც ისეთის, ვისაც მისთვის არაფერი უკითხავს, არაფერი აუხსნია.

გზაზე ავარდნილი მტვერი ღრუბელივით იკვრებოდა და იქეთკენ მიედინებოდა, საითაც შანშე ერისთავი და მისი მხლებლები მიდიოდნენ. ერისთავთან შედარებით მას ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა. შანშეს არავინ გამოსარჩლებია, მას კი თეიმურაზმა სოლომონი გამოაყოლა და ნადირ-შაჰთან რაყიმი გამოატანა, სადაც მის შეწყალებას სთხოვდა. თეიმურაზის თხოვნისათვის რომ შაჰს ანგარიში გაეწია, ამ ორ ხანს ქართლში არ გამოგზავნიდა, მაგრამ მეფისა და დედოფლის განმეორებითი თხოვნა რაღაცას ნიშნავდა, მის კართან სიახლოვეზე და შეუვალობაზე მეტყველებდა. სანამ ასეთ კაცს ჯა-

ლათს გადასცემენ, ყველა მოსალოდნელ შედეგს ითვალისწინებენ. თეიმურაზი, რა თქმა უნდა, მისი გულისათვის შაჰს არ წაეკიდებოდა, მაგრამ შაჰს ქართველების მიმართ, ამდენი ნდობა არ ჰქონდა.

ყვითელი და ცისფერი სიბრტყე, სხვადასხვაფრად შეღებილ, ერთმანეთისაკენ პირშექცეულ თასებს რომ ჰგავდა, ხან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ხანაც ისე შორდებოდნენ, რომ უზარმაზარ ბზარში ჩაუქრობელი ცეცხლის სიკაშკაშესთან ერთად მარადიული ჩრდილიც იჭრებოდა. შემდეგ ყვითელი თასი ცოცვას, რყევას იწყებდა და კიდეები ისე აცვდებოდა, თითქოს ვიღაც ბასრი კბილებით ღრღნიდა. ტყვე რომ არ ყოფილიყო, ცხენს დეზს შემოკრავდა, გააჭენებდა, გაახელებდა, ეცდებოდა ამოეწურა, დაეკეცა დაუკეცავი სივრცე, თუ ყველაფერს ვერ ზიდავდა, იმას მაინც მიიტანდა ქვეყნის დაღრღნილ კიდემდე, რასაც ედავებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ცხენს მათრახს შემოკრავდა, უკან მომავალნიც მაშინვე აყიჟინდებოდნენ, იარაღს მოიმარჯვებდნენ და დასაჭერად დაედევნებოდნენ, შემდეგ, რამდენიც არ უნდა ემტკიცებინა, გაქცევა არ მინდოდაო, მაინც არავინ დაუჯერებდა.

ამილახვარმა ცხენი ნებაზე მიუშვა და როცა რომელიღაც საგნის მეორისაგან გამოცალკევება გაუჭირდა, მიხვდა, რომ დანაწევრებული დროიდან კვლავ ამოირეცხა აწმყო. ციხე გატეხილი, კედელმორღვეული იყო, მაგრამ აღება კედელმორღვეულ ციხესაც უნდოდა და თეიმურაზმა ზედმეტ სისხლისღვრას მისი კიდევ ერთი პირობის შესრულება, თამარ დედოფლის თბილისიდან სურამში ჩამოყვანა ამჯობინა. თამართან შეხვედრა იმიტომ ისურვა, რომ კეთილი, გონიერი ქალი იყო, ქართლის ტახტი მემკვიდრეობით მას ეკუთვნოდა და, რაც

მთავარია, ნადირ-შაჰთან უფრო ადვილად პოულობდა საერთო ენას, ვიდრე თეიმურაზი. წინასწარ ძნელი იყო იმის თქმა, დატყვევების შემდეგ როგორ მოექცეოდნენ სპარსელები და მტრულად განწყობილი ქართველები, მაგრამ როგორც არ უნდა მოქცეოდნენ, რა ბრალდებაც არ უნდა წაეყენებინათ, თამარი მისი განუსჯელად დასჯის, ძაღლივით მოკვლის უფლებას არავის მისცემდა, წინ აეფარებოდა. ამიტომაც აღარ ზარავდა მორღვეული კედლის ცქერა. ფართო ღიობიდან სინათლის მსხვილი ნაკადი იჭრებოდა და მოპირდაპირე კედლის მარჯვენა კუთხეს ეცემოდა, ქვის სიპირქუშეს არბილებდა, ჯარისკაცები უსაქმოდ დაბორიალებდნენ, იცოდნენ, რომ დაფერდებულ, გვერდგამონგრეულ ხომალდზე დიდხანს ვერ დარჩებოდნენ, მაგრამ მოუთმენლობას არ იჩენდნენ, ციხიდან არ გარბოდნენ. მხოლოდ ერთი ჯმუხი, მტკვარგაღმელი აზნაური დაადგა ქვაზე ჩამომჯდარს თავზე და ჯიუტად ჰკითხა:

— რას აპირებთ, გივი-ბატონო?

მტკვარგაღმელ აზნაურს სიჩუმე, ლოდინი და გაურკვევლობა უფრო აფრთხობდა, ვიდრე ხელჩართული ომი.

— ბრძოლა წაგებულია, ჩემო გიორგი, საფიქრებელი ახლა მხოლოდ ისაა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი გავიღოთ.

— ჩააბარეთ ციხე და მსხვერპლსაც ნაკლებს გავიღებთ.

— ჯერ ადრეა, ამ კედელმორღვეული ციხის ფასად რამდენიმე თავის გამოსყიდვა შეიძლება. სანამ კაცს მტერთან დაზავების მცირედი შესაძლებლობა მაინც აქვს, დანებება სისულელეა.

— მე თუ შემრჩება თავი მხრებზე?

უნდოდა ეთქვა, მაგ გასიებულ თავს ის ფასი არა აქვს, რა-

საც ადებო, მაგრამ ამ მოუხეშავ კაცთან ლაპარაკს მისი თავიდან მოცილება ერჩია.

— ნუ გეშინია, სანამ ცოცხალი ვარ, მაგ თავს არაფერი ემუქრება.

უკმაყოფილებას სხვებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ ხელაღებით გამოწვევას ვერავინ უბედავდა. მას ჯერ კიდევ შესწევდა იმის ძალა, რომ ურჩნი აელაგმა.

თეთრი, დედოფლის საკადრისი კარავი იმავე ადგილას გაშალეს, სადაც გასულ წელს თეიმურაზს შეხვდა. სურამის მაცოცხლებელი ჰაერი დენთის სუნისა და მტვრისაგან გაიწმინდა. ცის მსუბუქი თაღი და ზურმუხტოვანი ტყე-ველი ძველი მტრობის დავიწყებას, სიცილს, სიხარულს, კაცთა შორის თანხმობას მოითხოვდა, მაგრამ ბუნების ეს ძახილი, ალბათ, იმათ ყურამდე არ აღწევდა, ვინც დაბლა ელოდა. თუმცა, რით ამოავსებდა გალმობიერებულ-განატიფებული ქვეყანა უკან დარჩენილ ნატერფალსა და ნამუხლარს, რით შებოჭავდა იმათ სულს, ვისაც მისი სულის შერყევა და მოდრეკა სურდა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ გაშლილ კარავს და აღჭურვილ, მორთულ-მოკაზმულ მტრებს ხედავდა, რომლებიც მასთან შესახვედრად ზარ-ზეიმით ემზადებოდნენ.

ადევნებული ჩრდილი ისე დაგრძელდა, რომ გზას გასცდა და ველზე გაიჭრა. ამილახვარმა მწუხრისაკენ პირშექცეული დღის უდღეურობა იგრძნო, ბეჭებში მოიხარა, ცოტათი დაცხრა. სველი პერანგი ტანზე ეწებებოდა, ზურგს უჭაობებდა, მაგრამ საცვლებს მანამდე ვერ გამოიცვლიდა, სანამ გზაზე ფუნდუკი ან ქარვასლა არ შეხვდებოდა, კარს, კედელს ან ფარდას არ ამოეფარებოდა. სადღაც წაუკითხავს, ბაღდადელი ხალიფები დამნაშავეს დასჯის წინ ყველაფერს ახალს აცმევდ-

ნენ, მდიდრულად მოსავდნენ და ბუკის ბღავილითა და ბალარის ცემით ალ-მანსურის მოედნამდე მიჰყავდათ, სადაც მსხვერპლს წითელ, უსახელო ჯუბაში გამოწყობილი, ქანდაკებასავით დადუმებული ჯალათი ელოდა. ხალიფებისათვის დამნაშავის დასჯა მარტო განაჩენის აღსრულება კი არ იყო, არამედ დიდი სანახაობაც. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, მბრძანებელთა სისასტიკე გაათკეცდა, მაგრამ კაცის საჯაროდ დასჯამ და მოსისხარი მტრების შერიგებამ სანახაობითი სახე მაინც არ დაკარგა.

იმ დილით მოსირმული ჩოხა ჩაიცვა, მადიანად ისაუზმა და ციხიდან შეუჭურველი გავიდა. თავდაცვაზე, უკან დაბრუნებაზე ფიქრი ზედმეტი იყო, ამდენი თვალთმაქცობის თავი აღარ ჰქონდა. რაკი ბედმა უმტყუნა, სჯობდა ჩაჰყოლოდა, თავის ფეხით მისულიყო იმათთან, ვისთანაც დატყვევების შემდეგ ძალით მიათრევდნენ. სიტყვა, სიცილი, აზრის სიცხადე და ბუნდოვანება მახვილ კუთხეებს ცოტათი შეარბილებდა, დაიწყებოდა ამბების სხვაგვარად დალაგება, ცოდვათა შემსუბუქება, ურთიერთგამომრიცხავ მოვლენათა გაზვიადება, ერთი სიტყვით თავის მართლება, რის უფლებაც ყველა მოკვდავს აქვს, რადგან დამნაშავე არასოდეს არ ყოფილა მარტო ის, ვისაც ადანაშაულებენ.

სწორედ ამის იმედი ჰქონდა, როცა კარვისაკენ მიაბიჯებდა. თუმცა უყურადღებოდ არც სხვა მოსაზრებებს ტოვებდა, განსაკუთრებით ერთ ნათელ აზრს, რომლის საფუძვლიანობაში ეჭვი არ ეპარებოდა. თამარი და თეიმურაზი აუცილებლობას ემორჩილებოდნენ, თორემ ყიზილბაშები მასზე ნაკლებად არ სძულდათ და ამიტომ სპარსელებთან ნაომარ კაცს ასე ხელაღებით, უღვთოდ არ გასწირავდნენ, მანამდე არ გაიმე-

ტებდნენ სასიკვდილოდ, სანამ ნადირ-შაჰი ან მის დასჯას ან მოითხოვდა, ანდა ისპაჰანში არ დაიბარებდა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დრო იდუმალი მიჯნებისაკენ გადაჩოჩდებოდა და გონზე მოსვლის, ახალ საფრთხესთან შეგუების შესაძლებლობას მისცემდა. თეიმურაზს მხოლოდ ერთი რამ შეეძლო ესაყვედურებინა, ჩემი გამეფების შემდეგ რატომ არ შესწყვიტეო ბრძოლა, მაგრამ ამ ბრალდების შემსუბუქებას როგორმე მოახერხებდა.

გზა მარჯვნივ უხვევდა, აღმართს მიჰყვებოდა. კლდეებისაკენ მიემართებოდა. შორს, ცის დასალიერთან შიშველი კედელი მძიმე, დანაოჭებულ ფარდასავით ირხეოდა, თანდათან მუქდებოდა და მიღმა მდებარე ქვეყანას — ტყეებს, მდინარეებს, სოფლებს და ქალაქებს ფარავდა, ფარავდა ყველაფერს, რაც დაღლილ, უძინარ თვალს ენატრებოდა, რაც მუდამ ან სათხოვნელი, ან სადავო, ან ძალით დასასაკუთრებელია, მაგრამ ახლა არც დავის უფლება ჰქონდა და არც რაიმეს ძალით დასაკუთრების. ჯერ ის უნდა მოენელებინა, რისთვისაც პასუხს სთხოვდნენ.

კარავში მეფე-დედოფლის გარდა ქართველ და სპარსელ დიდებულებსაც მოეყარათ თავი. ამდენი ხალხის დანახვა არ ესიამოვნა, არ უნდოდა მოწმეთა თანდასწრებით ეთქვა ის, რაც სათქმელი არ იყო, მაგრამ წარბი არ შეუხრია, ღიმილი არ გამრუდებია. მასზე ძლიერი და ახოვანი ირგვლივ არავინ ჩანდა. შეიძლება ეს იყო იმის მიზეზი, რომ მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ, სახეში შეაჩერდნენ. დიდებულთა ამ საკრებულოში პირველი სიტყვა მას უნდა ეთქვა, პირველი ნაბიჯი მას უნდა გადაედგა, მაგრამ სანამ ადგილიდან დაიძრებოდა, ვიღა-

ცისთვის თვალი უნდა გაესწორებინა და მან დედოფალი აირჩია. ამის შემდეგ სხვები მხოლოდ მოწმეებად იქცნენ.

თამარი უკვე დიდედა იყო, ორი თუ სამი შვილიშვილი ჰყავდა, მაგრამ მაინც ახალგაზრდა, მიმზიდველი ჩანდა. უჯდებოდა ტახტზე ჯდომა, დედოფლობა. ოდნავ მამაკაცური შუბლი, სანდომიანი სახე და ბევრი უბედურების მომსწრე, ჭკვიანი თვალები სიავესა და სისასტიკეს გზას უღობავდნენ, უგუნურთაგან თმენასა და განსჯას მოითხოვდნენ. ქართლი მარტო სამფლობელო კი არ იყო მისი, არამედ დიდი, გაღარიბებული ოჯახიც, რომლის დასაცავად, გამოსაკვებად და მოსაღონიერებლად თავს არ ზოგავდა, ქართველებს სახლშიც ესარჩლებოდა და სახლს გარეთაც. ამიტომაც უყვარდა დიდსა და პატარას, ყველა გაჭირვებული მის კალთას ეფარებოდა. შანშე ერისთავი მან გამოსთხოვა ნადირ-შაჰს და არა თეიმურაზმა.

ფეხშებორკილი, მოუქნელი არასოდეს ყოფილა და ამიტომ თამამად, უკან მოუხედავად დაიძრა ტახტისაკენ. თამარი მარტო დედოფალი კი არ იყო. მისი, არამედ სისხლით ნათესავიც და სიყრმის მეგობარიც. რამდენჯერ ურბენიათ, უთამაშიათ ერთად, რამდენჯერ წაჩხუბებულან და ისევ შერიგებულან. დღეს კიდევ ერთხელ უნდა შერიგებულიყვნენ და იგი დარწმუნებული იყო, რომ დედოფალი პირს არ მოარიდებდა, ბედის ამარა არ მიატოვებდა. სანამ ხმას ამოიღებდა, თამარის წინ მუხლი მოიყარა, კალთაზე ემთხვია, შემდეგ მკერდიდან პატიოსანი თვლებით შემკული, ცხოველმყოფელი ჯვარი მოიხსნა და დედოფალს აჩუქა. მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა კარავში მისი ძლიერი, მკვეთრი ხმა. ლაპარაკობდა ქვეყნისა და არსებობის შეუსაბამობაზე, თავისუფლებაზე, შესაძლებლობათა გადაფასებაზე და შეცდომებზე, ლაპარაკობდა ისე, რომ

არც სხვებს ადანაშაულებდა და არც საკუთარ თავს, არც არავის იწვევდა და არც არავის უპირისპირდებოდა, რადგან ცოდვების მონანიება კარავში თავმოყრილ დიდებულებს დანაშაულის აღიარებად კი არ უნდა მიეჩნიათ, არამედ მისი დაუდგარი ხასიათის კიდევ ერთ უხიაგობად. და ეს ასეც მოხდა. სითამამემ, ცხოვრებასთან პირისპირ შეხვედრის უნარმა და აკინძულ სიტყვათა ძალამ გარემო და დიდებულები მის სასარგებლოდ განაწყო. დედოფალს თვალები გაუბრწყინდა, თეიმურაზმა გვერდზე დაიწყო ყურება, სპარსელი დიდებულები კი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მისი ბედის გადაწყვეტა მათი საქმე არ იყო.

მოწინააღმდეგესთან შეხვედრას რომ დაზავების ხასიათი ჰქონოდა და არა გამარჯვებულის მიერ დამარცხებულის დატყვევებისა, თამარსა და თეიმურაზს მოსთხოვა უვნებლობა აღეთქვათ, ხატზე დაეფიცებინათ, რომ არაფერს დაუშავებდნენ. თეიმურაზი ცოტათი აიმრიზა, მაგრამ თამარს ყოყმანი არ დაუწყია. ფეხზე წამომდგარმა ხატი მოითხოვა და როცა მოჰგვარეს, პირჯვარი გადაიწერა, ხატის წინ მუხლი მოიყარა და ფიცი სამჯერ გაიმეორა. მარცხით გამოწვეულმა ჭმუნვამ ძვლავ იცვალა ფერი, კიდევ ერთხელ გარდაისახა სიხარულად. ქართველი თავადები ხელს ართმევდნენ, მეფე-დედოფალთან დაზავებას ულოცავდნენ. თამარმა და თეიმურაზმა სუფრის გაშლა ბრძანეს, მისი სახლთუხუცესად დანიშვნა იქვე გადაწყვიტეს და სპარსელ დიდებულებთან შეარიგეს. მინდვრები, ტყით შემოსილი ფერდობები, ყველაფერი, რასაც მინაბული ცა ზემოდან დაჰყურებდა, იმედიანად სუნთქავდა, მარადისობისაკენ ისწრაფოდა და მასაც თან მიაქროლებდა, ავბედითობას და მარცხს ავიწყებდა. მიწა, მთელი ამქვეყნიერი სიბინძუ-

რისა და სიწმინდის, ავისა და კარგის დამტევი მიწა, გულში კი არ ეყარა, არამედ ფეხქვეშ ეგებოდა და ახალი გზებისა, ხიფათისა, სიხარულისა და მწუხარებისაკენ მიუძღოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თბილისი ზარების რეკვით, მყვირალა ხმებით და ნაადრევი ზაფხულის მომთენთავი სიცხით შეეგება. ქალაქი გამოცოცხლებულიყო, გაზრდილიყო, მალვასა და მარხვას გადასჩვეოდა. ქუჩებში თათრულთან და სომხურთან ერთად ქართულიც ისმოდა. შავი თვალები და მუქი ფერის კანი ვეღარ ჩრდილავდა თეთრ კანსა და ლურჯ, თაფლისფერ ან ჭროღა თვალებს. ყველა ეკლესია აღდგენილი და შემკული ჩანდა, ყველა სახლი გადახურული და მდგმურებით სავსე. საამქროებიდან ურის ცემა, ჩარხის ჭრიალი და ხელოსნების ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ბაზრისაკენ ერთად მიედინებოდნენ აქლემები, ცხენები, სახედრები, ადამიანები, ძაღლები, იმედი, უიმედობა, გამდიდრების სურვილი და ლუკმაპურზე ოცნება. ნათელი დღის ცხოველმყოფელობა ბრბოს ამხნევებდა, აგულუხვებდა, აყაყანებდა. ქალაქი ჩვეულ წეს-ადათებს ემორჩილებოდა, მაგრამ ყოველი სახლის სარკმელიდან აღმოსავლეთი იცქირებოდა, ყოველი თაღი ისე იყო მომრგვალებული, როგორც ნახევარმთვარე. საუკეთესო სისხლი საქართველოს აღმოსავლეთმა გამოსწოვა და ახლა თავის გავლენასაც ახვევდა ნაძალადევად თავს. ჩოხის ნაცვლად მოქალაქეებს თალხი ფერის, ფართო ტანსაცმელი ეცვათ, დუქნებში ქართული, ომახიანი სიმღერების ნაცვლად აღმოსავლური სევდით გამსჭვალულ, გამყივან ბაიათებს მღეროდნენ, მოჩხუბარნი სპარსუ-

ლად ან თურქულად უფრო ხშირად აგინებდნენ ერთმანეთს, ვიდრე ქართულად. ქართველებს ჯერ კიდევ უძნელდებოდათ მიწიდან აყრა, ქალაქში გადასახლება, რადგან მიწის დათმობა ქვეყნის დათმობას უდრიდა. აღმოსავლეთის სუნსა და სიბილწეს მხოლოდ ეკლესია გადაურჩა. ისლამმა ჯვარი ვერ შემუსრა, ვერ ამოძირკვა.

ამილახვარს თავის მობრუნება არ დასჭირებია იმისათვის, რომ მიმხვდარიყო, ვინ ვის გვერდით მოდიოდა და ვინ ვის ელაპარაკებოდა. ზოგჯერ მის სმენამდე მთელი წინადადების აზრიც კი აღწევდა. საჭურისი გრძელ ამბავს ჰყვებოდა, იგონებდა ბავშვობას, მისი მომხრეების ტახტისათვის ბრძოლას, დამარცხებას, დასაჭურისებას, განდევნას, სტამბოლში, ბეირუთში, დამასკოში და ქაიროში გატარებულ დღეებს, ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეებთან შეხვედრას, ელჩობას, აღზევებას, უსამართლოდ შერისხვას, მამულის დაკარგვას, უკანვე დაბრუნებას და კვლავ აღზევებას. ყველაზე მეტად ნადირშაჰს ემადლიერებოდა. აქლემების ეკვანთა ჟღარუნი და უწყლო ველების უსაზღვრო მდუმარება ისე ეხამებოდა უსიამო ბგერებს, რომ სინამდვილეს არაამქვეყნიურ სამოსელში ახვევდა, დაღლილებს და დაუძლურებულებს ბნელ თავშესაფარს სთავაზობდა. ამ თავშესაფარში ცხენი და კაცი თვალდახუჭულნი უნდა შესულიყვნენ, მაგრამ სიბნელის ცქერით მას შემდეგაც იჯერებდა გულს, როცა თვალებს დათხრიდნენ.

თბილისმა მისი დაბრუნება არც იუკადრისა და არც იუცხოვა, ისე შეეგება, როგორც ახირებულ, თავზე ხელაღებულ შვილს. მოქალაქენი ხმამაღლა ესალმებოდნენ, თავადები საღილად პატიჟებდნენ, წინასწარ გამოსყიდულ სასახლეში ცოლი და ნათესავები ელოდნენ, მთელ იმედს მასზე ამყარებდ-

ნენ. იგი კვლავ საჭირო, ანგარიშგასაწევი კაცი იყო, მღელვარე ზღვამ ვერ შთანთქა, ვერ მოაშთო, მაგრამ გულს ის უკლავდა, რომ ოთხ შვილში ერთი არ შერჩა, უძეოდ უნდა გადაგებულიყო. მიწა, მიწა და მარტოობა იყო მისი წილხვედრი ამქვეყნად, მისი მემკვიდრე და მესაიდუმლე. შეიძლება ნათია ჯერ კიდევ ამშვენებდა შაჰის ჰარემს, შეიძლება მოუნელებელი მოინელა და დაჭკნობას აყვავება ამჯობინა, მაგრამ ნადირშაჰის მეუღლე მისთვის სულიან-ხორციანად დაკარგული იყო. მეორე ქალიშვილი, ირაკლი ბატონიშვილის სატრფო და სასძლო, გათხოვებამდე გარდაიცვალა, ორი უწლოვანი ვაჟი კი აჯანყების შემდეგ დაეღუპა. ამიტომაც უჭირდა ცოლთან მარტო დარჩენა, მასთან საუბარი. ერთი შვილი როგორ ვერ იხსნა, ვერ გამოსტაცა სიკვდილს კლანჭებიდან. შეიძლება იმ დღეს, როცა მათ მიწას აბარებდნენ, ან ღვინოს სვამდა, ანდა სისხლს ღვრიდა, შეიძლება სიკვდილმა იმისთვის დაინდო, რომ მის გულში მეტი მწუხარება დაეთესა, დაეძაბუნებინა, ლეშად ექცია. მის მოთოკვას, მოტეხას მტერიც ცდილობდა და მოყვარეც, ცხოვრებაც და სიკვდილიც, მაგრამ სხეული არ ძაბუნდებოდა, სული არ იდრიკებოდა. იმ საღამოს ქაიხოსრო ორბელიანს ეწვია, გათენებამდე სვა, ილაბარაკა, ოხუნჯა და დილით ისე გამოცხადდა მეფის კარზე, თითქოს საკუთარ ოჯახში გამოიძინა.

ფერისცვალება სულში გაჩენილ უდაბნოს მოსავდა, ნიღბავდა, მაგრამ სინამდვილესთან შეგუება მაინც ჭირდა. განაჩენი საფრთხისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ გარდუვალობის ბეჭდით იყო დადაღული და ბრალდებულს იძულებულს ხდიდა მონაწილეობა მიეღო მთელ იმ საშინელებაში, რაც დასჯას წინ უძღვის. სამოსშემოძარცულს, ჯაჭვით დაბმულს კი არ

უნდა ეყვირა და ეტირა, არამედ უხმოდ, ამაყად აეტანა ტკივილი და წამება, ჯალათებისათვის წინააღმდეგობა კი არ უნდა გაეწია, არამედ მიხმარებოდა, გაეადვილებინა მათთვის საკუთარი თვალების დათხრა. თავის მოკვეთას თვალების დათხრასთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ცულის მოქნევის შემდეგ დასჯილისათვის ყველაფერი ერთბაშად თავდებოდა, თვალდათხრილისათვის კი სწორედ დასჯის შემდეგ იწყებოდა აუტანელი ტანჯვა.

ამილახვარმა ხელი ისე მოიქნია, თითქოს აბეზარ მწერებს იგერიებსო და ცხენი შუა გზაზე გაიყვანა. ყოფიერების ზღვარი არც წინ ჩანდა და არც უკან, მაგრამ უკან დარჩენილი ცხოვრება ნაკლებად ბუნდოვანი იყო, მსხვერპლს არ თხოულობდა და კარს მხოლოდ ძველ ნაცნობებს უღებდა. სახლთუხუცესობა საკმაოდ თავსამტვრევი, პასუხსაგები თანამდებობა იყო, მაგრამ სარფიანიც. სახელმწიფოს მთელი შემოსავალი და გასავალი მის ხელში იყრიდა თავს, მის დავთრებში ინუსხებოდა, რისთვისაც გასამრჯელოდ შემოსავლის ერთ მეათედს უხდიდნენ. სამაგიეროდ ჯაფაც დიდი ადგა. საჭირო იყო ძველი მოხელეების დათხოვნა, ქურდების ალაგმვა, ხარკთამკრეფლების, აღმრიცხველებისა და მოლარეების შერჩევა, სახელმწიფო წელში იმართებოდა და მხარის აბმა, მხარში ამოდგომა სჭირდებოდა. ერთი თვის შემდეგ საქმე ცოტათი გამოსწორდა, უგზო-უკვლოდ არაფერი იკარგებოდა, უანგარიშოდ არაფერი იფლანგებოდა, მაგრამ სწორედ აქ წააწყდა იმას, რასაც შეკრული წრე ჰქვია. ამ წრის გარღვევა, გადალახვა ვერაფრით ვერ მოახერხა. როგორც კი რომელიმე მოხელე თავს გამოიჩენდა, მაშინვე აწინაურებდა, ჯამაგირს უორკეცებდა, მაგრამ დაწინაურებულთა უმრავლესობა თვალსა და ხელს შუა

ოხრდებოდნენ, ურცხვად თვალთმაქცობდნენ და არაფრის მაქნისნი აღარ იყვნენ. ათ კაცში მხოლოდ ორი თუ სამი აკეთებდა საქმეს, დანარჩენები კი ჯამაგირს ტყუილად ლებულობდნენ და იმ ორ-სამ კაცს მუშაობაში ხელს უშლიდნენ. ეს რომ კანონზომიერი მოვლენა იყო, მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა ერთი და იგივე ამბავი რამდენჯერმე განმეორდა. მას შემდეგ ხელაღებით, დაუფიქრებლად არავინ დაუწინაურებია, უმიზეზოდ არავინ დაუთხოვია სამსახურიდან. მხოლოდ ქურდობის უფლებას არ აძლევდა არავის. იგი რომ დიდი სახელმწიფოს სახლთუხუცესი ყოფილიყო, უამრავი ხელქვეითი რომ ჰყოლოდა, მაშინ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა სახელმწიფოში, რომლის შემოსავალი მეფის კარის შესანახად ძლივს კმაროდა.

გაფითრებული მზე ლაქებით იფარებოდა, ცის კიდურს ეტმასნებოდა, ბორცვთა ჩრდილები იზრდებოდნენ, სიმკვეთრეს იძენდნენ, სამოციქულოდ ემზადებოდნენ. დამწუხრებული, განაცრისფერებული დრო ნაცემ ძაღლივით მიძუნძულებდა შარაგზაზე და დასიცხული სიმხურვალეს ანთხევდა, სიბნელეს ნირწამხდარი ეგებებოდა. განწყობილების ცვლა თითქოს არაფერს არ ცვლიდა, მაგრამ შეღამებისას უფრო მგრძნობიარე, უფრო ადვილად დასათრგუნი იყო. ყველაფერი, რაც ადრე მეხსიერების სხვადასხვა კუნჭულში ფართხალებდა, ამ დროს ერთად იყრიდა თავს და მწარე ფიქრებს ასაზრდოებდა. რა უნდა ენახა ან ამ, ან სხვა გზის ბოლოს ტკივილისა და უაზრობის მეტი, რა სიკეთეს ელოდა მომაკვდავი მზის ქვეშ გართხმული ბებერი დედამიწისაგან, რომელსაც მალე თვალითაც ვეღარ დაინახავდა.

— რაკი ეს უდაბნო გამოვიარეთ, ღია ცის ქვეშ ღამის გა-

თევა აღარ მოგვიწევს. — უთხრა საჰურისმა ახალგაზრდა თავადს და ალაპი ახსენა.

იმ მხრიდან, სადაც კლდე კედელივით იყო აღმართული, გრილმა ნიავმა დაუბერა და თან რაღაც ნესტის სუნის მაგვარი მოიტანა. ნახევრად ჩასვენებული მზე ისე თრთოდა, როგორც უეცრად გაწყვეტილი აბრი და როცა წამიერად გამქრალი ქვეყანა კვლავ გამოიკვეთა, მეხსიერება თბილისის მკრთალ კონტურებს ჩაებღაუჭა. ის სასახლე, რომელიც მათ საგვარეულოს ეკუთვნოდა, ორჯერ ჰქონდა გაყიდული და გამოსყიდული. ყიდდა მაშინ, როცა თბილისში არ ედგომებოდა და ყიდულობდა, როცა უკან ბრუნდებოდა. ახალი პატრონის ხელში სასახლეს თუ ემატებოდა რამე, თორემ არაფერი აკლდებოდა. მეფე-დედოფალმა მამულიც უკლებლივ დაუბრუნეს. კახეთში გახიზნული სამი ათასი ყმა ქართლში გადმოიყვანა, თავთავიანთ სოფლებში დაასახლა და ორი წლით ხარკისაგან გაანთავისუფლა. ყველაფერი ისე ეწყობოდა, როგორც ცხოვრებაში არ ხდება. იმის მაგივრად, რომ დაესაჯათ, აწინაურებდნენ, იმის მაგივრად, რომ თვალყური ედევნებინათ, ყველგან თავისუფლად უშვებდნენ, მაგრამ მოსვენებას მაინც ვერ პოულობდა, გული არც სახლში უდგებოდა და ვერც გარეთ იქარვებდა მოწყენილობას. ოთხი წლის გამუდმებულმა ბრძოლებმა, ყოველდღიურმა საფრთხემ, მოუცლელობამ და მოუსვენრობამ მშვიდ, აწონილ-დაწონილ ცხოვრებას გადააჩვია, ბევრი რამ გააუფასურა ისეთი, რის უგულებელყოფაც ცხოვრებას ერთფეროვანს ხდის. ვეღარ იტანდა ზერელე, უთავბოლო საუბარს, საზოგადოებაში ან ჩუმად იჯდა, ან მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა, რაც მასპინძელს და მის სტუმრებს აღიზიანებდა. ცოლს ვეღარ ეკარებოდა, ჭალიდან მოურავს

ახალგაზრდა, ლამაზი ყმა გოგო ჩამოაყვანინა, ხარჯად დაისვა, მაგრამ ქალს ისეთი რიდი ჰქონდა მისი, რომ საწოლშიც კი ვერ იღებდა ხმას. ერთ თვეში რაღაც დაირღვა და ის ქვეყანა, რომელიც მისი სამოქმედო ასპარეზი, მისი სარბიელი იყო, ხელიდან ეცლებოდა, საკუთარი თავის ამარა ტოვებდა. მარტობამ გულჩათხრობილი გახადა, წვერში თეთრი გაერია, სახის ფერი შეეცვალა. ამგვარ დაჩიავებას, ნაადრევად დაბერებას მისი ბუნება ვერ ეგუებოდა და როცა გული ყელში მოებჯინებოდა, სანადიროდ გარბოდა, ჯავრს კურდღლებზე, ტახებზე და შვლებზე იყრიდა.

კლდის უკან კიდევ უფრო მაღალი კლდე აღიმართა და სივრცე წახნაგებით დასერა, ბუნდოვანი და ცხადად გამოკვეთილი წახნაგებით, რაც გარემოს სახეს უცვლიდა, ამახვილებდა. მცირე ხნის შემდეგ ეს ხელოვნურად შექმნილი, სივრცეში გამოკიდებული სამყარო ისევ ირღვეოდა და თვალს ხელახლა უხდებოდა მათი ერთმანეთთან დაკავშირება, დალაგება, ქაოსიდან გამოყოფა. ამასვე აკეთებდა თბილისში, როცა აივანზე გამოსული მტკვარს გადაჰყურებდა და უხეიროდ ნაგები ქალაქის ერთ საგნად შეკვრას, ერთ მუჭში მოქცევას ცდილობდა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სადაცაა დაეუფლებოდა დასაუფლებელს, მაგრამ როგორც კი ჩრდილები ადგილს მოინაცვლებდნენ ან თვალი განზე გაექცეოდა, ქალაქი თავის პირვანდელ სახეს იბრუნებდა და სხვაგვარად დალაგებას თხოულობდა.

აივანზე ხშირად იმიტომ გამოდიოდა — განსაკუთრებით ნაშუადამევს, როცა ქალაქს ეძინა და ყოველი ბგერა წინათგრძნობას ან მატებდა რამეს ანდა აკლებდა — რომ ხვალინდელი დღის იმედი არ ჰქონდა. თეიმურაზი და თამარი საბოლო-

ოდ შეურიგდნენ, პატივს სცემდნენ, რჩევას ეკითხებოდნენ, მაგრამ ნადირ-შაჰი, რომელსაც ქვეყნად გამკითხავი არ ეგულებოდა, ამბოხებას, ფიცის გატეხვას, აბუჩად აგდებას არ აპატიებდა, სპარსელების სისხლის დაღვრისათვის ან თავს მოითხოვდა მისას ან თვალებს. მარიობისთვემდე სპარსეთიდან არაფერი ისმოდა, წარსული ცოტათი დავიწყებასაც კი ეძლეოდა, მაგრამ მარიობისთვის დამდეგს ისპაჰანიდან ეს ორი ხანი ჩამოვიდა და ყველაფერი ისევ აგორდა, აბორგდა.

მზის ჩასვლის შემდეგ დროის ყველა საზომი გაქრა და მთვარის ამოსვლამდე ცა ისევე მიტოვებული იქნებოდა, როგორც ქართლის ნასახლარები. ვალმოხდილი დედამიწა ბუნდოვანებით იმოსებოდა, კლდესა და კლდეს შორის ღამის შავი პირი მოსჩანდა. ღამის შავ პირს დაბადების დღიდანვე იცნობდა, რადგან თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც მისი ძე, მისი ნათლული იყო. რაც ლაშქრობაში, ღვინის სმაში, სიყვარულში და ხეტიალში ღამე უთევია, რაც ნათელისათვის წაურთმევია და ბნელისთვის მიურთმევია, გასაფლანგავადაც ქმაროდა და გადასანახავადაც.

იმ საღამოს ბნელი ისეთივე მწუხარე ჰანგებს ღიღინებდა, როგორი პირიც ჰქონდა. ისპაჰანიდან ჩამოსული ხანები დედოფალს ეწვივნენ, ნადირ-შაჰის რაყიმი მიართვეს და მზერა ცისკენ აღაპყრეს. დედოფალმა გრაგნი გახსნა და გაფითრდა. შაჰი მეფე-დედოფალს სწერდა, გივი ამილახვარს ან მანდ დათხარეთ თვალები, ანდა აქ, სპარსეთში გამომიგზავნეთო. წალმა მბრუნავი ჩარხი ერთ წუთში უკუღმა დატრიალდა. თამარს არც დაბრმავება სურდა მისი და არც ისპაჰანში გაგზავნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ამიტომ ერთ-ერთი უნდა

აერჩია. არჩევას დიდი ფიქრი და გამჭრიახობა არ სჭირდებოდა. დედოფალმა იქვე, მათივე ენაზე განუცხადა შაჰის დესპანებს, ამილახვარს მე ვერ დავსჯი, უვნებლობის ფიცი მაქვს დადებული, მიდით მასთან და საქმე თქვენ თვითონ მოაგვარეთო. ხანებს სხვა არაფერი უნდოდათ, დედოფალს მადლობა გადაუხადეს და დარბაზი დატოვეს.

ნავმა მიმართულება იცვალა, ჩრდილო-დასავლეთიდან დაუბერა და ამილახვარმა გაოფლიანებული ცხოველებისა და სველი ტყავის მძაფრი სუნი იგრძნო. ძილი არ ეკარებოდა, დღისით წოლას და თვლემას ჩვეული არ იყო, მაგრამ წელის ტკივილს და მოხრილი მუხლების ბეჟილს კარგა ხანია გრძნობდა. გრილი ნიავი ზურგში სცემდა, პერანგი ტანზე აშრებოდა, მხლებლები უხმოდ მოჰყვებოდნენ გზას. ცხელმა დღემ გალახა, დაღალა, მაგრამ ვერც დაჯაბნა და ვერც წარსული გამოსტაცა ხელიდან.

ხანები მხოლოდ მეორე დღეს ესტუმრნენ. საჭურისს ადრეც იცნობდა, შაჰის კარზე შეხვედრია, ახალგაზრდა თავადს კი პირველად ხედავდა, მისი არც ვინაობა იცოდა და არც სადაურობა. მიუხედავად ამისა, მაინც გულღიად, თავაზიანად მიიღო, ტახტი და ბალიშები შესთავაზა. სტუმრის გულის მოგება, მოთვინიერება არ უჭირდა, სუფრას ხშირად მახედ იყენებდა, მაგრამ ხანებმა საფრთხე იგრძნეს და საქმეს შეუდგნენ. საჭურისი მარჯვენა მხრიდან ამოუდგა გვერდით, ახალგაზრდა თავადი მარცხნიდან, მარჯვენა ცერზე ერთმა მოჰკიდა ხელი, მარცხენაზე მეორემ და როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერს ჩვეულების მიხედვით აკეთებდნენ, ტირილითა და მოთქმაგოდებით შაჰის ნება აუწყეს. საჭურისი მართლა ტიროდა, ტიროდა ისე, თითქოს ცრემლის ღვრა სიამოვნებას ანიჭებდა.

ახალგაზრდა თავადს კი თვალთმაქცობა უჭირდა, არაბუნებრივად ზლუქუნებდა. მუსლიმანთა ამ სასაცილო ჩვეულების მნიშვნელობა კარგად იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა. თბილისის ყველა კარი დახშული იყო, ყველა გზა შეკრული. წინააღმდეგობის გაწევას უაზრო სისხლისღვრის მეტი არაფერი მოჰყვებოდა. ამიტომ ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია, ხელები გულზე დაიკრიფა და მსახიობური დარბაისლობით წარმოთქვა: „დაე აღსრულდეს დიდებული შაჰის ნება მის ფეხთა მტვერზე, გივი ამილახვარზეო". ხანებმა შვებით ამოისუნთქეს, ალაჰს მადლობა შესწირეს და დიდ დარბაზში გაჰყვნენ. ნაშუადღევს დატყვევებულს რამდენიმე ქართველი თავადი ეწვია, ქართველებს სპარსელი მხედართმთავრები მოჰყვნენ. სასახლეში ერთბაშად იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ეგონა ლნინი გათენებამდე გაგრძელდებოდა, მაგრამ როგორც კი შებინდდა, ხანებმა იარაღი მოსთხოვეს, ციხის კარამდე მიაცილეს და საგანგებოდ შერჩეულ მცველებს ჩააბარეს.

დატყვევებული რამდენჯერმე ყოფილა, მაგრამ პატიმრობა იმ საღამოს პირველად გამოსცადა. ვიწრო სარკმელი ძლივს ანათებდა შეუღესავ, ნესტიან კედლებს, თიხის უსწორმასწორო იატაკი ერთმანეთში გაზავებული შმორის, შარდისა და ვირთხების სუნით იყო გაჟღენთილი. რკინით შეჭედილ კარს უკან შეიარაღებული მცველები იდგნენ. ფანჯრიდან მტკვრის ნაპირი, რიყე, მეტეხი და ისნის ერთი უბანი მოჩანდა. სიცხით შეწუხებულ ქალაქს დაძინება უჭირდა, ქუჩებში ჯერ კიდევ ქიაფობდა სინათლე, მაგრამ გარეთ ყურება არ უნდოდა, რადგან ეს ნესტიანი საკანი არც საბოლოო თავშესაფარი იყო მისი და არც ის ადგილი, რომელსაც უნდა შეჩვეოდა. დამწყვდეული მხოლოდ მანამდე ეყოლებოდათ, სანამ ხანები სამზადისს

მოათავებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთ ადგილზე მაინც ვერ ჩერდებოდა, კედლიდან კედლამდე დადიოდა, საკუთარი ნაბიჯებით იშხამებოდა. რის იმედით მიდიოდა სპარსეთში, რა უნდა ენახა შაჰის კარზე ისეთი, რაც კაცის თვალში შრავალჯერ არ ამოუკითხავს, რატომ უნდა ეღიარებინა ბედისწერად და გარდუვალობად ის, რაც უაზრობად მიაჩნდა. საქართველოში თუ მემკვიდრე არა, მომვლელი და გზის მაჩვენებელი მაინც ეყოლებოდა, სპარსეთში კი თვალებთან ერთად თავსაც დაკარგავდა. განრისხებულ შაჰს ერთი სიტყვის შებრუნებისათვის შეეძლო მისი მოკვლა. ღირდა კი ამდენი წვალება იმისათვის, რაც ბოლოსდაბოლოს მაინც უნდა აღსრულებულიყო, განა არ ეუბნებოდა დასჯის წინ მაცხოვარი მოციქულებს, „ვერ ხელეწიფების სოფელსა მოძულებად თქვენდა, ხოლო მე ვძულ, რამეთუ ვწამე მისთვის, ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტ არიან“.

ამილახვარმა გვერდზე ისე მიიხედა, თითქოს მძიმე ფრთის შემოკვრა მოესმა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ მისკენ ღამის მეტი არაფერი მოცოცავდა, კვლავ იბრუნა პირი.

მცველებმა საკანში ანთებული სანთელი, ხის ტახტი და სურსათ-სანოვაგით სავსე კალათა შემოიტანეს. სანთლის შუქის ციმციმმა და კუთხეში დადგმული, ხალიჩაგადაფარებული ტახტის სიმყუდროვემ ცხადჰყო, რომ არსებობა ციხეშიც შეიძლებოდა, მაგრამ მომავალზე ფიქრი მაინც შხამავდა, ყველა საფუძვლიან ვარაუდს აცამტვერებდა. შუაღამემდე მუხლი არ მოუკეცავს, ყელი არ გაუსველებია, ნაშუაღამევს კი რკინით შეჭედილ კარს მიადგა, ღონივრად დააბრახუნა და საწერ-კალამი და ქაღალდი მოითხოვა. მცველებს არც ღრენა დაუწყიათ და არც უჯიათობა გამოუჩენიათ. ბატის ფრთა, მელანი

და ქალალდი მაგიდასთან ერთად მოართვეს. წერილების წერა-
არ უყვარდა, გაშიშვლებად, დაფარულის გამქალვნებად მია-
ჩნდა, მაგრამ იმ დამეს ისე ეცოდებოდა თავი, რომ ქალამი
მოიმარჯვა და თეთრი ქალალდი შავი ნიშნებით ააჭრელა. წერ-
და დედოფალს, წერდა ხელმარჯვედ, წაუბორძიკებლად.
უჩიოდა ქართლის ბედს და საკუთარ ბედს, ქართველი კაცის
მძიმე ხვედრს და სოფლის უკულმართობას, წარსულსა და მო-
მავალს. ყოველი სიტყვა სევდით იყო გამსჭვალული, ყოველი
წინადადება შეკრული და გამართული. სანამ გზას დაადგე-
ბოდა, დედოფლისათვის უნდა დაემტკიცებინა, რომ მის
სპარსეთში გაგზავნას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ზედმეტი
წვალების მეტს არაფერს მოუტანდა. შეიძლება შაჰს სასიკვ-
დილოდ არ გაემეტებინა, სიცოცხლე არ მოესწრაფა, მაგრამ
თავისუფლებას დასჯის შემდეგაც არ მიანიჭებდა, ხეიბარს დი-
ლეგში ჩააგდებდა და შემდეგ მის გამოხსნას წლები დასჭირ-
დებოდა. ამიტომაც დაბეჯითებით სთხოვდა თვალები მისთვის
აქ, საქართველოში დაეთხარათ, თვალდავსებული უმცროსი
ძმისთვის მიეგვარათ და საკუთარ მამულში სიკვდილის უფ-
ლება მიეცათ.

საკანში სახედრების ყროყინი შემოიჭრა. ფეხზე წამომდ-
გარმა ქალალდი დაახვია, მცველებს გადასცა და უკან გაბრუ-
ნებულმა ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ პირდაპირ ტახტი-
საკენ გაემართა. მაღალ, თაღოვან ჭერს სინათლის შუქი ვერ
სწვდებოდა, მკაცრი მზერა სიბნელის მკაცრ მზერას აწყდებო-
და. იდუმალება, რომლის არსი უსახურობა და დუმილი იყო, სი-
ფხიზლეს, საკუთარი თავის გვემას, ტკივილის გაზვიადებას
თხოულობდა, მაგრამ მან უსახურობასთან პაექრობას თვა-
ლის დახუჭვა და ძილი არჩია. ძილში ყველა საფრთხობელას
ძალა მოაკლდებოდა და ციხე ავბედითობას დაკარგავდა.

იმ დილით კიდევ დიდხანს იძინებდა, აფუსფუსებული, აყაყანებული ქალაქის ხმაურს რომ არ გამოეღვიძებინა. თბილისის ხალისიანი სუნთქვა ჰანგებად იღვრებოდა, საკანში შემოჭრილი დღის სინათლე ცხოველმყოფელი სვეტივით თრთოდა. ტანგაუხდელს ფეხზე წამოდგომის მეტი არაფერი დასჭირებია იმისათვის, რომ გონს მოსულიყო, ცხოვრებას შეჰგებებოდა. ჭმუნვა, შიში, მარტოობის გრძნობა და სადღაც გაქცევის, გადაკარგვის სურვილი უკვალოდ გაქრა, ღამის გადამდები მწუხარება მჩქეფარე სისხლის მძლავრმა ტალღებმა გადარეცხა. უხაროდა ფეხზე რომ იდგა, ქვეყანას რომ საკუთარი თვალებით ხედავდა, სული რომ კვლავ ივსებოდა სიამაყის გრძნობით და ბედისა და მტრების გამოწვევის სურვილით. რა უნდა გადალობებოდა გზაზე ისეთი, რაც სხვას არ გადალობებია, რა უნდა შემთხვეოდა ისეთი, რაც სხვას არ შემთხვევია. სანამ საქართველო გადამთიელებს ეპყრათ, სანამ ურჯულოებს ხარკს უხდიდა, არც დამარცხება გაუტეხდა გულს და არც ჭმუნვა მიიყვანდა სასოწარკვეთილებამდე. თვალების დათხრა არაფერი იყო იმასთან შედარებით, რის გადასარჩენადაც იბრძოდა.

კალათში ყველი, კვერცხები, შემწვარი წიწილები, მწვანილი, ხილი და თავმოკრული ქილები აღმოჩნდა. პურის მარტო ჭამა არ უყვარდა, მაგრამ ციხეში იმიტომ ჩასვეს, რომ ქართველებისათვის მოერიდებინათ, გარე სამყაროსაგან მოეწყვიტათ. მარტო დარჩენილ კაცს სხვა მადა აქვს, სხვაგვარი განწყობილება ეუფლება, მაგრამ საკუთარ განწყობილებას იგი იმდენ ანგარიშს არ უწევდა, რომ ჭამა-სმაზე ხელი აეღო, თავი წმინდანად ან წინასწარმეტყველად წარმოედგინა. ტყემალში ამოვლებული წიწილის ხორცი უღვინოდაც იჭმებოდა, წი-

წაკისა და მწვანილის სურნელება შმორის სუნს ახშობდა. თვალების დათხრა რომ სამუდამო პატიმრობით შეეცვალათ, საწინააღმდეგო, ალბათ, არაფერი ექნებოდა, მაგრამ შაჰს ერჩია იგი მკვდარი ან თვალდათხრილი ენახა, ვიდრე დამწყვდეული ჰყოლოდა.

მეორე დღეს დედოფლის ხელით დაწერილი ბარათი მიიღო. თამარი ამხნევებდა, აიმედებდა, ურჩევდა ისპაჰანში გამგზავრებულიყო, პირადად ხლებოდა ნადირ-შაჰს, რადგან საქართველოში ვერავინ გამოესარჩლებოდა, ვერავინ დაიცავდა სასჯელისაგან, სპარსეთში კი იმ კაცთან ექნებოდა საქმე, ვინც მის ბედს განაგებდა. თვენახევარში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, განაგრძობდა თამარი, შაჰის რისხვა დაცხრეს, სპარსელებს ომში ნაცადი ვაჟკაცები დასჭირდეს, აბობოქრდეს ის, ვისი დაჭერაც არც ვიწრო გზას შეუძლია და არც კლდოვანს. უდროოდ აჩქარება სულმოკლე, წინდაუხედავ ადამიანებს სჩვევიათ, მე კი შენი ჭკუის, გამჭრიახობის და ვაჟკაცობის იმედი მაქვსო. მაგრამ ყველაზე მწარე, გადაკრულ მათრახივით მსუსხავი მაინც ბოლო წინადადება იყო. თუ ჩემს გულწრფელობაში, ჩემს ერთგულებაში ეჭვი გეპარება, შემიძლია სპარსეთში გამოგყვე და შენი თავი შაჰს შევავედროო.

სირცხვილით ადრეც ბევრჯერ დამწვარა, მაგრამ საკუთარი თავით ისე უკმაყოფილო, როგორც იმ დღეს იყო, არასოდეს ყოფილა. ქალი სპარსეთში გაყოლას, მფარველობას, შაჰთან შუამდგომლობას სთავაზობდა, ასეთ რამეს დედოფლისაგანაც კი არ მოელოდა. მცირედმა ეჭვმა დიდი გაუგებრობა გამოიწვია. ამ გაუგებრობის გასაფანტავად კიდევ ერთი ბარათის დაწერა იყო საჭირო. ქალალდი და საწერ-კალამი მაგიდა-

ზე ეწყო, იქვე იდგა წყლით სავსე დოქიც. წყალი პირდაპირ დოქიდან მოსვა, ქაღალდი წინ დაიდო და ბატის ფრთა მელანში ჩააწო. დედოფალო, წერდა მსხვილი, მსუქანი ასოებით, მე რომ მძიმე დანაშაული, გაუგონარი ბოროტმოქმედება ჩამედინა, მაშინ, ალბათ, მართლაც დამჭირდებოდა დახმარება და თანაგრძნობა, მაგრამ მე ბრძოლა წავაგე, დამარცხებული მეომარი ვარ და ამიტომ არც სინანულის გრძნობა მაწუხებს და არც სინდისის ქენჯნა მითხრის სამარეს. შაჰი, შაჰი და მოსამართლე, საზღაურს თხოულობს და ეს საზღაური მე უნდა გავიღო, ან სიცოცხლეს უნდა გამოვესალმო ან თვალებს. ჩემთვის ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ თქვენ გულწრფელი, სათნო ადამიანი ბრძანდებით. ამიტომაც შემაწუხა ეჭვმა და გაუგებრობამ. თვალების აქ, საქართველოში დათხრას იმიტომ კი არ გთხოვდით, რომ სასჯელის შემსუბუქების იმედი მქონდა, არამედ სამშობლოში დარჩენა ჭკუასთან უფრო ახლო მეჩვენებოდა. თუმცა უგუნურებად არც სპარსეთში გამგზავრება მიმაჩნია. მე ძაღლის ბედი მაქვს და ისე არ გამწირავს, რომ დასატირებელი გავხდე. თქვენს გვერდით ყოფნა, თქვენთან ერთად მგზავრობა ჩემთვის დიდი პატივია, დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს სპარსეთში გამომყვეთ, შაჰს ჩემი თავი შეავედროთ. ჯვარი იმან უნდა ზიდოს, ვინც იტვირთა და თუ ამის ძალა არ შესწევს, ვერავითარი ვედრება ვერ უშველის. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, დედოფალო, ნუ მოგაკლდებათ ღვთის წყალობა ნურც თქვენ და ნურც საქართველოს, მე კი ჩემს გზას გავუდგები და ან დავიღუპები, ანდა საწადელს ვეწევი.

ასე დამთავრდა მათი მიწერ-მოწერა. მეოთხე დღეს ციხის კარი გაუღეს, ცხენი მოჰგვარეს და მეფე-დედოფალთან, ქარ-

თველ თავადებთან და ნათესავებთან გამოთხოვების უფლება მისცეს. უმცროსმა ძმამ უამრავი საჭმელ-სასმელი ჩამოზიდა ჭალიდან, დიდი და პატარა თბილისში ჩამორეკა, ნათესავები ეხვეოდნენ, ემშვიდობებოდნენ, ისეთი მოთქმა-ტირილით აკილებდნენ, თითქოს უკან ველარ დაბრუნდებოდა. ამ აზრისა იყო დიმიტრიც. თვალცრემლიანმა განზე გაიხმო და ჩურჩულით უთხრა, ორ-სამ დღეში ხალხს შევაგროვებ, სპარსელებს გზაში თავს დაევსხმები და ძალით გაგანთავისუფლებო, მაგრამ ძმას მადლობა გადაუხადა, ნათესავებს ცოტაოდენი ფული დაურიგა და ფეხი უზანგში გაუყარა. მღვრიე დღე ცრემლის ღვრამ და უამრავმა უცხო თვალმა კიდევ უფრო აამღვრია.

●

ამილახვარი ისე გასწორდა უნაგირზე, თითქოს გამქვირვალე სივრცე ამოწურა, წარსულს ანგარიში გაუსწორა და მშობლიურ ქვეყანას საბოლოოდ მოსწყდა. სინათლე სულს ღაფავდა, კლდეთა სიდიადეს აკნინებდა. სოლომონი ხანებს წამოსწეოდა, საჭურისსა და ახალგაზრდა თავადს რაღაცას უხსნიდა. დაღლილი ცხოველები შებრალებას, ბნელთან შენივთებას თხოულობდნენ, მაგრამ გზა ღრმა ხევისაკენ ეშვებოდა და კლდეებს შორის უჩინარდებოდა. ჯერჯერობით მის ხვედრს ქართველებიც იზიარებდნენ და სპარსელებიც, ჯარისკაცებიც და ჩალვადრებიც, მაგრამ როგორც კი შაჰის კარამდე მიაღწევდნენ, ყველა შემოეცლებოდა, ირგვლივ სიცარიელე შემოერტყმებოდა და გამაწამებელი ლოდინი ხან იმედს ჩაებღაუჭებოდა, ხანაც უიმედობის მუქ სუდა-

რაში გაეხვეოდა. შეიძლება შაჰს იმ დღესვე არ დაესაჯა, ციხეში დაეგზავნა, ისეთივე ბნელ ჯურღმულში ჩაეგდო, როგორიც კლდოვანი მთის უფსკრულებში ისადგურებდა, მაგრამ შავი ძაღლის ლეკვი მაინც ყველგან მონახავდა, გვერდით მოუწვებოდა, აწკმუტუნდებოდა. ძილი ძილს აღარ ემგვანებოდა და ღვიძილი ღვიძილს. როგორც კი თვალს მილულავდა, წამოიშლებოდნენ მოგონებები, მოჩვენებები, მაჯლაჯუნები და ზოგი გულზე დააწვებოდა, ზოგი ტვინს დაუწყებდა ჯიჯგნას, ზოგი კი დიდი ვაივაგლახით თავმობმულ ვარაუდს გამოუთხრიდა ძირს და იგი კარგახანს იფართხალებდა ჩამოქცეული გუმბათის ნანგრევებს შორის. მაგრამ შეიძლება შაჰს მეტი სულგრძელობა გამოეჩინა, დასჯამდე მისთვის რომელიმე ძველი სასახლე მიეჩინა, სტუმრების მიღებისა და საჭმელ-სასმელის ყიდვის უფლება მიეცა. მაშინ ბნელეთის მოციქულებს მათ ნებაზე არ აპარპაშებდა, დროს ლაგამს ამოსდებდა და ხან გააჭენებდა, ხანაც ადგილზე გააშეშებდა. ფული თუ არ ეყოფოდა, ივალებდა, ისესხებდა, სასახლეში ძველ და ახალ ნაცნობებს, გამაჰმადიანებულ ქართველებს, უცხოელ დესპანებს, ალაჰის ყმობისაგან განთავისუფლებულ სპარსელებს მოიწვევდა, ლხინს ლხინზე გადააბამდა და იმდენს დალევდა, იმღერებდა და იოხუნჯებდა, რომ მისი უდარდელობა გამჩენსაც კი შეშურდებოდა.

გზა თანდათან ვიწროვდებოდა, კლდეებს შორის მიიკლაკნებოდა, უცხო სამეფოში იჭრებოდა. ფათერაკი ცოტათი გაართობდა, გაამხიარულებდა, მაგრამ წინ არაფერი დახვდებოდა ისეთი, რაც გააკვირვებდა, ზღაპრებს ან ძველ თქმულებებს მოაგონებდა. ხევს მიღმა მდებარე ქვეყანა მხოლოდ სახელით, საზღვრებით, რჯულითა და ენით იყო უცხო, თორემ

ომის ცქერას, რასაც ზეგანიდან დაინახავდა, თვალი დიდი ხანია შეეჩვია. სპარსეთი ჩვეულებრივი სახელმწიფო იყო, შეიძლება სხვა სახელმწიფოებზე ცოტათი უფრო ჩამორჩენილი, გაწამებული, დაღლილი, მაგრამ სპარსეთშიც სახჯელითა და სიკვდილით მთავრდებოდა ყველაფერი, რასაც შეუბღალავი რწმენა, ჭეშმარიტი სიყვარული, თავისუფლებისათვის ბრძოლა და დაკანონებული ცხოვრების წინააღმდეგ ამბოხება ჰქვია. ჯალათი და მსხვერპლი სპარსეთშიც ისევე მარტო რჩებოდნენ ერთმანეთის პირისპირ, როგორც ზღვის გაღმა ან ცხრა მთას იქით მდებარე ქვეყნებში.

ღრმა, გადმოწოლილი კლდის ქიმით გადახურული ხევი გვირაბს უფრო ჰგავდა, ვიდრე წყლის ამომშრალ კალაპოტს, სადაც ყოველი ბგერა, ყოველი ჩქამი გამოძახილს პოულობდა და ქვის კედლებს ასკდებოდა. ვინმეს რომ ეს ვიწრო, ბნელი ხვრელი თავსა და ბოლოში ამოექოლა, ქვის ტომრად იქცეოდა, ჯოჯოხეთის ერთ-ერთ გარსს დაემსგავსებოდა. ჯოჯოხეთისათვის გამოსადეგი ჯურღმულები ამქვეყნად სხვაგანაც ბევრი უნახავს, ზოგჯერ შესაფერისად მოურთავს და მოუწყვია კიდეც, მაგრამ ახლა არ უნდოდა ცეცხლი გაეჩაღებინა, მდუღარე კუბრის ბუყბუყი მოესმინა, გოგირდის სუნით მოშხამულიყო. ისპაჰანში ნამდვილი ჯურღმული, ნამდვილი ცეცხლი, ნამდვილი წამება ელოდა და წარმოდგენა ხელოვნურად შექმნილ უხამსობას ვეღარ იტანდა.

მარტო რომ ყოფილიყო, გვირაბის ოღროჩოღრო ფსკერზე უჩირაღდნოდ სიარული გაუჭირდებოდა, მაგრამ ცხენი წაუფორხილებლად მიიკვლევდა გზას და მის მძიმე სხეულს მორჩილად მიათრევდა. იმ საუფლოდან, სადაც სიხარულს სთესენ და მწუხარებას იმკიან, გადმოსაზიდი, სხვა ქვეყანაში გადმო-

სატანი აღარაფერი ჰქონდა. აჩრდილები ჩრდილებად იქცნენ, ბნელს შეერწყნენ და შეესისხლხორცნენ, ხოლო ცხენებისა და აქლემების ფეხის ხმა ისე ისმოდა ღრმა ხევში, როგორც ადესში შერეკილი, ქედმოხრილი კენტავრების ფლიქნების ცემა. უდაბური ველებისა და ამ კლდოვანი ჯურღმულის მიღმა ან სასუფეველი უნდა დახვედროდა, ანდა უძირო ორმო, რომელიც ერთბაშად შთანთქავდა, მტვრად აქცევდა, მაგრამ მიწიერი გზები ასე მარტივად, ასე აზრიანად არსად არ თავდება, არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით, არც ღვთისკენ მიმართული და არც ეშმაკისაკენ გაკვალული.

ცხენი ისე აიჭრა ზეგანზე, თითქოს მართლაც ქვესკნელის გზა ამოიარაო და ერთი წუთით რომ არ შეჩერებულიყო, გული გაუსკდებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ერთი ნათელი არ აჩნდა, სავსე მთვარის მაცდური სხივები მთებსა და ხეობებს ეფინებოდა. დედამიწას ურცხვად ეარშიყებოდა. დაბლა, ვრცელ და ნაპირნახულევ ველზე მდინარე მიიკლაკნებოდა, იქოჩრებოდა, მთვარისა და ვარსკვლავების მაცდუნებელ სხივებს ირეკლავდა. მდინარის პირას სპარსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო გაშენებული. ბრტყელსახურავიანი, რუხი ფერის სახლები ერთმანეთს ეტმასნებოდნენ, შუბებივით აღმართული მინარეთები ცის საუფლოში იჭრებოდნენ. სისხლითა და ოფლით მონაგარი ბაღები და ბოსტნები, სოფლები და ქალაქები, ღამის დუმილი, სიცოცხლის სუნთქვა და უკან ჩამწკრივებულ მეთვალყურეთა ფრთხილი მზერა, ყველაფერი, რაც ცხოვრებას მოსავდა და აშიშვლებდა, იფარავდა და ძარცვავდა, ალამაზებდა და ამახინჯებდა, ალმობიერებდა და ასასტიკებდა, ცოტათი მასაც ეკუთვნოდა, სიკვდილიანად მისი წილხვედრი იყო და თუ გამჩენმა ქვის გამძლეობა,

მოკრიალებული ცის უბიწოება და ვარსკვლავთა უკვდავება არ მიანიჭა, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მშობლიური მიწის სიყვარულზე და არსებობისათვის ბრძოლაზე ხელი აელო, ბოლომდე არ მიეტანა ის, რაც წინაპრებმა გადმოულოცეს, უგუნურად გაეფლანგა ისედაც დატაცებული და შებილწული საუნჯე.

სიშორისა და სინატიფისაგან ფერმიხდილი ქვეყანა ჯავრის გულიდან ამორეცხვას, წარსულის დავიწყებას, გალმობიერებასა და განკაცებას სთხოვდა, ეეედრებოდა, ეცნო ღამე და ირგვლივ გამეფებული იდუმალება, დამცხრალიყო, გაგულგრილებულიყო, შერიგებოდა ბედსა და ღმერთს, უდარდელად მიეტოვებინა სოფლები და ქალაქები, ისევე უხალისოდ ჩაევლო სასახლეების, ქარვასლების, დუქნებისა და საროსკიპოების გვერდით, როგორც მილიონებს ჩაუვლიათ, ისევე მშვიდად შეჰგებებოდა ტკივილსა და სიკვდილს, როგორც ბევრი ბრძენი კაცი შეჰგებებია, მაგრამ ფერმიხდილი ქვეყნის მომადუნებელი ჩურჩული მის გულს არ ეკარებოდა, მის ნებას ვერ არყევდა. დატყვევებულსა და მსჯავრდებულს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მეტი თანაგრძნობა გამოეჩინა ამ ქვეყნის მიმართ, ვიდრე ოდესმე გამჩენს გამოუჩენია. თუ წუთისოფელს ასე სჭირდებოდა კაცთა მოდგმის სიამაყისა და სიჯიუტის დათრგუნვა, მოკვდავთა განკაცება და გალმობიერება, ჯერ ისინი უნდა გალმობიერებულიყვნენ, ვინც მის ქვეყანას სულს ხდიდა, ვინც მხოლოდ იმიტომ ასამართლებდა და სჯიდა, რომ მასზე ძლიერი იყო.

მთვარით განათებული ველი სულ უფრო ცხადად იკვეთებოდა. ნათლად მოჩანდა ქალაქის მაღალი გალავანი, ბორცვზე წამოყუდებული ციხე, დიდი, ბნელი შენობის წინ გაშლილი

მოედანი. ზოგიერთი სახლის ვიწრო სარკმლიდან სუსტი სინათლე გამოსჭვიოდა, კედლებს შორის დაბუდებულ ჩრდილებს აკრთობდა და ციური სხივების სიმსუბუქის შეძენას ცდილობდა, მაგრამ ზღვარდაუდებელი სივრცის გაფართოებას ვერაფრით ვერ ახერხებდა, ყოველ ნაბიჯზე გადაულახავ დაბრკოლებას აწყდებოდა. მისი ციმციმი მხოლოდ ჭრაქის ბჟუტვა იყო და ქვეყანას ვერაფერს წაგლეჯდა.

ქვეყანა ღამეს, სიზმრებს, უხორცო და ხორცშესხმულ აჩრდილებს ეპყრათ ხელთ, ეპყრათ ისე ხარბად, რომ გათენებამდე ვერავინ ვერაფერს დასტყუებდა, მაგრამ სიზმრებისა და აჩრდილების ამ მდუმარე საუფლოში ამილახვრის მახვილი თვალი ისეთ რამეს ამჩნევდა, რაც თვალით არ ჩანდა, ისეთ რამეს გრძნობდა, რაც სხვა დროს არ უგრძვნია. მისი დაღლილი, ჭუჭყიანი სხეული ჯავშნით იმოსებოდა, ჯავშნის ელვარე ზედაპირზე სხვისი თუ საკუთარი ნაზრევით მოწამლული ისრები სხლტებოდა, იღებოდა სიბნელისა და მარტოობის შავი კარი, რომლის უკან იმედი და ვაჟკაცის გამაფიცხებელი სიქველე სუფევდა. საქართველოში ათასობით ობოლი ბავშვი ტიროდა და მათი ცრემლების შესაშრობად თავიც საჭირო იყო და თვალებიც, ათასობით კაცი შიმშილობდა და მათ გამოსაკვებად ჭკუაც საჭირო იყო და მკლავის ძალაც, ათასობით უცხო თესლი, უცხო გავლენა, უზნეობა იკიდებდა ფეხს და მათ ამოსაძირკვავად სულიც საჭირო იყო და გულიც. როგორც არ უნდა წაელეკა ქვეყანა სისხლსა და სიბნელეს, რა სასტიკადაც არ უნდა მოჰქცეოდა ბედი, იმას მაინც ვერ უსაყვედურებდა, რომ არ იცოდა რას სჩადიოდა, ვის ესარჩლებოდა და ვის უპირისპირდებოდა. გრძელი, ყველა გზაზე უფრო მოსაწყენი, დამქანცველი გზა უკვე გამოიარა, უკან

მოიტოვა მზის მცხუნვარება, მოკეთეები, მოვალეები და ახლა მისთვის სულერთი იყო, ვის ჭერს შეაფარებდა თავს, როგორ მიიღებდა სპარსეთის ეს უძველესი ქალაქი. რაკი ბედმა ასე შორს, ასე მტრულად განწყობილ ქვეყანაში გადმოისროლა, ყოველი ნაბიჯი საკუთარი თავის იმედით უნდა გადაედგა.

ამილახვარმა ცხენი ადგილიდან დასძრა და იმის მაგივრად, რომ გარდუვალი ტკივილისათვის მომზადებულიყო, ღამეს დაწინ გადაშლილ ქვეყანას თამამად გაუღიმა, ისე დაეშვა დალმართში, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ არ წაიქცეოდა.

ნაწყვეტი „გეორგიანული ისტორიიდან"[1]

სპარსეთის ერთ ქალაქში გავლის დროს ბიძაჩემმა ფრიად სასიქადულო საქმე ჩაიდინა. მან დაინახა, რომ ქუჩაში ერთ წარჩინებულ კაცს უმოწყალოდ სცემდნენ ფეხის გულებზე: ამ კაცს გადასახადი არ გადაეხადა, რითაც შაჰი ისე განრისხებულა, რომ მისთვის ნახევარ მილიონად ღირებული ქონება ჩამოურთმევიათ. მაგრამ ხარჯთამკრეფნი მაინც თავის წილს სთხოვდნენ: მათ ათი შაური ერგებოდათ ყოველ ათ მანეთზე, რაღა გადაეხადა, რაც არა დარჩა რა? ბიძაჩემმა თავის უკანასკნელი ფული მიაცემინა და გამოასყიდვინა საბრალო კაცი. ამის გამო თანმხლებელმა კახელმა თავადიშვილებმა ბიძაჩემი კიდეც გაჰკიცხეს თურმე: რა გესაქმება ვიღაც სპარსელ-

---

[1] ავტორს საჭიროდ არ მიაჩნია სპარსეთში გაჰყვეს გივი ამილახვარს, მაგრამ რადგან ამბავს დასრულება სჭირდება, მოგვაქვს ნაწყვეტი გივი ამილახვრის ძმისწულის, ალექსანდრე ამილახვრის თხზულებიდან „გეორგიანული ისტორია". ეს მცირე მოცულობის თხზულება ამ ოცდათორმეტი წლის წინათ გერონტი ქიქოძემ თარგმნა რუსულიდან.

თანო? ფული თვითონ გვჭირია ყოველ გარემოებაში, ისიც კი არ იცი, სიკვდილი მოგელის თუ სიცოცხლეო. ბიძაჩემს უპასუხნია: თუ მომკლეს ფული რად მინდა, ხოლო თუ ცოცხალი დავრჩი, მე უნდა ვფლობდე ფულს და არა ფული შენ. განთავისუფლებული სპარსელი თავის მხსნელს მიუახლოვდა თურმე და მისი სახელი და გვარი ჩაიწერა. ხოლო შემდეგ, როცა თავისი ადრინდელი ღირსება აღიდგინა, მან ბიძაჩემს უხვად მიუზღო სამაგიერო.

– ამგვარად მიაღწიეს სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანს, რაიცა შაჰს აცნობეს. შაჰმა ბრძანება გასცა გვი ამილახვარი ბოქაულს ჩააბარეთ, ხოლო მე არ დამახახოთო: თუ დავინახე ყოველი მისი ბოროტმოქმედება გამახსენდება და შემომაკვდებაო. ამის შემდეგ ბიძაჩემს მცველები მიუყენეს თურმე. მაგრამ მასთან ხშირად სავახშმოდ დადიოდნენ ეთიმადოვლე და მთავარსარდალი, რომლებიც ჩვენივე ერის შვილები იყვნენ და დიდად მეგობრობდნენ ბიძაჩემს. ამის გამო ერთხელ მის თანმხლებ აზნაურს ცრემლთაფრქვევით ეთქვა კიდეც, რა გესტუმრება და გემხიარულება, როცა გარს მცველები გვადგიან და ყოველ დღე სიკვდილს უნდა ველოდეთო. რაზედაც ბიძაჩემმა თურმე ღიმილით უპასუხა: თუნდაც მე მომკლან, შენ არავინ ხელს არ გახლებს, ხოლო თუ ჩემი ბედი გაღონებს, გეტყვი რომ სწორედ დღეს წერილი მივწერე ეთიმადოვლეს და სესხად ათი ათასი მანეთი ვთხოვე, რაც მან მაშინვე აქლემებზე აკიდებული გამომიგზავნაო. ამით ბიძაჩემმა თავისი ახალგაზრდა აზნაური დაარწმუნა, რომ მის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელოდა, ვინაიდან თუ ეს ასე არ ყოფილიყო, მას ფულს არ ასესხებდა ადამიანი, რომლის ხელში მისი საქმე იყო.

ერთხელ მოხდა, რომ მაჰმანდარებმა (სტუმართა მიმღები მოხელეები) შაჰს, რომელმაც თავისი ამირახორბაში (მტალმეისტერი) მოითხოვა, შეცდომით ამილახვარი, ე. ი. ბიძაჩემი მიუყვანეს: ბიძაჩემს ის იყო ევახშმა და სტუმრები გაეცილებია. მას ეშინოდა ასეთი უდროო მოთხოვნისა, მაგრამ მაინც შაჰს ეახლა. მივიდა და მისაღებ დარბაზში დაჯდა, სანამ ეშიკაღასები (ცერემონმეისტერები) მის მოსვლას მოახსენებდნენ. მანამ კი იგი თავიანთ შორის დასვეს და როგორც წარჩინებულ პირთა სტუმართმასპინძლობას შეეფერება, ყალიონი მიაწოდეს.

ამილახვრის გაგონებაზე შაჰმა თურმე თავის ეშიკაღასებს და მაჰმანდარებს დაუყვირა, მე ჩემი ამირახორბაში მოვითხოვე და არა ამილახვარი, ეს თვალით არ დამანახოთ, მაგრამ ამასთანავე თურმე ბრძანა უკეთეს ბინაზე გადაეყვანათ იგი, გაედიდებინათ მისი შესანახი ხარჯები და ათასი მანეთი ეგრეთწოდებული სააბანო ფული მიეცათ, რაიც სპარსელებში უმაღლესი მოწყალების ნიშნად ითვლებოდა.

როცა შაჰმა გაიგო, რომ დედოფალი თამარი გარდაიცვალა, ხოლო თეიმურაზმა ორმოცი დღის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან თავად ციციშვილის ქვრივი შეირთო, დიდად განრისხდა და წამოიძახა: — მე საქართველოს მართველობა თამარს ვუბოძე და არა მის ქმარს, რომელმაც არც კი დაიცადა, გლოვისათვის დაწესებულ ვადას გაევლოო.

მოიმიზეზა რა დაქვრივებული თეიმურაზის სულმოკლეობა, შაჰმა მას არბაში დაადო. სპარსეთის შაჰებს ჩვეულება აქვთ, რომ როცა ვინმეს გაურისხდებიან, ჯერ არბაშს ადებენ, ხოლო შემდეგ სჯიან ფულის გადაუხდელობისათვის. როგორც

კი თეიმურაზმა გაიგო, რომ შაჰმა ორი მილიონის გადახდა დამაკისრაო, მაშინვე მიხვდა, რომ იგი მასზე გამწყრალი იყო და თავისი ოჯახით კავკასიონის მთებში გაიხიზნა. აქ მას აცნობეს, შაჰმა ამილახვარი გაანთავისუფლა და ჯარით საქართველოში გზავნის შენს შესაპყრობადო. ამ ცნობამ თეიმურაზი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ბიძაჩემს ვერსად დაემალებოდა და გადასწყვიტა ნებაყოფლობით გამოცხადებოდა შაჰს, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო უნდა ჰქონოდა შეწყალების იმედი.

ნადირ-შაჰმა მართლაც გაანთავისუფლა ბიძაჩემი. მიიწვია იგი და უთხრა: გაპატიებ ყოველივე შეცოდებას, სამაგიეროდ შენც უნდა გვემსახურო. გაძლევ ოცდათოთხმეტი ათას ჯარისკაცს, წადი საქართველოში და სამეფო მართვა-გამგეობა იკისრე, ხოლო თეიმურაზი მისი ვაჟი ირაკლითურთ დაიჭირე და გამომიგზავნე! — თუმცა ბიძაჩემს სულით და გულით უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა და მზადებას შეუდგა. მაგრამ სწორედ მისი წამოსვლის წინა ღამეს ნადირ შაჰს მისი ძმისწულის ადილ შაჰის წაქეზებით სასახლის მცველები დაესხნენ თავს და მოკლეს[1].

ამ სახელოვანი ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ დიდი არეულობა დაიწყო, ვინაიდან ხანები აღდგნენ და ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა. თითოეული მათგანი ცდილობდა ხელთ დაეჭირა ტახტი. მაგრამ ყველას ადილ შაჰმა აჯობა, რომელიც

---

1 დანამდვილებით ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ შეთქმულებაში, ალბათ ქართველებიც მონაწილეობდნენ, შეიძლება გივი ამილახვარიც, რადგან შაჰის კარზე ბევრი წარჩინებული ქართველი მსახურობდა, ხოლო სასახლის დაცვა თითქმის მთლიანად ქართველებს ჰქონდათ დავალებული (შენიშვნა ავტორისა).

ბოლოს ავიდა სპარსეთის ტახტზე. ამ არევდარევის დროს ბიძაჩემთან თავი მოიყარა ათასზე მეტმა ქართველმა, რომელთაც სპარსეთში სხვადასხვა თანამდებობა ეჭირათ. მათთან ერთად ბიძაჩემი წარუდგა შაჰს და თაყვანი სცა მას. ადილ შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო და ყულარაღასობა, ე. ი. მთელი გვარდიის უფროსობა უბოძა. ამის შემდეგ ბიძაჩემს შაჰ-ყული-ხანი ეწოდა. მან მრავალჯერ გაიმარჯვა თავის გვარდიით, ხოლო როცა ერთხელ ინდოეთის ერთი გამაგრებული ქალაქის აღების შემდეგ შაჰს წარუდგა დიდი ნადავლით, ამ უკანასკნელმა მოოქვილი და თვალმარგალიტებით შემკული ხმალი შეიხსნა და თავისივე ხელით მას დაჰკიდა. სხვა საჩუქრებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ხმალი ოცდაათ ათას მანეთად იქნა შეფასებული.

ბიძაჩემმა სპარსეთში არა თუ შური არ იძია თეიმურაზის წინააღმდეგ, არამედ სიკვდილისგანაც იხსნა იგი. ერთს შეტაკებაში, რომელიც ამ მღელვარე დროს ხშირად ხდებოდა ისპაჰანის ქუჩებში, თეიმურაზი დატყვევებული იქნა სპარსელი ჯარისკაცების მიერ და მას ალბათ მოკლავდნენ, რომ ხმამაღლა არ დაეძახა, ხელი არ მახლოთ შაჰ-ყული-ხანის ძმა ვარო. ამიტომ იგი უვნებლად მიიყვანეს ბიძაჩემთან, რომელმაც მადლობა უთხრა ჯარისკაცებს და დაასაჩუქრა ისინი: ამის შემდეგ თეიმურაზი საქართველოში დაბრუნებამდე განუყრელად ბიძაჩემთან იმყოფებოდა, მას თავის მხსნელს უწოდებდა და ცდილობდა კავშირი და მეგობრობა მთელს ჩვენს ოჯახზე გაევრცელებია.

ბიძაჩემი სპარსეთში დარჩა მესამე შაჰამდე, რომელსაც იბრაჰიმი ეწოდებოდა. ამ შაჰმა მას ორი დაბა აჩუქა ნახჭევანის სახანოში, მაგრამ იბრაჰიმს დიდხანს ალარ უყაენია და მას

შემდეგ ჩქარა შესწყდა ნადირ-შაჰის მთამომავლობის ხაზი. სპარსეთში საშინელი არევ-დარევა დაიწყო.

ბიძაჩემმა, რომელიც განებივრებული იყო შაჰების სამსახურში, არ ისურვა ვაქილების ყმობა, თავი მოუყარა სპარსეთში გაბნეულ ქართველ ჯარებს და სპარსელების წინააღმდეგობის მიუხედავად სამშობლოში დაბრუნდა დიდად მორჭმული. თეიმურაზ მეფემ იგი დიდი დიდებით მიიღო, ირაკლი მას თავის მამას უწოდებდა.

ამის შემდეგ ბიძაჩემს დიდხანს აღარ უცოცხლია, განაწესა თავის მემკვიდრეობის საქმეები, მრავალი ტაძარი და ციხე-სიმაგრე ააგო დანგრეულთა ადგილას, არა მარტო საამილახვროში, არამედ მის საზღვრებს გარეშეც, მრავალი ქველმოქმედება ჩაიდინა, თავისი დასაფლავების წესი განაგო და გარდაიცვალა.

ბიძაჩემი პატივით დაასაფლავეს. კუბოს სამი სარწმუნოების სამღვდელოება მიჰყვებოდა: წინ მიუძღოდა მართლმადიდებლობის სამღვდელოება, მარჯვნივ კათოლიკებისა, ხოლო მარცხნივ სომხებისა. მათ უკან კი მიდიოდნენ მეფე, ჩვენი ოჯახი და წარჩინებული თავადიშვილები. გლოვა მთელ საქართველოში დიდხანს გაგრძელდა.



დაღამება ამა სოფლისა

ისე ვულცივად ჯერ განსჯა არა მქონია, ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუცებულიც ვერ იქნება ჩემისთანა უსასყიდლო მსაჯული.

ნ. ბარათაშვილი

იმ საღამოს ხანგრძლივი ცივებ-ცხელებისა და ბოდვის შემდეგ პირველად დაუბრუნდა ცნობიერება. თვალს აღარ უჭირდა საგანთა გამოცალკევება, ბნელისა და ნათელის გარჩევა. მოირღვა, დაილეწა ოთხივე მხრივ აღმართული კედლები, გა-

ფართოვდა ორმო, რომელშიც ხან აუტანელი სიცხე იდგა, ხანაც გამთოშავი სიცივე. ვიღაცას შუა ოთახში მრგვალი მაგიდა დაედგა, შანდალი მოეტანა, ორი სანთელი აენთო. პირველად ვერ მიხვდა, სად იყო, ვისა და რას ებრძოდა, მაგრამ როცა იატაკზე გაწოლილ ჩრდილებს დააკვირდა, დარწმუნდა, რომ ადგილსამყოფელი არ გამოუცვლია. ტალახით შელესილი, შეთეთრებული, უსწორმასწორო კედლები აღარ ირყეოდნენ, აღარც ფერს იცვლიდნენ, მაგრამ მთელი ამ ქოხის უსადრეკობას ძველებურად იტევდნენ. ფანჯარა ისე გაეშავებინა გარედან მომდგარ ბნელს, თითქოს ქვეყანა კუპრის ზღვაში იყო ჩაძირული. ახლა მას არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ გარეთ წვიმდა. წვიმდა გადაუღებლად, წვიმდა ისე, როგორც ეს ოქტომბერში იცის. სინესტე ყველა ჩვრელიდან, ყველა ჭუჭრუტანიდან ქონავდა. ირგვლივ ობის, სისველისა და სიდამპლის სუნს აყენებდა. ამ ერთი თვის წინათ იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადახვეწილიყო ცხრა მთას იქით, როგორ მიეტოვებინა ეს გაძარცული, გაპარტახებული ქალაქი, მაგრამ ახლა საამისოდ არ ეცალა. ყველა ჯებირი მოირღვა, ყოველი შემოსული არსება გაშიშვლდა, ყოველი იმედი გაქარწყლდა. მის სულში სიმკაცრემ და სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი, გადამახალისებელი, სხვა განწყობის შემქმნელი სიმშვიდე. ეს უფრო ზეციურ სიმშვიდეს ჰგავდა — ყოვლისმომცველს, ყოვლისგადამფასებელს. ტკივილი და სულის ხუთვა სადღაც გაქრა, თვალმა სიმახვილე დაიბრუნა, შეგნებამ ცნობიერება, გონებამ აზროვნების უნარი. აწეწილი, არეულ-დარეული სამყარო ისევ დალაგდა, შეივსო, დროს დაედევნა. სანამ გარეშე ხმაური გარკვეულ ქღერადობას შეიძენდა, მან საბნიდან ხელი გამოიღო

და ისე გადაისვა შუბლზე, თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორა თავიდან. მთელი კვირა ებრძოდა ბნელს, მაჯლაჯუნებს, კუმარებს. მთელი კვირა ჰყლეტდნენ, აღრჩობდნენ, მახთავდნენ და მაინც ვერ მოუღეს ბოლო. ახლა ირგვლივ არავინ ჩანდა, მაგრამ სიცარიელის ყრუ გამოძახილი მკვეთრად ისმოდა ყოველ მხრივ დახშულ სივრცეში. მიუხედავად ამისა, შეუპყრობელის შეპყრობა მაინც არ უცდია. ოცდარვა წლის მანძილზე მისთვის არავის არაფერი უპატიებია, არაფერი შეუნდვია, არაფერი შეუმსუბუქებია. ამის იმედი არც ახლა ჰქონდა. მალე ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. ჯერ ყინულივით ცივ საბანში გაახვევდნენ, დაჯორგავდნენ, შემდეგ ცეცხლს შეუნთებდნენ ქვემოდან და ისევ დატრიალდებოდა თვალწინ წითელი ბურთულები. მაგრამ ამალამ იგი მათ ადვილად არ დანებდება, კისერზე მარყუჟს არ ჩამოიკიდებს. მარცხი ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას, ლოგინში წოლა — უძლურებას, დუმილი — მორჩილებას. მას ჯერ კიდევ შესწევს ძალა თვალი გაუსწოროს სიკვდილსაც და ცხოვრებასაც, იბრძოლოს ყოველი წუთის, ყოველი წამისათვის. გარდაიქმნას ისე, რომ შემორჩენილმა აჩრდილებმა ვერ იცნონ, ვერ მიხვდნენ, საიდან დაუბერა ქარმა. მართალია, წინ თითქმის არაფერია, ქვიშა უმოწყალოდ ცვივა ბურთულიდან ბურთულაში, მაგრამ უკან მთელი განვლილი ცხოვრება დევს და მას კიდევ ერთხელ შეუძლია იცხოვროს ამ ცხოვრებით.

წვიმის მძიმე წვეთები სახურავს ეცემოდა, თიხის სქელ ფენას რეცხავდა, წყალი ტალახივით მოედინებოდა. ასეთ ამინდში იგი არაერთხელ შემჯდარა ცხენზე, გრძელი ნაბადი მოუხურავს და ავაზაკივით შეიარაღებული ვიწრო ქუჩას გაჰყოლია. ყოველი ასეთი გასეირნება უკვალოდ გაქრობა უფრო

იყო, ვიდრე გასეირნება, რადგან შინ არაფერი რჩებოდა. ან-
და რა უნდა დარჩენოდა. საკუთარი არაფერი გააჩნდა, სხვისი
კი ზედმეტ ტვირთად მიაჩნდა. სანამ ქალაქს გასცდებოდა, გუ-
ლი ყოველთვის დამძიმებული ჰქონდა. ირგვლივ ერთი ხეი-
რიანი სახლი არ ჩანდა, ერთი ხე არ იყო ისეთი, რომ ჩრდილს
შეჰფარებოდა. ქუჩები ლაფში იღრჩობოდა, ადამიანები კი
მიწურებში და სიბინძურეში. აქა-იქ მიტოვებული კარ-მიდა-
მოც ჩანდა. მათი პატრონები ან აბასმირზას გაჰყვნენ, ან ლე-
კებმა მოკლეს, ანდა შიმშილმა იმსხვერპლა. სპარსელები სა-
მუდამოდ განდევნეს მათ მიერ არაერთხელ გადაბუგული მი-
წიდან, შიმშილს და ლეკებს ცოტათი უკან დაახევინეს, მაგ-
რამ ყაჩაღებს ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხეს. ვისაც გუ-
ლი ერჩოდა და ძალა შესწევდა, ტყეში გარბოდა. შინ ჯდომას,
პატიოსნად შრომას და ყოველდღე იმაზე ფიქრს, როდის და-
გესხმიან თავს, როდის გაგძარცვავენ, მათ ისევ ის ამჯობინეს,
რომ სხვები ეძარცვათ. მთელ ამ მხარეს დაშოშმინება, მოვლა-
პატრონობა სჭირდებოდა, მაგრამ ადგილობრივი მოხელეები
საკუთარ ჯიბეზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საქმეზე-
ამის გამო მასაც ეჭვის თვალით, ალმაცერად უყურებდნენ.
არ სჯეროდათ, რომ ქრთამს არ იღებდა, დაჩაგრულს არ ჩაგ-
რავდა, ძლიერთა წინაშე ქედს არ იხრიდა. ერთი-ორჯერ პრო-
ვოკაციაც კი მოუწყვეს, მაგრამ პროვოკაციაზე მეტად მას
სულ სხვა რამ წამლავდა. მონებსა და ლაქიებს შორის თვი-
თონაც მონად და ლაქიად გრძნობდა თავს. მარტო დარჩე-
ნილს გული ეკუმშებოდა, მელანქოლია ეძალებოდა, ხოლო
ზოგჯერ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სადაცაა ჭკუი-
დან გადავიდოდა. ერთხანს კედლიდან კედლამდე დადიოდა,
ჩრდილებს აფრთხობდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, შემ-

დეგ გარეთ გამოვარდებოდა, ცხენს მოახტებოდა და, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მთებისაკენ გასწევდა. წვიმა სახეში სცემდა, ნაბდის კალთებს ჩაბლუკნეგზული ქარი უკან ექაჩებოდა, ცხენიდან გადმოგდებას უპირებდა, მაგრამ მას სწორედ ამგვარი ჭიდილი ანიჭებდა სიამოვნებას, გაციებულ სისხლს უთბობდა, თავს ავიწყებდა. ამ დროს იგი ცას, ქარს, მინდვრებსა და ტყეებს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე რომელიმე არსებას ან სხვა რომელიმე გარემოს. მაგრამ ასეთ გასეირნებას ერთი უსიამოვნებაც თან ახლდა ყოველთვის. ნაავადმყოფარი, მარტოობისაგან გაწამებული ადვილად ცივდებოდა და ლოგინად ჩავარდნილს კვლავ ეძალებოდა ნაღველი. იწვა ჩუმად, დასჯილი ბავშვივით. ძილი არც დღე ეკარებოდა და არც ღამე. რამდენიმე დღეში ისე იღლებოდა, რომ თმენის ძალა აღარ შესწევდა. ამას წინათ ამბავი მოუტანეს, ყაჩაღებმა მწყემსები დახოცესო. სიცხიანმა სამი დღე იხეტიალა ტყეღრეში, მთელი მაზრა შემოიარა, მაგრამ ყაჩაღების კვალს ვერსად მიაგნო. თავი უხურდა, გული ერეოდა, ბავშვობაში მოტეხილი ფეხი ტკიოდა. ყავარივით გამომშრალს ყელში არაფერი გადასდიოდა, მხოლოდ არაყს წრუპავდა დროდადრო, შეუმჩნევლად ემზადებოდა რაღაც ისეთისათვის, რასაც აღარაფერი ეშველებოდა. მეოთხე დღეს უკან გამობრუნდა, მაგრამ განჯამდე ვეღარ მიაღწია და მურუთში ჩამოხტა. დაბუქებული ფეხები ძლივს ამოქონდა სქელი ლაფიდან, ბნელ ოთახში ხელისფათურით მიიკვლევდა გზას. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია საწოლამდე, იარაღი და ტანსაცმელი იქვე, იატაკზე დაყარა და მოცელილივით წაიქცა. მას შემდეგ ფეხზე აღარ წამომდგარა, მოწყდა, მოეშვა, საკუთარ თავს გაემიჯნა.

ქარი წყნარად გაიღო. ოთახში შუახნის ქალი შემოვიდა.

იგი პირველად არ ხედავდა ამ ნაყვავილარ, ხელებდაწოლილებულ დედაკაცს. თუ ამ ოთახში რაიმე თავის ადგილას იდო, მხოლოდ ამ დიდი, ლონიერი ხელების წყალობით. მათთვის ამქვეყნად მძიმე და ბინძური სამუშაო არ არსებობდა. ყველაფერს ეხებოდნენ, ყველაფერს ერეოდნენ, დავრდომილ ავადმყოფს უვლიდნენ. განჯაში ეს უთვისტომო ქალი პოლიციელს თუ ჯარისკაცს ჩამოჰყვა, ქოხი აიშენა, ოჯახის შექმნა მოიწადინა, მაგრამ პოლიციელი ლეკების ტყვიამ იმსხვერპლა და იგი კვლავ მარტო დარჩა. მას შემდეგ ხან მაზრის უფროსს ემსახურება, ხან მის მოადგილეს. უფრო ხშირად მოადგილეს, რადგან მაზრის უფროსი მეტწილად თბილისშია. თუმცა რა უნდა აკეთოს თბილისში გაზრდილმა, ცოლშვილიანმა კაცმა ამ გადაბუგულ უდაბნოში, როგორ გაძლოს უდარდელი სიცილის გარეშე. მიუჩვეველი კაცისათვის მარტობა ისევე ძნელი ასატანია, როგორც ტყვეობა. რამდენიმე თვეში ფიტავს, აჩლუნგებს, ასნეულებს. ამიტომაც ისწრაფვის დღენიადაგ იმათკენ, ვისი აღერსი, ზრუნვა და ყურადღება ჰაერივით სჭირდება. ამას წინათ იგი ვერც კი გააცილა. შეციებულს ზემოდან ორი ნაბადი ეხურა და მაინც კანკალებდა. მეორე დღეს ისევ მოუხდა ცხენზე შეჯდომა. ერთ-ერთი სოფლის მახლობლად ყელგამოჭრილი ვაჭრები იპოვეს. წელამდე მიწაში ჩამძვრალი, საკმაოდ მოზრდილი სოფელი ავის მომასწავებელი დუმილით შეეგება. ყოველი ვიწრო ფანჯრის უკან შეიარაღებული სილუეტები იყვნენ ჩასაფრებულნი. მათი მზერა ჯვარედინა ცეცხლივით სერავდა ქუჩას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე კაცი მაინც დააპატიმრა, მაგრამ ვერაფერი დაადგინა. ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ნდობა არ არსებობდა. არ სწამდათ მექრთამე მოხელე-

ების სამართლიანობის, დაწერილი ქალალდის ძალის. არ სჯეროდათ, რომ მათ საკეთილდღეოდ ვინმე ხელს გაანძრევდა. ძალადობა ისეთივე ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ, რაგორც უამინდობა. პატიმართა უმრავლესობა პირქუში, გაბოროტებული, გამამაძაღლებული ავაზაკი იყო, საკუთარი თავის გარდა არავის ენდობოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა თავისუფლება. სხვა როგორმე შეძლებდა ალბათ მათ გამოტეხვას, მაგრამ მისი სისუსტე ის იყო, რომ კარგად ესმოდა მათი, რაც თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ნიშნავს პატიებას. გარდა ამისა, ძალადობა და ადამიანის ფიზიკური წამება ჭირის დღესავით სძულდა ყოველთვის და ამის გამო მეტი ჯაფა ადგებოდა. თუმცა ამისათვის არც მაზრის უფროსი ვარგოდა. ყაჩაღების დევნას და ეჭვმიტანილთა დაკითხვას მას ისევ თბილისში ეტლით სეირნობა და ქეიფი ერჩია. ამიტომაც დააკისრა თანაშემწეს უცხო, გაუგებარი და უაზრო ტვირთი. თუ ბედისწერა არა, რამ გადაჰყარა იმ დღეს მამუკას, რატომ დათანხმდა, რატომ შეაქცია ზურგი თელავს. რომელი ჭკუათმყოფელი გარბის სამშობლოდან, როცა სხვაგან უკეთესი არაფერი ეგულება. თუ აუხსნელი შემთხვევითობა არა, რისთვის მოაშურა ამ გაპარტახებულ ქალაქს, რა უნდა ეპოვა აქ ისეთი, რომ თავის შესაქცევად ან მოსატყუებლად გამოსდგომოდა. იქნებ მოეხათრა და უარი ვერ უთხრა, ან იქნებ მშობლიურ ქალაქში სული ეხუთებოდა და უნდოდა რაც შეიძლება შორს გადახვეწილიყო, გასცლოდა ყველას და ყველაფერს, განთავისუფლებულიყო მერყეობისაგან, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა, რის გამოც საკუთარ მოწოდებას ღალატობდა. ღალატი რომ ცალმხრივი არაა, ეს მან აქ ჩამოსვლამდეც იცოდა. ვინც თავს ღა-

ლატობს — ღალატობს სხვებსაც, მაგრამ ეს არ ეხმოდათ მიჯი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს. პირიქით, მუდამ იმას ჩასჩიჩინებდნენ, რომ ხელი აეღო ღვთით მოხიჭებულ მადლზე და უხილავ, გამომფიტავ, გამრყვნელ ძალას დამორჩილებოდა, ფეხი შეედგა ისეთ ჯურღმულში, რომელსაც ველარასოდეს დააღწევდა თავს. აკი ასეც მოხდა. მთელი ძალ-ღონე სამსახურს შეალია, არ დაზოგა არც დრო, არც ჯანმრთელობა და მაინც ვერავის ვერ შეუმსუბუქა მძიმე ხვედრი, ვერავინ იხსნა ძალადობისა და სიკვდილისაგან.

ღამე ისე პირქუშად იმზირებოდა გარედან, თითქოს აღარასოდეს დაიხევდა უკან. ამის გამო ყოველი ნივთი, ყოველი საგანი, რომელთაც სანთლების გამჭვირვალე შუქი დამოუკიდებლობას ანიჭებდა, უფრო მძაფრად იკვეთებოდა, განუმეორებელ თავისებურებას იძენდა. მას რომ მხარი ექცა, ახლა ეს სადავო არ იყო. მაგრამ რაღა მაინცდამაინც მის მხრებს დააწვა დროის სიმძიმე, რაღა მის სულში ჩასახლდა უნდობლობა, სხვათა ტკივილის სიმძაფრე, დაუცხრომელი პროტესტი. კიბეზე მანამდეც დაგორებულა სკოლაშიც და სახლშიც, უხეიროდაც დაცემულა, მაგრამ ამჯერად წამოდგომა ვერ შეძლო. მთელ ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა, გაფითრდა, გმინვა აღმოხდა. სანამ ტკივილი ღამეებს თეთრად ათევინებდა, სანამ ლოგინში იწვა, ფეხის დარდი არ ჰქონდა, მაგრამ როგორც კი ყავარჯნები გადაყარა და სწორად გავლა სცადა, მიხვდა, რომ სამუდამოდ დაკოჭლდა. დაირღვა სიმეტრია, სწორხაზოვნება და შიგნით რაღაც გაიბზარა. ფეხი დამოკლდა, მაგრამ ამით მის ნიჭს, მის ენერგიას არაფერი შოკლებია. პირიქით, შემჭიდროვდა, დაიმუხტა, გამძაფრდა. დაიწყო რაღაც ისეთის ძიება, რაც ცხრა მთას იქით იდო, რაც დიდ შრომას და თითქმის

მთელ სიცოცხლეს მოითხოვდა. აღგზნებას დეპრესია ცვლიდა, ნაყოფიერებას უნაყოფობა. ამ დროს ყველაფერი აღიზიანებდა, ყველაფერი აფრთხობდა, იდუმალებით მიცული სამყარო ისე ფერდდებოდა ცალ მხარეს, თითქოს ცალი ფეხი ბასაც მოკლე ჰქონდა. სადაა აზრის სისწორის, ჭეშმარიტების საზომი, სად ემთხვევა ერთმანეთს გარე და შინა სამყარო, სად გარბიან თითქმის ჩამოყალიბებული ფიქრები, სად იმალებიან... უეცრად ორი ერთმანეთისაკენ მოძრავ წერტილებს შორის ნისლი ჩამოდგა და სწორედ იმ ადგილას შესქელდა, სადაც ცოცხალი აზრი იბადება. უფერული მასა მთელ ქვეყანას მოედო, უსუსური შუქი დაისაკუთრა, ჩრდილები დათრგუნა. დატყვევებული შუქი თრთის, ძალას იკრებს, უფერულ მასას ცოტათი აფერადებს. დასუსტებული, ყოველ მხრივ დახშული მონდომებით ცდილობს კვლავ მოიპოვოს სათამაშოსავით წართმეული სამყარო, დაძლიოს უფერულობა, თუ იმედი არა, ფორმა მაინც დაუბრუნოს ამ ქვეყანას. ნისლი ქაღალდივით თხელდება, იცრიცება, იფოთლება. პიტალო კლდის ფონზე ისე მოჩანან გამოქვაბულები, როგორც დროის ჩაშავებული კბილები. ჩაშავებული კბილები შიდა მხრიდან ერთმანეთს ებმიან, სიღრმეში იჭრებიან, თავიანთ თავს იმეორებენ. მიუხედავად კოჭლობისა, მან მაინც ბევრი იარა, ბევრი იხოხა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ ბნელ ქვაბებს ბოლო არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ, როცა ტანსაცმელი შემოაცვდა, მუხლები გადაეყვლიფა, მყესები დააწყდა. მას შემდეგ მარტო წევს და ყოველ უფორმო სხეულს ებრძვის. რაც მოხდა მოხდა, უსაშველოს არაფერი ეშველება. ამიერიდან ყვირილს არ აპირებს. მისი ძახილი ყოველთვის სამყაროდ წოდებულ ყრუ კედელს ასკდებოდა და მტვრად იფანტებოდა.

საწოლის წინ აჩრდილი აღიმართა. აჩრდილს არც არავინ ახლდა და არც არაფერი ეჭირა ხელში, მაგრამ მაინც რაღაცას თუ ვიღაცას მოუძღოდა წინ, დაუმალავს მალავდა. ამის მიზეზი სიბრალული უფრო იყო, ვიდრე ცნობისმოყვარეობა. თვალები ცრემლით ევსებოდა, მუცელზე დაწყობილი ხელები უთრთოდა. უნდოდა რაღაც გაეკეთებინა, უმწეობის გრძნობა დაეძლია, ლოდინი დაეთრგუნა. საწოლისაკენ დახრილმა ბეჭებზე ხელი მოხვია, ოდნავ წამოსწია და სასთუმალი ისე გაუსწორა, რომ არაფერი უკითხავს. მისი სახე გაცილებით მეტს გამოხატავდა, ვიდრე ეს საჭირო იყო. დაუნახავის დანახვა მან ჯერ კიდევ მაშინ ისწავლა, როცა ყავარჯნებს დაათრევდა, წინაპართა პორტრეტებს და ძველ ნივთებს აკვირდებოდა, როცა ოცნებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფრთა შეკვეცილი. ფაქტების გადაადგილება ადვილი საქმე იყო. ქვეყანა სწორედ იმ კუთხით ბრუნდებოდა მისკენ, როგორც ამას მისი ფანტაზია მოითხოვდა. დამარცხებას გამარჯვება ცვლიდა, გაპარტახებას — აყვავება, უმეცრებას — საყოველთაო განათლება. რა გზები, რა ნავსადგურები, რა ქალაქები არ მოჩანდა ზღვიდან ზღვამდე, სად ჩამოსხმული ზარები არ რეკავდნენ ეკლესიებში, ვის არ იწვევდნენ ტაძრებისა და სასახლეების ასაგებად, კედლების მოსახატავად, ქანდაკებების გამოსაკვეთად. ნიჭს ყველა გზა ხსნილი ჰქონდა, მუხანათობას დახშული და დაბეჭდილი. მაგრამ მაშინ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ძნელია ავისა და კარგის გარჩევა, სხვის სულში ჩახედვა, დაურვებულთა ფეხზე წამოყენება. ვინც ერთ დროს მაღალი გრძნობის მქონე ეგონა, იგი ნახა უგულო, ვისი სული განვითარებული ეგონა, მას სულ არ ჰქონია, ვისიც გონება სწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია, ვისიც

ცრემლნი ეგონა ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა". ნაცნობი გარემო ყოველ-დღიურად იძარცვებოდა, ვერანდებოდა და უეცრად იგი სიცრუესა და სიკვდილს შორის აღმოჩნდა. მათ გარდა აღარაფერი დარჩა ასარჩევი ამ ქვეყნად. არ იცოდა, რისთვის დგებოდა დილით, რისთვის იპარსავდა წვერს, რისთვის მიდიოდა სამსახურში, სადაც ყველაფერი ისევე გამომშრალი იყო, როგორც ღერბიანი ქაღალდები და მათი შესანახი კარადები. მისტიფიკაცია ყველაფერს თხელ გარსში ახვევდა, ადამიანებს სალტესავით ერტყმოდა. ქაღალდის სამეფო უზარმაზარი, თავისებური და ყოვლისმომცველია. ქაღალდს უნდა ემსახურო, ყოველ ასოს, ყოველ ნიშანს მეტი ანგარიში უნდა გაუწიო, ვიდრე აზრსა და გრძნობას, რადგან ადამიანების ბედს ქაღალდი წყვეტს და არა საღი აზრი. მოხელის დაწინაურებაც ქაღალდზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორ ექცევი მას, უვლი, თვალისჩინივით უფრთხილდები თუ ჯღაბნი. რამდენიმე კაცმა ნაწილობრივ მაინც აუარა გვერდი ამ უზარმაზარ ქსელს — შემდეგ მათ სულ სხვაგვარად ეჭირათ თავი, მაგრამ მისთვის ბედმა არც ეპოლეტები გაიმეტა და არც ჩინ-მედლები. ამისთვის თავის დროზე, რამდენიმე წლის წინათ იზრუნა, კიბეებიდან თავდაყირა დააგორა. შეიძლება მისი საქმე არც ხმლის ქნევა იყო, მაგრამ სერთუკი და საწერი მაგიდა აბუჩად აგდებას, დაცინვას უფრო ჰგავდა, ვიდრე რაიმეს გამეტებას. ბევრს არც ის სჯეროდა, რომ იგი ამ უბრალო, უნაყოფო სამუშაოს თავს გაართმევდა, დიდხანს გაუძლებდა ქაღალდების ქექვას, უფროსების წინაშე მორჩილად დგომას. განჩინების პალატაში სამსახურის დაწყება გამოცდა უფრო იყო,

ვიდრე ცხოვრების სარბიელზე გასვლა. ფარდის უკან ყოველთვის უამრავი თვალი, უამრავი ყური, უამრავი დამთხვეული სახეა. მათ წინასწარ იციან, რა მოხდება, ვის რა მოუვა, მით უმეტეს, ისეთ კაცს, ვისაც დაუდეგარი ხასიათი და მწარე ენა აქვს, ვინც ძნელად ეგუება ადამიანებს. ამიტომაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ მისი კარიერა კრახით დამთავრდებოდა. შეიძლება სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ორიოდე თვის შემდეგ მან არა თუ დიდებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, არამედ საუკეთესო მოხელედაც კი ითვლებოდა. ილინსკი ყოველთვის მას ავალებდა მთავარმართებლის კანცელარიაში ან უფრო მაღალ ინსტანციებში გასაგზავნი ქაღალდის შედგენას. ერთხელ ისიც კი უთხრა, ჩემი ადგილი შენ დაგრჩებაო. ილინსკი კანცელარიაში დაბერებული კაცი იყო და ამიტომ არ ესმოდა, რომ მის ხელქვეითს რომელიმე რეგვენთან უაზრო დავას, თავმოყვარეობის დათმობას, ზედმეტი შრომა ერჩია. საკმარისი იყო ერთი ხმამაღალი შელაპარაკება, ერთი უკადრისი სიტყვა და ყველაფერი თავისთავად დამთავრდებოდა. ჯერ გულწასულ ილინსკის გაიტანდნენ ოთახიდან, შემდეგ კი მას დაითხოვდნენ სამსახურიდან. ამის შემდეგ სადღაც უნდა გადახვეწილიყო, რადგან მამის საყვედურებს და ღრიალს ისედაც ველარ იტანდა.

უეცრად ჩრდილი შეტრიალდა, ბეჭებში მოიხარა და კარისაკენ წავიდა. ნაცნობი ხმით წარმოთქმულმა ბგერებმა გამოკვეთა ორი სიტყვა, რომელთა ყღერადობა ცოტათი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მარტო დარჩენილმა ბევრი იშტვრია თავი, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, რომელი იყო ამ ორს შორის სწორი: „Какой молодой“ თუ „Какой ми-

лый". მცირე ხნის შემდეგ მისი ყურადღება სანთლების ცრეცემმა მიიპყრო. მყრალ სოროში ჯერ კიდევ ტოკავდა ორი ცოცხალი სვეტი, რომელთა არსებობას ზღვარი დაუდვეს და რაღაც ისეთთან დააკავშირეს, რასაც დიდი დღე არ ჰქონდა. იქნებ ეს მცირე დრო იმისათვის უწყალობეს, რომ საკუთარი თავი ჰგმოს, საკუთარ სულს გაემიჯნოს, უსიტყვოდ დაემორჩილოს ბედს. იქნებ იმისათვის მოიყვანეს გონს, რომ თვალნათლივ დაინახოს, რას ნიშნავს ყოფილი ხანების აგარაკზე უპატრონოდ წოლა. რამდენი უდანაშაულო ადამიანისათვის დაუთხრიათ აქ თვალები, მოუჭრიათ ენა, გაუუპატიურებიათ, გაუთელიათ. რამდენი ვერაგობის და მუხანათობის მოწმეა ეს დატკეპნილი თიხა. ამ ძველისძველ სახანოში საუკუნეების მანძილზე ბატონობდნენ ტირანები, სატრაპები, უზურპატორები, თავს მუჰამედის შთამომავლებად აცხადებდნენ და ჰარამხანების მორთვა-მოკაზმვის, მამაკაცების დასაჭურისების და მტაცებელი მხეცების მოშინაურების მეტს არაფერს აკეთებდნენ. მათი უზნეობის, უმეცრებისა და სიმხეცის კვალი ახლაც აჩნდა მათ ყოფილ ქვეშევრდომებს. რამდენჯერ გამოლაპარაკებია ბაზარში ცხვირმოჭრილ, ენამოჭრილ, დასაჭურისებულ ბერიკაცებს, რომელთაც ამქვეყნად საშინელების მეტი არაფერი ენახათ. ერთ-ერთ მათგანს მთელი ინდოეთი და წინა აზია ჰქონდა შემოვლილი, დერვიშობდა, სიბრძნეს ეწაფებოდა, მაგრამ რად უნდა სიბრძნე იმას, ვისაც დღენიადაგ ლუკმაპური და თბილი კუთხე ენატრება. წუხელ სახიჩრები დაუპატიჟებლად ესტუმრენ, შუა ოთახში დასხდნენ და ჯამათლის თამაში დაიწყეს. ყოველი გაგორების შემდეგ ვიღაც თაგვივით წრიპინებდა. წაგებულს შუა ცეცხლიდან გამოღებული რკინის ჯოხით შანთავდნენ. ჰაერი დამძიმდა,

ოთახში ოფლისა და დამწვარი ხორცის სუნი დადგა. რა ჭკნას, როგორ გაყაროს გარეთ ეს მაჯლაჯუნები, ვის დაუძახოს, ვის თხოვოს შველა. ცეცხლის პირას მოჭრილი ყურები და ცხვირები ყრია. რკინის ნაჭერს სიმხურვალისაგან თავი გასქელებია. კამათლები უზარმაზარი ლოდებივით გორავენ და ერთმანეთის მახლობლად სხდებიან. მის სმენამდე ისევ აღწევს თაგვის საცოდავი წრიპინი. უნდა წამოდგეს, ბნელი კუთხე მონახოს, ისე დაიმალოს, რომ ვერავინ მიაგნოს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრულა, მუხლები ვერ მოუხრია. უეცრად შუბლზე გახურებული რკინის ნაცვლად ცივი ლოდი დაადეს და თვალისჩინი წაართვეს. მას შემდეგ ისე ეშინია ძილის, როგორც სასჯელის. სასიამოვნო და სასიხარულო დიდი ხანია არაფერი მოლანდებია.

ნივთთა სამყარო დუმდა, ადგილიდან არ იძროდა, მაგრამ ჩრდილებმა კარგა ხანია მოინაცვლეს ადგილი. მოგრძო ოთახი იწელებოდა, სინათლეს გაურბოდა, დერეფანს ემსგავსებოდა, მსხვილი ფიცრებისგან შეკრული კარი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს დაშედილი იყო. რამდენჯერ უვლია ამ კარსა და ყრუ კედელს შორის, რამდენჯერ ჩამომჯდარა მაგიდასთან, ხელში კალამი აუღია და ისევ გადაუგდია. სიტყვასთან, აზრთან, საკუთარ თავთან ამაო ჭიდილი ადრეც ბევრჯერ განუცდია, მაგრამ ასე დიდხანს არასოდეს გაგრძელებულა. ამ ბოლო დროს ერთი სიტყვა ვერ დაწერა, წერილი რა არის, მისი დაჯლაბნაც კი ვერ მოახერხა. დაიხშო ის წყარო, რომელიც სიცოცხლით ავსებდა, ამაოებაზე ამარჯვებინებდა, შეიძლება, ამიტომაც დაჩაგრა ავადმყოფობამ. ბოლო დღეს სხეული დაუმძიმდა. იმ ადგილას, სადაც გრძნობა იღებდა სათავეს, უზარმაზარი სიცარიელე წარმოიშვა.

ამგვარი რამ პირველად არ ემართებოდა. ორიოდე წლის წინათ ზუსტად ასევე დაჩლუნგდა, დასევდიანდა, ავადაც კი გახდა, მაგრამ გამოჯანსაღების შემდეგ ულევი ენერგიის მოზღვავება იგრძნო და შთაბეჭდილებებს გზა გაუხსნა, არარსებულს არსებობა მიანიჭა. რამდენიმე კვირის შემდეგ ცეცხლი ცოტათი შენელდა, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ მაშინ დასწყდა გული, რომ დღის სინათლეზე მის ქმნილებებს არავინ გამოიტანდა. ერთი სტრიქონი რომ მაინც ენახა დაბეჭდილი, შეიძლება ამ უცხო მხარეში არ გადმოხვეწილიყო. კოლოებისათვის თავი არ გაემეტებინა. მუდამ მოუცლელმა ბევრი ედავა საკუთარ თავსაც და სხვებსაც, ბევრი დრო დახარჯა იმისათვის, რომ შინაგანი თავისუფლება მოეპოვებინა, საკუთარი ჭკუით შეეფასებინა ყველაფერი, მაგრამ მოწოდებისა და მოვალეობის შეთავსებამ დაღალა და ბოლოს სულ მარტო დარჩა. დაბალი ჭერი თავზე აწვება, კედლის მონაკვეთი იბრიცება, შორს დარჩენილი, მოვერცხლილი გუმბათი ჩამავალ მზესავით ილევა და მთელი მისი ძალღონე ირგვლივ შემომდგარ სამყაროს მიაქვს.

თვალის დახუჭვასა და გახელას ერთ წამზე მეტი არ დასჭირებია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სინათლემ იკლო, კედლები განაცრისფერდა, რაღაცამ საზრისი დაკარგა. ამალამ მან თვითონ უნდა უთიოს ღამე საკუთარ თავს და ამიტომ თვალის მოხუჭვის, მოდუნების უფლება არა აქვს. აღმა სვლა დამთავრდა, ზღვარი სულიერსა და უსულო საგნებს შორის გაბუნდოვანდა, ნაღველი შემსუბუქდა, გაქარწყლდა. შიში და იმედი ერთმანეთის გარეშე არასოდეს არსებულა ამქვეყნად და როცა ქრება ერთი — ქრება მეორეც. მაგრამ ერთი სურვილი ჯერ კიდევ ბოგინობს მის სულში. უნდა დაირღვეს, ნაწილაკე-

ბად დაიშალოს, მთლიანად გაითქვიფოს ქართული ეგურით ნაგები შენობების, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩების, იავარქმნილი ციხეებისა და სასახლეების მოხაზულობაში. შეერწყას, შეეზარდოს სიონისა და ანჩისხატის ზარების რეკვას, ისე გაეხვიოს კოჯრის გრილ ნიავში, როგორც გამუვირვალე სუდარაში. სამწუხაროდ, სიკვდილს მხოლოდ ერთი სახე აქვს და ადამიანი მოკლებულია არჩევანს. სანამ თბილისში იყო, სანამ მის ცას შეჰყურებდა, სხვაგან ყოფნა ეწადა, განმარტოებას ეძებდა, ხან სასაფლაოს აფარებდა თავს, ხან მთაწმინდას. ბოლოს ესეც არ იკმარა, მობეზრებულ საყვარელივით მიატოვა, გაეცალა და ახლა ცხადად გრძნობს, რომ ყველაფრის თან წაღება არ ხერხდება, ცხოვრების ანარეკლი — ცხოვრება არაა. კალოუბანი აქედან ისე შორსაა, როგორც დღის სინათლე. ერთხელ აჩრდილი ეწვია, წარსული მოაგონა, რაღაც დაათმობინა, მაგრამ სამაგიერო არაფერი დაუტოვა. ერთხელ კი ბუნდოვანი კონტურები გამოიკვეთა და პეიზაჟმა ხორცი შეისხა. ქუჩაში გადმოკიდებული აივნები მოჩუქურთმდა, ნათელი ფერებით შეივსო, გამომზეურდა. ზურგშექცეული სამყარო კიდევ ერთხელ შემობრუნდა მისკენ, სმენამაამებელი ჩურჩულის აღსაქმელად მოემზადა, თვალი მოღიმარი სახის ელვარებას წაეპოტინა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იგი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სახლები, ქუჩები, ეკლესიები, აივნები და მახლობელთა სახეები ისე მიედინებიან და ქრებიან, როგორც წლები. მოგონებათა მთლიანობა ყოველწლიურად ირღვეოდა, ზოგი რამ ცხადად ვლინდებოდა, ზოგი კი უამრავ შთაბეჭდილებათა მორევში იძირებოდა, მნიშვნელობას კარგავდა. ხან თვითონ იყო სხვისი შემფასებელი და მსაჯული, ხანაც მას აფასებ-

დნენ და ასამართლებდნენ, ხან თვითონ გაურბოდა ყველას, ხანაც მას გაურბოდნენ, ხან თვითონ აწვალებდა სხვებს, ხანაც მას აწვალებდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა თანხმობას ხელს თითქოს არაფერი უშლიდა, მაგრამ შემდეგ იმდენი უთანხმოება, იმდენი უსიამო წვრილმანი წამოყოფდა თავს, რომ არათუ სხვა, საკუთარი თავიც უცხო ეჩვენებოდა. ერთხელ სასტუმრო ოთახში დაიმარტოხელა ის, ვინც ხორცშესხმულ ანგელოსად მიაჩნდა, ვისი მკერდის რხევა და ყელის მოღერება გონებას აკარგვინებდა, ვინც ყველაზე ნატიფი და ფაქიზი არსება ეგონა. მისი თეთრი, ლამაზი, მოვლილი ხელები მოთვინიერებულ ფრინველივით ეწყო მაუდგადაკრულ მაგიდაზე, ცისფერი აბრეშუმის კაბა მოლივით შრიალებდა. საუბარი ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დაიწყო და ძალდაუტანებლად მიმდინარეობდა. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ თავადის ასული ბევრ მამაკაცს ჯობდა ჭკუით და გონებამახვილობით, მაგრამ მასთან საუბარში ამ უპირატესობას კარგავდა და სიამოვნებით ეწაფებოდა წმინდა წყაროს, იძენდა რაღაც ისეთს, რასაც ვერავისაგან შეიძენდა. სამწუხაროდ, იგი მხოლოდ გარეგნულ მოკაზმულობას ხედავდა იმისას, რასაც ღრმა, მტკივნეული, განშტოებული ძირი ჰქონდა და მუდამ რაღაც ისეთისაკენ ისწრაფოდა, რასაც გარეგნულ მოკაზმულობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაგრამ მაშინ ამდენს თვითონაც ვერ ამჩნევდა. ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ დაფარულსა და ღრმად დამარხულს ფარდას ახდიდა, ამ ამაყ ქალს სულიერი ცხოვრების ტანჯვასა და ნეტარებას გააცნობდა, ყოველდღიურ უხამსობას და უაზრობას ჩამოაშორებდა. იმ დღეს იმდენ თანაგრძნობას ხედავდა სევდით დაბინდული თვალების ციაგში, ისე ახლო იყო მიზანთან, რომ

ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოვიდა ოთახში მოახლე. „ქალბატონო, მკერავი გელოდებათ“. თავადის ასული სწრაფად წამოდგა, ბოდიში მოიხადა და ისე გავიდა ოთახიდან, თითქოს განხორციელებული ოცნება მოართვეს. შუაზე გაწყვეტილი ფრაზა ერთხანს ქვეწარმავალივით იკლაკნებოდა, შემდეგ გაუფერულდა და რომელიღაც ნაოჭს ამოეფარა.

ერთი სანთელი რატომღაც უფრო ჩქარა იწოდა, ვიდრე მეორე. ჩამონადენი ცვილი გაყინულ წყაროებს ჰგავდა. მის შეგნებაში კვლავ იჭრებოდა რაღაც ისეთი, რასაც სინამდვილეში ან სხვაგვარი სახე ჰქონდა, ანდა სულ არ არსებობდა. სისხლძარღვები იბერებოდა; შხამი ივსებოდა. რომელიღაც კუთხეში გაწამებული სიჩუმე კვნესოდა. ზურგზე წოლით დაღლილმა გამხდარი, ფრჩხილებწამოზრდილი ხელი სახეზე ჩამოისვა. რამდენი ხანია წვერი არ გაუპარსავს, საკუთარი სახე არ უძებნია. ერთადერთი, რაც მას ახლა ალბათ ნიღაბისაგან ანსხვავებს — ტანჯვის კვალია. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს როგორ გამოიყურება ის, ვინც ზღვარს გადასცდა, ვისაც თვალთმაქცობა და სიმართლის დამალვა აღარ სჭირდება. ჭეშმარიტ თავისუფლებას ადამიანი მხოლოდ მაშინ იხვეჭს, როცა სიკვდილის პირისპირ დგას, როცა უკან დასახევი გზა აღარ აქვს. მანამდე კი ვინ არ გეღობება წინ, ვინ არ მოითხოვს ანგარიშის გაწევას, ვინ არ გახსენებს ყოველ წამს, რომ მოვალე ხარ დაიცვა საკუთარი ოჯახის, საკუთარი გვარის ღირსება, არ ჩამორჩე სხვებს ფასეულობათა დატაცებაში, შეიზღუდო იმისათვის, რომ სხვის მიერ წამხდარი საქმე გამოასწორო. ერთხანს მედგრად ეწინააღმდეგებოდა გარეგან დაწოლას, ცდილობდა ერთსახოვანი დარჩენილიყო, მაგრამ როცა სიღატაკემ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, როცა ცხოვრე-

ბაზე გული აუცრუვდა, გაორდა, ცასა და მიწას შორის გამოეკიდა. ღარიბი ოჯახი რომ ათასგვარი უთანხმოებებ და უკმაყოფილების წყაროა, ეს მან ადრეც იცოდა, მაგრამ არ ეგონა, თუ გაღარიბებული თავადის ოჯახი ჯოჯოხეთისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მამის ყვირილი მთელ უბანს ესმოდა, დედა და დები ტიროდნენ, მოახლეები კარს უკან იმალებოდნენ, გაგულისებულმა მამამ არავის დანდობა, არავის შეწყალება არ იცოდა, გაწუსჯელი, თავაშვებული იყო. წარბი არ შეუხრია, როცა მის არასრულწლოვან ვაჟს თავზე ეკზეკუტორი დაადგა და როზგები აწივლდა. საჯაროდ დასჯამ მის სულში აღმოუფხვრელი კვალი დასტოვა. უფრო დიდი დამცირება მის შემდეგ აღარ უგრძვნია. ბოლო დროს სახლში მისვლა ისე ეზარებოდა, როგორც მოხსენებითი ბარათის შედგენა. შინაურებს კიდევ უფრო ნაკლებად ესმოდათ მისი, ვიდრე გარეშე ადამიანებს. ცხოვრება მათთვის მხოლოდ ის იყო, რასაც ირგვლივ ხედავდნენ, რასაც ისმენდნენ, რასაც ფასს ადებდნენ. ხოლო ის, რაც ამ ფარგლებს სცდებოდა, რაც მათ არ გაეგებოდათ, უგუნურობად და მანკიერებად მიაჩნდათ. მისდამი დამოკიდებულებაში ბევრი რამ ისე იცვლიდა სახეს, რომ თავი და ბოლო არ უჩანდა. დანაშაული ლექსის წერა კი არ იყო — ლექსს ბევრი მათი ნათესავი და ახლობელი წერდა, — არამედ ის, რომ მისთვის უფრო ღირსეული და სერიოზული საქმე არ არსებობდა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო ეჩვენებოდა. დროთა განმავლობაში უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა და იგი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა დამბლადაცემული მამა, გარეთუბანი, მთაწმინდა და ამ ციებიან მხარეში გადმოხვეწილიყო. ერთხანს თავს იტყუებდა, ეგონა, თვითონაც მოისვენებდა და ოჯახსაც

მოასვენებდა, მაგრამ რა აზრი აქვს გაქცევას, როცა შენი თავი ყველგან თან გახლავს.

ნაცნობ სიბრტყეთა ზედაპირზე აღარ სჩანდა ის ორნამენტები, რომელთა მოხაზულობას თვალი შეაჩვია. მათი ადგილი იდუმალმა, მისდამი მტრულად განწყობილმა ნიშნებმა დაიკავა. სიცარიელე უამრავ ნაფლეთს, ნაგლეჯს, ნამეხარს ირეკლავდა, უხვიროდ აკოწიწებდა, გამოცდილებით შეძენილსა და ნაოცნებარს ერთმანეთში ურევდა. ღამე იმუქრებოდა, ისე მწყრალად იმზირებოდა ვიწრო ნაპრალიდან, თითქოს ქვეყნის დასაქცევად იყო მოვლინებული. სუნთქვა ჭირდა, ფილტვები ვეღარ იტევდნენ დაგროვილ შხამს. სიკვდილის მოახლოება მან ბევრად უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე ალსასრულის დადგომა. იგრძნო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეხზე დადიოდა. ამ რამდენიმე კვირის წინათ მის სხეულში უცხო, უხილავი, შემმუსვრელი ძალა ჩასახლდა და თავის საზარელ საქმეს შეუდგა. ტკივილი ადგილს ინაცვლებდა, ფერდიდან თავში აბობღდებოდა, დაბლაგვდებოდა, საფეთქლების გამომტვრევას ცდილობდა, შემდეგ ღვიძლს მონახავდა და მთელი ღამე ალესილი დანასავით ტრიალებდა. ექიმების მას არც მანამდე სწამდა, მაგრამ როცა ახლოს გაიცნო ის, ვინც ამ ქვეყნად არავის ეპუება, როცა საკუთარი არსებობის ხარჯზე შეისწავლა მისი მზაკვრული ხასიათი, მიხვდა, რომ უკან ვეღარ დაახევინებდა. ამიტომაც არ დაუწყია ექიმებთან სერბილი, არ გაქცეულა თბილისში, არავისთვის უთხოვია შველა და შემწეობა. იმ დღიდან არა მარტო საკუთარი თვალებით უყურებდა სამყაროს, არამედ მის თვალებითაც. შეიძლება ეს ხანგრძლივი ლოდინი მოქმედებდა მის განწყობილებაზე უარყოფითად, შეიძლება ქვეშეცნეული წინათგრძნობა იყო იმის, მიზე-

ზი, რომ თავისი დროის ტკივილი იტვირთა. ახლა, როცა ყველაფერი დასასრულს უახლოვდება, იგი სულ უფრო მეტად რწმუნდება, რომ სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო, ერ მდგომარეობისათვისაც არ უნდა მიეღწია, სიმშვიდესა და კმაყოფილებას მაინც ვერ ჰპოვებდა, საკუთარ თავს თვითონვე გატანჯავდა. მისი დანიშნულება ბოძება იყო და არა ხვეჭა. ყველაფერი უნდა დაერიგებინა, მიეცა იმ ცხოვრებისათვის, რომელშიც წილი არ ედო. მისი სული პირად მარცხს, სიღარიბეს და სიყვარულში ხელის მოცარვას არ დაუმძიმებია, მძიმე ტვირთად მთელი ერის, მთელი კაცობრიობის ცხოვრება დააწვა.

მერყევი შუქი სიჩუმესა და სიცარიელეს ალაქიანებდა, კუთხეში მდგარ სკივრს გაქვავებულ ცხოველს ამსგავსებდა. უეცრად საიდანღაც სქელი ნისლი დაიძრა, მთელ ოთახს მოედო და ყველაფერი შთანთქა. იგი არ დაბრმავებულა, მაგრამ ველარაფერს ხედავდა. სიცივე ფეხის ტერფებიდან თანდათან მაღლა იწევდა, კრისტალდებოდა, მუხლებს სალტესავით ერტყმოდა. მწუხარება იცრიცებოდა, ნისლში იძირებოდა. ახლა უკვე აღარც იმის შეგრძნება აწუხებდა, რომ დაუბანელი იყო. თბილისის აბანოებს მხოლოდ მაშინ აფასებდა, როცა სხვაგან იყო გადახვეწილი. რამდენჯერ უქეიფია ზეწარმოხურულს ამხანაგებთან ერთად თაღს ქვეშ, რამდენჯერ წარმოუთქვამს სადღეგრძელოები. მექისეს ჩაციებული ღვინო, ახალდაკრეფილი მწვანილი და შიშხინა მწვადები მოჰქონდა. მედუდუკეები გუმანით გრძნობდნენ, სად იყო მათი ადგილი. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შნო და ლაზათი ემატებოდა. იწყებოდა ჯიბრი, მამაპაპური ქეიფი. თასები ხელიდან ხელში გადადიოდა, აგუგუნებული სიმღერა თაღს აწვებოდა, ამქვე-

ყნიური ჭირ-ვარამი აღარავის ახსოვდა. იქმნებოდა სხვაგვარი გარემო, სხვაგვარი განწყობილება, შიგნით რაღაც ლღვებოდა და იგი თავდაუზოგავად ეტანებოდა ცხოვრებას, ლვინისავით სვამდა. მაგრამ მეორე დღეს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დანაშაული ჩაიდინა, ყრუ კედელს შუბლით შეასკდა და არა იმიტომ, რომ მხიარულობა და გართობა სძულდა, არამედ იმის გამო, რომ არ უყვარდა რაღაც ისეთის ძიება, რაც სინამდვილეს აბუნდოვანებს, ადამიანს მორჩილსა და მაამებელს ხდის. სიბრძნისა და სიბრიყვის საზომი გამარჯვება და დამარცხება კი არაა, არამედ ის, თუ რას ირჩევს ადამიანი, რას ემალება და რას ეძალება. სანამ გულის რევას ებრძოდა, სანამ საკუთარ თავს არარაობად თვლიდა, უსახლკარო გადამთიელივით დახეტიალობდა ვიწრო ქუჩებში და ყურადღება გარეშე საგნებზე გადაჰქონდა. ქალაქი ყოველთვიურად იზრდებოდა, რაღაც ახალს იძენდა, მაგრამ მაინც ჭრელი და არასიმეტრიული ჩანდა, რაც განუმეორებელ თავისებურებას ანიჭებდა. ერთმანეთზე შეკოწიწებულ, ბანიან სახლებს რომელიმე სომეხი ან აღმოსავლელი ვაჭრის კარ-მიდამო ცვლიდა, აღმოსავლურ კარ-მიდამოს ქართული აივნიანი სახლები, აივნიან სახლებს ევროპული ნაგებობები. მოქალაქეებიც ასევე ჭრელად იყვნენ მორთულნი. ერთმანეთში ირეოდა ჩოხა, სერთუკი, მუნდირი, ანაფორა, ხალათი, ქართული კაბა, „ხაბარდა", ნაირფეროვანი აღმოსავლური მორთულობა, ევროპული ქუდები, ჩიხტიკოპები და ჩადრები. მიდიოდა რაღაც ძველი და მოდიოდა ახალი. ირღვეოდა დრომოჭმული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, აზიას ევროპა ცვლიდა და ყოველი ნათელი შტრიხი მის მიერ განჭვრეტილ მომავალს ამართლებდა. მიუხედავად ამისა, თვალი მაინც შორს იმზირებოდა, ცის

კიდურს ეტანებოდა, სივიწროვესა და აღრეულობას გაურბოდა. ღია ფანჯრების მინებზე ჩამავალი მზის სხივები თამაშობდნენ, მაგრამ იგი სიხარულის საძებნელად არ გამოსულა ქუჩაში. წუხელი საკუთარი თავი დაკარგა და მანამდე ვერ მოისვენებდა, ვერ გაექცეოდა მარტოობას, სანამ ხელახლა არ იპოვიდა, საზოგადოებაში ყოველთვის იმდენი სახე ჰქონდა, რამდენიც სურდა, მაგრამ საკუთარ თავთან თამაში არ უყვარდა, სიცრუით ტვირთის შემსუბუქება უნაყოფო შრომად მიაჩნდა. გამკვირვებელ სევდას სიცილი და არშიყობა ვერ არბილებდა, მოქნილი სხეული და ბრჭყვიალა ნივთები ამქვეყნიურ სიამოვნებათა მონად ვერ ხდიდა. რამდენჯერ წაჩხუბებია ამის გამო ის, ვინც თითქმის ყოველ საღამოს ელოდებოდა, ვისთვისაც წარმავალობა და უმიზეზოდ მოწყენა არ არსებობდა. მისი ახალგაზრდა, ოდნავ არასიმეტრიული, ცხოვრების ავ-კარგიანობაში ცოტათი გამოცდილი სახე მხოლოდ მაშინ იღრუბლებოდა, როცა იგი რამდენიმე დღე არ გამოჩნდებოდა. ერთხანს ბავშვივით იბუტებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს დაივიწყა, გადაიყვარა, მაგრამ საკმარისი იყო ხელი მოეხვია, მოფერებოდა, თვალი გაესწორებინა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მყუდრო, სუფთა, მარტოხელა ქალის სურნელებით გაჟღენთილი ოთახი ისე აღელვებდა, რომ სხვაგან წასვლა, სხვა რამეზე ფიქრი არ უნდოდა. აქ მას არც საკუთარი თავის დათმობას თხოვდნენ, არც მომავლის იმედით ვალის აღებას და არც გრძნობათა დაოკებას. ტრადიციული პირობითობის საპყრობილედან გამოქცეული დილამდე უსხლტებოდა ხელიდან საკუთარ თავს, უკიდურესად იძაბებოდა, ცარიელდებოდა და ისევ იძაბებოდა. მაგრამ დილით ისე გამოდიოდა ქუჩაში, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას უღალატა,

ამაოდ დაიქანცა, საკუთარ ანკესს წამოეგო. შინ დაბრუნებული მამის ბუზღუნს ყურადღებას არ აქცევდა, წვერს უხალისოდ იპარსავდა და სამსახურში მიდიოდა. ქალაქის ჩუმი შრიალი ისე მოქმედებდა მასზე, როგორც ცივი წყალი მთვარეულზე.

საფეთქლის მახლობლად რომელიღაც ძარღვი გაწყდა, დაიკლაკნა და სანამ დამშვიდდებოდა, ჩაქუჩივით ცემდა. კვნესა ყრუ გამოძახილს უფრო ჰგავდა, ვიდრე მისივე ყელიდან ამოსულ ბგერათა შედედებულ კომტს. საბედნიეროდ, ტკივილმა ჯერჯერობით ტვინის მხოლოდ მცირე ნაწილი დაისაკუთრა. უღალატეს კუნთებმა, სახსრებმა, ნაკვთებმა და არა გონებამ. ფეხები მოსწყდა, ხელები დაუმძიმდა, ენა აღარ ემორჩილება. ახლა რომ ესტუმროს კიდეც ვინმე, უეცრად რომ დაადგეს თავზე, მაინც ვერაფერს ეტყვის. თუმცა რა უნდა უთხრას გარედან მოსულს იმან, ვინც მოშხამული და სასიკვდილოდ გადადებულია. ერთადერთი, რის თავიც ჯერ კიდევ აქვს, საკუთარი ტკივილისათვის ყურის გდებაა. ჯერ არც-ერთი ცვლილება, არც-ერთი კუნთის მოდუნება არ გამორჩენია მხედველობიდან. დაღლილი, დაფლეთილი ნებისყოფა უზარმაზარ ძალას ეღობება წინ და ყოველი კვანძის, ყოველი უჯრედისათვის იბრძვის. სწრაფად აკოწიწებს მორღვეულ ტიხრებს, ელასტიურობას უბრუნებს გახევებულ სისხლძარღვებს. მაგრამ ყველგან მაინც ვერ ასწრებს. ერთხანს არაფერი ესმოდა, ყურები ამოეგლისა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისე გაუმახვილდა სმენა, რომ თვალით უხილავი მწერის ზუზუნიც კი გაიგონა. მოდის გუნდებად დაწყობილი, რუხი და მოლისფერი ლაშქარი. მათი რიცხვი მილიარდია, მადა დაუცხრომელი, სისასტიკე განუზომელი. ცა იღრუბლება. მზის

სხივები ვერ ატანს სქელ მასაში. ყოველი მხრიდან ისმის გაბმული ზუზუნი, ერთი გრძელი, ამაზრზენი ბგერა, რომელსაც ვერაფერი ახშობს. ჯერ ერთი გუნდი ეშვება დაბლა, ერთხანს საწოლის ირგვლივ ტრიალებს და შემდეგ გამეტებით ესხმის თავს. სიკვდილმისჯილივით გაფითრებული ცხადად გრძნობს, როგორ იჭრება მის სხეულში ათასობით ნესტარი, როგორ თხელდება სისხლი, როგორ ივსება სხეული შხამით. გუნდს გუნდი მოსდევს, მშიერი გამძღარს დევნის, ასხდებიან ქუთუთოებზე, ტუჩებზე, ნესტოებზე, სვრიან, ბილწავენ, ალაქიანებენ, ხშირ წვერში გზას იკვლევენ და ხორცამდე ატანენ. გაბმული ზუზუნი აყრუებს, სხეული იზრდება, იბერება, დაგროვილი შხამი ისე აწვება შიგნიდან თვალებს, თითქოს სადაცაა უპეებიდან გადმოყრის, აჩრდილებს ფეხით გაათელინებს. იქნებ გადმოყარა კიდეც. რამდენიმე წამია ვეღარაფერს ხედავს, დაბრმავდა, ქვეყანას რუხი ფერის სუდარა გადაეფარა.

მძიმე კარის ჭრიალი ისე მოესმა, თითქოს მახლობლად რაღაც გატყდა. გონს მოსულმა ჰაერი ხარბად შეისუნთქა და თვალები გაახილა. სანთლები განახევრებულიყო, ჩამონადენი ცვილის ლოლუები გასქელებულიყო, კართან ატუზული სილუეტი მყარ საგნებს შეზრდოდა. ახალგახელილ თვალებს უჭირდათ აცახცახებული ზოლების დალაგება, აჩრდილის ვინაობის დადგენა. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა იგი, რომ კართან ატუზული სილუეტი ცოცხალი არსებაა, ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელმაც იცის, რომ მისი მაღალკეთილშობილება დილამდე ვერ მიატანს. მაგრამ იქნებ ამჯერადაც ცდება, იქნებ სწორედ ის ესტუმრა, ვინც სხვას გაჰყვა, ვინც დედოფლობის ღირსი იყო და გადედოფლდა კიდეც. ასეთი თეთრი, ბაფთიანი კაბა მხოლოდ ერთ საღამოს ეცვა, სწორედ იმ

სალამოს, როცა მისი დანიშვნა გამოაცხადეს. სავსე ლოყები ოდნავ შეუფაკლდა, თვალებზე ჩრდილმა გადაურბინა, ბრილიანტის საყურემ ჭაღების შუქი აირეკლა. სხვებისათვის იგი ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი ქალი იყო, მისთვის კი სიყვარულისათვის გაჩენილი არსება. მიუხედავად ამისა, სიყვარულზე და მომავალზე მათ შორის ერთი სიტყვაც არ თქმულა. თავადის ასულს სასახლეები, დიდება და ძალაუფლება იტაცებდა, მის სულში კი პროტესტი, განუკურნებელი ტკივილი და ამქვეყნიური სიამოვნებისადმი უნდობლობა სუფევდა. გუმანით გრძნობდა, რომ შეუძლებელია იმის დასაკუთრება, რაც ყოფას ეკუთვნის, რაც შენგან ყოველთვის დაშორებულია. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალი მის გვერდით უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე წარჩინებულ, ფიზიკურად შემკულ, ბრწყინვალე კავალრებს შორის. მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავდა, არაფერს არ ცვლიდა. საკუთარი თავის გარდა მას არაფერი გააჩნდა ისეთი, რომ თავადის ასულის ყურადღება მიექცია, მისი პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. რა უნდა მიეცა კოპლ, გაღარიბებულ, მოხელედ გამწესებულ პოეტს იმისათვის, ვისაც საქართველო ეპატარავებოდა, ვისაც ქართველ ქალებს შორის ტოლი არ ეგულებოდა. სად წაეყვანა, სად მიეჩინა ბინა? მამისეულ სახლში, ნახევანში, განჯაში? რა ტკბილად დაეძინებოდა კოღოების ზუზუნში და თაგვების წრიპინში. ბოდვა, ბოდვა და ზმანება იყო ყველაფერი, რასაც ეჭიდებოდა, რასაც მალულად ელოლიავებოდა. როგორც არ უნდა გამოედო თავი, რა იმედებითაც არ უნდა აღვსილიყო, ყველაფერი მაინც ისე დამთავრდა, როგორც თავდება.

თუ გზაში არ იყო, ამ დროს ყოველთვის ლოგინში იწვა,

გვერდს იცვლიდა და ძილი ღვთის წყალობად მიიჩნდა. მაგრამ ახლა ძილი არ არსებობდა, არაფერი აღარ არსებობდა, გარდა ბურუსით მოცული სამყაროსი, რომელიც თანდათან ილეოდა, ხელიდან უსხლტებოდა, დამნაშავესავით მიიბარებოდა. ერთ დროს მასაც აწუხებდა ამგვარი გრძნობა. საკუთარი თავისადმი უკმაყოფილება აღიზიანებდა, ისე აფორიაქებდა, რომ ვერც სახლში პოულობდა ადგილს და ვერც გარეთ. მერყეობა ადუნებდა, ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ დევნიდა, მაგრამ დადებითი პასუხი ყოველთვის იმდენივე იყო, რამდენიც უარყოფითი და ამის გამო დიდი ვაივაგლახით შეკოწიწებული ხუხულა ინგრეოდა, ღორღად ხვავდებოდა. მისთვის აუცილებელი შეიქნა ნიღაბის აფარება, სახიობობა, რადგან ცხოვრება ყოველწლიურად არწმუნებდა, რომ სხვაგვარად არსებობა შეუძლებელია, მახლობლებისა და საზოგადოების შეურაცხმყოფელია. თუმცა სხვებს ეს ხელს არ უშლიდა ეცხოვრათ და ეხარათ ოცნების ხარჯზე. ღია ფანჯრები საბურველივით იწოვდნენ ჰაერში გაფანტულ ოცნებებს და ამ დროს მას უაღრესად დიდი სურვილი ჰქონდა სხვის სულში გადასახლებულიყო, სხვისი თვალებით ეცქირა ქვეყნისათვის. შეიძლება მაშინ მასაც მოეკიდა ფეხი მიწაზე. დაემშვიდებია სინდისი შემთხვევიდან შემთხვევამდე. ასეთ წუთებში ნათელი შუქი მკაცრ ხაზებს არბილებდა, სევდა იფანტებოდა, ჰორიზონტი ფართოვდებოდა, საღღაც რაღაც მკვრივდებოდა, მაგრამ რასაც კი მოეჭიდებოდა, ყველაფერი ისე ადნებოდა ხელში, როგორც ამაღამდელი ღამე. უძრავი, მძიმე, მხუთავი ღამე, რომელსაც ვერაფერს წაართმევ. ყოველი ჩრდილი მისი განუყრელი ნაწილია, ყოველი აჩრდილი მისი მოციქული.

სინათლე მძაფრად შექანდა. კუთხიდან ისე წამოიწია სიბ-

ნელემ, როგორც ბანალგაბურძგნილმა ძაღლმა. ჭერი შეტორტმანდა, საწოლისაკენ დაქანდა. ახლა მას არაფრის შეჩერება, არაფრის გასწორება აღარ შეეძლო. ძალა მხოლოდ იმისთვის ჭირდებოდა, რომ თავი გვერდზე არ გადავარდნილიყო. ყველა არსება გაქრა, ლანდად იქცა, მხოლოდ ერთადერთმა ქალმა, მისმა მოსამსახურემ შეინარჩუნა ხორცი და თავის ნებაზე მოძრაობის უნარი. ერთხანს მაგიდასთან ფუსფუსებდა, სანთლებს ასწორებდა, შემდეგ ჭიქაში რაღაც დაასხა და მისკენ წამოვიდა. უნდოდა კიდევ ერთხელ დაეხედა მომაკვდავისათვის, რითიმე მაინც შეემსუბუქებინა მისი ტანჯვა. უეცრად გულზე რაღაც დააწვა, სუნთქვა შეუკრა, ცეცხლივით მოედო. აუტანელი სიმხურვალე ტვინისაკენ მიიწევდა და გზადაგზა ყველაფერს ანგრევდა. გამწარებული ორივე ხელით სიცარიელეს ჩაეჭიდა, საწოლიდან წამოიწია და ყველაფერი, რაც ზედ ეხურა, ძირს გადმოყარა. აღარ უნდოდა ლოგინში წოლა, გაუთავებელი ლოდინი, სასტიკი, უაზრო თამაში იმასთან, ვინც მის სხეულს არღვევდა. ერთხელ გაბრძოლება ჯერ კიდევ შეუძლია, შეუძლია ფეხზე წამოდგეს და ისე შეეგებოს სისხლისმსმელ მტარვალს, რომელსაც იმის თავიც კი არა აქვს, რომ გაუჭიანურებლად მოუღოს ბოლო. ცალი ფეხი უკვე ჩამოშვებული ჰქონდა საწოლიდან, როცა წინ უზარმაზარი აჩრდილი აეფარა და ღონიერი ხელები მხრებზე მოხვია. მათი ბრძოლა სასტიკი და ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთხელ თითქოს სძლია კიდეც, მოიშორა თავიდან, მაგრამ ამ ერთ წამს იმდენი ძალღონე შეალია, რომ ხელები მოსწყდა, ხერხემალი გაუმრუდდა. სუნთქვაშეკრულმა თავი უკან გადააგდო, ბალიშზე დაეცა და სხვის ნებას მიენდო. ამ დროს დამსკდარ, გამშრალ ტუჩებს რაღაც ცივი შეეხო. ღიად დარჩენილი პირი კიდევ

უფრო ფართოდ გააღო და გრილი ჰაერიდან მცირეოდენი სითხე მოწრუპა. ღვინის გემო ესიამოვნა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უკანასკნელი სურვილი შეუსრულეს. «Батюшку, Батюшку надо позвать», მოესმა ამ დროს ნაცნობი ხმით წარმოთქმული სიტყვები და ბუნდოვნად დაინახა კარისაკენ მიმავალი სილუეტი. დიდხანს, დიდხანს აცილებდა კარისაკენ მიმავალ ბნელს და როცა მრუმე მასა მთლიანად გაიცრიცა, მან კვლავ დაისაკუთრა ორი ნათელი სვეტი და მრგვალი მაგიდის კიდე.

შორიდან ძაღლების ყეფა მოისმა. ყეფდნენ ბანჯგვლიანი, ყურებდაჭრილი ძაღლები, რომელთაც სიბნელე და უამინდობა ისევე აღიზიანებდათ, როგორც სოფელში უცხო კაცის გამოჩენა. ღამე იწელებოდა, სიჩუმე ყოველ ჩქამს, ყოველ ბგერას ეხმაურებოდა. აზრი ხან მთლიანად იპყრობდა გონებას, ხანაც შრეებს ქვეშ იმალებოდა. უკან მოხედვამ, რაღაც ისეთის ძიებამ, რაც ადრე მხედველობიდან გამორჩა — საშინლად დაღალა. მეხსიერებაში დაუზიანებელი აღარაფერი დარჩა. ყველაფერი, რაც ადრე სამყაროს დასტყუა, რაც პირად საკუთრებად მიაჩნდა, ახლა უმოწყალოდ ეცლებოდა ხელიდან და კვლავ მშრალზე რჩებოდა, თეთრი ლაქების მეტს ვერაფერს ხედავდა. ყელიდან მღვრიე ბგერები ამოსდიოდა, გახშირებული სუნთქვა ცხადყოფდა, რომ დადგა ძრწოლისა და ვაივაგლახის ჟამი. ირგვლივ რომ ღამე არ ყოფილიყო, თავი ალბათ გვერდზე ექნებოდა გადაგდებული, მაგრამ არ უნდოდა ისე წასულიყო ამ ქვეყნიდან, რომ დღის სინათლე არ ეხილა, თვალი არ გაესწორებია იმისათვის, ვისაც არაფერი ემართა, ვინც არ აცალა ქაღალდზე გადმოღვარა დაოკებული რისხვა და ვნებათღელვა. უწინ აჩრდილივით ყველგან თან

სდევდა, ლხინშიც და ჭირშიც მის ზურგს უკან იდგა, ახლა კი დრო უშოვა და ისე დაიმარტოხელა, როგორც ეს ნაცადმა მკვლელმა იცის. განთიადზე რაც უნდა ის უქნას, მაგრამ სანამ ბნელი საბურველს არ მოიშორებს, სანამ ცოტათი არ შეფერადდება — სიცოცხლეს არ დათმობს, ყურს არ მოაჭრევინებს.

თვალებს სიმრუდე დაეტყო, უჩვეულოდ გაფართოებულნი მძიმედ მოძრაობდნენ დაწითლებულ ქუთუთოებს შორის. ლოგინი გამაგრდა, გახეშეშდა, კენჭებითა და ეკლებით აივსო. საბანი ისე დამძიმდა, თითქოს შიგ მატყლის მაგივრად რიყის ქვები ეყარა. სიცარიელე მას თითქმის ყველგან თან დაჰქონდა, მაგრამ არასოდეს უცდია შეევსო იგი მისტიციზმით, სხვისთვის გადაელოცა ტვირთი. ამის სურვილი არც ახლა ჰქონდა და თუ სცოდავდა, სცოდავდა შეგნებულად. არსებობს, არსებობს — ეს საკითხი არც ისე უმნიშვნელო იყო, რომ ბრმად ეწამა. შეცდომა მთლიანად ცვლიდა ყოფიერების არსს. ამიტომ ამჯობინა ბრმა რწმენას ურწმუნოება. იცავდა არა იმას, რასაც ვარაუდი ებღაუჭებოდა, არამედ იმას, რაც გულს ხვდებოდა, რაც მის ხალხს სისხლის ფასად დაუჯდა. განზე გადგომა სიკვდილს უდრიდა, ხსნა მხოლოდ უვალ გზაზე ფეხის შედგმას შეეძლო. საჭირო იყო მხოლოდ აქეთ, ამ მიმართულებით სიარული... წვერი ადრეც მოუშვა, ერთ დროს ატარებდა კიდეც, მაგრამ ასე არასოდეს შეწუხებულა. ვინ უშვებს ამდენ ნისლს ოთახში, ვინ აკავებს ჰაერს, ვინ უჭერს ყელში ხელს? რაღაც უნდა გაუჩინარდეს, ამოიშალოს, ამოირეცხოს შეგნებიდან, თორემ ყოველი კედელი, ყოველი სიბრტყე, ყოველი უაზრობა აღსდგება, წამოიქცევა და არა მარტო აჩრდილებს მოიტანიებს ქვეშ, არამედ მის უხეშ საწოლსაც.

მან ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოვიდა ოთახში მოგვდელი მოსამსახურე ქალის თანხლებით. ცნობიერება ახლა ისე ხშირად ეთიშებოდა, რომ გონს მოსვლა ნაპერწკლის უსუსურ ბჟუტვას ჰგავდა. ბურუსიდან ჯერ თხელი, მოწითალო წვერი გამოცოცდა, შემდეგ კი გამხდარი, უფერული სახის ნაკვთები. ეკლესიის ეს ნამარხულევი, მორჩილი მსახური ისევე მოძულებული იყო, როგორც მისი მრევლი. სხვებისაგან მხოლოდ გახუნებული ანაფორით და ჩამქრალი, ღრმადჩამჯდარი თვალებით გამოირჩეოდა. დადიოდა მოკლე, შებორკილი ნაბიჯებით. თუკი ვინმეს ამქვეყნად ღმერთი სჭირდებოდა, უპირველეს ყოვლისა — თვით მოძღვარს. იგი მხოლოდ ერთხელ დაესწრო წირვას სახელდახელოდ აშენებულ, ბნელ ეკლესიაში, რომელიც ადგილობრივ გარნიზონს ემსახურებოდა და მაშინვე მიხვდა, რომ ამ ჩია ღვთის მსახურს აქედან აღარსად გადაიყვანდნენ, მისი საფლავი მისივე ეკლესიის ეზოში გაითხრებოდა. იმ საღამოს მხოლოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა. არ ეგონა მისი საზიარებელი თუ გახდებოდა... თუმცა რისთვის ირჯებოდა ამ თავსხმაში. მას უზიარებლადაც შეეძლო მიეტოვებინა ეს ქვეყანა. ახლა არავის გამოსარჩლება, არავის შემწეობა არ სჭირდებოდა. სიხარული, მწუხარება, იმედი და უიმედობა სადღაც უკან დარჩა, წინ კი მხოლოდ უკუნია, კედლებს შორის გამოკეტილ სიცარიელეში გამეფებული უკუნი, რომლის გაფანტვა აღარავის შეუძლია. ამ ცოტა ხნის წინათ სქელი ფარდის ცალ კუთხეში თვალმა ჰუჰრუტანა იპოვა და მიღმა დარჩენილ ცხოვრებას გახედა. ეგონა ჭალაქის ვიწრო ქუჩებს, აყვავებულ ბაღებს და მტკვრის ხეობას დაინახავდა, მაგრამ ფასადმორღვეული სახლისა და კავკასიის უმაღლესი სასამართლოს კანცელარიის მეტი ვერაფე-

რი აღმოაჩინა. წვერმოშვებული, სერთუკებში გამოწყობილი მოხელეები მტვრიან ჰაერს ისუნთქავენ, კალმებს აწრიპინებენ და მას ისე უყურებენ, როგორც ბოროტმოქმედს. ერთხანს ვერ მიხვდა, რას ეჩოდნენ, რას აბრალებდნენ, დაგვიანება არც ისეთი დიდი დანაშაული იყო, რომ ამის გამო მთელი პალატა განსდგომოდა. დაღლილი, გაფითრებული მაგიდებს შორის დახეტიალობდა, აზრის მოკრებას ცდილობდა და უეცრად მოაგონდა, რომ რაღაცის გაკეთება დაავიწყდა, დაავიწყდა უაღრესად მნიშვნელოვანი ქაღალდის შედგენა, რომელზედაც რამდენიმე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. მისი დაუდევრობა მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდა, როცა განაჩენის სისრულეში მოყვანამდე მხოლოდ რამდენიმე წუთიღა დარჩა. ქაღალდი უნდა დაიწეროს სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით და ამავე დროს ისე, რომ წყალი არ გაუვიდეს, ვერსად ვერ დააკავონ. კურიერი მოსაცდელში ზის და იცდის. ქაღალდი ხელიდან ხელში გადავა, ცოტათი დაისვრება, დაიჭმუჭნება და ბოლოს მიაღწევს იმ ინსტანციამდე, სადაც ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტენ. ახლა ყველაფერი მის უნარზე, მის გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. შეიძლება ჯალათი უკვე ემზადება, ხელთათმანებსა და წითელ ბალახონს იცვამს. სხვა დროს ამგვარი დაუდევრობისათვის სამსახურიდან დაითხოვდნენ, ახლა კი მოთმინებით ელოდებიან, როდის შეუდგება წერას, როდის დაიდებს ქაღალდს წინ. დაუდევრობა სხვებსაც გამოუჩენიათ, მაგრამ ამის გამო ისინი არავის დაუყენებია საკუთარ სინდისსა და სახრჩობელას შორის. ქაღალდი თეთრი, ზომაზე დაჭრილი და გატკეცილია, კალამი — საგანგებოდ შერჩეული, მსუბუქი, მახვილი, მელანი — შავი, მკვეთრი, გაუზავებელი. წინადადება

წინადადებას ერწყმის, ყოველი ფაქტი, ყოველი არგუმენტი თანმიმდევრულად ლაგდება, დამაჯერებლობას იძენს, ერთმანეთს ავსებს. უზომო გარჯისა და დაძაბულობისაგან ცივი ოფლი ასხამს, სუნთქვა ეკვრის, ფეხები უშეშდება. კიდევ რამდენიმე წინადადება და ქაღალდი კანონად იქცევა, ჯალათის ხელს შეაჩერებს. დარჩა მხოლოდ ორიოდე ფრაზა, ერთი უკვე ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა, დასრულდა, ახლა მეორე, და მოიცილებს თავიდან მძიმე პასუხისმგებლობას, აღარავის დააჩაგვრინებს თავს. მხოლოდ ერთი სიტყვაა შესაცვლელი, სხვებთან შედარებით როგორღაც წინაა გამოჩრილი. და სანამ იგი შესაფერის სიტყვას ეძებდა, ქაღალდს ზემოდან უხილავმა ტალღამ გადაუარა და ყველაფერი წაშალა, გადარეცხა. თანამშრომლებმა ერთმანეთს რაღაც ანიშნეს, მხრები ჯინჯილებიანი ეპოლეტებით დაიმშვენეს, დამცინავად აქირქილდნენ. ფანჯარას ბნელი მოადგა, სადღაც მწუხრის ზარებმა დარეკეს, ილინსკიმ ოთახში სანთლები შემოიტანა. ახლა მას არაფრის გამორკვევის, არავისთან ანგარიშის გასწორების თავი არ აქვს. რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა იხსნას განწირულნი, რადგან ამგვარი ბრალდებისაგან არავინაა დაზღვეული. კიდევ ნახევარი გვერდი, ერთი მესამედი, უკანასკნელი ფრაზა და შეუძლიათ იხმონ კურიერი, ჩააბარონ ხელმოწერილი ქაღალდი. ღონემიხდილმა კალამი გვერდზე გადასდო, წელში გასწორდა, ქაღალდს სილა მოაყარა, მაგრამ სილამ ისე შეიწოვა მელანი, რომ ქაღალდზე ერთი ასოც არ დარჩა. ქვეყანა გაფითრდა, გამხმარ ხესავით გაშიშვლდა და მან ნათელმხილველივით ამოიკითხა თანამშრომელთა მზერაში, რომ ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც სასჯელი ელის, თვითონაა.

ყნოსვა თითქოს დახშული ჰქონდა, მაგრამ როცა მღვდე-

ლი საწოლს მიუახლოვდა, მან ცხადად იგრძნო სველი ტანსაცმლის სუნი. მალე მისი ბუტბუტიც გაიგონა. ბრტყელი სახე ისე ირყეოდა ბნელში, როგორც დიდი, მღვრიე ლაქა. პირველი ორი ბგერა გარკვევით ისმოდა, შემდეგ სიტყვები სულ უფრო მეტად კარგავდნენ დამახასიათებელ ჟღერადობას და სხვადასხვა ტონალობის ნაწილაკებად იშლებოდნენ. უეცრად თვალწინ ბრწყინვალე საგანმა იელვა. ვერცხლის მოზრდილი ჯვარი ერთხანს ცხადად მოჩანდა, შემდეგ გვერდები შემოაცვდა, უხილავი სიმხურვალის რკალში მოექცა, დნობა დაიწყო და აბოლდა. შავმა კვამლმა მთელი სამყარო შთანთქა, მძიმე მასის წონა შეიძინა. მისი სხეული ცივდებოდა, ისე შეშდებოდა, რომ აღარაფერს გრძნობდა, თითქმის აღარც კი არსებობდა. მაგრამ ამას სხვა კი არ ამჩნევდა, არამედ მისივე ბურუსით მოცული გონება. მღვდელი არსად წასულა, იგი უბრალოდ გაქრა. მისი ადგილი დაიჭირა სიცარიელემ, უკიდეგანო ბნელმა კედელმა, რომელსაც აქა-იქ ვიწრო კარი აქვს შებმული. კედლის გასწვრივ ფერმკრთალი აჩრდილები დაბორიალებენ, ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ ბედავს შეაღოს კარი, შეიხედოს სიცარიელეში, თუ ვერ დაინახავს, მიხვდეს მაინც, რას ჰქვია მარადისობა, რა კავშირი აქვს ადამიანთან, რატომაა ერთი გულგრილი, ხოლო მეორე მუდამ მგრძნობიარე, დაძაბული, უკმაყოფილო. უეცრად ცარიელ ღიობში სინათლის მკრთალმა შუქმა იელვა და ერთი წამით სამყაროს გაქვავებული ნაგლეჯი დასტყუა. ბეჭობი, სახელდახელოდ აგებული ეკლესია, გალავანი, სამრეკლო, საფლავები, უწყლო ველები, მტკვრის ხეობა, მაღალი, ტყით დაფარული, ლურჯად მოელვარე მთები, რომელთაც მარადისობა ტანზე შემოუხვე-

ვიათ, შეუსისხლხორცებიათ. რამდენჯერ დაღევნებია ამ მთებს, რამდენჯერ დაუმარტოხელებია ტყის იდუმალი ჩურჩული, რამდენჯერ გაუჩინარებულა რძისფერ ნისლში. მეხსიერებამ ბევრი რამ გადაურჩინა ისეთი, რასაც სხვაგვარი ფერი და ფორმა არასოდეს ექნება, მაგრამ იგი ვერც ამ მყარ, გაქვავებულ ნაგლეჯს წაიღებს თან და ვერც გამოუთქმელ აზრებს. მზე მისთვის აღარ ამოვა, აღარასოდეს იარსებებს სიცხადე.

მღვდელი დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდა. მოსამსახურე ქალი კაბის კალთით იწმენდდა ცრემლებს, რომელიღაც კუთხეში თაგვები წრიპინებდნენ. მისი გამუქებული თვალები ღრმად იძირებოდნენ ჩრდილით პირშეკრულ ორმოებში და გვერდზე იხრებოდნენ. ხშირი წვერის ფონზე მძაფრად იკვეთებოდნენ სახის მსხვილი ნაკვთები. მზერაგაციებულს ტუჩების შეუმჩნეველ მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ მისი გონება ჯერ კიდევ ფეთქავდა, ჯერ კიდევ ცდილობდა გაემთლიანებია დაქუცმაცებული სამყარო, ერთმანეთთან დაეკავშირებია აზრთა ნაწყვეტები. მაგრამ როცა დაზიანებული რელიეფი მთლიანად გაქრა, როცა სიბნელემ ყველა ნაპრალი ამოავსო, მისმა ტვინმაც დაიწყო რღვევა. დამბალ ბელტს ჯერ ერთი ნაწილი მოსცილდა, დაიშალა, გაქარწყლდა, შემდეგ მეორე გაითქვიფა მღვრიე მასაში, ბოლოს დარეკა ყურებში და სანამ თვალების დახუჭვას მოასწრებდა, თავი გვერდზე გადაუვარდა.

ქარი მძიმედ აწვებოდა კარს, ცდილობდა ველებიდან წაეღებული სუსხი და უამინდობა ოთახში შემოეტანა. დაჭმუჭნული სივრცე შეციებულივით იშმუშნებოდა, ბანჯგვლიანი ძაღლები ჩახლეჩილი ხმით ყეფდნენ. სანთლები ჯერ კიდევ

ხრჩოლავდნენ, მაგრამ მათი შუქი აღარავის ჭირდებოდა. ოთახში პირქუშმა დილამ შემოიხედა, იატაკზე ნაცრისფერი ზოლი გაწვა. საწოლთან გაჩერებული, ბეჭებში მოხრილი მღვდელი ჩუმად იდგა და უკნიდან საკუთარ აჩრდილზე უფრო შავი ჩანდა. ამ ოთახში ყველაფერი დაღლილი იყო — სიჩუმეც, ჩრდილებიც და განაცრისფერებული სივრცეც, მხოლოდ მიცვალებულს არ ემჩნეოდა დაღლა. იგი ისე მშვიდად იწვა ხის მძიმე ტახტზე, თითქოს არც წუხანდელი ღამე არსებობდა, არც ტკივილი და არც სიკვდილი.

და განიყვეს სამოსელი მისი

წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,
სული აღმოხდა სურნელი, ალარსად იყო მკვდარია,
თქვეს ფრანგი მოიპარავდეს, თუ სად დაეცაო დარია,
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია.

თეიმურაზ I

ახალგამოცვლილმა სანთლებმა ბნელს უკან დაახევინა, სქელმა კედლებმა სითბო შეიწოვა, საკანში აგრილდა. შირაზული ხალიჩის ხალისიანი, აბიბინებული ორნამენტები ნათელ ფერებად იღვრებოდა, ქვეშ ეფინებოდა. ხალიჩაზე დაჩოქილ მუხლებზე მეტად ხელები სტკიოდა. წიგნი ტყვიასავით დამძიმდა. ერთმანეთზე მიჯრილი ასოები მწერებივით ზუზუნებდნენ, დაღლილ თვალებს კორტნიდნენ. ოთხთავი ყველგან თან დაჰქონდა, ზეპირად იცოდა, მაგრამ ღმერთთან

მაშინ უფრო ახლო იყო, როცა წინ გაწვდილ ხელებში წიგნი ეჭირა. „რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არსად იქმნა ესევითარი დასაბამითგან, რომელ დაჰბადა ღმერთმან ვიდრე აქამომდე და აღარცა იყოს“.

საკანში დარხეულ ბგერებს ძალა და სიმკვეთრე აკლდა. დედოფალმა მზერა აღმართა და მოოქრულ ხატს მიაჩერდა. ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ისეთივე გაწამებული სახე ჰქონდა, როგორც მის წინ დაჩოქილ ქალს. შეიძლება ამ ქალზე უკეთ არავინ იცოდა ახლა, რას განიცდიდა ნაზარეველი გეთსამანიის ბაღში, რამხელა სიცარიელე ერტყა ირგვლივ. „და არა თუმცა ღმერთმან შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ცხონდა ყოველი ხორციელი, არამედ რჩეულთა მათთვის, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლა დღენი იგი“.

წიგნი შეტოკდა, გვერდზე გადაქანდა, მაგრამ სანამ იატაკზე დაეცემოდა, გამხდარმა, აკანკალებულმა ხელებმა შეძლეს მისი გასწორება. შუაღამის შემდეგ ყოველი ბგერა მუქარად იქცა, გათენებას მთელი სამყარო უფრთხოდა. ხანდახან მერყევ, ჩარჩოებად დაყოფილ სივრცეში ბავშვის გაღიმებული სახე გამოჩნდებოდა, გაცისკროვნდებოდა სწორედ მაშინ, როცა დამძიმებული გული აფორიაქდებოდა, მოწყვეტილი ვარსკვლავივით ჩაქრებოდა. სად წაასხეს მისი გვრიტები, სად აწამეს ცეცხლითა და მახვილით? „მწუხარ არს სული ჩემი, ვიდრე სიკვდილამდე“.

ირგვლივ შემორტყმული კედლები იმდენად სქელი და მრუმე იყო, რომ ყოველგვარ იმედს აქარწყლებდა. სპარსეთში გადმოსახლების შემდეგ შირაზის სუფთა ჰაერმაც კი კედლების სიმტკიცე შეიძინა. საითაც არ უნდა გაქცეულიყო, მაინც ლოდსა და დუღაბს შეასკდებოდა. ამ კედლებს შორის

შვიდი წელი დაპყო, მაგრამ გუშინს აქეთ ბევრი რამ შეიცვალა. დრო დაიღვარჯნა, გამაწამებელ ლოდინად იქცა. „მოაწია დასასრული, და მოვიდა ჟამი. აჰა ესერა მიეცემის ძე კაცისაი ხელთა ცოდვილთასა“.

დედოფალი წიგნთან ერთად დაემხო იატაკზე და სანამ გაჭეშებული კუნთები ოდნავ დაურბილდებოდა, გაუნძრევლად იწვა. დარაჯების გარდა ამ ძველ ციხე-დარბაზში ყველას ეძინა — მოახლეებსაც, გიორგი მღვდელსაც და წვერშეღებილ მელიქსაც. ძილი მხოლოდ მას, უძინარსა და გაწამებულს არ ეკარებოდა. გუშინს აქეთ მთელი წარსული გადაქექა, შეუთავსებელი შეათავსა, მაგრამ ხელჩასაჭიდი მაინც ვერაფერი იპოვა. აუტანელის ატანა ბედმა მას არგუნა და რადგან მის ბედს ვერავინ გაიზიარებდა, საკუთარი სულისათვის თვითონ უნდა მოევლო, მოევლო ისე, რომ სახვეწარი არავისთან არაფერი ჰქონოდა. სიმტკიცე ადრეც ბევრჯერ დასჭირებია, რამდენჯერ გაუსწორა თვალი სიკვდილს, მაგრამ ხვალ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი კი არ სწყდებოდა, არამედ ორი ქვეყანა უპირისპირდებოდა ერთმანეთს — დამპყრობელი და დაპყრობილი. ამიტომაც არ ჰქონდა მოდუნების, საკუთარი თავის შებრალების უფლება. ასეთ ბრძოლაში დამარცხება წარწყმედას, უმძიმესი მსხვერპლის შებღალვას ნიშნავდა.

ხვალინდელ დღეზე ფიქრი ისე არ აწვალებდა, როგორც ჩამოყალიბებული აზრის სიშიშვლე. გული ხან მძაფრად უცემდა, ხანაც სიცარიელეში იძირებოდა. საკმარისი იყო უკან მოხედვა, წარსულს წაპოტინებოდა და მაშინვე წაბილწულ სუდარაში ეხვეოდა. რამდენი სიბრიყვის, სიძულვილის, სისხლისა და სიკვდილის კვალი აჩნდა ადამიანის გაჩენის დღიდან გაურეცხავ ზეწარს, რამდენი მოჭრილი თავი და და-

თხრილი თვალები იმზირებოდა გაცრეცილი ფარდის ჭუჭუ-ტანებიდან. ძუძუების საშინელი ტკივილი პირველად სწორედ მაშინ იგრძნო, როცა ალექსანდრე და ლევანი მკერდიდან მოგლიჯეს. ჯალათებს მაღალი ღაწვები, ღონიერი მკლავები და ველური გამოხედვა ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი იმდენად საზარელი იყო, რომ თავისიანებსაც კი აფრთხობდა. სპარსეთს ჯალათის ხელი და შიში მართავდა, ვინც მოძალადეს არ ემორჩილებოდა — იღუპებოდა. გუშინდლამდე მახლობლების წამებით უკლავდნენ გულს, გუშინ კი სიკვდილსა და რჯულის გმობას შორის დააყენეს.

დედოფალი ისე ნელა გაიმართა წელში, თითქოს ღრმა ორმოდან ამოცოცდა. თალხ საბურველში გახვეულმა დაკეცილი წიგნი თაროზე დადო და ვიწრო სარკმლისაკენ წალასლასდა. მას შემდეგ რაც შვილიშვილები მოსტაცეს, თვალზე ცრემლი არ შეშრობია, მარხვა არ მიუტოვებია. უქმელობისაგან კბილები დასცვივდა, ყბები ჩაუცვივდა, კანი გაუყვითლდა. ყველაფერი, რაც საქართველოდან წამოიღო, უცხოცის ქვეშ უმოწყალოდ დაჭკნა, მხოლოდ სული შერჩა უტეხი და უბერებელი. ამიტომაც არ ერიდებოდნენ, არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. შაჰმა ოტომანთა იმპერია შეარყია, ძლიერი მტრები დააჩოქა, მაგრამ მისი არსებობა მაინც ვერ დაივიწყა. უნდომ და ეჭვიანმა სახელმწიფო მსტოვრებით ააესო. ლოცვაზე მეტად ჯაშუშების დაკითხვა უყვარდა. ქვეყნად არავის არ უნდა ეცხოვრა ისეთს, ვისაც მისი შიში არ ექნებოდა. ამიტომაც მოიშორა თავიდან შვილები, სეფე-მირზა ვერაგულად მოაკვლევინა.

დედოფალმა ვენეციური შუშის ანარეკლს თვალი მოარიდა. ბოლო დროს სპარსეთში ბევრი ვენეციური შუშა შემოჰ-

ქონდათ და ეს ვიწრო სარკმელი მისი თანდასწრებით შემინეს. მანამდე კი ქარი ისევე თავისუფლად იჭრებოდა საკანში, როგორც მწუხარება მის სულში. ზოგჯერ სადღაც შორს დარჩეული ბგერა ან უჩვეულო ფერის ნასხლეტი უმნიშვნელო წვრილმანებს მოეჭიდებოდა და კავკასიონის მთებს ანდა გრემის შემოგარენს დაითრევდა. ლურჯი და მწვანე ფერი საქართველოს სხვა ქვეყნებისაგან ანსხვავებდა, დასაბამიდან მოპოებულ დამოუკიდებლობას ანიჭებდა. სხივთა უსაზღვრო ციაგში არაფერი არ აგონდებოდა ისე ნათლად, როგორც რქაწითელის მტევნები და თუთის აქოჩრილი ბაღები. მათი დანახვა ახარებდა, მცირე ხნით მწუხარებასაც კი ავიწყებდა, მაგრამ აწვალებდა კიდეც. მოულოდნელად შემაშფოთებელი გრძნობა ეუფლებოდა, ეშინოდა, რომ წაართმევდნენ, წაბილწავდნენ ამ ნაფერებ მიწას, ბაღ-ვენახებში გადამთიელებს ჩამოასახლებდნენ.

მარცხენა ხელით სარკმელი გამოაღო და ცას ახედა. ასეთი მძიმე ღამე და მბჟუტავი ვარსკვლავები არასოდეს უნახავს. შირაზს ეძინა... შორიდან რუქნაბადის ხმაური ისმოდა. შვიდი წლის მანძილზე რამდენჯერმე მოუხდა ქალაქში გასვლა და მის დაულაგებელ კონტურებს გვარიანად იცნობდა. დღისით ამ სარკმელიდან საფარდინის მომინანქრებული მეჩეთი და აზუდად-დოულეს ზღაპრული სასახლის ნანგრევები მოჩანდა. შაჰ-აბასი საოცრად ჰგავდა თავის შორეულ წინაპარს. მასავით ჭკვიანი, შეუპოვარი დიდების, ფულისა და ფუფუნების მოყვარული იყო, მასავით ეჭვიანი, ვერაგი და უგუნურობამდე სასტიკი. ერთმა საყვარელი ქალი მოიშორა თავიდან, მეორემ შვილები, ერთმა ვირთხები მიუსია ხელფეხშეკრულ ტყვეებს, მეორემ დამშეული ავაზები, ერთმა შირაზში ააგო დიდებუ-

ლი სასახლე, მეორემ ისპაჰანში. აზუდ-ად-დოულემ დაშლილ-დარბეული ხალიფატის შეკოწიწება ითავა, შაჰ-აბასმა თურ-ქებისა და მონღოლებისაგან გათელილი სპარსეთის აღდგენა. ქვეყნის გასაძლიერებლად ორივე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ საკუთარი ხალხისათვის ორივე უცხო იყო. სპარსეთს ერთი კაცის დაძაბული ნებისყოფა მართავდა და როცა ეს კაცი მოკვდებოდა, სპარსეთი ისევე დაქანდებოდა უკან, როგორც მთიდან დაგორებული ურემი.

საკანში ვარდების გამაბრუებელი სურნელება შემოიჭრა. „შენს დიდებულ ბაღში ვარდები ისე დგანან ანემონების ირგვლივ, როგორც აგუგუნებულ ხანძარს მიჩერებული ადამიანთა სახეები". ეს სიტყვები რამდენიმე წლის წინათ ამოიკითხა სპარსულად თარგმნილი არაბი პოეტის კრებულში და რატომღაც ახლა, ამ უმძიმეს წუთებში მოაგონდა. არსად არ უნახავს იმდენი და იმხელა ვარდები, რამდენიც ამ კედელ-მორღვეულ ქალაქში ნახა. ყოველი ეზო, ყოველი ბაღი ვარ-დებით იყო გადაწითლებული. ვარდის სუნს ქარიც კი ვერ ფანტავდა. პირველად სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა ბავშვებს დააძინებდა, გარეთ გამოვიდოდა და ვარდის სურნელებით ტკბებოდა, მაგრამ ათასმა უბედურებამ ვარდს სუნი შეუცვა-ლა, წამებასა და სიკვდილს დაუკავშირა. მას შემდეგ ფანჯრის გამოღება ეზარებოდა, ვარდის სუნს სიკვდილის სუნიც ახლდა თან.

მოკრიალებულ ცაზე შავი, წაგრძელებული ღრუბელი გა-მოჩნდა და რამდენიმე ვარსკვლავი შთანთქა. დედოფალმა თვალები დახუჭა. მის გულს დიდი ხანია ღრღნიდა დანაშაუ-ლის გრძნობა. რატომ ჩაუგდო სისხლიან მტარვალს უცოდვე-ლი ბავშვები ხელში, რატომ არ გადამალა, არ გახიზნა მთებ-

ში, გულუბრყვილობა სწორედ მაშინ გამოიჩინა, როცა ვერ მიხვდა ვისთან ჰქონდა საქმე. ეგონა ალექსანდრეს და ლევანს სპარსეთში გაგზავნიდნენ და ისევე აღზრდიდნენ შაჰის კარზე, როგორც ერთ დროს მისი შვილი აღზარდეს. მაგრამ შაჰმა მძევლებიც მიითვალა და კახეთიც ააოხრა. რამდენ უბედურებას ასცდებოდა საქართველო, სპარსეთის ტახტზე რომ ასეთი ძლიერი, უნარიანი მბრძანებელი არ ასულიყო. მეზობლების დასარბევად იგი დროშასავით აფრიალებდა ყურანის მერვე სურას.

დედოფალმა სარკმელი მიხურა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. კედელს მიყრდნობილი აჩრდილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას. ხატზე არეკლილი სხივები ერთმანეთს კვეთდნენ და ჭერში ფანჯრის გაჭრას ცდილობდნენ. საკუთარ თავზე ფიქრი არ უნდოდა, არ სიამოვნებდა. მან უკვე მტკიცედ გადაწყვიტა ქრისტიანად მომკვდარიყო და ამ გადაწყვეტილებას ვერავითარი ძალა ვერ შეაცვლევინებდა. მერყეობას არ შეუწუხებია, არ გაურიყია, მაგრამ სული მხოლოდ მას შემდეგ მოითქვა თავისუფლად, როცა მტარვალის ნებას წინ აღუდგა. ახლა არც შაჰ-აბასის ეშინოდა და არც მისი დამქაშების. მხოლოდ ერთი რამ ზარავდა. იცოდა, რომ მკლავმაგარი მამაკაცები გააშიშვლებდნენ, ხელ-ფეხს შეუკრავდნენ და სანამ ძუძუებს გაზით დააგლეჯდნენ, კიდევ ერთხელ მოსთხოვდნენ მუქარით: „დაჰგმე ქრისტე და იწამე ალაჰი“. რა უნდა ეთქვა, რა პასუხი გაეცა მოძალადეებისათვის. ჯალათებს კი არა, მღვდლებსაც არ სჯეროდათ, რომ დასათმობი მას უკვე აღარაფერი ჰქონდა.

როგორც კი ქალაქში ხმა გავრცელდა, ქრისტიანმა დედოფალმა რჯულის დათმობას წამებით სიკვდილი არჩიაო, კათო-

ლიკები შეშფოთდნენ, აფუსფუსდნენ. რამდენიმე მათგანმა იმის უფლებაც კი ითხოვა, რომ წამებას დასწრებოდა, მაგრამ ბოლო დროს მასთან არც ქრისტიანებს უშვებდნენ და არც გამაჰმადიანებულ უცხოელებს. ყველა კართან დარაჯი იდგა. ძველ ციხე-დარბაზს ყიზილბაშთა მთელი რაზმი იცავდა. შირაზში თითქმის იმდენივე უცხოელი ცხოვრობდა, რამდენიც ადგილობრივი მკვიდრი. ავგუსტიანელ ბერებს გარეუბანში თავიანთი ეკლესია, ბაღი და საცხოვრებელი ჰქონდათ. ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის ელჩები შირაზში თვეობით ცხოვრობდნენ, მეჯლისებს მართავდნენ, ერთმანეთს ექიშპებოდნენ. ამ რამდენიმე წლის წინათ სცადა კავშირი დაემყარებინა ესპანეთის ელჩთან, ბასილიანელი ბერი გაუგზავნა, წიგნი მისწერა, ეგონა საქრისტიანოს უძლიერესი სახელმწიფო ერთმორწმუნე ქართველებს გამოექომაგებოდა, მაგრამ გარსია დე ფიგერუამ თავაზიანად მოიკითხა და მიმოწერას თავი აარიდა. ესპანელებს სპარსელებთან კავშირი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე საქართველოს ბედ-იღბალი. მის ირგვლივ ყველაფერი ისე იყო შეკრული და შებოჭილი, თითქოს საშინელი სენის გავრცელება შეეძლო. თუმცა ამას წინათ ავგუსტიანელმა ბერებმა დიდი გამბედაობა გამოიჩინეს, გამამხნევებელი ბარათი და ღვთისმშობლის პატარა ხატი გამოუგზავნეს, მაგრამ ხატები თავისიც ბევრი ჰქონდა. კათოლიკებს შორის იყო რამდენიმე ღირსეული, მისი უკეთესმართი ბედით შეწუხებული ღვთისმსახური, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მისი წამებით სიკვდილი უფრო დიდ საქმედ მიაჩნდათ, ვიდრე გადარჩენა. როგორც კი შაჰის ნება აღსრულდებოდა, პანაშვიდს გადაუხდიდნენ და მთელ მსოფლიოს მოსდებდნენ, ჩვენს დროში ქრისტიანმა ქალმა რჯულის დათმო-

ბას მოწამეობრივი სიკვდილი ირჩიეთ. იგი არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ მის ნეშთს არ მოიპარავდნენ, წმინდანად არ შერაცხდნენ. სიკვდილის შემდეგ იგი უკვე სხვების საკუთრება იქნებოდა და ბევრ რამეს მიაწერდნენ ისეთს, რაც გულში არ გაუვლია.

უეცრად მოეშვა, მთლიანად კედელს მიენდო. გაწყვეტილი აზრი ფართხალებდა, უადგილო ადგილას ინასკვებოდა. საკანი მოჩვენებებით და მწუხარებით აივსო. კვნესოდა გული, სახლი, მთელი ქალაქი, კვნესოდა ისე, როგორც ხაფანგში გაბმული ცხოველი, რომელსაც თავის დახსნის იმედი აღარა აქვს. ლანდები უაზროდ დაბორიალებდნენ, მოგონებები გუნდ-გუნდად იშლებოდა. ორლობეში ფეხშიშველი, სახლიდან პერანგის ამარა გამოვარდნილი ბიჭუნა გარბის, გაურბის სიკვდილს, ცხენზე ამხედრებულ, წითელჩაბალახიან სიკვდილს, რომელსაც ხმალი შეუმართავს, ველურად ყივის და მოთმინებით ელის იმ წამს, როცა ბიჭუნას მოჭრილი თავი მიწაზე გაგორდება. შორიდან სახედაკაწრული, სამოსშემოხეული დედაკაცის კივილი ისმის, ტვირთი იზრდება, ისეთი ძალით აწვება მხრებს, რომ სადაცაა გასრესს, მაგრამ ამ დროს გაწყვეტილი აზრი მაცხოვრის მოოქრულ ხატს ებღაუჭება და იგიც ამოჰყავს საშინელებით დაბნელებულ უფსკრულიდან.

რა ჰქონდა სამდურავი უცხოელებთან, როცა მის წამებას ზოგიერთი ქართველიც კი მოითხოვდა. ამას წინათ ერთი მათგანი შაჰს უმტკიცებდა, ქართველების მორჯულებას ქეთევან დედოფლის სიმტკიცე უშლისო ხელს. ასეთები საქართველოშიც ეგულებოდა. გამაჰმადიანებულ ქართველებს ეთაკილებოდათ, ძალდაუტანებლად რომ დაგმეს რჯული და ცდილობდნენ მათი რიცხვი გაზრდილიყო, დაქუცმაცებული ტვირთი

არც ისე მძიმე საზიდავია, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სწამდათ, ერის გადარჩენის ერთადერთი გზა გამაჰმადიანებაა. მათ არ ესმოდათ, ქრისტიანობის დათმობა მარტო რჯულის კი არა, ენისა და წარსულის დათმობაც იქნებოდა. დაინგრეოდა ეკლესიები და მონასტრები, მოისპობოდა ქართული წიგნი, ქართული ხატი, ქართული სული. ორიოდე საუკუნის შემდეგ აღარავის ემახსოვრებოდა, რომ ქვეყნად საქართველო იყო და ქართველები ცხოვრობდნენ.

იმამ-ყული-ხანი უცხოელ ელჩებს ისე ღებულობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეფე, ადვილად თავს არც ყიზილბაშ ემირებს უტოლებდა, მაგრამ ამ სამიოდე თვის წინათ მას მაინც ესტუმრა. ეზო შეიარაღებული მხლებლებით და შავკანიანი მონებით აივსო. საკანში ოფლისა და მტვრის სუნი შემოიჭრა. ფარსის მმართველი გაღიმებული სახით მოადგა კარს, მაგრამ თავაზიანი ღიმილის უკან სიკვდილის აჩრდილი მოჩანდა. ეს გამაჰმადიანებული ქართველი, მდიდარი, ზრდილი, განათლებული სატრაპი იყო. შაჰის კარზე აღზრდილს თავი სპარსელად მოჰქონდა და სპარსელივით სძულდა ყველა გადამთიელი დამპყრობლები — თურქები, მონღოლები და ყიზილბაშები. შეიძლება მარტო დარჩენილს სხვა ზრახვებიც ედო გულში, მაგრამ გულის ნადებს არავის უზიარებდა. მისი აღზევება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, როცა ინგლისელების დახმარებით პორტუგალიელებს კუნძული ორმუზი წაართვა და სპარსეთს სავაჭრო გზა გაუხსნა. მის უამრავ სახელს კიდევ ერთი საპატიო სახელი შეემატა. ადრე ამ ძველ ციხე-დარბაზში იგი უფრო ხშირად დადიოდა, ზოგჯერ გამაჰმადიანებული ქართველებიც მოჰყავდათ თან, მაგრამ ბოლო დროს ფეხი ამოიკვეთა. თუმცა მისი ნებართვით ერთხელ აქ ასპაზელმა ქრისტიანებმაც შემოაღწიეს.

ხალარხანს ტახტზე ჩამოჯდომა შესთავაზა, მაგრამ ბან საკარძელი არჩია. შავი, ოქროს ძაფით ნაქარგი კაბა-აახალგაზრდავებდა, გაქათქათებულ ჩალმაზე დაბნეული ბრილიანტი ცივად ბრწყინავდა. მის მზერაში გამოცდილებით დაღლილი კაცის შეჭმუნვარება იგრძნობოდა. ამ ცოდვილ სასახლეში ჯერ ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ შემოუდგამს ფეხი ისე, რომ უბედურება არ მოეტანა თან. ამიტომაც ჩამოწვა მათ შორის ბედისწერასავით მძიმე, დამთრგუნველი დუმილი.

მოახლემ ხილთან და ქართულ ღვინოსთან ერთად შარბათიც შემოიტანა. დაბალი მაგიდის ზედაპირი გახალისდა. ცოცხალი ფერებით აივსო. იმამ-ყული-ხანმა ღვინო დაისხა, რამდენჯერმე სიამოვნებით მოწრუპა და შემდეგ ბოლომდე დასცალა. სანამ თიხის ჯამს მაგიდაზე დადგამდა, მის მუქ თვალებში ნაპერწკალმა იელვა. ახლა აღარ გაუჭირდებოდა იმის თქმა, რაც ტვირთივით შემოიტანა საკანში.

— დედოფალო, — დაიწყო მან ისე, თითქოს სიტყვათა სირბილე სათქმელის სისასტიკესაც შეარბილებდა, — თქვენი ბედი რომ ჩემს ხელთ იყოს, დღესვე დაგაბრუნებდით საქართველოში, მაგრამ ჩვენს შორის შაჰი დგას, რომლის რისხვას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაექცევა. დღეს სპარსეთში სიმართლეს მხოლოდ ისინი ეძებენ, ვისთვისაც სამართლის კარი დახშულია. სისხლისღვრამ შაჰი გააბოროტა. ის დღე დღედ არ მიაჩნია, როცა ვინმეს ან ჩუმად არ მოაკვლევინებს ანდა სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანს. ამიტომაც არ შეისმინა ჩემი სიტყვები. ნაადრევად გამეფებულმა კარგად იცის, რომ მეამბოხე სულის მოსასპობად სხეულის მოსპობაა საჭირო და ასეც იქცევა. უმეტესობას ვერაგულად კლავს, ცოდვების მო-

ნანიების საშუალებას არ აძლევს, თქვენ კი უკან დასახევ გზას, არჩევის უფლებას გიტოვებთ.

ჯერ დასცხა, სახე აელეწა, შემდეგ კი გარდუვალობის სუსხი და ბეჭების ტკივილი იგრძნო. იმამ-ყული-ხანმა გრძელი, მოქნილი თითებით მტევანს ერთი მარცვალი მოსწყვიტა, მცირე ხანს ატრიალა და შემდეგ ისევ ლანგარზე დასდო. მისი დაძაბული მზერა მდუმარებას ეფარებოდა, რაღაცას ელოდა. შეიძლება სასოწარკვეთილი ქალის კივილს, მუდარას, მის ფეხებთან დამხობას. სასახლეში აღზრდილს ლოდინზე ეტყობოდა, რომ ადამიანის გათახსირების მოწმე ხშირად ყოფილა.

დუმილი გამოუთქმელ აზრთა სიცხადეში ეხვეოდა, მკვრივდებოდა. უეცრად ნაკვთთა სიმსუბუქე და გამამხნევებელი სითბო იგრძნო. თბილი ტალღები ზურგიდან, იმ ადგილიდან მოედინებოდა, სადაც მაცხოვრის ხატი ეკიდა. ქრისტიანობა ბავშვობიდანვე შეითვისა, შეისისხლხორცა და მისი დათმობა ვერაფრით ვერ წარმოედგინა. სწორედ რწმენა აღმოჩნდა ის ერთადერთი საუნჯე, რაც ვერ წაართვეს, ვერ ამოგლიჯეს სულიდან, ახლა მან კარგად იცოდა, რა დაეპირისპირებია მოძალადისათვის, რით დაეცვა საკუთარი ღირსება. გრემის ეკლესიის ზარების რეკვა ყოველ დღე ესმოდა, ზოგჯერ განმეორებითაც კი, მაგრამ ამას წინათ ისე ცხადად გაიგონა ძილში, რომ საწოლიდან წამოვარდა და პირჯვარი გადაიწერა. იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. ხატის წინ დაჩოქილი გულმხურვალედ ლოცულობდა. ბოლო დროს ლოცვამ სხვა ხასიათი მიიღო, სხვა აზრი შეიძინა, ისეთივე მკაცრი და მწუხარე გახდა, როგორც მისი პირისახე.

იმამ-ყული-ხანმა ისევ დაისხა ღვინო, მაგრამ დალევის შერცხვა და სავსე ფიალა გვერდზე გადადგა. შეიძლება იგი

უკვე ნანობდა, რომ ამ მგლოვიარე საკანში შემოდგა ფეხი, განწირული ადამიანის პირისპირ აღმოჩნდა. რა უნდა ეთქვა ისეთი, რომ წამებით სიკვდილის ტოლფასოვანი ყოფილიყო, აზრის მცირე ნასახი შეენარჩუნებინა. მისთვის ისევ ის სჯობდა, რომ შაჰის ნება ეუწყებია და უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ არ უნდოდა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენელი, სხვისი ნების აღმსრულებელი ყოფილიყო.

— მე კიდევ ერთხელ შევეცდები აგარიდოთ შაჰის რისხვა, მაგრამ არაფრის იმედი არა მაქვს, — დაიწყო მან ლმობიერად და ხმის შესაფერისი გამომეტყველება მიიღო. — ბოლოს და ბოლოს, როცა სხვა გამოსავალი არაა, რჯულის გამოცვლა არც ისე დიდი უბედურებაა, როგორც ბევრსა ჰგონია. ძველი არაბები რჯულს იმდენჯერ იცვლიდნენ, რამდენჯერაც სურდათ. დამიჯერეთ, რომ რწმენასა და ცხოვრებას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. ღმერთი ბევრს სწამს, მაგრამ წმინდანი ამქვეყნად ისევე ცოტაა, როგორც წყალი უდაბნოში. მგონი აქ, შირაზში ცხოვრობდა ერთი სუფისტი შეიხი, რომელიც ამბობდა, ცა რომ სპილენძად იქცეს, დედამიწა კი ტყვიად და მე ჩემი თავის გამოსაკვებად ხელი გავანძრიო, მაშინ წარმართი ვიქნებოდი და არა მუსლიმანიო. ასეთი კაცისათვის ღმერთის გარდა არაფერი არსებობს ამქვეყნად, მაგრამ თქვენ ხომ რწმენა გონიერებაზე მაღლა არ დაგიყენებიათ, არ გაქცევიხართ ცხოვრებას, არ გაგულგრილებულხართ მახლობელთა მიმართ. ამიტომაც ვერ ამიხსნია თქვენი სიჯიუტე.

მას მართლაც არ შეეძლო ამის ახსნა, რადგან რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა და სამშობლოც. ცხოვრება მისთვის სათარეშო ასპარეზი იყო, სადაც დროს რაღაც უნდა დასტყუო,

თორემ ხელცარიელი დარჩები. ხელცარიელად დარჩენას კი მან შაჰის ნდობის დამსახურება და თავადობა ირჩია. თვით შაჰ-აბასს არც ღმერთი სწამდა და არც ეშმაკი. იმ დროს, როცა კათოლიკებს და სომეხ ეპისკოპოსებს მფარველობას უწევდა, სუნიტობის მიმდევარი მაჰმადიანებს სასტიკად დევნიდა, პირში ცხელ ტყვიას ასხამდა. მისი სალოცავი ხატი სპარსეთი იყო. ამ მრწამსს მტკიცედ იცავდა და ურჯულოდ თვლიდა ყველას, ვინც მის კერპს არ ეთაყვანებოდა. ამიტომაც ჯიჯგნიდა საქართველოს. იმამ-ყული-ხანს ბევრი რამ შეეძლო გაემართლებია, შავი თეთრად შეეღება, მაგრამ მან დანამდვილებით იცოდა, რომ შაჰი მას ქართველობისათვის სჯიდა და არა ქრისტიანობისათვის.

— რწმენა ზღუდავს, აჩლუნგებს ადამიანს, ქართველებმა კი სწორედ ახლა უნდა გამოიჩინონ გამჭრიახობა, გაუძლონ ქამთა სიავეს, — განაგრძობდა იმამ-ყული-ხანი, — იქ, სადაც თავის მხრებზე შენარჩუნება ჭირს, მოთმინება და ლოდინია საჭირო. დროთა განმავლობაში ყველა მეფე ემხობა, ყველა სახელმწიფო ნადგურდება. რომის იმპერატორი კლავდიუსი იგონებს, სანამ კალიგულა ცოცხალი იყო, თავს ვისულელებდი, ისე ვიქცეოდი, თითქოს ამქვეყნის არაფერი გამეგება, რადგან სხვაგვარად თავს მხრებზე ვერ შევინარჩუნებდიო. და ამას ამბობს კაცი, რომელიც კალიგულას სიკვდილის შემდეგ იმპერატორი გახდა. მთავარია, სიცოცხლის შენარჩუნება, გამოსავლის პოვნა და არა თავგანწირვა. რას მოიგებდა საქართველო, შამაჩემს რომ ქრისტიანობისათვის თავი გაეწირა?

ფანჯრიდან შემოჭრილი, იატაკზე გაწოლილი სინათლის ზოლი თანდათან ვიწროვდებოდა, ალესილი დანის სიმახვილეს იძენდა. ეზოდან ცხენების ფრუტუნი, იარაღის ჟღარუნი

და ჯარისკაცების ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. საკანში იჭრებოდა ხორცშესხმული ბგერები, რომლებიც ერთმანეთს ებმოდნენ, მჭიდროვდებოდნენ და იდუმალებას ემიჯნებოდნენ. მათი სიგრძე, რხევა და დაძაბულობა იმდენად ნაცნობი იყო, რომ ცალკე გამოყოფას არ თხოულობდა. მაგრამ როცა ბინდი შესქელდებოდა და უფორმო სხეულს ზანტად შემოათრევდა საკანში, არარაიდან სივრცის გამაუქმებელი, სიცხადეს მოკლებული ბგერები იშობოდა, რომელთა შრიალს და ფაჩუნს ვერც ყური უგულვებელყოფდა და ვერც დაღლილი გონება ახშობდა.

იმამ-ყული-ხანის ჭკვიანი სახე უფერულდებოდა, ცალკეულ ნაკვთებად იშლებოდა. რაც არ უნდა მოხდენილი და კეთილშობილი ყოფილიყო მამაკაცი, ამ მგლოვიარე საკანში მაინც მხდალი და სულმოკლე ჩანდა, რა გულახდილობაც არ უნდა გამოეჩინა, მაინც ეჭვებს იწვევდა. დღეს იგი მთელი ფარსის მმართველი იყო, შეეძლო ამბოხებული ყიზილბაშების ან ტყვე თურქების მოჭრილი თავებისაგან კოშკები აეგო, მაგრამ კისრის ძარღვის ფეთქვაზე ეტყობოდა, რომ როგორც კი შაჰ-აბასის მზე ჩაესვენებოდა, მისი ამაყად შემართული თავიც დაგორდებოდა.

იმამ-ყული-ხანმა სახიდან ლმობიერი ღიმილი მოიშორა და სიტყვებს სიმსუბუქე მოაკლო.

— თქვენ ან არ იცით რა გელით, ანდა იმის იმედი გაქვთ, რომ ქალი ხართ და შაჰი დაგინდობთ. ამქვეყნად ჯერ არავინ შობილა ისეთი, ვისი გაწირვაც შაჰს არ შეეძლოს, რაც შეეხება სპარსელ ჯალათებს, მათ გულცივობაზე ლეგენდები დადის. შეიძლება თქვენ ღვთის ყოვლისშემძლეობის, სასწაულების გჯერათ, მაგრამ იქ, სადაც ძალა ბატონობს, ღმერთი ვერა-

ფერს გიშველით. სპარსეთში ცაც კი შიშითაა ფერდაკარგული. მე არ მესმის რატომ უნდა შეეწიროს ადამიანი მარცხს, როცა შეუძლია მარცხი გამოცდილებად აქციოს და თავისთვის გამოიყენოს. გამაჰმადიანებულ ქართველებს სპარსეთში ყველა გზა ხსნილი აქვთ. ბატონობა და მონობა აქაც არსებობს, მზე აქაც ისევე ამოდის და ჩადის, როგორც საქართველოში. თქვენ რომ პირველი ქართველი იყოთ, ვისაც რჯულის შეცვლას აძალებდნენ, მაშინ სათქმელი არაფერი გექნებოდათ, მაგრამ რჯულშეცვლილი ქართველები შაჰის კარზე იმდენია, რომ მათ დაუკითხავად არც ერთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე არ წყდება. დაფიქრდით, წამებით სიკვდილსა და სიკვდილამდე უზრუნველყოფილ ცხოვრებას შორის დიდი სხვაობაა.

როცა გარემო მეტისმეტად იძარცვებოდა, ნივთთა ანარეკლი მკვრივდებოდა და სინამდვილეს ამიშვლებდა, სიავე ისე მოქონავდა ცხოვრების ყოველი ნასვრეტიდან, როგორც ნესტი სქელი კედლებიდან. საკმარისი იყო წარსულის ძძიმე ფარდა ონდავ გადაეწია და სიტყვები მაშინვე კარგავდნენ აზრს. როგორ უნდა დეთმო, როგორ ეპატიებია შაჰისათვის კახეთის აოხრება, ათასობით ოჯახის აყრა, შვილიშვილების წამება. რა უნდა მიეღო იმის სანაცვლოდ, რაც წაგლიჯეს, სისხლიანი ფეხებით გათელეს. მის სულში დაგროვილ ნაღველს ვეღარაფერი ამოაშრობდა, ვერაფერი ჩაუნერგავდა ჯალათისადმი რიდსა და პატივისცემას. სხვისი სისხლით ხელები არასოდეს შეუღებია, მაგრამ შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, შაჰს სიამოვნებით დაკლავდა, მის სისხლს ძაღლებს დაალევინებდა. თუ ღმერთი ამას ცოდვად ჩაუთვლიდა, ტანჯვით გამოისყიდდა.

იმამ-ყული-ხანი ცდილობდა შიშიც შთაენერგა მისთვის და იმედიც, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ იყო ის, რაც მას რჯულის შეცვლის შემდეგ ელოდა. შაჰი ან ამავე ციხე-დარბაზში დატოვებდა, ანდა რომელიმე სხვა სასახლეს გამოუძებნიდა და განმარტოებით ცხოვრების უფლებას მისცემდა. შეიძლება ჯამაგირიც დაენიშნა, მამულიც ებოძებია, მაგრამ არც უმეთვალყურეოდ დასტოვებდა და არც ქართველებს გააკარებდა. რამდენიმე წლის შემდეგ მისი სხეული უდაბნოში გადარგულ ხესავით გახმებოდა. ჯერ ფოთლები დაუჭკნებოდა, შემდეგ ტოტები დასცვივდებოდა და ბოლოს ისე წაიქცეოდა, როგორც ძირმომპალი კედარი. უპატრონო მკვდარს მასავით სახელგამოცვლილი, გამაჰმადიანებული მოახლეები სუდარაში გაახვევდნენ, სხვის კუბოში ჩაასვენებდნენ, სხვის მიწაში ჩაფლავდნენ და მორიდებული პირით გაეცლებოდნენ. არა, იგი იმისთვის არ შობილა ამქვეყნად, რომ სახეც დაკარგოს და სახელიც, ღმერთსაც ულალატოს და კაცსაც. ჯალათები იმდენს ვერაფერს დააკლებდნენ, როგორც რჯულის შეცვლა გააწამებდა. თავის დახსნა ქრისტესაც შეეძლო, მაგრამ ჯვარზე იმიტომ ავიდა, რომ არ უნდოდა ფარისევლებს ქვეშ გაგებოდა, რწმენა მოესპო იმათთვის, ვისი ცოდვებიც იტვირთა.

— როდის უნდა აღსრულდეს შაჰის ნება? — იკითხა დედოფალმა ისე მშვიდად, თითქოს მისი ხორცი არ იგლიჯებოდა, არ იწვებოდა.

— შაჰს ჯერ არაფერი შემოუთვლია. მაგრამ ვიცი, რომ გაცოფებულია. — იმამ-ყული-ხანი ტყუოდა, უსირცხვილოდ ტყუოდა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ლაპარაკი განეგრძო, — მე აქ თქვენს გასაფრთხილებლად მოვედი, მოვედი კი-

დევ ერთხელ, რადგან მთელმა ცოდვამ ჩემს კისერზე უნდა გადაიაროს. ქრისტიანები მაჰმადიანებზე ნაკლები ბრალდებლები არ არიან. ვიცი რა ხმებსაც გაავრცელებენ დასავლეთში. სპარსელები ქრისტიანებს აწამებენ, ცეცხლზე სწვავენო, განაცხადებენ ისე უტიფრად, თითქოს მათ ქალაქში ყოველ დღე არ გიზგიზებდეს კოცონები. გამაგებინეთ მაინც ან თქვენ რატომ იღუპავთ თავს ან ჩვენ რატომ გვაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში. თქვენს გამო სპარსეთში გადმოხვეწილმა ქართველებმა არ იციან რა გზას დაადგნენ. შაჰს კი ისინი სჭირდება, ღმერთზე უფრო სჭირდება, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ომი აქვს გადასახდელი და ბევრი ციხე ასაღები.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა სჯობია, ქართველებმა სხვისი ციხეების აღებას შეაკლან თავი თუ თავიანთი გაანთავისუფლონ ყიზილბაშებისაგან?

— ქართველებს ჯერ ამის შესაძლებლობა არა აქვთ. როცა დატყვევებული მხეცი მძვინვარებს, მხოლოდ საკუთარ თავს ვნებს. მე რომ თქვენი და თქვენი შვილის პატივისცემა არ მქონდეს, აქ არ მოვიდოდი. მინდა გიხსნათ წამებისაგან. აგარიდოთ შაჰის რისხვას, მაგრამ ცოტათი თქვენც უნდა შემიწყოთ ხელი.

იმამ-ყული-ხანის შეგონებები აღიზიანებდა, გულს ურევდა. მისთვის ახლა გასაგები იყო, რისთვის ესტუმრა ეს ბრწყინვალე თავადი, რა უფრო აწუხებდა, მისი ბედი თუ საკუთარი სინდისის ჯერ კიდევ შეუნიღბავი ნაკაწრი.

— ის, რასაც თქვენ ცოტას ეძახით, ჩემთვის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია.

— სიკვდილსა და სიკვდილს შორის დიდი სხვაობაა, დედოფალო.

— სიკვდილზე უარესი ბევრი რამ არის ამქვეყნად.

— რჯულის დათმობა?

— არა, ქართველობის დათმობა. ეს ქვეყანა ჩემთვის მხოლოდ მანამდე არსებობს, სანამ მის ერთ პატარა კუთხეს საქართველო ჰქვია.

იმამ-ყული-ხანი ფეხზე წამოდგა. სპარსეთში გაზრდილს კვანძის გამოხსნას მისი ხმლით გაჩეხვა ერჩია, მაგრამ ამით იგი საკუთარ თავსაც მიაყენებდა ზიანს. წარბშეკრული ერთხანს საკუთარ სულში იქექებოდა, რაღაცას ეძებდა, შემდეგ სახეზე თავაზიანი ღიმილი აიფარა და დამშვიდდა. მისმა საღმა გონებამ საჭირო აზრი თვალის დახამხამებაში გამოქექა. ვალი მან პირნათლად მოიხადა, რის გაკეთებაც შეეძლო გააკეთა და ახლა უფლება ჰქონდა უმტკივნეულოდ მიეხურა სინდისის ოდნავ ღრიჭოდ დატოვებული კარი.

— უზრუნველ ცხოვრებას მოწამებრივი სიკვდილი გირჩევნიათ?

— სხვა გზა არ დამიტოვეს.

— შაჰი არ ჩქარობს, დარწმუნებულია, რომ ამ ცოტა ხანში აზრს შეიცვლით.

— მის ადგილას მე ამის იმედი არ მექნებოდა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, დედოფალო. მე ჩემი ვალი მოვიხადე. იმას, ვინც სიკვდილისაკენ ისწრაფვის, ვერავინ შეაჩერებს. ცოდვა, ცხონება, უკვდავება ჩვენ, ადამიანებმა მოვიგონეთ, ამ სოფლისათვის კი ყველა მკვდარი დასამარხავია და ყველა დამარხული დასავიწყებელი. დაივიწყებენ არა მარტო შაჰებსა და დედოფლებს, არამედ ქრისტესაც და ალაჰსაც. თქვენს გადასარჩენად ბევრი რამე ვიღონე, მაგრამ დღევანდელმა დღემ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ თქვენი და შაჰის მორიგება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

იმამ-ყული-ხანი ისე გავიდა საკნიდან, როგორც შეგონებით დამშვრალი შეიხი. ოთახში დარჩა გარედან შემოტრიალი ბგერების გამოძახილი და მღვრიე ცხოვრების სუნი. მოახლემ მაგიდა აალაგა, ყველაფერი, რაც თვალს ეხამუშებოდა, გარეთ გაიტანა. მდუმარებით გარემოცულს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ ცოტა ხნის წინათ პონტოელ პილატეს ესაუბრებოდა. იმამ-ყული-ხანიც ისევე იყო განებივრებული ხელისუფლებით, როგორც იუდეის მმართველი, არც მას გააჩნდა რწმენა, სამშობლო, რაიმეს აღიარების ან საბოლოოდ უარყოფის უნარი. როგორც ყველა თმაშეეერცხლილი ვეზირი, იგიც დარბაისლურად იმეორებდა, ცხოვრებაში არაფერი არაა ისეთი, რისთვისაც თავის გაწირვა ღირდეს. ადამიანები უმადურნი და უსახურნი არიან, სამეფოები და იმპერიები იმხობა, კაცმა რაც არ უნდა აკეთოს ქვეყანაზე, ბოლოს მაინც უწმინდური აღმოჩნდება. ამიტომაც არ ღირს ხმამაღლა ყვირილი, აურზაურის ატეხვა, სულ ერთია, შენს ხმას მაინც ვერავინ გაიგონებს. მათი არა მარტო აზრები ემთხვეოდა ერთმანეთს, არამედ მოვლენათა გარე სახის დანახვის უნარიც. როგორც კი მოვლენას გარსი შემოეცლებოდა და წონასწორობის დაკარგვის საშიშროება იქმნებოდა, მაშინვე ხელებს იბანდნენ და განზე დგებოდნენ.

საკანში ბევრი ზედმეტი, უსარგებლო ნივთი იყო, მაგრამ მათი გადაყრა ან გაჩუქება იგივე იქნებოდა, რაც ძველი დროიდან შემორჩენილი, თითქმის ისტორიულ ძეგლად ქცეული საკურთხევლის დანგრევა. ამიტომაც არ უხლია ხელი არაფრისათვის. მძარცველები ხვალამდე თავს შეიკავებდნენ, ბნელ ზრახვებს ამოეფარებოდნენ, ხვალ კი საკურთხეველს დაანგრევდნენ, ყველაფერს დაიტაცებდნენ და თითო-თითოდ გაჰ-

ყიდდნენ. მის ნივთებს სხვა ფასი დაედებოდა, მისი ჩვრები სხვა საზომით გაიზომებოდა. შაჰი გაგულუხვდებოდა, ყველაფერს სხვებს გადუყრიდა, მხოლოდ მის ცხედარს არ დაანებებდა არავის.

სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ხალარხანმა ხელი დაიბანა და ძველ ციხე-დარბაზს გაეცალა. ამ ხნის მანძილზე საკანში არავინ შემოსულა ისეთი, ვის მზერაშიც მისი გარე სახე აირეკლებოდა. ნივთთა სამყარო დროს მხარს უბამდა, ირგვლივ ერტყმოდა, განძრევის საშუალებას არ აძლევდა. სამი თვე ელოდა წამებას, სიკვდილს და ბოლოს მის წინაშე აღმოჩნდა. იმამ-ყული-ხანმა მობრძანება არ იკადრა, მელიქი გამოგზავნა, მას დაავალა განაჩენის სისრულეში მოყვანა. ქარი სარკმელს აწვალებდა, ჰაერი ღრუბლის სისქეს იძენდა, დაბლა ეშვებოდა. სიტყვები გახურებულ ლურსმნებივით იფახტებოდა საკანში. ერთხანს ვერაფერს ხედავდა, სივრცე შემოდგომის ნისლივით მღვრიე იყო, მაგრამ შემდეგ უკან დაიხია, ხელის ფათურით ხატი მონახა და საკუთარი თავი კვლავ მოიპოვა. გონმოსულს ხმის ამოღებაც შეეძლო და კითხვებზე პასუხის გაცემაც, მაგრამ მას უკვე აღარავინ არაფერს ეკითხებოდა, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო.

დედოფალი სარკმელს მოსცილდა. სულისხუთვა მხოლოდ მას შემდეგ დაეწყო, რაც სუფთა ჰაერზე გასვლა აუკრძალეს, სანთლის სუნი დამყაყდა, ისეთი სიმძაფრე შეიძინა, თითქოს იხრწნებოდა. ბოლო დროს მუხლებმაც უღალატეს, საკანში სიარული უჭირდა. მოპირდაპირე კედელზე სპარსეთში გადმოხვეწილი ქართველი მხატვრის მიერ ნაჩუქარი სურათი ეკიდა. ხის შეფოთლილი ტოტი, ყელმოღერებული ბულბული და ცისფერი ფონი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც თვალს ახსოვ-

და, მაგრამ სიხალისე და მომხიბვლელობა დაეკარგა. ბოლო ის, რასაც ახლა გამოხატავდა, გარემოსთან შეგუებული საგნის თვისება უფრო იყო, ვიდრე თანდაყოლილი სიცოცხლის-უნარიანობა.

დედოფალი ფარდაგგადაფარებულ ტახტზე წამოწვა და მზერა ჭერს მიაპყრო. არ ეგონა ლოდინი თუ ასე გააწვალებდა, წარმოდგენით გამოწვეული ტკივილი თუ ყველა სხვა ტკივილს დაავიწყებდა. კახეთიდან წამოყვანილი მოძღვარის, ანთიმოზ ბერის წამებას იძულებით დაასწრეს. ჯალათებმა ჯუბები გაიხადეს, ცეცხლი დაანთეს, ჩანთებიდან გაზები, ბარები, შამფურები და საჯები ამოალაგეს, გულმოდგინედ გადაარჩიეს, ცეცხლში ჩაყარეს და სანამ რკინა გახურდებოდა, ანთიმოზ ბერს ხელ-ფეხი გაუკავეს. უფრო საშინელი არასოდეს არაფერი უნახავს. აწამებდნენ უდანაშაულო ადამიანს, კაცს, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი დაუთესავს ამქვეყანაზე, აწამებდნენ ისე უღვთოდ, რომ ეგონა ცა ჩამოიქცეოდა, დედამიწა გადაბრუნდებოდა. მაგრამ არც ცა ჩამოიქცა და არც დედამიწა გადაბრუნდა. მხოლოდ სახლი გაიჟღინთა დამწვარი ხორცის სუნით და შემზარავი გოდებით. ნაძალადევი სიკვდილი ამ არაერთხელ გადაბუგულ ქვეყანაში ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრა. გაოფლიანებულმა ჯალათებმა იარაღი გაწმინდეს და ჩანთაში ჩაალაგეს. იმ დღეს ძლივს ამოიარა კიბე, ყოველ წამს ჩერდებოდა, სულის მოსათქმელად კედელს ეყრდნობოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია ხატამდე, მაგრამ ლოცვა აღარ შეეძლო, დალამებამდე მკვდარივით ეგდო იატაკზე.

ტახტზე წამოწოლილი აჩრდილი შეტოკდა. ტყვეობამ, ოთხ კედელს შორის გამოკეტვამ სიცოცხლის მძლავრი დინე-

ბა შეასუსტა, მოადუნა. სისხლძარღვებში შხამი და ნაღველი დაგროვდა. რამდენი ხანია, რაც ცვარით ფეხი არ დაუსველებია, მთებისთვის თვალი არ შეუვლია. მისი კანი ისე გათხელდა, რომ ძვლებზე გადაკრულ სიფრიფანა ქაღალდს ჰგავდა, რომლის დაფხრეწა ჯალათებს არ გაუჭირდებოდათ. ლოცვით დაღლილს ზოგჯერ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცხოვრებიდან თავისთავად ამოიშლებოდა, ამოირეცხებოდა. აღარ დასჭირდებოდა უაზრო კითხვებზე პასუხის გაცემა, ნებისყოფის დაძაბვა, ყვირილი, ბედის გმობა. დროსა და სივრცეს შეუმჩნევლად დაუძვრებოდა ხელიდან, ბნელში გაუჩინარდებოდა, უზომო მწუხარებას ბალახსა და ხის ფოთლებს შეატოვებდა.

დედოფალმა რამდენიმე სიტყვა ჩურჩულით წარმოთქვა, შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორა, მაგრამ საჭირო აზრის გამოხატვა მაინც ვერ შეძლო. დაგორებული ღამის ჩუმი ნაბიჯები აბრუებდა, განზე გამდგარი სამყარო არაფრის დასაკუთრების უფლებას არ აძლევდა. მას კი უდიდესი სურვილი ჰქონდა შვილიშვილებისათვის თავზე ხელი გადაესვა, ერთხელ კიდევ გაეგონა მათი წკრიალა ხმა, დაეკოცნა პატარა ლევანი, ისე ჩაეკრა გულში, რომ ვეღარავის მოეგლიჯა მკერდიდან. მათი პერანგები, ჩოხები და ახალუხები ახლაც სკივრში ჰქონდა ჩაკეტილი. როცა სევდა ყოველმხრივ შემოაწვებოდა, სკივრიდან ტანსაცმელს ამოალაგებდა, წინ დაიწყობდა და ისე დაჰყურებდა, თითქოს შვილიშვილებმა მთელი ამქვეყნიური სითბო და სინათლე თან წაიღეს, დედამიწა ბნელში დატოვეს.

გვერდით რომ მოძღვარი, ერთი ჩია ბერი ან მღვდელი ჰყოლოდა, ლოდინი ასე არ გაუჭირდებოდა, მაგრამ სასულიერო პირს მასთან შესვლის უფლება არ ჰქონდა. თვით მღვდლე-

ბიც დაშინებულნი იყვნენ. ვერც ერთი მისი მოძღვარი ვერ გადაურჩა წამებას. სპარსელები მის სიმტკიცეს მათ ზეგავლენას აწერდნენ. ანთიმოზის შემდეგ ბასილიანელი ბერი აწამეს, ბასილიანელი ბერის შემდეგ იყალთოელი დიაკონი. ახლა ამ ძველ ციხე-დარბაზში გიორგის, იმერელ მღვდელს ეძინა, მაგრამ სპარსელებს იგი მოწმედ უფრო სჭირდებოდათ, ვიდრე მის სულიერ მამად. თუმცა ხვალ გიორგი მღვდელიც და მოხელეებიც მას უნდა გაემხნევებინა, რადგან ასეთი განსაცდელისათვის ისინი მზად არ იყვნენ.

დედოფალმა თავქვეშ ხელი ამოიდო. საკმარისი იყო გვერდზე გადაბრუნებულიყო ან პირქვე დამხობილიყო და სივრცე გამხმარ ხურმასავით დაპატარავდებოდა, უძირო ორმოდ იქცეოდა, ჭაზე უფრო ვიწრო ორმოდ, სადაც არც ტიხრები იქნებოდა, არც გზის მაჩვენებელი ნიშნები და არც დღე და ღამე. მიუხედავად ამისა, ეს ვიწრო ორმო წარსულსაც დაიტევდა, ხვალინდელ დღეზე ფიქრსაც და მთელ საქართველოსაც. ყველაფერი, რაც აუტანელის ატანას უადვილებდა, იმ ქვეყანასთან იყო დაკავშირებული, სადაც ფეხი აიდგა, გათხოვდა, დაქვრივდა. თუმცა ახალგაზრდობა იქაც გამწარებული ჰქონდა. ქმარი პირველად იმ დღეს ნახა, როცა ჯვარი დასწერეს. დავითი ამაყი, წინდაუხედავი, სულწასული კაცი იყო. ლოდინს, განსჯას, საქმის გონივრულად მოგვარებას ცხენზე ამხედრება და იმის ძალით დასაკუთრება ერჩია, რასაც ნებით არ აძლევდნენ. განრისხებულს არც თავი ახსოვდა და არც მახლობლები. რჩევა, კეთილი სიტყვა აღიზიანებდა, აჯიუტებდა. ერთხელ ისე გაცოფდა, რომ მათრახიც კი მოუქნია. არაბული ანდაზა ამბობს, მეფეთა შორის ნათესაობა არ არსებობსო, მაგრამ მამის ტახტიდან ჩამოგდება და ძმის დილეგში

ჩასმა არა მარტო დანაშაული იყო, არამედ საკუთარი თავისა და ღვთის გმობაც. აკი დასაჯა კიდეც ღმერთმა. ტახტზე ასვლის შემდეგ რაღაც უცნაური სენი შეეყარა და ექვს თვეში გაათავა. მისი მრისხანე სახის ნაკვთები პირველად მხოლოდ მას შემდეგ დარბილდა, როცა მიხვდა, რომ საამქვეყნო არ იყო. მამამ მომაკვდავი შვილის ნახვა არ ისურვა. მეფე ისე დაასაფლავეს, როგორც კაცის შკვლელი. მას რომ მაშინ ტახტიდან მამა არ ჩამოეგდო და ძმა ციხეში არ ჩაესვა, თეიმურაზს შაჰის კარზე გახიზვნა არ დასჭირდებოდა. ობლად დარჩენილს სხვაგვარად აღზრდიდა, უცხო გავლენას აარიდებდა.

თავქვეშ ამოდებული ხელი გაითელა, დაუბუქდა. ადგილიდან დაძრული ჩრდილი გვერდზე გადაქანდა. ერთხანს აზრი თავისივე ანარეკლს ეფარებოდა, შემდეგ კი ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა. შაჰ-აბასი მხოლოდ მაშინ ანთხევდა პირიდან შხამს, როცა მის სათაყვანებელ კერპს საფრთხე ემუქრებოდა. ეტყობა, ქართველები გამოფხიზლდნენ, დაინახეს, რომ ყველა გზა მოჭრილი აქვთ. გამძვინვარებულ ლომთან შებმა კი მხოლოდ გზამოჭრილს შეუძლია. ამიტომაც აჩქარდა მტარვალი. ჯერ ლუარსაბი მოახრჩო აქვე, ამ ქალაქში, ახლა კი მას უმზადებდა გახურებული რკინის სარეცელს. ასე პირდაპირ, ასე ჯიქურად ისინი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. ახლა არც უკან დახევა შეიძლებოდა და არც განაჩენის გადავადება. მათი დავა სიკვდილს უნდა გადაეწყვიტა. მართალია, მას თითქმის არაფერი გააჩნდა, შაჰს კი ჯალათების მთელი ხროვა ჰყავდა, მაგრამ ასეთ ბრძოლაში წინასწარ არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს — ის, ვინც ჯვარი იტვირთა, თუ ის, ვინც ჯვარცმა მოიგონა. შეიძლება იგი ქვეშეცნეულად ისწრაფოდა კიდეც

სიკვდილისაკენ, ცოცხალი ვერავის ველარაფერს აკეთებდა, მკვდარს კი შეეძლო მცირედი სამსახური კიდევ გაეწია საქართველოსათვის.

სიცივე ჯერ წელში იგრძნო, შემდეგ კი მთელ სხეულს მოედო. დედოფალი აკანკალდა. სხეულში დაგუბებული მწუხარება თრთოდა, თვალის გუგებს აწვებოდა, ცრემლს თხოულობდა, მაგრამ მისი სხეული იმდენად გამომშრალი იყო, რომ დათხრილი თვალებიდანაც კი არაფერი გადმოდინდებოდა. მწარე სითხე გულს ძმარავდა, ყელში აწვებოდა. ქვეყანასთან მას უკვე აღარაფერი აკავშირებდა, ლოდინი ფოთოლივით ჰკნებოდა, მაგრამ თვალს არც შუქი აკლდებოდა და არც უმიზნო ხეტიალს იშლიდა. ედებოდა ყველაფერს, რასაც კი წვდებოდა, დრო რითიმე უნდა ამოევსო, ამოევსო სწრაფად, სულმოუთქმელად, თორემ სხვა უარესი ამოავსებდა.

ტახტზე ჩამომჯდარმა სული ცოტათი მოითქვა, მაგრამ როცა ფეხზე წამოდგომა სცადა, ტკივილმა იმატა. ტკიოდა წელი, გვერდები, ბეჭები ტკიოდა ისე, თითქოს გახურებულ ლურსმნებზე იწვა. გათოშილი სამყარო ამოძრავდა, წისქვილის ბორბალივით დატრიალდა. აენთო კოცონი, ალაპლაპდა გაოფლიანებული კანი, გაქვავდნენ გაფითრებული სახეები. მის შიგნით ვიღაც თავგამოდებით იძახდა არა, არა, არაო და ეს ძახილი ისე იძირებოდა სიცარიელეში, როგორც ჭაში ჩავარდნილი ქვა. სხეულზე ჯერ არც ნაჭრილობევი აჩნდა და არც სიდამწვრის ნიშნები, მაგრამ მან უკვე იცოდა, რომ ამგვარ ტკივილს დიდ ხანს ვერ გაუძლებდა, ჯალათებს ხელში შემოაკვდებოდა.

აჩრდილი გმინავდა, დაბუქებულ ხელებს ისრესდა, წამოდგომა ისე უნდოდა, როგორც დროის შეჩერება, დღეთა-

ალრევა. ცრემლი რომ ჰქონოდა, გულს მაინც მოიოხებდა, ვა-
დახრუკულ მინდვრებს დაალბობდა, მაგრამ იგი უკვე იმ სამ-
ყაროს ეკუთვნოდა, სადაც ადამიანის სისუსტეს არავითარ ან-
გარიშს არ უწევენ. ღამე, გამუქებული ჩრდილები და საკანში
გამეფებული მდუმარება ერთმანეთს ერწყმოდა. თავის მოკვ-
ლას როგორმე მოახერხებდა, დანასაც იშოვიდა და შხამსაც,
მაგრამ თვითმკვლელობაზე ფიქრს იმ დღიდანვე მოეშვა, რო-
ცა მიხვდა, რომ წამებას გაუძლებდა, ფეხქვეშ არავის გაეგე-
ბოდა.

დედოფალმა თავს ძალა დაატანა და ფეხზე წამოდგა. სა-
კანში ჯარისკაცის ხმამაღალი შეძახილი შემოიჭრა. ბედი დიდ-
ხანს უმზადებდა განსაცდელს, მაგრამ გუშინდლამდე ეს მხო-
ლოდ ვარაუდი იყო, გუშინს აქეთ კი სინამდვილედ იქცა. რა
რჩებოდა ჯანგატეხილს ამქვეყნად — ერთადერთი შვილი და
კეთილი სახელი. შვილი შორს იყო, ვერც იხსნიდა, ვერც
დაიტირებდა, კეთილი სახელი კი უმძიმეს მსხვერპლს, სიცო-
ცხლის დათმობას მოითხოვდა. სიცოცხლის დათმობაზე ფიქრს
დიდი ხანია შეეჩვია, მაგრამ შვილის დარდი საფლავში მიყვე-
ბოდა. არ ჰქონდა იმის იმედი, რომ თეიმურაზი ცხოვრებას
და განადგურებული სამეფოს აბურდულ-დაბურდულ საქმე-
ებს თავს გაართმევდა, ქვეყანას მოაღონიერებდა. ნიჭი, ვაჟკა-
ცობა და თვალტანადობა არ აკლდა, მაგრამ საქმის ბოლომდე
მიყვანის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინების უნარი
არ ჰქონდა. მის არსებაში რამდენიმე პიროვნება ცხოვრობ-
და — მეფე, პოეტი და რაინდი. ერთის მხრივ სახელმწიფოს
ბედის მჭედელი, მეორეს მხრივ კი უდარდელი მოქეიფე, ხელ-
მარჯვე მონადირე და თავდაჯერებული მოშაირე. სწორედ ეს
გაორება იყო მისი და მისი ქვეყნის უბედურების მიზეზი.

თეიმურაზს არ ესმოდა, რომ რაინდობის დრო წავიდა, ხალხები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ასეთ ბრძოლაში კი ყურადღების მცირედი მოდუნება, გრძნობებს აყოლა, მიუტევებელ დანაშაულს ნიშნავს. შაჰ-აბასი სწორედ იმიტომ განდიდდა და გაძლიერდა, რომ ძველ ადათ-წესებს ზურგი შეაქცია, ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესებს დაუმორჩილა. ქართველების ხელით მან დაუმარცხებელი მტრები დაამარცხა, ქართველებმა კი მისგან თავის დაცვაც ვერ მოახერხეს. თეიმურაზის გარდაქმნის, დადინჯების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ სწამდა. მისი შვილი თავის ხალხსა და ღმერთს არ უღალატებდა, შაჰის ყურმოჭრილი მონა არ გახდებოდა.

დედოფალმა საკანს თვალი მოავლო. ყოველი ნივთი თავის ადგილას იდგა, მაგრამ ქვეყანა მაინც დაფერდებული ეჩვენებოდა. დრო წინ მიიწევდა, სანთლებს ალღობდა, საკანში არაამქვეყნიურ სუნს ავრცელებდა. წვალებით მოპოვებული თავისუფლება მხარში ედგა, მაგრამ სიცარიელეს მაინც ვერ ავსებდა. თუმცა ახლა მისთვის სულ ერთი იყო, როგორი დილა გათენდებოდა, რას ამოავსებდა და რას არა. ცეცხლი დასწვავდა ტკივილს, კრუნჩხვებს, ღამეულ მოჩვენებებს და არა იმას, რისთვისაც ამქვეყნად ცხოვრობდა, სულს იმწარებდა. გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო, შიში გულღვიძლს ულრღნიდა, მაგრამ რაც უფრო უძლურდებოდა სხეული, მით უფრო ემატებოდა ძალა, ბოლო დროს კი მთელი მისი არსება ისე ამბოხდა, რომ დასათრგუნავად ჯალათებს უხმეს. ახლა მას მხოლოდ საკუთარი სიკვდილი უნდა განეცადა, განეცადა წინასწარ, მანამდე, სანამ სული ამოხდებოდა, შემდეგ კი აღარაფერი ეკითხებოდა.

დედოფალმა სარკმელი გამოაღო. ცა მოწმენდილიყო, განაცრისფერებულიყო. ვარდის სუნს სიმძაფრე დაეკარგა. საკანი თანდათან ვიწროვდებოდა, სქელი კედლები გასრესით ემუქრებოდა. არაფრით არ ეგონა ამდენის ატანას თუ შეძლებდა, მაგრამ როცა მთელი ამქვეყნიური სისასტიკე დაუპირისპირეს, მიხვდა, რომ მეტსაც აიტანდა, ცხოვრების ჩრდილში გახვეულ ნათელს გასათელავად არავის დაანებებდა.

საფარდინის მეჩეთის ცადაწვდილი მინარეთიდან მუეძინეს გამყივანი ხმა მოისმა. ეს ხმა წლების მანძილზე ესმოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ შეეჩვია, განთიადს ვერ დაუკავშირა. ქვეყანა მძიმედ, ნამთვრალევივით იღვიძებდა, ნამუსრევით წაბილწულ კალთას მოათრევდა. ტკიოდა მარცხენა ხელი, მთელი მარცხენა მხარე. „ლა ილაჰ ილა ლაჰ, ლა ილაჰ ილაჰ, ლა ილაჰ ილა ლაჰ“, ესმოდა ზევიდან და ეს უცხო სიტყვები ისე სცემდა თავ-პირში, როგორც ციდან მოწყვეტილი ქვები. სმენის დაძაბვა, გამახვილება მხოლოდ მას შემდეგ შეამჩნია, როცა ჩრდილები გაფერმკრთალდა. დღისით ფეხის ხმა დახშული, ბლაგვი და ცხოვრებისეულია, განთიადისას კი ცივი, მკვეთრი და მუქარით სავსე, სწორედ ისეთი, როგორიც დაყრუებულ დერეფანს შეეფერება.

გარიჟრაჟს სუნთქვაშეკრული ქვეყნისათვის ნათელი მოჰქონდა, მისთვის კი წამება და სიკვდილი. გონებას უჭირდა დაუჯერებელის დაჯერება, მწუხარებისა და სიბნელის ცეცხლითა და ოფლის სუნით შეცვლა. მდუმარება ყელში ხელს უჭერდა, დახრჩობას უპირებდა. ლოდინით წელში გატეხილმა ხატთან მისვლა კი შეძლო, მაგრამ ველარ დაიჩოქა, ბაგე ვერ გახსნა. მისთვის უკვე ყოფა, სიტყვა, გამოკვეთილი ხატოვანება და ბუნდოვანი ნიშნები გადარეცხილი იყო, ამოიწურა.

ჩივილი, იმედი, ლოცვა, დარჩა მხოლოდ გაქვავებული მდუმარება და სხეულიდან ამოწვდილი, მრწამსს ჩაბღაუჭებული სული.

უეცრად მდუმარება მეხნაკრავ ხესავით გაიპო, აფეთქდა. დაყრუებულ დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. მოაბიჯებდა ძალადობა, სულის ამომხდელი ტკივილი, მოაბიჯებდა ისე უკმეხად, რომ განთიადი უკან იხევდა, ფითრდებოდა. მკვეთრი, შემზარავი ბგერები ჯერ ტვინს დაეპატრონა, უმოწყალოდ კორტნიდა, შემდეგ კი მთელი ძალით დააწვა მხრებზე და წააქცია. გათელილი, ნაგვემი სხეული მჩვარივით ეგდო კუთხეში. ჭერი და კედლები ირყეოდა, ღია სარკმლიდან დღის სინათლე იღვრებოდა. მოკუნტულ, ერთ მუჭად შეკრულ სხეულს არაფრის გაგონება, არავის დანახვა არ უნდოდა — ეშინოდა ცეცხლის, რკინის, სიკვდილის, მაგრამ სული არ ცხრებოდა, არ დრკებოდა და უეცრად შადრევანივით ამოიფრქვა, შედედებული სივრცე გააპო, სვეტად აღიმართა. მის აღმა სვლას ვერც მძიმე ნაბიჯების ხმა აბრკოლებდა და ვერც ჭერი აკავებდა. ეტანებოდა სამყაროს უსასრულო დერეფნებს, ცას და სინათლეს, რწმენასა და სიცხადეს, ნაგვემ სხეულს ისეთი ძალით ეწეოდა მაღლა, რომ თვალის დახამხამებაში ფეხზე წამოაყენა. გამაწამებელი ღამის ნარჩენები დღის სინათლემ გაფანტა, დაფერდებული ქვეყანა გასწორდა, ხოლო როცა ჯალათებმა კარი შემოაღეს, სულის მეტი მას უკვე აღარაფერი გააჩნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

შეკამბოზენი ——————————— 5

დაღამება ამა სოფლისა ——————————— 151

და განიყვეს სამოსელი მისი ——————————— 188

3.
n 289/1331

Магулариа Гиви Ноевич
Повстанцы
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1973

რედაქტორი ნ. ჩირაძე, მხატვარი ვ. ქლიბაძე, მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე, ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა, კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი, კორექტორი ბ. შალვაშვილი, გამომშვები ი. ხაჩიძე.

გადაეცა ასაწყობად 26/III-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII-73 წ.; ანაწყობის ზომა 5,5×7; ქაღალდის ზომა 70×108 1/32; ნაბეჭდი თაბახი 9,62; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,36; ტირაჟი 20 000; უე. 01111; შეკვ № 1294.
ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджаншвили, 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 2, „ნაკადული", ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა